

ISSN 1987-7374

XX

ქავკასიოს ეთნოლოგიური
კრებული

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISNN 1987-7374

**კავკასიის ეთნოლოგიური
კრებული
XX**

ეძღვნება ცნობილი ეთნოლოგის
თინათინ ოჩიაურის 100 წლისთავს

თბილისი
2020

Papers of Caucasian Etnology XX Кавказский этнологический сборник XX

„კავკასიის ეთნოლოგიური კრებულის“ XX წომერი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განვითარების ორგანოა, ეძღვნება ცნობილი ეთნოლოგის თინათინ მნიშვნელობრივი სამუშაოს. კრებულში დაბეჭდილი ნაშრომები ეხება კავკასიისა და საქართველოს ეთნოლოგიისა და ისტორიის აქტუალურ პრობლემებს.

**რედაქტორები
როლანდ თოფჩიშვილი
ნათია ჯალაბაძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი



როლანდ თოფჩიშვილი

თინათინ ოჩიაური – ქართველ მთიელთა სულიერი ძულტურის მკვლევარი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ცნობილ ეთნოლოგს თინათინ ოჩიაურს 2020 წელს დაბადებიდან ასი წელი უსრულდება. ის დაიბადა ეთნოგრაფ ალექსი ოჩიაურის ოჯახში 1920 წლის 27 ოქტომბერს ხევსურეთის არხოვის თემის სოფელ ახიელში. ალექსი ოჩიაურმა ქვეყანას დაუტოვა უნიკალური ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები ფშავისა და ხევსურეთის შესახებ. ქალბატონ თინას დედა გახლდათ ასევე არხოტელი ნათელა ბალიაური, რომელიც ორი შესანიშნავი წიგნის ავტორია – „ხევსურული ქრონიკები“ და „ხევსურული სწორფრობა“. თინათინ ოჩიაურმა სასკოლო განათლება თბილისში მიიღო (დაამთავრა მერვე საშუალო სკოლა). თინათინ ოჩიაური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტების სწავლობდა 1937-1941 წლებში. უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში ბარისახოს საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. 1942 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით, რომელიც დაამთავრა 1945 წელს და მაშინვე, 1 დეკემბერს, მიღებული იქნა ეთნოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. შემდეგ მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს დაუკავშირდა (1957 წლიდან იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). მის მეცნიერულ წროობას ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ლიდერები ბატონი გიორგი ჩიტაია და ქალბატონი ვერა ბარდაველიძე ხელმძღვანელობდნენ.

ქალბატონმა თინა ოჩიაურმა მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ხევსურეთის შესწავლას მიუძღვნა. საკანდიდატო დისერტაციის თემაც სწორედ ხევსუ-

რეთს ეხებოდა. 1950 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა ოქმაზე – ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან: ქადაგობა ხევსურეთში“, რომელიც მონოგრაფიის სახით 1954 წელს გამოიცა. 1969 წელს თინათინ ოჩიაურმა მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ნაშრომის თემა იყო „მთოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. სადოქტორო დისერტაცია დაცვამდე ორი წლით ადრე – 1967 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თინათინ ოჩიაურმა მეცნიერ-თანამშრომლის ყველა საფეხური გაიარა – უცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე. 1981 წლიდან 2005 წლამდე ის ხელმძღვანელობდა სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებას, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სხვა ორ განყოფილებასთან ერთად.

თინათინ ოჩიაური არის რამდენიმე მონოგრაფიისა და ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ბევრი ნაშრომი მას გამოქვეყნებელი დარჩა.

ქალბატონი თინათინ ოჩიაური მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი გახდათ; მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა მრავალი ეთნოლოგი. ის იყო აგრეთვე არაჩვეულებრივი საველე მუშაკი. პირადად მქონდა ბედნიერება თვალყური მედევნებინა მისი საველე საქმიანობისათვის; დაუკიტარია მთხოვნებისადმი მისი მიდგომა და დამოკიდებულება. ჩემი საველე ნათლობაც მან მოახდინა ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში 1973 წელს. თავისი ცხოვრების გარკვეული წლები თინათინ ოჩიაურმა მიუძღვნა მამამისის აღექსი ოჩიაურის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის გამოცემას. სამწუხაროდ, მან ამ ეთნოგრაფიული ჩანაწერების მხოლოდ ნაწილის გამოცემა მოასწრო.

ქალბატონ თინათინ ოჩიაურს არა მარტო მშობლების მხრივ ჰქონდა ეთნოგრაფიული ოჯახი – მისი მეუღლე გახდათ ასევე ცნობილი ეთნოლოგი გიორგი ჯალაბაძე; სა-

ოჯახო ტრადიციას აგრძელებს მათი ქალიშვილი ნათია ჯალაბაძე. თინათინ ოჩიაური 90 წლის ასაკში გარდაიცვალა 2010 წლის 18 ოქტომბერს.

თინათინ ოჩიაურმა პირველი მონოგრაფიული გამოკვლეული 1954 წელს გამოაქვევნა – „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, რომელშიც **ქადაგობის** ინსტიტუტია შესწავლილი. მართალია ქადაგობა საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში იყო შემორჩენილი, მაგრამ აგზორმა, როგორც მეცნიერმა გაარკვია, რომ ის კლასიკური სახით, თავდაპირველი ფორმით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა შემოინახა. მან გაარკვია, რომ სიტყვა ქადაგი იმ პირვენების აღსანიშნავად იხმარებოდა, რომელიც, ხალხის რწმენით, დავთაების ნება-სურველს აუწევდებდა მათ, მისი პირით ლაპარაკობდა; ერთი წინადადებით რომ ვთქვათ, მოციქული იყო ხალხსა და დავთაებას შორის. უფრო ადრე ენათმეცნიერებს გარკვეული პქონდათ, რომ სიტყვა „ქადაგი“ არაქართული წარმომავლობის, სპარსულიდან მომდინარე იყო. მაგრამ ხევსურული მასალის შემოტანით თინათინ ოჩიაურმა ცხადყო, რომ ქადაგის გვერდით მთის ამ მხარეში სხვა ლექსიკური ერთეულებიც იხმარებოდა, კერძოდ, ქადრე, ძევენე და ქანდარა. თავდაპირველი კი მ ე ე ნ ე იყო, რომელიც ჯვარსა (სალოცავს/დავთაებას) და ხალხს შორის შუამავალს, დავთაების მაგიერ მოლაპარაკეს ნიშნავდა. მოგვცა „მადრეს“ ახსნაც – დავთაება რასაც „კადრულობდა“ ხალხს ის გადაეცემოდა. მეცნიერმა გაარკვია, რომ ქადაგობის ანალოგიური ინსტიტუტი სხვა რწმენა-წარმოდგენების მიმდევართოათვისაც არ იყო უცხო – რჩეულობის ინსტიტუტის ანალოგიურია მაგალითად შამანობაც. ქადაგობის მონოგრაფიული შესწავლით გაირკვა ქადაგის ადგილი მთიელთა ხატის მსახურთა იერარქიაში – ის იყო შუამავალი, მომავალი წინასწარმეტყველი, გადასცემდა „ხთიშვილთა“ სურვილებს და ა. შ. მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული მასალებით მკვლევარმა გაარკვია, რომ ქადაგად გახდომა პირვენების ნება-სურველზე არ იყო დამოკიდებული, მას თვით დავთიშვილი ირჩევდა, რომელიც თავის რჩეულს დამიზეზებდა და გახდიდა ხატის მსახურად. გამოკვლევაში დადგენილია, რომ დავთაების მიერ ქადაგად დაჭრა, ისევე როგორც ხუცობა, უმეტეს

შემთხვევაში მემკვიდრეობით ხდებოდა („ქადაგობა ერთი მა-
მის კაცო მოუდიოდა“). თინათინ თჩიაურმა სალოცავის მიერ
ადამიანთა დამიზეზება-დაჭერის ფაქტები ბარშიც გამოავლი-
ნა, სადაც მათი ამ მდგომარეობამდე მისვლა უფრო პირის
დანაშაულით იყო გამოწვეული და არა დვოიშვილთა გარტ-
გეული სიმპათიით („ბარში დვთაების სიმპათია გამორიცხუ-
ლია, წაშლილია ქადაგის დიდნიშვნელოვანი როლიც“; „გე-
რისთავი ყოფილა თავის მამის სალოცავი. იმის ზედაშეები
ყოფილა კაქლის ხის ქვეშა და იმის მოჭრაზე დამიზეზე-
ბულა“). მონოგრაფიაში ისიცაა გარკვეული, რომ მთისაგან
განსხვავებით, ბარის ქადაგობას თან ახლდა რიტუალური
ცეკვა და გალობა. განსხვავება ყოფილა სამოსელშიც – ქა-
რთლში ხატის მიერ დაჭერილს სულ თეთრები სცმია. შეუძ-
ლებელია მეცნიერს არ დაეთანხმო დასკვნაში, რომ როგორც
ბარში შემონახულ, ისე ხევსურეთში არსებულ დაჭერა-დამი-
ზებებას გენეტიკურად საერთო ზოგადი საწყისები აქვს. ძა-
ლზე საყურადღებოა წიგნის მონაკვეთი, რომელიც ქადაგისა
და დვოიშვილის ურთიერთობას ეხება: ხევსურეთში უამრავი
დვოიშვილიდან ძირითადად „ხახმატის ჯვარი სამძიმარი“ გა-
მოდის შუამავლად გამწყრალ დვთაებასა და ხალხს შორის;
„ხახმატის ჯვარის ცნებაში წარმოდგენილი ორი ძირითადი
დვოიშვილიდან (გიორგი ნალვარშვერიერი, სამძიმარ ხელი
უელლილიანი) ნაყოფიერების დვთაებას სამძიმარი უნდა ასა-
ხიერებდეს, იგი უფრო ძველი ჩანს. გიორგის ვერ დაუძლევია
სამძიმარის ძლიერი კულტი, შერწყმია მას და მისი ფუნქ-
ციები გაუზიარებია“; დადასტურდა რელიგიის ისტორიაში
ცნობილი ფაქტი – ნაყოფიერების დვთაების (სამძიმარი)
ჯვრის „ტელ-კაცებთან“ სექსუალური ურთიერთობა... ცალკე
და დაწვრილებითა გამოკვლეული ქადაგის რელიგიური და
სოციალური ფუნქციები: მთაში (ხევსურეთში) ქადაგს სვამდ-
ნებ როგორც ჯვარში/სალოცავში, ისე სახლში. პირველ შე-
მთხვევაში ქადაგის დასმა ძირითადად საზოგადოებრივი სა-
ქმების მოსაწესრიგებლად ხდებოდა. რელიგიის სფეროდან
კი მის მოვალეობას შეადგენდა სალოცავის მსახურთა დაუე-
ნება, ჯვარის ქონებრივი მდგომარეობის განმტკიცება. ქადაგი
გვევლინებოდა სალაშქროდ წასვლის ერთ-ერთ მთავარ ორ-
განიზატორად. სახლში ქადაგობა კი პირადი და საოჯახო

მიზნით ხდებოდა (ავადმყოფობის დროს, ნაწველ-ნადლვების უბარაქიანობის დროს და სხვა). სრულიად გასაზიარებელია მეცნიერის დასკვნა, რომ სახლში ქადაგობა, ჯვარში ქადაგობასთან შედარებით, გვიანი ხანის წარმონაქმნია. ცალკე თავი ეძღვნება ქადაგისა და სხვა „ჯვარის ჭელკაცების“ ურთიერთობას. გარკვეულია, რომ მკადრესა და ქადაგს მოელი რიგი საერთო ნიშნები ჰქონდათ: მკადრეს დაქორწინება ეკრალებოდა, მაგრამ ლვთიშვილისაგან ნებართვის მიცემის შემთხვევაში, მეუღლესთან ურთიერთობა ლვთაების მიერ მკაცრად განსაზღვრული იყო. მკადრეები ირჩევდნენ კულტის მსახურებსაც. ხევსურეთში მკადრეს ხუცობაც შეეძლო. ამ უკანასკნელს კი, გარდა რელიგიური ხასიათის მოვალეობებისა, საერთო ხასიათის ვალდებულებებიც ჰქონდა (ლაშქრობაში მონაწილეობა, მტრების შერიგება). ოუმცა, დასკვნაში მოცემული დებულება, რომ „ქადაგის, ხუცესისა და ჯვარის სხვა მსახურთა სახით სოციალურად და ეკონომიურად ძლიერი, პრივილეგირებული ჯგუფი ჩნდება“, ნაკლებ გასაზიარებლად მიგვაჩნია. ასეთი დასკვნა კი შედეგი იყო იმდროის ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი სქემებისა. ოუმცა მონოგრაფია იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ნებატიური დამოკიდებულება აღნიშნული დებულების მიმართ ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს მას. პირველად ეთნოლოგიურ მეცნიერებაში თინათინ ოჩიაურმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა წამოსწია წინ; ესაა „ჯვართ ენა“, რომელიც ასევე ქადაგობასთან იყო დაკავშირებული. რაც მთავარია, თინათინ ოჩიაურს ქადაგების მიერ ხმარებული ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებული მოელი რიგი ტერმინები აქვთ განმარტებული. არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ „ჯვართ ენის“ წარმოშობის მიზეზი მისი ზებუნებრიობის ხაზგასმის სურვილი იყო.

თინათინ ოჩიაურის წიგნი „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევად მიგვაჩნია, რომელიც დაწერილია ეთნოლოგიის, ისტორიის და ფოლკლორის შესაყარზე. ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთში ბევრი გადმოცემა შემოგვინახა, ეს იმ დროს, როდესაც ამ მხარეების შესახებ წაყრილობითი წაყროები

სდუმან. გადმოცემები კი საუკუნეებს განმავლობაში გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში. ხშირ შემთხვევაში კი ეს გადმოცემები, რომელსაც ხევსურეთში ანდრეზებს უწოდებდნენ, ლექსებად იყო „გარდაქმნილი“. ქალბატონი თინათინ ოჩიაურიც აღნიშნავდა: „აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დაცული მითოლოგიური ხასიათის ლექსი თუ თქმულება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ისტორიული წყარო, რომელშიაც ზებუნებრივი ელფერით რეალური, ცხოვრებაში ნადვილად მომხდარი თუ მიმდინარე პროცესებია ასახული“.

განსახილველი მოხოგრაფია იმდენად დატვირთულია საგულისურო გადმოცემებით, რომ ჭირს რომელიმეზე შეჩერება, რადგან ყველა მათგანი მნიშვნელოვანია. ავილოთ, მაგალითად, გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. ამ გადმოცემებით აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხევადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა ერთმანეთს ერწყმოდა, მიმდინარეობდა მიგრაციული პროცესები (წიკლაურ-ბექაურების და ჯალაბაურების ხევსურეთიდან გუდამაყარში, გიგაურების ხევსურეთიდან ჭართალში გადასახლება...). რაც მთავარია, მიგრაციის ამსახველ გადმოცემებს ამაგრებს სალოცავთა ნიშების ახალ საცხოვრისში გადატანის ფაქტები. წიგნის „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ ერთერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია „თქმულება იახსარისა და კოპალას მიერ დევ-კერპთა განადგურების შესახებ“. მეცნიერმა დაადგინა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დევებს უცხოვრიათ ხევსურეთში, ფშავში, „ივრის ფშავში“, გუდამაყარში. მაგრამ არა ყველგან, არამედ ადგილ-ადგილ, სულ რამდენიმე სოფელში, რასაც, რა თქმა უნდა, დასკვნების გამოსატანად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ადგოცემით, დევები ისეთები იყვნენ, როგორც ჩვეულებრივი აღამიანები – მისდევნენ მიწათმოქმედებას, მჟედლობას. ის კი არადა, დევის ქალზე ხევსურის დაქორწინების შემთხვევაცა აქვს გადმოცემას შემონახული. ფშაველთა და ხევსურთა ბრძოლას დევებთან ხატები ედგნენ სათავეში. თინათინ ოჩიაურს დევების შესახებ უყურადღებოდ არ რჩება არც ერთი დეტალი, მაგალითად იმის დამადასტურებელი, რომ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა პირჯვრის გადამწერი იყო და

მათი გადაწერილი პირჯვრით დევების ამობუგვა ხდებოდა. დევების სიძემ, რომელიც მათთან პურის საჭმელად დაჯდა და შეამჩნია, რომ ყველა უბდვერდა, წარმოსთქვა რა „დამწერებ კოპალაო შენ, ჯვარივ, სრუყველაიც მე მიბდვერსავ“, გაუჩნდათ დევებს ცეცხლი და ყველა ამობუგა. ბუნებრივია, მეცნიერი ვალდებული იყო დაესვა კითხვა: რა კავშირი შეიძლებოდა არსებულიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემებში აღწერილ დევებსა და ზღაპრულ დევებს შორის? დასკვნა ერთმნიშვნელოვნია – პირველი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ოღონდ – განსხვავებული.

თინათინ ოჩიაურმა სამცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ხევსურების – ხახმატის ჯვარითნისა და ლიქოკის ჯვარითნის – თუშეთში სალოცავად სიარულის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა, სადაც ბევრ სოფელში ხევსურული სალოცავების ნიშები არსებობდა, რასაც, სრულიად ლოგიკურად ის მიგრაციით ხსნის. ასეთი მიგრაციული პროცესების შესახებ ზემოთაც გვქონდა აღიშნული. საყურადღებოა, რომ მიგრაციული პროცესები მთის ერთი მხარიდან მეორეში განაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როდესაც უამი ერთგან მოსახლეობის მნიშვნელოვან რაოდენობას იმსხვერპლებდა. შწორედ ასეთი უამიანობის შედეგი ყოფილა ანატორელთა გაწყვეტა, რაზედაც თინათინ ოჩიაურმა განსაკუთრებული ყურადღება შეაჩერა. მნიშვნელოვანია გადმოცემა ფშავ-ხევსურეთის დვოაებების ქაჯავეთს ლაშქრობის შესახებ. გადმოცემებით, დევები თუ გადმოცემის შემქმნელთა შორის ცხოვრობდნენ, ამას ვერ ვიტყვით ქაჯავეთზე – ქაჯავეთი სადღაც სხვაგანაა („ქაჯავეთიდან მომდინარე დვომიშვილები ხევსურეთში თუშეთის მხრიდან ბრუნდებიან“). აქ ლაშქრობის ძირითადი მიზეზი კი რკინის იარაღების მოპოვება ყოფილა. სრულიად ლოგიკურია ავტორის დასკვნა, რომ „ის რაც მათი წესისაგან, მათი რწმენისაგან განსხვავებულია, სწორედ ქაჯურია, ხოლო მისი მფლობელი ხალხი – ქაჯი... ზუსტად ასეთ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯებთან დაკავშირებითაც“. მალზედ საინტერესოა ის გადმოცემები, რომლებიც გუდანის ჯვარს შექება, რომლის ერთ-ერთ ვარიანტში გუდანის ჯვრისა და კინკოზაურთა ბრძოლის მდაფრი სურათია მოცემული. იგივე შეიძლება

ითქვას თქმულებებზე მთაში დროებით აღზევებული პიროვნებების შესახებ. ყველა გაამაყებულის დასასრული სავალალო იყო. ასე რომ, მონოგრაფიაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების საფუძველზე ეთნიკური და სოციალური პრობლემებია შესწავლილი. თინათინ ოჩიაურმა წიგნს ბოლოში დაურთო სხვადასხვა დროს შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა/გადმოცემები, რომლებსაც ის ეყრდნობოდა და რომლებიც მას იმ დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევდა, რომლებიც მონოგრაფიაშია მოცემული. ამით, ვფიქრობ, მის თანამედროვე მეცნიერთ და მომავალ თაობას საშუალება მისცა თავადაც გაეკეთებინათ ანალიზი იმ მდიდარი მასალისათვის, რომელიც საუკუნეების მიღმა იქმნებოდა და რომლებმაც XX საუკუნეებდე მოაღწია.

თინათინ ოჩიაური საუკეთესო მოქართულე იყო; ეს ჩანს არა მხოლოდ მისი სამეცნიერო გამოკვლევებიდან, არამედ სამეცნიერო-პოპულარული წიგნებიდან, წიგნებიდან, ასე რომ აკლია ჩვენს საზოგადოებას. სამეცნიერო-პოპულარული წიგნების წერა ერთობ რთულია, რადგან მეცნიერი, რაც მას ევალება, იმასთან ერთად, ოდნავ მაინც მწერლური ნიჭითაც უნდა იყოს დაჯილდოვებული. თინათინ ოჩიაურს ეს მწერლური ნიჭი კი დიდად მომადლებული ჰქონდა. სამეცნიერო-პოპულარული სერიის ორი წიგნი დაუტოვა მან ქართულ საზოგადოებას – „ხევსურეთი და ხევსურები“ და „სტუმრად თუშეთში“. წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ ვინც მოინდომებს ხევსურეთში და თუშეთში მოგზაურობას სამეცნიერო მიზნით, ან უბრალოდ, როგორც ტურისტი, აუცილებლად უნდა წაიკითხოს ეს ორი წიგნი. საკმარისია მკითხველმა სამეცნიერო-პოპულარულარული სერიის ამ წიგნებს ხელი მოჰკიდოს, ისინი თავად წააკითხებენ თავს. ენის შესახებ უკვე აღვნიშნე, მაგრამ რამხელა ცოდნაა ორივე მათგანში კონცენტრირებული! ნიჭიერებაა ისიც, მკითხველს უამრავი ფაქტიდან ისინი მიაწოდო, რომელიც ყველაზე აუცილებელია.

„ხევსურეთი და ხევსურები“ მკითხველს აცნობს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოკლე ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებას, ხევებსა და ხეობებს, თითოეული სოფლის ადგილმდებარებას, ხალხს თავისი ხასიათითა და გმირული

სულით, მეურნეობის ფორმებს (მეცხოველეობასა და მიწა-თმოქმედებას), მატერიალურ კულტურას (საცხოვრებელ კომპლექსებს, ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს), სულიერ კულტურას (ჯვარ-სალოცავებს და ზოგიერთი მათგანის დაარსების ისტორიას; ამა თუ იმ ჯვარის უზუნქციას, ხმით ნატირალებსა და მთიბლურებს), სოციალურ ურთიერთობებს (მაგალითად, ქორწინების ტრადიციას, სოფელში ამანათის მიღებას), კაი ყმის კულტს, ხალხურ სამართალს, ხალხურ მედიცინასა და ჟამიანობის საკითხებს (ხევსურთა წარმოდგენით, „ქამნი პაწაწინა, ადამიანის მსგავსი არსებანი ყოფილან“, რომლებსაც სამი ფერის ისრები ჰქონიათ. მხოლოდ ისინი იკურნებოდნენ, რომლებსაც თეთრი ფერის ისრები მოხვდებოდათ), მონადირეობასა და ნადირობის წესებს, მოზარდების ფიზიური წრთობის ამბებს. ავტორი ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ფართოდ იყენებს ფოლკლორს – გადმოცემებს, ხალხურ პოეზიას – რომელიც ხეპირად იცოდა, გვაძცნობს ხევსურეთის შეილებსა და ხევსურეთზე შექვარებულ ადამიანებს, ასევე ხევსურეთის სახალხო გმირებს, დასახლების ისტორიას, გვართა წარმომავლობას, გამქრალ გვარებს, ნასოფლარებს, მეზობლებზე თავდასხმებს და მათი ხევსურეთში თარეშების ამბებს, პირაქეთა ხევსურეთიდან პირიქითში გადასახვლებს. იმდენად მომხიბლავია შატილისა და მუცოს აღწერა, რომ მკითხველს მისი ნახვის სურვილი უწნდება, საბჭოთა პერიოდის ხევსურეთის ავსა და კარგს, მთიელების ძალადობრივად ბარში გადასახლების ხეგატიურ შედეგებს; წიგნში მეცნიერს დიდი წუხილი აქვს გამოთქმული ხევსურეთის დაცლის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დააჩქარა საქართველოს ამ მხარის ნასოფლარებად ქცევა. მთიელები ხომ ისედაც მიგრირდებოდნენ მუდმივად ბარში. აბა, სად უნდა წასულიყო ნამატი მოსახლეობა? მაგრამ მთავრობის ღონისძიებებმა 1952 წელს ხომ ხევსურეთი კატასტროფამდე მიიყვანა. ძალადობრივ აყრა-გადასახლებას უამრავი უარყოფითი შედეგი ჰქონდა. თინათინ ოჩიაურს საამისოდ ერთი ასეთი ეპიზოდი მოაქვს: „...აწრიალდა მოსახლეობა, აიყარა და ბარისაკენ იბრუნა პირი. წამოსვლის წინა დამე ცეკვით გაათენა სოფლის თავისაცმა გარსია ოჩიაურმა, გათენდა და სულიც დალია, არხოტის მიწას არ გამოსცილდა“.

წიგნი „ხევსურეთი და ხევსურები“ გვამცნობს ავტორის-დროინდელი ხევსურეთის ჩენილ ადამიანებს (მთხოვობელებსა და მთქმელებს), რომლებიც მეცნიერთათვის უნიკალური ინფორმაციის მიმწოდებელები იყვნენ. ასეთ პიროვნებებს, როგორც ქალბატონი თინა აღნიშნავს, „სოფლის ავ-კარგიც ეკითხება, სახევსურეთო საქმეებშიც სიტყვა გაუდის, ძველი ხომ იცის და იცის, თანამედროვე ამბებშიც გარკვეულია“ – კონკრეტულად ამ სიტყვებს ერთ-ერთი მათგანის, გადუა ჭინჭარაულის შესახებ წერს. საინტერესოა ხევსურული საფეხურის აღწერა, რომელიც ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ შატილშიდა იყო შემორჩენილი.

სულ სხვაგვარია არხოტის თემის აღწერა, თოვლიან-ყონულიანი და საჯიხევებით გარშემორტყმული არხოტისა, რომელიც დიდხანს, გვიანი შემოდგომიდან გარე სამყაროს იყო მოწყვეტილი. თხოვა არხოტზე იწყება გაამაყებულ და თემთან დაპირისპირებულ თათხელიონთა ამოწყვეტის შესახებ გადმოცემით. საინტერესოდაა მოთხოვნილი არხოტელებისა და ქისტების დაპირისპირების ამბები. თინათინ ოჩიაური მოკლედ და სხარტად გვიყვება მუდმივი მტრობის ფაქტებს დილ-ლველებთან და გადმოგვცემს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ქართველ მთიელებს ჩრდილოელ მეზობლებთან ჰქონდათ: „თუმცა ბევრჯერ ავი დილა გასთენებიათ არხოტივნებს ქისტებისაგან, მაგრამ ამ ხალხზე მაინც მუდამ მაღალი აზრი ჰქონდათ. მოსწონდათ მათი სიჩაუქე, სიმარჯვე, თავდაჭერის დიდი უნარი, ყმაწვილობიდან ვაჟაცად გაზრდის ტრადუცია. ხოლო მეზობლობის წყალობით ურთიერთგავლენაც დიდი იყო მეურნეობის, ნაგებობების, ჩაცმულობისა თუ ენის მხრივ, ქისტოაგან მსგავსება არხოტელებს საქებრად ჰქონდათ, არ თაკილობდნენ“. იქვე მას მოხმობილი აქვს ანა კალანდაბის ლექსი: „რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ, // მათ ვაჟაცობას, ძალას და სიმხნეს? // მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით... // – რას ამბობ, ქალავ, ვაჟაცებ იყვნეს!“. დიახ, პოეტს კარგად აქვს დაჭერილი ხევსურთა ცხოვრების მთავარი კრიტერიუმი – ვაჟაცობა. ყველა სხვა, მათ შორის, სიკვდილიც, ვაჟაცობასთან შედარებით მეორეხარისხოვანი იყო. კარგად აქვს თინათინ ოჩიაურს შენიშნული, რომ სწავლა-განათლების საქმეს არხოტელები უფრო ეწავებოდნენ,

ვიდრე სხვა ხევსურები, მიუხედავად იმისა, რომ არხოტი ყველაზე მეტად მოწყვეტილი იყო საქართველოს კულტურული ცენტრებისაგან. ამ მონათხრობით მტკიცდება ის შესედულება, რომ საქართველოში სწავლა-განათლებას სწორედ ცენტრიდან დაშორებული მხარეების მოსახლეობა უფრო ესწრაფოდა. ცნობილია, ხევსურეთში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საგმირო პოეზიამ. თინათინ თჩიაურს ასეთი პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებიც აქვს წიგნში მოყვანილი. მას არც გალექსება-გაფიავების უანრი გამორჩენია. თავად ის იყო მოსწრებული, გონებამახვილური ლექსების ავტორი. აუგიწყარია „ქუთაისურ საუბრებში“ ბატონ ალექსი ჭინჭარაულისა და ქალბატონ თინას გაკაფიავება – მათ კაფიებს ხომ ბევრი მაშინვე გადაიწერდა ხოლმე.

წიგნი „სტუმრად თუშეთში“ მკითხველს ფაქტობრივად ამოგზაურებს საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, სადაც მოხვედრა მაინცდამაინც ადვილი არ იყო – აქ შესვლა მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა ან გერტმფრენით უნდა გემგზავრა და ზემოდან კახეთის ველისა და კავკასიის მოების ხილვით დამტკბარიყავი. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, შეიგრძნობს იმას, რომ ეთნოლოგთან ერთად, მას თუშეთში მწერალიც ამოგზაურებს, რადგან მხარის ბუნებასა და წეს-ჩვეულებებს საქართველოში მხატვრულად აგვიწერს. ასე დაგვატარებს აგტორი თუშეთის ხეობებს, თემებსა და სოფლებში, მაგალითად: „სოფელი ხისო. მთის თხემზე ახვეული სახლები, სოფლის ბოლოს ჩაქცეული ნასახლარები. ალაგ ნათიბი. სახლის კარზე გაღმომდეგარი დიაც-ყმაწვილი; ხისოს პირდაპირ მდინარის გაღმა, მთის კორტოხზე სოფელი შტროლთა“. ამ წიგნში ეთნოლოგი დარბაისელ, ტკბილმოუბარ მთხრობებს ასაუბრებს თუშების ტრადიციებზე, ცხოვრების წესზე, გარდასულ დროთა ზნესა და აღათზე. წიგნს გარკვეულწილად ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს. ასე, მაგალითად, გაურკვეველ საქმეში ადამიანი შეიტყობს, რომ სხვადასხვა ხევები შენაქოს ძირში ერთმანეთს უერთდებიან და მალევე საქართველოს საზღვრებს ტოვებენ: „აზავდებიან, გაიზრდებიან, შემდეგ ერთმანეთს შენაქოს ძირში მტურად ხვდებიან და საქართველოს საზღვრებს ტოვენენ. ქართულ ალაზანს დაღესტანში სხვაფრივ

ნათლავენ, მას ჯერ ანდის ყოისუ ჰქვია, შემდეგ ხულაქს ირქმევს და კასპიის ზღვას ურთავს თუშეთის მთებში ფეხა-დგმულ ზვირთებს“.

თინათინ ოჩიაური მკითხველს აცნობს თუშეთის სოფ-ლებს და აღნიშნავს, რომ სოფლის დაგეგმარება, სამეურნეო ყოფა მთის მკაცრი ბუნებითა და საგარეო ფაქტორით იყო განპირობებული: „მიწის სიმცირემ, მტრის შემოსევის მუდმი-ვმა შიშმა აიძულა თუშთა წინაპრები ერთმანეთის გვერდით ჩაედგათ სახლები, ხმა მიეწვდინათ ურთიერთისათვის ჭირსა და ლხინში, მეტი ჰქონდათ სახნაგ-სათიბი, არ დაექუცმაცე-ბინათ ბუნებისაგან ბოძებული მიწის მცირე ფართობი“. ავტორს კარგად აქვს შემჩნეული, რომ თუშეთის თემთა ციხე-სახლები, საომარი ციხეები ერთმანეთისაგან გარკვეულად განსხვავდება, რაც ასევე ქართველი მთიელის ბუნებასთან ჰარმონიის დამადასტურებელია. მისთვის ყველაზე შემზარა-ვი კი თუშეთის მიტოვებული სოფლები იყო; აქ ის თავის წუხილს მკითხველს გადასცემს. მკითხველს ისიც ეუწყება, რომ მშეიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ თუშურ საცხო-ვრებელს იერი უცვლია, რაჭელი რაჭელი ხელოსანი მოუ-წვევია და ფართო ორნამენტირებული აივანი მოუწყვია. ამავე დროს, თუშთა ტრადიციული ყოფა გაჯერებულია ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებით. ამიტომაც მოუწოდებს ის მკითხველს, „თუ გინდა შენოვის სასურველი კუთხის ყოფას იცნობდე, შეისწავლე მისი ზეპირსიტყვიერება“.

თინათინ ოჩიაური მკითხველს იმასაც შეასენებს, თუ როგორი აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუშებმა, სხვა მთიელებთან ერთად, კახეთის გადარჩენაში (ბახტონის ბრძოლა).

თინათინ ოჩიაური, ბუნებრივია, თუშეთზე საუბრისას მი-სი მეურნეობის უმთავრეს დარგზე – მეცხვარეობაზედაც სა-უბრობს. საკითხავია, მთიელთათვის საზამთრო საძოვრებად კახეთის ბარი რომ არ გადაეცათ, კახეთი ახლა ეთნიკურად ქართული იქნებოდა თუ არა. ალბათ, ისიც საინგილოს ბედს გაიზიარებდა. ავტორს მეცხვარეობის შესახებ არც ერთი მნი-გნელოვანი ნიუანსი არ რჩება უურადღების მიღმა. საამისოდ „მცნობის“ დასახელებაც კი საკმარისია. არც თუშური გუდის ყველია დავიწყებული, არც ალაზოფები, არც თუშური ქუდი, არც თუშური ნაქარგობა, თუშური წინდები და ჩითები, არც

თუში მონადირე, თუშური ბეხვნე (მამაკაცების საბაასო ადგილი), ლხინი, ცეკვა და ლექსაობა, ფერხული, ლუდი და დოლი, სტუმართმოყვარეობა, დღეობები, მამაკაცთა ცეკვა „ქორბედულა“, თუშთა ბარის სოფლები – ზემო და ქვემო ალვანი.

ამრიგად, „ხევსურეთი და ხევსურები“ და „სტუმრად თუშეთში“ სრულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მთიანეთის დასახელებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შესახებ. ვკითხულობთ ამ წიგნებს და ვგრძნობთ, რომ ავტორთან ერთად საქართველოს აღნიშნული კუთხეების სტუმარი ვართ, ვეცნობით მის საუკუნოვან ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ფოლკლორის შესანიშნავ ნიმუშებს.

თინათინ ოჩიაურის სამეცნიერო-პოპულარული წიგნების შესახებ მისი მეგობრის, ქალბატონ ჯულიუს რუხაძის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ. ის აღნიშნავდა, რომ ამ წიგნების „გამოსვლამ თავისი ორიგინალური კომპოზიციით, თხრობის სინთეზური სტილით, ფაქტების მეცნიერული ანალიზით, განსაზღვრა მათი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება. ეს წიგნები ადამიანთა ზნეობრივ აღზრდას ქმსახურება. გიტაცებს ცოცხალ ადამიანთა პორტრეტები, ხევსურეთის საჭირობო როტო საკითხებზე დაფიქრებული ავტორის საუბარი“.

თინათინ ოჩიაურის ერთ-ერთი გამორჩეული ნაშრომია წინაპრის კულტის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რომელშიც მის მიერვე მოძიებილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია მნიშვნელოვანი დასკვნები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წინაპრის კულტის გაღვთაებრივება დანარჩენი საქართველოსათვის უცნობი იყო. ის მხოლოდ მთის საზოგადოებებისათვის იყო დამასახიათებელი. გასაზიარებელია ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება, რომ წინაპრის კულტი მიცვალებულის კულტის ნაწილი იყო – მხოლოდ საიქიოში გადასულ ადამიანთა კულტად ქცევა ხდებოდა. არსებული მასალის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ წინაპრის კულტის შექმნას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა – კაი უმობა და ჯვრის ხელკაცობა (ამ ორ ინსტიტუტს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი იცნობდა). ღვთაებასთან ახლო მდგომ პირებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ კულტის ობიექტად,

ზოგ შემთხვევაში დვთაებად ქცევისა; ამას კი უმეტეს შემთხვევაში მისი შთამომავალნი ახდენდნენ და დღეობასაც აწესებდნენ. საილუსტრაციოდ შეიძლება პიროვნების გადვთაებრივების ერთ-ერთი ასეთი მაგალითი მოვიხმოთ. არხოტის ჯვარის მკაფრე მგელა ჯაბუშანური იყო დვთაების მხილველი და თანმხლები პირი, თან დაყვებოდა არხოტის ჯვარს ქისტეთში ძეგარის ასაღებად, ხალხს ამცნობდა დვთაების ნება-სურვილს, რომელიც მას მტრედის სახით ეცხადებოდა, ხედავდა „მეჯალაფეთ“ (ეშმაკის ოჯახს), რომელთა საუბარიც ესმოდა. მას ეკითხებოდა სოფლის ავ-კარგი და ჯვრის საქმეები. მგელა მთავარანგელოზის ტყის ბოლოსაც – წმინდა და ადგილას დაასაფლავეს, შესაბამისად წმინდანადაც ითვლებოდა, რომლის სახელზე მისმა გვარმა დღეობაც დააწესა, რომელსაც ამაღლება დღეს იხდიდნენ. მეცნიერს მიღებული აქვს სრულად ლოგიკური დასკვნა, რომ მგელას საგვარო დვთაებად გადაქცევა, პირველ რიგში, განაპირობა ჯვრის ხელკაცობამ და ნათელ ხილვის უნარმა. საყურადღებოა ბერდიათ გაგას მაგალითი, რომლის შემთხვევაში ჯვრის ხელკაცობასთან ერთად, ის კაი ყმა და მტერთან სახელოვანი მებრძოლიც იყო. მის დღეობაზე რკენის ჯვარში შთამომავალნი ეხვეწებოდნენ – „შენმა იღბალმა გვიშეგელოს და გაგვაძლიეროს“. არხებულმა ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა თონათინ ოჩიაურს კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: ხშირად ასეთი გაღვთაებერივებული კაი ყმები თემ-სოფლისა და მხარის საერთო სახალხო გმირის დონემდე ადიოდნენ. ნაშრომში მოცემულია კაი ყმის დამახასიათებელი თვისებები. ასეთთა შესახებ ლექსებიც იქმნებოდა (არის ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელშიც უმდერიან არა მხოლოდ ხევსურეთის, ხევის, გუდამაყრის, ფშავის კაი ყმებს/სახალხო გმირებს, არამედ ქისტეთის სახალხო გმირსაც და ლექსი-სიმღერა სწორედ მითხოვდი ქსეტის ალდის ხსენებით იწყება). შეუძლებელია არ დაეთანხმო თინათინ ოჩიაურს იმაში, რომ „მათი ერთ ლექსში მოქცევა და სახატო დღესასწაულში მისი შესრულება, ერთი მხრივ, მთის ამ კუთხეების ერთიანობის, მეზობლური მჭიდრო კონტაქტების, ურთიერთპატივისცემის, სტუმარ-მასაპინძლობის ეტიკეტისა და სახელოვან წინაპართა თაყვანისცემის მაუწყებელია“. ლექსის თქმა კი

სახელის ჩამდენისათვის დიდ დაფასებად და პატივისცემად ითვლებოდა. სახალხო გმირებს სამანსაც უგდებდნენ. ეს ფაქტი კი მის მიერ განხორციელებული კარგი საქმეების და-ვიწყებას გამორიცხავდა (მაგალითად, ასეთი სამანი ჩაუგდი-ათ გუროელი მამუკა ქადუხდაურისათვის, რომელმაც თავი ისახელა ზურაბ არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში). ფშავში წესად ყოფილა გამორჩეული ადამიანების, როგორც უწოდებდნენ, პიროვლიანთა, სადიდებლების წარმოთქმა. ან-სახილველი ნაშრომის დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: „წინაპ-რის კულტს მნიშვნელობა პქონდა იმ მხრივ, რომ იგი ახალ-გაზრდებს უნერგავდა ვაჟკაცობის, სამშობლოსათვის თავდა-დების, დაჩაგრულის დაცვის, თავისი კუთხის ზნეზვეულებე-ბის განმტკიცების სულისკვეთებას. უბიძებდა ხალხისათვის სასარგებლო საქმისაკენ. ამავე დროს, წინაპრის კულტი იყო ის შემაკავშირებელი ძალა, რომელიც გარკვეულ სოციალურ ჯგუფს (გვარს, მამას) ერთიანობას უნარჩუნებდა“.

ქალბატონი თინათინ ოჩიაური არა მარტო ქართველ მთი-ელთა რელიგიურ და მითოლოგიურ ინსტიტუტებს იკვლევდა, მისი ნაშრომები ეთნოლოგიის არაერთ სხვა საკვანძო სა-კითხს ეხება, რომელთაგან აქ მხოლოდ ნაწილი შეიძლება დავასახელოთ, ესენია: მთიელთა შრომის სიმღერები, ხმით ნატირლები, დაკრძალვისა და გლოვის წესები, ქართველთა მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა სა-ცხოვრებელი ნაგებობანი და ქართული ხალხური კოსტუმი, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საკითხები, სამონა-დირეო წესზვეულებები, ეთნიკური პროცესები თბილისში... აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგ-რაფიული ატლასის შექმნაში, რომლის დღეისათვის გამოქ-ვენებულ მასალებში წარმოდგენილი აქვს თემები: „წყლის წისქილები“, „ნიადაგის განოყიერება“, „მოსავლიანობის მფარველი ღვთაებები“ და სხვა. ასე რომ, თინათინ ოჩიაური, გარდა სულიერი კულტურის საკითხებისა, აქტიურად იკვლე-ვდა მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის საკი-თხებსაც. ეთნოლოგიის ამ სფეროდან შეიძლება კიდევ დაგა-სახელოთ ნაშრომები ხევსური ქალის ჩაცმულობის შესახებ და ნაშრომები საცხოვრებელ ნაგებობებზე, კერძოდ, ხევსუ-რულ, რაჭულ, მესხურ (კონკრეტულად უდესა და არალში

არსებულ სახლებზე), ქვემო და შიდა ქართლის ძველ და ახალ საცხოვრებელ ნაგებობებზე.

თინათინ ოჩიაურის გამოკვლევებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სევსურული შრომის სიმღერის – მთიბლურთა და ხმით ნატირალთა ურთიერთობის შესახებ. ეს სიმღერები თავისი სტრუქტურით მეცნიერთა მიერ ქართული ლექსთწყობის უძველეს ფორმად არის მიჩნეული. მეცნიერმა დაადასტურა, რომ მთიბლურად გამოყენებული იყო ხმით ნატირალის ტექსტები. აგრეთვე დაადასტურა, რომ ხმით ნატირლების შესრულების წესი ანიმისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზეა წარმოშობილი და რომ ხმით ნატირლების „ცელის ტარზე“ დამღერების მიზანს წარმოადგენდა სულთა კეთილგანწყობილების მოპოვება თივის სიუხვისა და მაღენად საქონლის ნაწველ-ნადღვების ბარაქიანობის მიზნით. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, მუსიკალური და ლექსთა წყობის ერთობლივი შესწავლით გაირგვა, რომ „ხმით ნატირალი ძველია ფორმითაც და შინაარსითაც, მთიბლური ხმით ნატირალის ტრადიციაზე შექმნილი და, ამდენად, მეორეული მოვლენა უნდა იყოს“. აგრეთვე: „მთიბლური „საგანგებოდ შრომის პანგზე აწყობილი სიმღერაა“, მაშინ, როდესაც ხმით ნატირალი შინაარსით სამგლოვიაროა. სხვა მხრივ მათ შორის სრული მხგავსებაა, ე. ი. შრომის დროს შესრულების წესი, მუსიკალური პანგი და ლექსის ფორმა“. ამ პრობლემას თინათინ ოჩიაურმა ორი გამოკვლევა მიუძღვნა. პირველი, საკმაოდ ადრე, 1951 წელს დაიბეჭდა. მაგრამ მოგვიანებით, 1960 წელს საკითხს კვლავ დაუბრუნდა, რადგან მთიბლური სიმღერის (გვრინის) და ხმით ნატირლების შესახებ არაერთი გაურკვევლობა შექმნა სხვადასხვა მეცნიერმა. მეორე წერილში ავტორმა გამოავლინა არა მხოლოდ მასალების სრულყოფილად ცოდნა, არამედ მასში დავინახეთ უზადო და შეუპოვარი პოლემისტი, ლოგიკური აზროვნების დიდი უნარის მქონე მეცნიერი.

აუცილებლად ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ნაშრომზე, რომელიც ფშავები მეცხვარეობის საკითხს შეეხება, სადაც ხაზგასმულია, რომ სევსურეთისაგან განსხვავებით, ფშავში მეცხვარეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. უფრო მეტი, ამ

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში „ხატის ცხვრის“ არსებობაც კი დასტურდება. XIX საუკუნეში თამარის ხატს ათას სულზე მეტი ცხვარი ჰქოლია. ფშავი, გუდამაყართან ერთად, ხევსურეთს მატყლითაც ამარაგებდა. ესეც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია ორი მეზობელი მხარის სამეურნეო-ეულ-ტურული კავშირების დასადასტურებლად. ფშაველები საზამთრო საძოვრებად კახეთის ბარს იყენებდნენ, საზაფხულო საძოვრებად – ხევსურეთის მთებს. თინათინ ოჩიაურმა გაარკვია, რომ ამ მხრივ უფრო აღრე თუშეთი დაწინაურებულა. ფშავლებმა ბევრი ცხვარი სწორედ თუშებთან მეცხვარედ დაღვომით გაიჩინეს. ფშავში მეცხვარების მასშტაბების დასადასტურებლად მოყვანილია ფაქტები, რომ მთელი რიგი ოჯახები 4.000-5.000-დან 15.000-20.000-მდე სულ ცხვარს ფლობდნენ. ბევრ ფშაველ მეცხვარეს მეურნეობა უკვე კაპიტალისტურ ყაიდაზე ჰქონდა გარდაქმნილი.

თინათინ ოჩიაური მხოლოდ მთიელთა ეთნოლოგიურ პრობლემებს როდი იკვლევდა. ამის ერთ-ერთ დასტურად მიღვაჩნია ერწო-თიანეთში რელიგიური დღესასწაულების შესწავლა. ცხობილია, რომ მთასა და ბარს შორის მოქცეულ მთისწინეთის ამ მხარეში ძველი მოსახლეობა გაწყდა, გარკვეული ნაწილი ბარში, კერძოდ კი, კახეთში გადავიდა საცხოვრებლად. მათ ნასოფლარებზე კი მთიელები (ფშავლები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები...) დასახლდნენ. მთიდან მოსული ტრადიციას აგრძელებდა, მამა-პაპათა სალოცავებს არ ივიწყებდა და სალოცავთა ნიშები ახალ საცხოვრისში გადმოპქონდა. მეცნიერმა დაწვრილებით შეისწავლა ყველა ის სალოცავი ნიში, რომელიც მთიელთა მიგრაციის შედეგად ერწო-თიანეთში გაჩნდა. გაირკვა, რომ მთური სალოცავის ნიშებს ხშირად მიტოვებულ, ან ნანგრევებად ქცეულ ქრისტიანულ სალოცავებზე აგებდნენ. როგორც თინათინ ოჩიაური აღნიშნავს, მოსული მოსახლეობა უცნობ სამლოცველოებს საკუთარი ხატების საბჭანისებად აქცევდა. მთიელი არ ცხობდა ქრისტიანული რელიგიის ნორმებს და ტრადიციულად აგრძელებდა საკუთარი ჯვარ-ხატების სამსახურს. გაირკვა, ერწო-თიანეთში თითქმის მთაში არსებული ყველა სალოცავის ნიში იყო ჩამოტანილი (ცენტრალური, სასოფლო, სათემო, ადგილობრივი მნიშვნელობის...). ხაზგასმულია, რომ

თანდათან ახალ გარემოში მთურმა სალოცავებმა თანდათანობით გარკვეული ცვლილებები განიცადა, სახე იცვალა რიტუალის ცალკეულმა ელემენტებმაც, ხატის მსახურთა ინსტიტუტმა... ისეთი შემთხვევებიც დაუფიქსირებია მეცნიერს, რომ მიგრანტებს მთური სალოცავი ნიშის გადმოტანის გარეშე დაუარსებიათ – უბრალოდ მას სოფლის მახლობლად არსებული ხეების კორომებთან აღნიშნავდნენ. აუმარტივებიათ რელიგიური რიტუალი და ხატის მსახურთა პერსონალიც. გამოვლენილია ძველ ადგილობრივ სალოცავზე (მაგალითად, იხინჭაზე) მთიდან გადმოტანილი რამდენიმე სალოცავის (კოპალა, თამარ ნეფე, ადგილის დედა) გამართვის ფაქტიც.

ერწო-თიანეთში ხანგრძლივი საგელე მუშაობის შედეგად მეცნიერმა სხვა ნაშრომიც შექმნა. მხედველობაში გვაქვს „თქმულება ერწოს ტბაზე“, რომელიც სხვა მეცნიერებსაც ჰქონდათ ჩაწერილი. ქალბატონი თინათინის მიერ ჩაწერილი ვარიანტი კი განსხვავებულია. ორიგინალურია ამ გადმოცემის მისეული ინტერპრეტაციაც. თქმულების თანახმად, ერწოს ქვაბულში ოდესაც ტბა ყოფილა, რომელშიც გველაშაპი ბუდობდა. გველეშაპს როდესაც საჭმელი გამოლევია, ახლო-მახლო სოფლებიდან საქონლისა და ადამიანების მოტაცება დაუწყია. ტბიდან მოშორებით „წმიდა გიორგის ხანების ჯვრის“ ხატი ყოფილა. ხატს ყოველწლიურად ასობით კურატი მოსდიოდა. კურატების ნაწილს ხატს სწირავდნენ, ნაწილს კი ინახავდნენ. ამ კურატებს შორის ერთს ალმასის-წვერიანი რქები ჰქონია. კურატი ტბის ნაპირას მიდიოდა და შეკივლებდა ხოლმე, რასაც თან სდევდა მათი შერკინება. ცხრა დღე და დამე გაგრძელებულა მათი შერკინება. მეცხრე დღეს კურატს ალმასიანი რქები მუცელში ამოუკრავს ვეშაპისათვის. გამძვინვარებულ ვეშაპს ამის შემდეგ აღმოსავლეთით, სადაც ახლა იორს აძები უერთდება, მთისათვის თავი ამოუკრავს. მთა გაინგრა, ტბის წყალთან ერთად კურატმა კასპიის ზღვას შეაფარა თავი. საინტერესოა ამ გადმოცემის სამეცნიერო ინტერპრეტაცია – თავდაპირველად ქართველ ხალხში ფესვგამდგარი იყო ნაყოფიერების მფარველი ვეშაპის კულტი. მაგრამ ქართველ ხალხში უფრო მძლავრი ხარის კულტიც არსებობდა, რაც ძლიერ სამიწაომოქმედო კულტს

უკავშირდება; თქმულებაში აღმასის რქებიანი ხარი ხარ-სახვნელით მიწის გატეხა-ათვისების მხატვრული სახის ასა-ხვაა. საქართველოში ხომ სარწყავი არხები ხარ-გუთნით გაჰქონდათ. სწორედაც გამორიცხული არ იყო, რომ ერწოე-ლთა წინაპრეზებს ტბის დაშრობა ამ ხერხით მოეხდინათ. ვფი-ქრობთ, რომ ეს სარწმუნო ინტერპრეტაციაა.

ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში თქმულება-გადმო-ცემებმა, რასაც ხევსურეთში ანდრეზებს უწოდებდნენ, ად-რიდანვე მიიქცია მეცნიერთა უურადღება. გამოითქვა სხვა-დასხვა შეხედულება, ცალკეულ მეცნიერთა მიერ ისინი შე-მოგრანილი იქნა სამეცნიერო მიმოქცევაში. მაგრამ ანდრე-ზების სრული დახასიათება, კლასიფიკაცია თინათინ ოჩიაუ-რმა მოგვცა. მისი სამეცნიერო სტატია „ანდრეზი და სინა-მდვილე“ შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფიის ფარდია, რო-მელშიც ანდრეზის არსი კონსპექტურად, კომპაქტურად სრუ-ლად არის გადმოცემული. ნაშრომში, პირველ რიგში, ხა-ზგასმულია, რომ ანდრეზი ერთდროულად იყო მხატვრული შემოქმედების ხაყოფი და ცხოვრების მარეგულირებელი ფაქ-ტორი. ანდრეზს ეკისრა ხალხის სოციალური და რელიგიური ყოფის მომწერიგებელის როლი. ის მთიელთათვის თავშესა-ქცევი მოსათხრობი კი არ იყო, არამედ მათი წარსულის მა-ტიანე, ტრადიციის დამცველი და ცხოვრებაში მისი დამაბა-კიდრებელი. მთიელები ახდენდნენ ანდრეზების გალექსებას; გალექსილ ანდრეზს კი დოკუმენტის მნიშვნელობა პქონდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლექსი-ანდრეზი ხალ-ხურ სამართალში. ხაზგასმულია, რომ ანდრეზთა შემონახუ-ლობას მათი პრაქტიკული დანიშნულებაც უწყობდა ხელს. რაღანაც ანდრეზში გარდასული ისტორია იყო ასახული, ყველას ევალებოდა მისი შეურყვნელი დაცვა, რათა დავიწყებას არ მისცემოდა წარსული. თინათინ ოჩიაურმა გაარკვია, რომ ანდრეზთა გარკვეული ჯგუფი წინაპრის კულტთან იყო დაკავშირებული, რომლის შექმნასაც მთაში ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა – კაი ყობა და ჯვარის ხელკაცო-ბა. ის დასკვნაცაა მიღებული, რომ წინაპრის კულტთან დაკავშირებული ანდრეზები გვარს, მამი შვილობას (გვარის დანაყოფს) ერთიანობას უნარჩუნებდა. ნაშრომში განსაკუთ-რებული უერადღება ეთმობა ანდრეზებს, რომლებიც

მეზობელ კავკასიელებთან ურთიერთობას ასახავს – ეთნო-კონფლიქტებს, სისხლ-მესისხლეობას, დავას საზღვრებზე, კუთვნილ მიწებზე, სანადირო აღგილებზე და ა. შ. მთიელებს ჰქონდათ აგრეთვე ანდრეზები, რომლებიც ასახავდნენ მიგრაციულ პროცესებს, თავდაპირველი დასახლების ფაქტებს. მეცნიერის დასკნა აღნიშნულ პრობლემაზე კი ასეთია: „ანდრეზის პრაქტიკული როლი ცხოვრებაში მთამ თითქმის ჩვენს დრომდე მოიტანა. ამას დასაბამს აძლევდა აქ მოქმედი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობით ხალხი თავის ცხოვრებას წარმართავდა. ტრადიციულად მომდინარე, ერთ მთლიან სისტემად ჩამოყალიბებული ყოფის ნორმებით აწესრიგებდა რჯულ-სამართალსაც, საზოგადოებრივ-სოციალურ ცხოვრებასაც, ჯვარ-ხატთა კულტსაც“.

თინათინ ოჩიაურს ეკუთვნის გამოკლვლევა, რომელიც ეძღვნება ქართველ მთიელთა წარმოდგენებს ნადირობურველებზე. ამ ნაშრომში შესწავლილია ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, საკულტო ქმედებანი, აგრეთვე ნადირთა ზებუნებრივი მფარველი – მწყემსი და პატრონი, ნადირთ წინამძღვრლი, დალის კულტი.

ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან რასწორავად დაიწყო ძველი ტრადიციების გაქრობა და ახლის დანერგვა. ამიტომ ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მიზანი ძველის დაფიქსირება, ძველი და ახალი ტრადიციების ურთიერთშედარება იყო. ძველი, ტრადიციული განსაკუთრებით ქრებოდა ბარში. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ეთნოლოგები ამ მხრივ მთასთან ერთად ბარსაც სწავლობდნენ, სადაც კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციები ეწყობოდა. თინათინ ოჩიაური ასეთი ექსპედიციების აქტიური მონაწილე გახლდათ. მას ქართლში დარკმალვის წესები 1947-1949 წლებში შეუგროვებია, შემდეგ კი 1983-1984 წლებში, რამაც საშუალება მისცა 1987 წელს გამოეცა შედარებით მცირე მოცულობის წიგნი „დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა“. ამ თვალსაზრისით აქვს მეცნიერს შესწავლილი და შედარებული გარდაცვალების დროს შესასრულებელი წესები, მიცვალებულის დაკრძალვა, მიცვალებულის ხარჯები, მიცვალებულის მოსაგონარი დღეობები, სულეთი და სხვა. გარკვეულია, რომ მიცვალებული თუ

ახალგაზრდა იყო, ქართლში ჯვრის წერის – გვირგვინის ტანისამოსით შემოსავდნენ და ცოლსაც დაკრძალვამდე გვირგვინის ტანისამოსი უნდა სცმოდა. ზოგიერთ სოფელში კი მოხუცები კუბოსთვის ინახავდნენ ჯვრისწერის სამოსს. რაერთ ტრადიციას განუცდია ტრანსფორმირება ორმოცი წლის განმავლობაში, მაგრამ მთელი რიგი მაგიურ-რელიგიური წეს-ჩვეულებანი ისევ ისე სრულდებოდა. ცვლილება განუცდია ისეთ ჩვეულებებს, როგორიცაა მაგალითად მიცვალებულის დროს სამუშაოს აღკვეთა სოფელში 3 ან 7 დღით, საქორწინო ტანისაცმელში დაკრძალვა და სხვა. 1940-იან წლებში ოუ მიცვალებულს საფლავზე ტრადიციულ ქვას ადებდნენ, 1980-იანი წლებისათვის საფლავის მოწყობის აღნიშნული ტრადიცია უკვე გამქრალი იყო. სრულიად სამართლიანად მიცვალებულის დროს სოფელში სამუშაოების შეწყვეტას თინათინ ოჩიაური მხოლოდ მიწისა და მიცვალებულის კულტთა ურთიერთკავშირით კი არ ხსნის, არამედ სოფლის ერთიანობის პრინციპით, ურთიერთანგარიშის გაწევით, ცალკეული მოსახლის უბედურების საერთო უბედურებად მიჩნევით. ადდგენილი აქვს ტირილის რამდენიმე ფორმა – მოთქმით, ზარით და ბანით. გარკვეულია, რომ უწინ ქალები მიცვალებულს საფლავამდე არ მიჰყებოდნენ და შეა გზიდან უკან ბრუნდებოდნენ. შემდეგ ეს წესი შეიცვალა. ხაზგასმულია, რომ ადრე ქართლში არც ხალხმრავალი ქელეხები სცოდნიათ და არც დიდი შესაწევარი. საგულისხმოა წიგნში მოყვანილი მასალა საიქიოს შესახებ: „ქართლური მასალებით, სულებს იმის მიხედვით სჯიან, რა დანაშაულიც სააქაოს მიუძღვით. აგალითად, ქალი, რომელიც პურის გამოცხობის შემდეგ თონეს ცოცხეს არ მოუსვამს და არ გაწმენდს, საიქიოს შიშველი ძუძუებით წმენდს გავარვარებულ თონეს, ქურდმა და ცოდვილმა ნარ-ეკალზე უნდა იაროს ფეხშიშველმა და ა. შ.“ ასე რომ, ქართველთა ხალხური რწმენა საიქიოს შესახებ იქითკენ იყო მიმართული, რომ სააქაოდ ადამიანი სრულყოფილი და ნაკლებად ცოდვილი ყოფილიყო და მასზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა.

საყურადღებო ნაშრომია „ეთნიკური პროცესები თბილისში“, რომელიც საისტორიო მონაცემებთან ერთად, ძირითადად თბილისის ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში მის

მიერვე შეგრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს ექრდნობა. ნაშრომში მიღებულია საინტერესო დასკვნები, რომელთაგან აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ – XX საუცუნის 60-80-იანი წლების თბილისის არაქართულ მოსახლეობას გარკვეული „გარუსების“ ტენდენცია ახასიათებდა. თუ ადრე ისინი ქართულ და სხვა ეროვნულ სკოლებს აძლევდნენ უპირატესობას, აღნიშნული პერიოდიდან პრიორიტეტი უკვე რუსულ ენაზე განათლებას ჰქონდა მიღებული, რასაც გარკვეული პრაქტიკული მინები განაპირობებდა.

თინათინ ოჩიაურს ეკუთვნის აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც ტერმინები „ფშავი“ და „ხევსურეთია“ შესწავლილი. ამ სახელწოდების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები კი ადრინდელი „ფხოვის“ გაყოფის შემდეგ წარმოიქმნა. სტატიაში ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ ნახები სახელწოდებით „ფხვე“ მხოლოდ ხევსურებს მოიხსენიებდნენ, ხოლო ფშავლებს კი „შუონ“-ის უწოდებდნენ.

თინათინ ოჩიაურის კალამს ეკუთვნის ათეულობით საენციკლოპედიო სტატია ქართული ეთნოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე.

ქალბატონმა თინათინ ოჩიაურმა დიდი ამაგი დასდო მამისის, ბატონ ალექსი ოჩიაურის მდიდარი მემკვიდრეობის – ქართველ მთიელთა ყოფისა და ტრადიციების შესახებ წლების განმავლობაში დაწერილი წიგნების გამოცემას. სამწუხაროდ, მხოლოდ ამ მასალების ნაწილმა იხილა დღის სინათლე.

თინათინ ოჩიაური არაერთი ახალგაზრდა ეთნოლოგისათვის გზის გამკვალავი გახლდათ. ის იყო მათი შემოქმედების პირუთვნელი შემფასებელი. პირადად ამ სტრიქონების აგტორი დიდადაა დავალებული მისგან. წლიური ნაშრომების წარმოდგენისას ქალბატონი თინას დასმული შეკითხვები, შენიშვნები მაიძულებდა სრულად მობილიზებული ვერფილიყავი, უფრო მეტი მემუშავა საკუთარ თავზე და უფრო დამეხვეწა წარმოდგენილი ნაშრომი. ამასთან ერთად, პირველად მან მაჩვენა, თუ როგორ უნდა მემუშავა ინფორმაციონა, როგორ უნდა დამტკრებინა ურთიერთობა; მთხოვთ მისათვის მაშინვე კი არ უნდა დაგეხსვა შეკითხვები, არამედ ის ჯერ უნდა მოგეკითხა, მისოთვის სასურველ საოჯახო თუ

სამეურნეო საკითხებზეც ჩამოგეგდო საუბარი. ასე რომ, მართალია, ქალბატონი თინათინ ოჩიაური უშუალოდ ჩემი მასწავლებელი არ ყოფილა, მაგრამ მას მასწავლებლად ვთვლი. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ის, როგორც ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში ვერ იტანდა სიყალბეს, უფროსი თაობისადმი, მასწავლებლებისადმი აგდებულ და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დამოკიდებულებას.

ამრიგად, თინათინ ოჩიაურმა მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ქართველთა ეთნიკური კულტურის შესწავლას მოახმარა. მან ერთგულად ატარა ქართული ეთნოლოგიისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი და ეროვნული პრინციპები. ქალბატონი თინა ოჩიაური იყო ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების, ქართული ხალხური კულტურის პოპულარიზატორი. ამასთანავე, ის იყო ახალგაზრდა ეთნოლოგებისათვის მაგალითის მიმცემი. თინათინ ოჩიაური იმ მკლვლევარ ეთნოლოგთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სამეცნიერო გამოკვლეული არასდროს არ ძველდება.

მუცნიერის არქივიდან თინათინ ოჩიაური

მითისა და რიტუალის ურთიერთმიმართების შესახებ

ქართველ მთიელთა რელიგიური კულტისა და მასთან შესახვევისობაში რიტუალური პრაქტიკის განხილვაშ გამოავლინა ის დიდი და უშეალო კონტაქტი, რომელიც მითსა და საკულტო ქმედებას შორის არსებობს. ერთია დვოაქბათა რწმენა და მათთვის განკუთხნილი დღეობა-უქმედისა თუ სხვა საწესო წეს-ჩვეულებების შესრულება. ეს წეს-ჩვეულებები კველა ჯვარ-ხატში ძირითადად ერთი სტრუქტურით სრულდება. დღეობის წესი დადგენილია, რიტუალის მსვლელობა განსაზღვრული, ქმედების მიზანი გარკვეული. შაქართველოში არსებული რელიგიური დღესასწაულები მთაშიც და ბარშიც, მცირე გამონაკლისის გარდა ქრისტიანული რელიგიური კალენდრით განსაზღვრულ განაწეს მისდეგს. ამ მცირე გამონაკლისში იგულისხმება ისეთი საკულტო სარიტუალო ქმედებები, რომლებიც სცილდება კალენდრით გათვალისწინებულ დღეობათა თანრიგს, ტრადიციული რიტუალის ხასიათსა და რაიმე განსაკუთრებული ვითარებით არის განსაზღვრული. აქ იგულისხმება ისეთი საწესო რიტუალები, რომლებსაც არქეტიპი ეძებნებათ, რომლებიც წარსულის ხსოვნისა და საკუთარი ტრადიციების განმტკიცებისთვის ჩაჯდა მათ საწესო მოქმედებათა ციკლში. ისინი შეიძლება ფართო მასშტაბისა იყოს, შეიძლება შემსრულებელთა მცირერიცხოვნობის გამო გაქრობის პირასაც მივიდეს, მაგრამ, პრინციპში, ეს ტრადიცია არსებობს, როგორც ცოცხალი და ყოფაში მოქმედი.

მითისა და რელიგიური პრაქტიკის ურთიერთმიმართების საკითხი გარკვეულწილად ანდრეზისა და რეალობის ურთიერთმიმართების სფეროშიც მოიაზრება. მითში ასახული სიუჟეტი, მოქმედება, ყოფაში თავის გამოხატულებას რიტუალის სახით პპოვებს. იგი მკვიდრდება, რაშიაც ხელს

უწყობს, და რასაც საერთოდ განაპირობებს, ქმედების განმეორებითი ხასიათი; მითი, რომელიც თავისი ფესვებით ყოფასთან არის დაკავშირებული, ცოცხლობს და კვებავს სარიტუალო პრაქტიკას. მნიშვნელობა არ აქვს, ყოფის რომელ სფეროს განეკუთვნება მითად ქცეული ანდრეზი; თუ იგი მითოსურ ელფერს შეიძენს და, ამავე დროს, სარიტუალო მოქმედებაში მისი გახსნება მოხდება, იგი დამკვიდრდება ამ რიტუალში და მისი განმეორების ტრადიცია წარმოიქმნება.

არქაულ დროს მომხდარი, უპე ანდრეზულ სამყაროს-თვის მიკუთვნებული ამბავი საკულტო რიტუალს უდებს სათავეს და ეს რიტუალი, რელიგიური პრაქტიკის წყალობით, უპე კულტის განუყრელი ნაწილი ხდება. ამ გარემოებაზე კარგად მიუთითებს ალ. ოჩიაურის მიერ ფიქსირებული ანდრეზი დაჭაურისა და ყეინის მუზარადის შესახებ: „ყეინმა პირველ შემოსვლაზე ბარის სოფლები მოაოხრა, მთაში ვერ შემოვიდა. იმ დროს აფხუშოში ცხოვრობდა ერთი სახელოვანი კაცი – ლუხუმი. ლამე აფხუშოს დალატით დაეცნენ თათრები, დახოცეს ხალხი, ნაწილი ტყვედ წაიკვანეს. ლუხუმის ორი ვაჟიც – დაჭაური და ივანე. დაჭაური მაშინ 15 წლის იქო და კარგი შესახედავი. ყეინს მოეწონა და იშვილა. 18 წლის რომ გახდა, სადაც ვლოდ ჯარს აძლევდა და აგზავნიდა, სარდლობას ავალებდა. კიდევ მოინდომა ფშავის დალაშქრა. მათ შორის დაჭაური და ივანეც თან წამოიყვანა. დაჭაურმა ვეღარ მოითმინა თავისი ხალხის განადგურება და გადაწყვიტა სამშობლოს დახსნა. ყეინს სოხოვა, სამი კაცი მომეცი, წავალ და სადაც ვერ მივწვდებით იმ სოფლებსაც მოვივლი, დავლით დაგბრუნდებით. დაჭაურმა წამოიყვანა თავისი ძმა ივანე, ერთი ხევსური და ერთი მთიული. გადაწყვიტეს დაშლილიყვნენ; ერთი წასულიყო იორზე, მეორე ალაზანზე, მესამე – ფშავ-ხევსურეთში და მთიულეთში და ჯარი შეეკრიბათ. დანიშნულ დღეს ფშავში, ჩარგლისკართ მოიყარეს თავი. მოიყვანეს 300 მეომარი; ჯარითურთ მიუახლოვდნენ სასადილოს, სადაც ყეინი იყო. დაჭაურმა ჯარი ტყეში დამალა. თვითონ, ყეინს ვნახავო, და იმასთან წავიდა. ნიშანი დათქვა – როდის უნდა დასცემოდნენ მტერს. დაესხნენ. ყეინი კარაგში მიიმალა, დაჭაურმა, რაკი

ნაშვილები იყო, ყეინის მოკვდა არ უნდოდა თავის ხელით და იგანე შეგზავნა. უთხრა: წელს ზეგით მუზარადი აცია, წელს ქვეგით შემოჰკარიო. ივანეს დაავიწყდა და თავში სცა, მაგრამ ხმალი გაუტყდა მუზარადზე. დაჭაური შევარდა და წელზე შემოჰკრა, გადაჭრა.

სხვა დავლასთან ერთად დაჭაურმა აფხუშოში თავის სალოცავ წმ. გიორგის შესწირა ყეინის მუზარადი და საყინოდ ის იხმარებოდა. ლაშარის ჯვარი გაწყრა: მე მოლაშქრე ვარ და მუზარადი მე მეკუთხოვნდაო. ეს მუზარადი მოატანინა, მაგრამ დაჭაურს ბედში წილი აღარ ჩაუდგა, იგი უშვილო დარჩა... ნადავლი ყველა ხატებს შესწირა, მაგრამ გამორჩა კოტიას წმინდა გიორგი, ამიტომ გახდა ავად. წმინდა გიორგიმ მკითხავის პირით თქვა: მე სხვა ხთიშვილებთან ერთად გეხმარებოდით თათრებთან ომში. მე ნადავლში წილი არ დამიდევიო. ადგა დაჭაური და 11 თასი შესწირა. ცაბაურთის მთავარანგელოზს 7 საყეინო, ბაკნის ოდენები ვერცხლისა.“

ვაჟა-ფშაველას ცნობით, დაჭაურა სახალხო გმირია, რომელსაც „მოუკლავს ერთი თათრის ხანი და იმისი მუზარადი ხატისთვის შეუწირავს. დღეს ამ მუზარადით დიდი და პატარა დაჭაურას შესანდობარს სვამს“. ვაჟასავე ცნობით, დაჭაურა სათიბეზე ყოფილა, როცა თათრები აფხუშოს დასცემიან და მოუოხრებიათ. დაჭაურა დასდევნებია მტერს უკან. დასწევია და „კარავში ხაჯდომ ხანს შევარდნია შიგ. უცავ ხმლით მუზარადზე ჯერ; ელიზბარი, დაჭაურაის ძმა, გასჯავრდომია თავის ძმასა, შე ბრიყვო, ბრიყულად რადა ხმარობ ხმალსაო? მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შამაჲკარ მბილოსაო. მაშინ წვერწალმა დაუცავ, რკინას გეღარ დაუჭერავ და მაუკლავ“.

ვაჟას მიერ აღწერილი მასალისაგან სიუჟეტურად განსხვავებულია შემდეგში ფიქსირებული გადმოცემა. ალოჩიაურის მასალა უკვე მითოსურ ელემენტებს შეიცავს. მოტანილი ნადავლი დვთიშვილებს ეწირება. ზოგიერთი მათგანი უნადავლოდ რჩება, რომლებიც სჯიან დაჭაურას ავადმყოფობით, უშვილობით. ამ ორ ვარიანტს შორის საერთოა მუზარადის რეალურად არსებობა და მისი საყეინო სასმისად გამოყენება, საერთოა ისიც, რომ იგი მოკლული ხანის

თავსარქმელია, რომელსაც ხმლით მიყენებული ნაჭრევები აქვს. აქ ერთმანეთში გადახლართულია ანდრეზულობა და ყოფიერება (მითი და რეალობა). აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიურ პრაქტიკაში დაწესებული საყვინოს დადგმის წესი, რომელსაც თავისი სოციალური და რელიგიური დანიშნულება აქვს, აქ სახელოვანი წინაპრის საზემო გასხვებასთან არის დაკავშირებული.

საყოველთაოდ მიღებული საყვინოს დადგმის რიტუალი, ამ შემთხვევაში, გადაჯაჭვულია ჯვარის მოქმეთა საგმირო წარსულთან. რიტუალური პრაქტიკა იღებს სათავეს დანადების, ძენგლად დადების შემთხვევაშიც. თუ ყმამ ჯვართ რამე შესცოდა, ცოდვის გამოსყიდვის მიზნით იგი ღვთაებას აღუთქამს ყოველწლიურად გარკვეული პირობის შესრულებას – საკლავის დაკვლას, ლუდის დუდებას ან „ქვევრის ავსებას“ (რომელიმე დღეობის დროს არყით ან ღვინით ავსებენ ხატში საგანგებოდ ჩადგმულ ქვევრს).

ქრისტიანული წმინდანების თეონიმებით ცნობილი ჯვარ-ხატების მთაში დამკვიდრების ფაქტებია აღბეჭდილი თითქმის ყველა იმ თქმულებაში, რომლებიც ეხება ღვთაებების ადგილზე დაარსებას. როგორც ჩანს, მათი კულტების დაარსება, ქრისტეს რჯულის შეტანას სდევდა თან; ეს იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო, რომ იგი აისახა, როგორც საერთო ღვთიშვილთა გერგეტის ბეთლემიდან ხმელეთზე გადმოშვების საგანგებო მითში, ისე ცალკეულ ღვთაებათა ბარიდან მთაში გადანაცვლების თქმულებებში.

საყურადღებო ის არის, რომ ყველა ეს ქრისტიანული ღვთაება, წარმოშობის გარდა, ძალზე იერნაცვალია და განტვირთული მათი თავდაპირველი ხასიათისა თუ თვისებებისაგან. ისინი ექვემდებარებიან ხალხში შემუშავებულ ტრადიციას ღვთიშვილთა ფუნქციების, მოქმედების არეალის, გარეგნული იერის, კულტისა, სამლოცველოთა ტიპისა და დანიშნულების მიხედვით. ერთი რამ უდავოდ ჩანს, რომ ისინი შემოტანილი ღვთაებებია მთაში, მაგრამ უკვე ადგილობრივ ნიადაგზე გარდაქმნილი და კარგად მორგებულნი მთიელთა სოციალურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ხორმებს. მაგალითად, სანების შესახებ არსებული წარმოდგენები სრულიად განსხვავებულია ქრისტიანული სამებისაგან,

სადაც იგი მამა, ძე და სული წმინდის ერთიანობის სახით არის წარმოდგენილი. აქ იგი ერთპიროვნული, ანთროპომორფული ღვთაებაა. ცროლის წვერზე დაარსებული ბეთლუმიდან წამოსული ღვთაება გარდაქმნილა მეომარ და ნაყოფიერების მფარველ ღვთისშვილად, რომელიც ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, მწვერვალიდან ბარად ჩამონაცვლებული, კოჭის მოკიდებით იფართოვებს თავის საბრძანებელს. მითის მიხედვით, მის ფუნქციებს შეესაბამება, ყოფაში დამკვიდრებული რელიგიური პრაქტიკა, რომელიც ადამიანთა შვილიერებას, ნაყოფიერებას და, საერთოდ, ბედის მიცემას მოიაზრებს.

საყურადღებოა, რომ ამგვარად დაარსებულ სალოცავებს არ უწევთ ტერიტორიების დაპყრობა. დაარსებისას არც სოფლებს ყრიან. ისინი ძნელად მისადგომ მწვერვალებს ირჩევენ და იქ აარსებენ სამკვიდროს. სოფლის სიახლოვეს ჩამონაცვლება და მოსახლეობის აყრა შემოდგომი ეტაპია, როდესაც მათ ბარად უჩნდებათ ჯვარ-ჯვარისკარი. მათი თანდათან ჩამონაცვლება კოჭის მოკიდებით ნიშნავს ამ ტერიტორიის მათ მფლობელობაში მოქცევას და მათი კულტის საბოლოო დაფუძნებას.

საქართველოში გავრცელებულ ამ ტიპის თქმულებებში, ღვთაება ახალ საბრძანისში მტრედის ან ხატის სახით ხარის რქებზე დაბრძანებული მიემართება (ზოდჯერ ხარს სხვა ცხოველი, მაგალითად, კვიცი ცვლის), დათქმულ ადგილზე მიღწევისას ხარი კვდება (სკდება) ან მას მსხვერპლად სწირავენ. ხოლო მტრედი უჩინარდება, ნაშალში ჩადის, ან ქრება. იმ ადგილას კი შენდება ახლად დაარსებული ღვთაების სამლოცველო.

მკადრეობა შესახებ შემორჩენილ ანდრეზებში საუბარია იმ გზაზე, რომელიც ჯვარმა მკადრესთან ერთად გაიარა; ხოლო სადაც კოჭი მოიკიდა, ყველვან მისი სახელობის ნიში დაარსდა. ეს გზა ამ ღვთაების კულტის გავრცელების გზაა. ასეთია მაგალითად ხახმატის, სანების, ლომისისა და სხვა ქრისტიანულ ღვთაებათა დაარსების ოქმულებები.

ანდრეზებში შემთხვევით არ არის ხაზგასმული ამ პროცესში ხარისა და მტრედის მონაწილეობის მოტივი. მტრედი და ხარი ქრისტიანული სიმბოლოებია, რომლებიც

განასახიერებენ იმ სალოცავებს, რომელთა კულტის დაფუძნება-შექმნაშიც მონაწილეობენ. ქრისტიანულ სიმბოლიკა-ში მტრედი სულიწმინდის მაცნე, მისი ფრინველია, რომელიც მთიანეთის ანდრეზთა და საქართველოში გავრცელებული შესატყვისი თქმულებების მიხედვით, არა მხოლოდ ღვთაებების დაარსებაში, არამედ მისი სახელობის ტაძართა შექნებლობაშიც მონაწილეობს. იგი აძლევს ხალხს ნიშანს იმისას, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი სამლოცველო. მტრედთან ერთად მფრინავი ხატი, რომელსაც ახალი კულტის დაარსებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ღვთაების სიმბოლო, მისი განსახიერებაა. თქმულებებში ხატისა და მტრედის რელიგიური მისია ღვთაებათა დაარსება და კულტის შექმნა. მტრედის სიწმინდისა და მნიშვნელობის შესახებ რწმენა მთაში ალბათ ქრისტიანობის შედეგად შევიდა და, ისევე, როგორც მფრინავი ხატი, იგი ღვთაების სიმბოლოდ იქცა, თქმულებები, სადაც ეს სიმბოლოები მონაწილეობენ, ეხება სწორედ ქრისტიანული წარმოშობის წმინდანების კულტს, რომელთა შესახებ ცოდნას ეკლესიის მსახურნი ნერგავდნენ. რაც შეეხება ხარს, იგი ქართულ მითოსსა და რელიგიურ კულტში, ზებუნებრივი თვისებებით დატვირთული ცხოველიც არის და საკულტო პრაქტიკაში აღიარებული ყველაზე მეტად დირებული მსხვერპლიც. ოსმოლოგიურ-მითოსურ რწმენათა ობიექტი, ადამიანთა მოდგმის მარჩენალი, საზრდოს მომპოვებელი და იმედი, ხარი გააზრებულია, როგორც კულტის დამფუძნებელი. თუ როგორ მონაწილეობს ღვთაებათა დაარსების აქტში ხარი ამაზე თავმოყრილია მასალა ზ. კიქნაძის ნაშრომში „ჯვარი და საყმო.“ სანიმუშოდ ერთ, აქამდე გამოუქვეყნებელ გადმოცემაზე შევჩერდები, რომელიც 1968 წელს სოფელ დათვისში ჩავიწერე გიორგი გიგიას ძე არაბულისგან:

„წყემსის აგებულ კოშკ ყოფილ მთაზე. იქ უნახავ: შიბით ჩამასულ ხატი იყვაო, სურათივით იყვავ, როგორც კაცი. წმალი ხეონდავ პელშიავ, და წასულ ხალხი, უნახავ: ჭარი იყვავ ერთივ, თეთრივ, აფრინდავ ის ხატიო-დ რქების შუაჩი დააქვდ ი ჭარსავ. მოვიდავ ის ჭარივ, ეეხლა საცა მთავარი ხატია, და იქ დადგავ. ის ხატ აფრინდააო-დ წაყლში

ჩავიდავ. ის შიბივ აიკეცავ და დაიკარგავ. ჭარივ მივიდაო და იმაში დაწვავ, სადაც ჩაბრძანებულ ხატი. მისულანა და მაუჭრავ თავ ჭარისად. დაარსებულ იმას მემრე (დალანგურ წმ. გიორგი). ქადაგ გაუკდავ თავისა. ის გაუგიშებავ. ჭარისადაც იმას მოუჭრავ თავი. იმისად უძახებიერავ სახელიც თავისა და ისიც, თუ რა უფლება ხქონდ. მაშინ დაარსებულ დალანგური. ეგ კოპალაზე ადრე დარსებული“.

თითქმის ყველა თქმულება, სადაც ასახულია ღვთაების დამკვიდრება ახალ აღილზე, ერთმანეთს ემთხვევა ამ ძირითადი კომბინაციის მიხედვით – ხარი, მტრედი, ხატი, რომელთა მეშვეობითაც ინერგება ახალი კულტი ახალ გარემოში. თქმულებებში მკაფიოდ იკვეთება ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოთა მონაწილეობა. ამ ხაზს უფრო მეტად აძლიერებს ის, რომ ახლად დაარსებული ღვთაებები ქრისტიანული წმინდანებია, რომლებიც მთაში უნდა დამკვიდრდენ ზეციური მეუფისა და ღვთაების რჩეულთა ძალის სმევით. როგორც ზეციდან პირდაპირ მოვლენილი სალოცავები სინათლის სვეტის, ჯვრისა და შიბის სახით, ისე გერგეტის ბეთლემიდან გადმოშობილი „ხოისნასახნი“ და ბარიდან მთაში გადანაცვლებული ხატები, როგორც წესი, თავიდანვე მაღალი მთის მწვერვალებზე არსდებიან. აქ აგებს მკაფიო მათი სახელობის კოშკს (ნიშს) ან სახარეს. ეს ტენდენცია მწვერვალებზე დაარსებისა, საერთოდ მიღებული ტრადიციაა. მთელ საქართველოში ტაძართა დიდი ნაწილი მწვერვალებზე, მიუვალ აღილებზეა აგებული. ამის შესახებ საგანგებოდ მითითებული აქვს ვ. კოტეტიშვილს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ალბათ ის იყო, რომ წმინდათა წმინდა დაუცვათ შემოსული მტრისგან, ნაკლებად ხელმისაწვდომი გაეხადათ იგი. ამ ტენდენციას ერთვის სწრაფვა ზეციურთან სიახლოვისა: ამაღლებულ, მიუდგომელ, ადამიანთა საცხოვრისისგან დაშორებული წმინდად დაცული ადგილებისკენ, სადაც ადამიანი ვერ მისწვდება, ხელყოფს და შელახავს ღვთაებას. შემდეგში, როცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ღვთაება თავის საბრძანებელს იფაროვებს და ნელ-ნელა „კოჭის მოკიდებით“, დაბლა საყმოს სიახლოვეს ჩამოინაცვლებს, იგი თავის კულტსაც და ნაგებობათა

კომპლექსაც აფართოვებს. როცა იგი პირველად ჩნდება, როგორც უკვე ითქვა, მოსახლეობის ხელყოფა, მისი აყრა არ ხდება; როცა ღვთაება დაბლა, მოსახლეობის სიახლოვეს მოიწევს, იქ მკვიდრ ცალკეულ მოსახლესა თუ სოფელს იგი „ნიშანს უკენებს“ იმ ადგილზე, რომლის დაჭერაც მას სურს. ასეთია დამკვიდრების გზა ფშავ-ხევსურეთის ძირითადი სალოცავებისა (გუდანის ჯვარი, შუბნური, ხახაბოს წმ. გიორგი, წყაროსგორული, ცაბაურთის ღვთისმშობელი, როშიას მთავარანგელოზი და სხვა), რომლებიც კერას უნგრევენ მასში იფნის ხის ამოსვლისა და თან ამოყოლილი დამსჯელი ძალის – გველის მეშვეობით. გადმოცემის ეს მომენტი, სხვა ასპექტებთან ერთად, იმის მაჩვენებელიც არის, რომ ღვთაებას უკვე შესწევს ძალა, ახდილად შეებრძოლოს და შეედავოს დაპირისპირებულ ხორციელო. იგი უკვე აგრესიას ამჟღაფნებს და მიზანსწრაფულად მიიწევს დასახული მიზნის განხორციელებისკენ.

თავისი განსაბუთოებული ფუნქციის გამო, ამა თუ იმ კულტთა საკუთრად დაარსებისკენ სწრაფვა და მიზნის პრაქტიკული ხორცშესხმა, ისეთი ღვთაებების მიმართ ვლინდება, როგორებიც არიან ავსულებთან მებრძოლი ღვთაებები – იახსარი, კოპალა; ნაყოფიერების მიმნიჭებელნი – ხახმატის ჯვარი, სანება; მოსავლიანობის მფარველნი – წმინდა გიორგი, მინდორის ჯვარი და. ა.შ. ამავე დროს, მოსახლეობა ცდილობს გააძლიეროს თავისი საყმო სამხედრო ძალით, რის გამოც აარსებს მეტერთან მებრძოლ ღვთაებათა ნიშებს. ღვთაებათა მიგრაცია კი განაპირობებს მათი კულტის გავრცელებას, რაც ქრისტიანული ელემენტების ადგილზე დანერგვას უწყობს ხელს. არხოტის ხეობაში, პირაქეთ ხევსურეთსა და ფშავშიც ერთ-ერთ ასეთ ღვთაებად გვევლინება ქრისტიანული მინდორის ჯვარი, რომელიც წმ. გიორგის ერთ-ერთი იპოსტასია. იგი ზოგან მინდორის ჯვარად, ზოგან ბოდავის წმ. გიორგიდ ან თეთრ გიორგიდ იწოდება, იმისდა მიხედვით, თუ საიდან იქნა მისი ნიში გადატანილი. ეს ღვთაება დარ-ავდრის ღვთაებად მიაჩნიათ, რომელსაც ევედრებიან ააცილოს ცუდი ტაროსი ჭირნახულს, არ დაწვას, არ გაანადგუროს მოსავალი. შემდეგ, ბარიდან გადატანილ ღვთაებას ადგილზე უწნდება სახატო

ნაგებობათა კომპლექსი, უმუშავდება ხატმსახურების წესები და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში ხშირად იწვევენ ღვთაებას ბარიდანაც. ბარი, სადაც სამიწათმოქმედო კულტურა ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა, მოსავლით კვებავდა არა მხოლოდ ბარს, არამედ ნაწილობრივ მთის მოსახლეობასაც. მთიელისთვის ის იყო წყარო, საიდანაც მათი მეურნეობა საზრდოს იდებდა და იქაური კულტურის ჩვევებს ნერგავდა. ბუნებრივია, მთიელი დაინტერესებული იყო, რომ მოქცეულიყო იმ ღვთაებათა მფარველობის ქვეშ, რომლებიც ბარში დარ-ავდრის საქმეს განაგებდნენ, სადაც, მთასთან შედარებით, მოსავალი ნაკლებ ზიანდებოდა. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად ადგილობრივად არსებული ტაროსის ღვთაებებისა, მთიელი ცდილობდნენ სათანადოდ ფუნქციების მქონე ღვთაებათა ბარიდან გადატანას და თავისთან დამკაიდრებას.

ადგილობრივი დარ-ავდრის ღვთაებები ძირითადად თავის საყმოებს მფარველობდნენ, მაშინ როცა ბარის ტაროსის მფარველთა წყალობას ყოველი სოფელი თუ თემი გამოელოდა. მაგალითად, ერთი ასეთი ამინდის მფარველთაგანი ხევსურეთში, სოფ. ჩირდილის მთაზე საჩალის წვერზე დაარსებულა, მის შესახებ გასულ საუკუნეში 6. ხიზანიშვილი წერდა: „ცა-ლრუბელთა საქმე უფრო ეკითხება პირიმზე წმ. გიორგის, სამკიბალის მეარსესა და მურყმოსელს. ეს ხატი სოფ. ჩირდილში სუფევს. დევი ჰყავს მონად და როცა ხალხი დააშავებს რამეს, ზღვისკენ გაეშურება. იქ ხორხო შელას და სეტყვას აკიდებს ზურგზე დევს და მოპფენს მთელს არემარეს. ხევსურს სეტყვა-ხორხოშელასი მეტად ეშინია, რადგანაც ეს ღვთის – პირიმზის რისხვა ხშირი მოვლენაა და ხალხს ბევრჯერ ულუკმაპუროდ სტოვებს“!

ადგილობრივთა გადმოცემით, „წინწინ ღურბელი და სეტყვა საჩალისკე გაჩინდების. ერეკლეს დაუსვენებავ გიგაურთის ველ და უთქო: ჰევსურებო, სულგურის წმა გავიგონევ (რაი ას არ ვიცი). სეტყვა ეცოდინებისავ, მიწის პირს ეცადენითავ, არ დასეტყვავსავ. (კარტოფილიო)“. აი ეს საჩალის გიორგი დარ-ავდრის გამგებელია, მაგრამ საერთო სახევსურეთო არ არის.

[ხელნაწერში ბოლოსწინა გვერდი არ აღმოჩნდა]

მთის მოსახლეობის ბარიდან უზრუნველსაყოფად დამატებათა მთაში აბრძანების რეალურ ფაქტს შეიძლება ესმაურებოდეს გადმოცემებში დაცული მოტივი ხარის რქით დამატების მთაში აბრძანების შესახებაც. შეიძლება აქაც მინიშნებული იყოს მთისა და ბარის სამიწაომოქმედო მეურნეობათა კონტაქტი.

Г. С. ЧИТАЯ

Изменение и обогащение культуры в результате перемещения населения с гор на равнину в прошлом. – Тезисы докладов На заседаниях, посвященных итогам полевых исследований 1965 года, М., 1966, ст. 37-38

1. Низкая плотность населения в высокогорных районах Грузии была обусловлена при низкой технике недостаточностью продукции сельского хозяйства, обеспечивающей нормальным рационом лишь ограниченное количество народонаселния. Вследствие этого как только численность населения достигала своего предела, ее излишек перемещался в равнинные районы. Вынужденное выселение в прошлом представляло собой перманентный процесс либо в виде постепенного просачивания отдельных дымов, либо одновременного переселения группами.
2. Анализ демографических данных два столетия (XVIII-XIX вв.) показывает, что численность населения в Хевсуретии (высокогорный район Грузии) была более менее стабильной и держалась в рамках 5000 душ. Сверх этой нормы излишки населения выселялись в Эрцо, Гомбори, Тетрицкаро и другие равнинные районы. Посемейная перепись Грузии 1886 года показывает, что из общего количества всех хевсур Грузии в 8880 душ, в самой Хевсуретии жило всего 4840 душ, а остальные 4040 были расселены в разных селах равнинной Грузии. Выселившиеся хевсуры, смешиваясь на местах с аборигенным населением, создавали смешанное хозяйство и медленно приобщались к новой среде, надолго сохраняя свои трудовые навыки и традиции.
3. С установлением Советской власти в Грузии коренным образом изменилось положение горцев. Уничтожение частной собственности на землю, коллективизация и интенсификация сельского хозяйства, создание горно-равнинного трактора, укомплектованного соответствующими навесными орудиями, правильное территориальное размещение производительных сил и планомерное территориальное разделение труда, более или менее

полная занятость населения этих районов – создали прочную базу для подъема благосостояния горцев и тем самым сняли необходимость их перманентного переселения на равнину. Теперь переселение горцев на плоскость может иметь место в тех случаях, когда в тех или иных горных районах имеется не занятая в производстве рабочая сила. Организация хозяйства в республиканском масштабе.

4. Однако, в тех случаях, когда возникает необходимость использования рабочей силы горцев в хозяйстве на равнине, добровольно переселившиеся горцы, втянутые в колхозный труд и культурную жизнь села, быстро перестраиваются и приспосабливаются к местным условиям, к новым для них видам хозяйства, быстро осваивают местную культуру, становятся виноградарцами, цитрусоведами. И на основе культурного контакта создается синтез культурных элементов и культурная общность.

შენიშვნა

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას თეზისები საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ 1966 წელს მოსკოვში იუთ დაბეჭდილი. სამწუხაროდ, ის ვერ დაიბეჭდა მეცნიერის ხუთომეულში. როდესაც საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდი თეზისები მომიტანა ჩემმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა მიხეილ გეგეშიძემ. იმის გამო, რომ მაჟინ ნაბეჭდის გამრავლების (ასლის გაკეთების) ტექნიკური საშუალებები არ არსებობდა, თეზისები გადავწერე და ბროშურა ბატონ მიხეილს დაგუბრუნე. ბუნებრივია, ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების მეთაურს თეზისების შესატყვისი მოხსენებაც დაწერილი ექნებოდა. იმედს ვიტოვებ, რომ მოხსენების ტექსტი ბატონ გიორგის არქივში აღმოჩნდება და სრული სახითაც გამოქვეყნდება.

როლანდ თოფჩიშვილი

ნუგზარ ანთელავა

სექსუალური კულტურა კავკასიურ ტრადიციაში

1. ჩერქეზული მაგიურ-რელიგიური ეროტიზმის რიტუალურ-მითოლოგიური კონტექსტი

წინასწარი შენიშვნები. სექსუალურ კულტურას ცოდნის, შესაძლებლობისა და ჩვევების იმ ერთობლიობას უწოდებენ, რომლებიც აუცილებელია წარმატებული და უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრებისათვის.

სექსუალური კულტურის ცნების წარმოშობას წინ უსწრებდა სექსუალობის, როგორც ბიოლოგიური ინსტინქტისა და რეპროდუქციის გვერდითი პროდუქტის მიწნევიდან მისი, როგორც განსაკუთრებული კულტურული დისკურსის გაგებაზე გადასვლა. ეს გადასვლა დაკავშირებული იყო სოციალურ კონსტრუქტივიზმთან და, უწინარეს ყოვლისა, ფრანგი მეცნიერის მ. ფუკოს (M. Foucault) „შრომებთან, განსაკუთრებით მისი „სექსუალობის ისტორიის“ (Histoire de la sexualité.-P.: Gallimard, 1976. – Vol. 1:Lavolonté desavoir. – 211 p.; 1984. – Vol. 2: L'usagedespaisirs. – 285 p.; 1984. - Vol. 3: Le soucidesoи. – 286 p.) სამტომეულის გამოქვეყნებასთან. შექსუალობის ისტორიის, როგორც ავტონომიური ისტორიული დისციპლინის, ფორმირებამ ხელი შეუწყო სექსუალობის ისტორიზაციასა და პლურალიზაციას, წარმოშვა რა ისეთი ცნებები, როგორიც არის ანტიკური, შუასაუკუნეებისა და ადრებურულუაზიული სექსუალობა. ამასთან, ერთი და იმავე საზოგადოების ფარგლებში სექსუალური ფასეულობები, ცხოვრების სტილი, სტრატეგია კლასების, ფენების, ეთნოკური ჯგუფების მიხედვით დიფერენცირდება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სექსუალობის ისტორია სექსუალური კულტურის ისტორიაა.

სექსუალური კულტურის უმნიშვნელოვანების კომპონენტებია სექსუალური სიმბოლიზმი, ნიშნები და სიმბოლოები, რომლებშიც მოიაზრება: სექსუალობის გენდერული სხვაობის, სიყვარულის, სქესობრივი აქტის არსის, რეპროდუქცი-

ის ბუნების შესახებ წარმოდგენები; ფასეულობითი ორიენტაციები, რომელთა მეშვეობით ადამიანები აღიქვამენ, აფასებენ და აკონსტრუირებენ თავიანთ სექსუალურ ქმედებს; სოციალური ინსტიტუტები, რომელთა ჩარჩოებში მიედინება და რომლებითაც რეგულირდება სექსუალური ცხოვრება, მაგალითად, ქორწინებისა და ოჯახის ფორმები, ნორმატიული აკრძალვები და სექსუალური ქცევების, წესებისა და ჩვეულებების მარგელირებელი დანაწესები, რომელთა მეშვეობით შესაბამისი მოქმედებები (საქორწინო წეს-ჩვეულებები, ინიციაციები, ორგაიასტული დღესასწაულები) ფორმდება. ყველა ეს ელგმენტი ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ შედარებით ავტონომიურიც არის (კონი 1997: 48).

სექსუალურ კულტურას თავისი ეთნიკური თავისებურებები გააჩნია. ევროპის ეროვნული სექსუალური კულტურების შედარებითი ანალიზის პირველი ცდა იყო ორტომეული კოლექტიური ნაშრომი - „სექსუალური კულტურები ევროპაში“ (Sexualkultures in Europe 1999), რომელშიც ტერმინი „სექსუალური კულტურები“ მოიცავს როგორც ინდივიდუალურ გამოცდილებას, ისე კოლექტიურ ინტერპეტაციებს. მგვარი მიღღომით აიგება ჩემი გამოკვლევაც, რომელშიც, თავს ვარიდებ რა „კავკასიური ხასიათისა“ თუ „მენტალობის“ ბუნების შესახებ მსჯელობას, კავკასიური სექსუალურ-ეროტიკული კულტურა, როგორც კავკასიის კულტურული და სოციალური ისტორიის ასპექტი, აღიწერება ისე, რომ რაიმე საერთო პრინციპის ქვეშ მის მოქცევას არ ვეცდები.

წინამდებარე ნაშრომი უკვე, თითქმის, დასრულებული კვლევის მცირე ნაწილია. მასში განხილულია ჩერქეზულ ნართულ თქმულებებში მოცემული ერთი მითოლოგიურ-ეროტიკული სიუჟეტის კავშირი კავკასიის ხალხებიდან მხოლოდ ჯიქების (ჩერქეზების) ყოფაში დადასტურებულ რიტუალურ პრაქტიკასთან.

კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის ინტიმური განცდების რეკონსტრუქცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძალზე რთული ამოცანაა. კულტურის იმ მკვლევართაგან განსხვავებით, კულტურისა, რომლის მატარებლები თავიანთი გრძნობებისა და ემოციების

წერილობით ვერბალიზაციას ახდენდნენ, კავკასიოლოგები ასეთი დოკუმენტების ანალიზის შესაძლებლობას მოკლუბულნი არიან. ამ უკანასკნელთა განკარგულებაშია ოდენ მითოლოგიური და ფოლკლორული მასალები, უცხოელ მოგზაურთა ფრაგმენტული ჩანაწერები, დაბოლოს, მთხრობელთაგან მიღებული მწირი ინფორმაციები. კვლევის სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კავკასიელთა შორის გრძნობების საჯაროდ გამოხსატვა ტაბუირებული იყო, ისევე როგორც ამ თემის თავისუფალი განხილვა. ამიტომაც თვალში საცემია არქაული მითოლოგიური თქმულებების მთხრობელთა მიერ პერსონაჟთა ინტიმური ურთიერთობების დეტალების გადმოცემა. ის ფაქტი, რომ მთხრობლები სიუჟეტებს გადმოგვცემენ, როგორც რაღაც ჩვეულებრივს, ყოველგვარი გვიანდებელი შენიშვნებისა და ახსნების გარეშე, მკაცრი კავკასიური მორალის მკვლევრებს საფიქრალს უჩენს. მითოლოგიური ტექსტები მთლიანად არ ემთხვევა კავკასიელთა პატრიარქალური კულტურის შეფასებით-ნორმატიული სისტემის იდეალურ წარმოდგენებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ვლინდება კოლექტიური ქვეცნობიერი წარმოდგენები, რომლებიც ხალხის გრძნობითი გამოცდილების არქეტიპებს შეიცავენ. ეს არქეტიპები შემდგომში განსაზღვრავენ სახეების სტრუქტურას და არქეტიპული შეგნება ისტორიულად ცვალებადი მოდიფიკაციის პრიზმში იკვეთება.

ჩერქეზული ნართული ეპოსის ერთ-ერთ პირველ სიუჟეტში, რომელიც სოსრულს დაბადებას შეეხება, ვხვდებით ძალზე ინტიმურ წვრილმანებს: „მდინარესთან მოსულმა სათანეიმ სახელოები დაიკაპირა, კაბის კალთები მუხლსზე მოთ აიწია, გაიშიშვლა რა თავისი თეთრი ფეხები, ქვაზე დაჯდა. ამ მდგომარეობაში შეავლო მას თვალი მოპირდაპირე ნაპირიდან ნართმა მწყემსმა, სოსმა; გული აუძგერდა, მის სხეულს ცეცხლი მოედო, და ვეღარ შეძლო რა თავის მოთოვება და იგრძნო რა სათანეის მიმართ ძლიერი ლტოლვა, ვერ შეაკავა თავისი თესლი (სპერმა) და იგი ქალისკენ გაუშვა; მბოლავი თესლი პირდაპირ სათანეისკენ წავიდა. როცა სათანეიმ მისი მოახლოება იგრძნო, ადგა და აიცდინა.

ტალღებმა ოქსლი ქვას მიაღვარა და ქვა დაორსულდა. სათანეიმ ცხრა ოვისა და ცხრა დღის შემდეგ ქვა სახლში მიიტანა“ (ნართები 1974: 24). სხვა ვარიანტში: „სათანეის შემოხედვით მწყემსი აენთო, ცეცხლი მოედო და ეს ცეცხლი სათანეის გულსაც ისე მოედო, რომ ძალაგამოცლილი იქვე ქვაზე ჩამოჯდა“ (ყაბარდოული ტექსტები 1891: 35).

სექსუალური ურთიერთობების საკითხებთან ადილების დამოკიდებულების სხვა ასპექტი გამოხსატულია ნართი ბადინოყოს შესახებ თქმულებაში, სადაც სათანე ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც დახელოვნებული მაცდური ქალი: „კარგავს რა თხოვნით სახლში ნართის შემოტყუფის იმედს, სათანე შეუმნევლად ჩამოიწევს თავშალს და თავის თეთრ ყელს მკერდამდე საცქერალს ხდის. მაგრამ ამით ბადინოყო არ იხიბლება; ქალის სილამაზე მასზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მაშინ სათანე სამოსს დაბლა იწევს და მკერდს იშიშვლებს. არც ეს აღელვებს ნართს; მაშინ ქალი კვლავ ჩაიწევს სამოსს და ბარძაყს გამოაჩენს; როცა ვერც ამით აცდუნა იგი, თეთრი აბრეშუმის თასმა გახია და სამოსი მთლიანად შემოიძარცვა“ (ყაბადოული ტექსტები 1891: 26).

როგორც ვხედავთ, ტექსტები პერსონაჟთა ეროტიკული განცდების, სექსუალური ლტოლვისა და ჩასახვის ფიზიოლოგიურად ნატურალისტურ აღწერას შეიცავს. ამასთან, ამ დეტალებს თავისი საზღვრები აქვს საიმისოდ, რომ შეიქმნას უბიწოდ ჩასახვის მითი. ჩვენი კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვანია არამარტო და არა იმდენად მითის სიმბოლური აზრი, არამედ ახალგაზრდების სექსუალური აღზრდის პროცესში მისი გამოყენების ხასიათი: ამ თქმულებებს უპირატესად უფროსი თაობა უმცროსებისათვის ყველოდა, რაც, ერთი შეხედვით, ჩერქეზთა ტრადიციულ მორალურ ნორმებთან შეუთავსებელი იყო. მიუხედავად ამისა, აღზრდის ეს ზეპირი ფორმები სექსუალური ცხოვრებისათვის თეორიული მომზადების როლს ასრულებდნენ. ამიტომაცაა, რომ ჩერქეზებში არც სექსუალურ ნიადაგზე წარმოქმნილი სულიერი დარღვევებისა და არც სექსუალური ძალადობის მაგალითები თითქმის არ დაფიქსირებულა. პირიქით, ძალა-

დობასთან არის გათანაბრებული ცოლქმრული მოვალეობის შეუსრულებლობა, მეუღლის სექსუალური დაუკმაყოფილებლობა. ამ კუთხით, ძალზე საინტერესოა ჩერქეზული ნართული თქმულებების ერთი მითოლოგიურ-ეროტიკული ეპიზოდი: სიუჟეტში, რომელშიც მზეოუნახავი ადიიფისა და ეპოსის ცენტრალური პერსონაჟის – სოსრულოს – შეხვედრა და ურთიერთობაა აღწერილი, შემდეგი დრამა ვითარდება: ქმარი, რომელიც თავის ცხოვრებაში მეუღლის - ადიიფის - მნიშვნელობას არ ცნობს, მოკლებულია რა „ნათელხელება“ ცოლის დახმარებას, დამით შინმომავალი მდინარეში იხრჩობა. ადიიფი ქმარს მარხავს და ხვდება სოსრულოს, რომელიც უამინდობაში ქალის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. მამაკაცის ყურადღება ადიიფს მის მიმართ კეთილად განაწყობს, რაც სიუჟეტის ეროტიკულ შემობრუნებას განაპირობებს: წვიმაში საფლავზე ნაბადქვეშ შეფარებულნი სექსუალურ ვნებას მიეცემიან და ორივენი გაკვირვებულნი რჩებიან – სოსრულო ადიიფის ქალწულობით, ქალი კი – მისთვის აქამდე უცნობი გამაოგნებელი ხორციელი სიამოვნების შეგრძებით. სოსრულო ამ ფაქტს ადიიფის მიმართ ქმრის ძალადობად აფასებს.

ნართული ეპოსის სხვა კავკასიური რედაქციებიდან ანალოგიური ეროტიკული სიუჟეტი მხოლოდ ბალყარულ-ყარაბულ ვარიანტში გვხვდება (ი.e. „სოსრული და აყბილექი“ – ნართები 1994: 388-390) და, როგორც ჩანს, ჩერქეზულიდან არის ნასესხები: სოსრულს, როგორც ქვისგან შობილს, თავის ცოლთან – აყბილექთან – სექსუალური პარტნიორის მოვალეობის შესრულება არ ძალუმს; ქმრის ტრაბახით თავმობეზრებული აყბილექი (Акъбнлек – „ნათელხელება“) თარეშიდან მობრუნებულ ქმარს დამეულ გზას არ უნაოებს და ეს უკანასკნელი მდინარეში იხრჩობა; დილით აყბილექი პოულობს მის ცხედარს და ასაფლავებს; ქვრივი, წვიმის გამო, თავს მექალთანე ორ უზმექის ნაბადის ქვეშ აფარებს და ქალწულობასაც იქვე კარგავს; აყბილექი ხვდება, თუ რაოდენ დიდ სიამოვნებას აკლებდა ქმარი და გაბრაზებული მისი საფლავის გადათხრას იწყებს, მაგრამ ორ უზმექი აჩერებს.

ჩერქეზულისგან განსხვავებით, ბალყარულ-ყარაჩულ თქმულებაში არ არის პირდაპირი მითითება, აյბილექისა და ორ უზმექის სქესობრივი აქტი უშუალოდ საფლავთან (საფლავზე) ხდება თუ სადმე სხვაგან, მაგრამ აღნიშნულია, რომ ისინი ერთმანეთს ხინაუმანის თვეში შეხვდნენ. ხინაუმანის, ანუ მაისის თვეში, ნართები ხუთი წლის მანძილზე გარდაცვალებიდან დღი პატივს მიაგებდნენ მიცვალებულ თანამომექებს (შდრ. მკელრომაული ლემურია/ლემურალია – მიცვალებულთა დღეობა, რომელიც 9, 11 და 13 მაისს იმართებოდა); სტუმრობდნენ მათ საფლავებს, სწირავდნენ კვიცებს (ჯუროუბაევი 2013: 517) და საფლავის გარშემო ე.წ. „ხინაუმანს“ ცვავავდნენ (კუდაევი 1997: 25). აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ აყბილექორ უზმექის სქესობრივი აქტი სწორედ სოსრუეს საფლავზე განხორციელდა.

ჩერქეზული და ბალყარულ-ყარაჩაული მითის შინაარსი მხოლოდ გრძნობითი გამოცდილებისა და მის მიმართ ეპისის შემქმნელების დამოკიდებულებით არ ამოიწურება. სქესობრივ აქტს მსგავს პირობებსა და ფორმაში საკრალური მნიშვნელობა აქვს, და ამ მითოლოგიური სიუჟეტის პრაქტიკაში მოქმედი ანალოგია ისტორიულ ეთნოგრაფიაშიც დასტურდება.

გენუელი მოგზაური ჯორჯო ინტერიანო ჩერქეზეთის პირველი მონოგრაფიული აღწერის ავტორი, 1502 წელს ვენეციაში გამოქვეყნებულ წიგნში (*La vitae tsitodesichi, chiamati circassi*) გვიყვება ზიხებში/ჯიქებში (ჩერქეზებში) მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, ერთი შეხვდვით, ძალზე უცნაური წეს-ჩვეულების შესახებ, რომლის თვითმხილველიც თავად გამხდარა. რიტუალი, რომელიც, მისი თქმით, მხოლოდ წარჩინებული პერსონის დაკრძალვისთანავე სრულდებოდა, ასე გამოიყერება: თორმეტი-თოთხმეტი წლის ქალიშვილს მიცვალებულის საფლავთან ახალდაკლული ხარის ტყავზე დასვამდნენ; ქალიშვილთან ყველაზე ძლიერი ან მამაცობით გამორჩეული ჭაბუკი მიდიოდა და ნაბდის ქვეშ მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა; შემდეგ დაკრძალვაზე მოსული ხალხის (მამაკაცებისა და ქალების) დასანახად დეფლორირებულის სისხლით დალაქავებულ საცვალს გამოფენდნენ (ინტერიანო 1974: 52). რამდენადაც

ჩემთვის არის ცნობილი, ასეთი საჯარო სქესობრივი აქტით თანხლებული რიტუალი კავკასიის ხალხებში არ დასტურდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვადასხვა, უპირატესად საგაზაფხულო, წესჩვეულებებათა ფარგლებში (მაგრამ არა გარდაცვლილის საფლავზე) გათამაშებულ ეროტიკულ სცენებს.

ჩერქეზული მითისა და რიტუალური პრაქტიკის ანალოგიურობა აშკარაა: საფლავი, როგორც მოქმედების ადგილი, ქალწული და მისი დეფლორაცია ნაბდის ქვეშ. რიტუალური სექსუალური კავშირი საფლავზე შეიცავს სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების მაგიურ და თვალსაჩინო აზრს. დიიფთან სოსრუეოს შეხვედრის სურათს ემატება ერთი მნიშვნელოვანი მითოლოგიური ელემენტი: მათი სექსის სექსუალური ურთიერთობის დროს წამოსული წვიმის შემდეგ, გარშემო ყველაფერი მწვანით იმოსება, გარდა უღირსი ქმრის საფლავისა. ცნობილია, რომ წვიმა აგრარულ კულტურათა ტრადიციაში წარმოადგენდა ზეცის მიერ მიწის განაყოფიერების წმინდა პროცესის სიმბოლოს. აქედან ჩანს, რომ ძველ ჩერქეზთა რწმენა-წარმოადგენებში მამაკაცსა და ქალს შორის სექსუალური ურთიერთობა ბუნების კოსმოგონიურ ძალებთან არის დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ წვიმის გამოწვევის ადიდეური წესჩვეულებები, თანხლებული კარნავალური მსვლელობითა და სიცილით, ახალგაზრდა მამაკაცთა და ქალთა (ქალიშვილთა) მდინარეში ერთობლივი ბანაობა-ჭყუმპალაობითა და ცაჰვით, ეროტიკული აგრარული რიტუალებია. კარნავალური კულტურისა და მაგიური ძალის მქონე სიცილის ელემენტები გამოყენებულია მსხვერპლშეწირვის ეფექტის გაძლიერების მიზნით (ტუპავა 2006: 232).

კ. ინტერიანოს მიერ აღწერილი ჩერქეზული რიტუალური სექსუალური კავშირის ტრანსფორმირებულ სახეს წარმოადგენს ეროტიკული თამაშები მიცვალებულთან, რომელიც დასავლურუკრაინული დაკრძალვის წესჩვეულებებათა კომპლექსის ერთ-ერთი ელემენტი იყო და გარდაცვალების პირველ ან მეორე დამეს მიცვალებულთან შეკრებილი ნათესავებისა და მეზობლების მიერ სრულდებოდა. ეროტიკულ თამაშების სხვადასხვა ვარიანტებს შორის

შედარებით გავრცელებულს წარმოადგენდა თამაში ბაბუ-ისა (ძიდ) და ბებიის (ნანა) მონაწილეობით: ბიჭი გამოეწყო-ბოდა მოხუცი ებრაელი ვაჭრის ფორმაში, დახეულ და და-ბინძურებულ ტყაპუჭს უკუდმა იცვამდა და დიდ ქუდს იხუ-რავდა, იკეთებდა ხელოვნურ კუზს და წვერებს, ხელში ჯო-ნი ეჭირა, ფეხებს შორის კი ქსოვილშემოხვეული ჯონის ფალოსი ეკიდა. მეორე თავსაფრიანი და სახეგამურული ბი-ჭი დედაბერს ემსგავსებოდა. „ბაბუა“ და „ბებია“ მიდიოდნენ კართან, საღაც სხვა მოთამაშები იყვნენ შეცრებილნი, და ძრონისა და ხარის საყიდლად სახლში შეშვებას ითხოვდ-ნენ. საამისოდ მათ დამხედურთათვის ვაჭრობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარედგინათ. „ბაბუა“ მოთამაშების აწვდიდა ქალალდს, რომელზედაც უწმაწურო-ბა ეწერა, და „ბებიასთან“ ერთად იმ ოთახში შედიოდა, საღაც მიცვალებული ესვენა. „ბაბუა“ და „ბებია“ იწყებდნენ ცეკვას, შემდეგ კი იატაკზე დაეცემოდნენ და სქესობრივი აქტს იმიტირებდნენ, რომლის დასრულების შემდეგ წამოდ-გებოდნენ და ძროხებს, ე. ი. გოგოებს ევაჭრებოდნენ. თი-თოვეულ ქალიშვილს დორბლიანი, ცინგლიანი „ბაბუისთვის“ უნდა ეკოცნა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეს გაუმურავდ-ნენ. ბიჭები ვალდებული იყვნენ ეკოცნათ „ბებიისთვის“. თამაშის სხვა ვარიანტებში, „ბებია-ბაბუა“, „აშენებდა წისქ-ვილს“, ანუ ქოთანს ჯონს ურტყამდა. „აშენებულ“ წისქვი-ლში „ბაბუა“, „ბებიას“ ჯონით ჩხვლებდა და მას სხვა მა-მაკაცებთან კაგშირში ადანაშაულებდა. შემდეგ ისინი კვლავ სქესობრივ აქტს იმიტირებდნენ (ბოგატირევი 1996: 494-495). „ბებია-ბაბუა“ მონაწილეობდა ე. წ. „თივის ზონის“ (კოიცი) თამაშშიც: „ბაბუა“ თითოვეულ ქალიშვილს უნიშნა-ვდა ბიჭს, რომლისთვისაც უნდა ეკოცნა. თუ იგი იუარებდა, ვალდებული ხდებოდა „ბაბუის“ ჩალის ფალოსს მთხვეოდა. როცა ერთმანეთის გადაკოცნა დასრულდებოდა, „ბაბუა“ იწყებდა ჯონით „თიბგას“ და ყველანი, გამოხატავდნენ რა ზვინებს, დაბლა ეცემოდნენ; „ბაბუა“ და „ბებია“ კი „ზვინ-ზე“ წვებოდნენ და სექსის იმიტაციას ახდენდნენ (ლევაიუ-სკა 1999: 388). გალიციაში გავრცელებული ეროტიკული თა-მაშის მიხედვით, „ორნი გამოეწყობიან, როგორც ბებია და ბაბუა... შემდეგ „სასეირნოდ“ მიდიან. შემხვედრი უცნობები

, „ბებიას“ ფეხებს შორის ჩქმეტენ. „ბაბუა“ „ბებიას“ სახეში ურტყამს და უყვირის: „შენ სხვები გყავს, სხვა მამაკაცებს ექებს“; შემდეგ ოთახის შუაგულში ძირს დასცემს, ქვედაბოლოს მაღლა აუწევს და ... შემდეგ დგება, „ბებიის“ ფეხთა-შორიდან „იღებს“ ცოტა ... [სპერმას] და იქვე მდგარ მამაკაცებსა და ქალებს აქნოსებს...“ (ბოგატირევი 1996: 496).

მიცვალებულთან გამართული ეროტიკული თამაშების საინტერესო ვარიანტები დადასტურებულია საქართველოშიც. ხევსურეთში გარდაცვალების დღიდან მიცვალებულს დამეს ნარევები უთევდნენ; ყვებოდნენ სახუმარო ამბებს და იცინოდნენ. „თუ გარდაცვლილი ახალგაზრდა იყო, რა თქმა უნდა, თავს იკავებდნენ. ქალის ცხელარს ქალები გაბანდნენ და მირეულებად იქცეოდნენ, მაგრამ დამეს უფრო მამაკაცები უთევდნენ, თუმცა ახალგაზრდა ქალებიც მოდიოდნენ დამისოფებაში. მოზარდებსა და მოხუცებს დამეს არ ათევინებდნენ, რადგან ისინი ადვილად დაიღლებოდნენ. ერთ-ერთი დამეს ნარევები მართავდნენ „წოლა-დგომას“, რაც ცოლქმრული ურთიერთობის სიმულაციას წარმოადგენდა“ (გიორგაძე 1987: 11). „წოლა-დგომის“ გათამაშება ხარჯების დროსაც იმართებოდა, რაც მიცვალებულისადმი განსაკუთრებულ პატივის მიგებად მიიჩნეოდა (მაკალათია. ხელნაწერი). ახალოგიური ჩვეულება გავრცელებული ყოფილა იმურეთშიც (კოვალევსკი 1890: 184).

აი, როგორ აღწერს მეგრულ დამისოფებას თ. სახოკია: „სანამ მიცვალებულს დამარხავდნენ, იმ სახლში, სადაც მკვდარი ასვენია, დამდამობით თავს იყრიან მეზობლები და დამეს უთევენ, მართავენ სხვადასხვა თამაშობას, სასაცილო ამბებით ერთობიან. რაც უფრო ხნიერია მიცვალებული, დამისმოფენი მით უფრო ნაკლებ ერიდებიან მხიარული გრძნობის გამოხატვას. მიცვალებულთან ზოგჯერ სრულებით არ ეთაკილებათ ორაზროვანი სიტყვები და შაირები იხმარონ, ვაჟები ქალებს ეარშიუნენ. ასეთ დამისოფების დროს შინაურები ისვენებენ, ხოლო მიცვალებულს, რომელიც, მეგრელის წარმოდგენით, ავ და ბოროტ არსებად იქცევა, და, თუ შემთხვევა მიეცა, ცხოველებსა ვნებს ხოლმე, უკრს უგდებენ დამისმოფენები“ (სახოკია 1956: 121). გარდა არშიყისა, მოშაირე ქალ-ვაჟს შორის დამარცხებულს

გამარჯვებულისთვის ლოფაზე უნდა ეკოცნა (ანთელავა რვ.: № 5, 16).

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამეგრელოში ერთ-ერთ და-
მისოეგაზე მიცვალებულის ოჯახის ეზოში იმართებოდა
ეროტიკული ხასიათის თამაში „ხარობია-ფურობია“ (ხოჯო-
ბაია-ფუჯობაია), რომელშიც მოწიფული ასაქის გოგო-ბიჭე-
ბი მონაწილეობდნენ; ეზოს ერთ მხარეს, სიმაღლის მიხედ-
ვით, გოგონები გამწკრივდებოდნენ, მეორე მხარეს – იმავე
რაოდენობის ბიჭები. მოპირისპირე მხარეები ოთხზე დაღგუ-
ბოდნენ: ბიჭები კუროებივით ბდაოდნენ, გოგონები – ძრო-
ხებივით. ასე დაოთხილი ახალგაზრდები, უკანალის თამა-
შით, ერთმანეთისკენ ილტვოდნენ; მიახლოებისას ჯერ უკა-
ნალებს შეარყინებდნენ, შემდეგ კი „ხარები“ „ფურებს“ მოე-
კიდებოდნენ და ზედ წაქცევამდე ესხდნენ. გამარჯვებულად
ის წაგილი ითვლებოდა, რომელიც ყველაზე ბოლოს წა-
იქცეოდა (ჭანტურია 1982: 240; ანთელავა, რვ.: № 5, 17-18). ეს
თამაში ცოდნიათ გაზაფხულზეც, ახალ ხნულგავლებულ
მინდორში. მისი ერთ-ერთი აღმწერი გვამცნობს: „რომ იცო-
დეთ, ახალგაზრდებს ტილოს გრძელი პერანგის გარდა, არც
ზემოთ და არც ქვემოთ, სხვა არაფერი ეცვათ. გასაკვირი
ის არის, რომ ასეთი საოუთი („საციცამო“) თამაშიდან, რო-
გორც გადმოგვცემენ, მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო,
როცა ვინმე ფელანგიას ნამუსი აუხდია პარტნიორისთვის.
ფელანგია დაუსჯიათ: მისოთვის სამი წლის განმავლობაში
ახალგაზრდობის შეკრებებში მონაწილეობა აუკრძალავთ“
(ქობალია სელჩაწერი: 22-23).

ეს აშკარად მაგიურ-ეროტიკული თამაში, როგორც
ჩანს, მოსავლის ნაყოფიერების გაზრდას ემსახურებოდა.
იგი პარალელს პოულობს არაერთი ხალხის ყოფაში დამო-
წმებულ წეს-ჩვეულებებში, რომლებიც ახალგავლებულ
ხნულზე სექსუალური სცენების გათამაშებას, ზოგჯერ კი
სქესობრივ აქტის განხორციელებას ითვალისწინებდა.

მკვდრის „გაცოცხელების“ მაგიური რიტუალია აფხა-
ზურ (ა-სამაყვა-ა-სამარყულ – „სახუმარო, სასაცილო ამბა-
ვი“) და მეგრულ (გათელება-„გაცოცხელება“) დამისოთევებში
მიცვალებულთან გათამაშებული თეატრალიზებული

წარმოდგენები (ჩურსინი 1967: 233; გუსევი 1974: 97; ანშბა 1982: 143; ანთელავა: რვ: № 5, 17).

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მიცვალებულთან გამართული ეროვნიკული თამაშების ანალოგიაა საშობაო და უკლიერის სლავური კარნავალური მსვლელობები, რომლებშიც ბერიკები (კუკერები, „აქლემები“) მონაწილეობდნენ და რომელთა მიზანს ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენდა (ლეგენიევსკა 1999: 87). ამ თვალსაზრისის სრულიად უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მოვლენა აყენებს სიკვდილისა და ეროსის (სექსის) ურთიერთმიმართების, მათი ღრმა კავშირის საკითხს, რასაც უორებატარიამ „სიკვდილით გამოწვეული ტრაგიზმის ავხორცობასა და სიცილთან თანამოზიარეობა“ უწოდა (ბატაი 1994: 289).

დამოწმებული ლიტერატურა

ანშბა 1982 - Аишба А. А. Абхазский фольклор и действительность. Тбилиси.

ბატაი 1994 - Батай Ж. Из «Слёз Эроса»//Танатография Эроса: Жорж Батай и французская мысль середины XX века. Санкт-Петербург.

ბოგატირევი 1996 - Богатырев П. Г. Игры в похоронных обрядах Закарпатья//Секс и эротика в русской традиционной культуре. Составитель А. Л. Топорков. Москва.

გუსევი 1974 – Гесев В. Е. От обряда к народному театру//Фольклор и этнография. Ленинград.

ინტერიანი 1974 - Интериано Дж. Быт и страна зихов, имеемых черкесами. Достопримечательное повествование//Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Нальчик.

ქოვალევსკი 1890 –Закон и обычай на Кавказк. Т. II. Москва.
ქონი 1997 - Кон И. С. Клубничка на берёзке: Сексуальная культура в России. Москва.

ქუდაევი 1997 – Кудаев М. Ч. Древние танцы балкарцев и карачаевцев. Нальчик.

ლევკიევსკა 1999 - Левкиевская Е. Е. Славянские древности. Этнолингвистический словарь под редакцией Н. И. Толстого. Т. 2. Москва.

ნართები 1974 - Нарты. Адыгский героический эпос. Москва.

ნართები 1994 - Нарты. Героический эпос балкарцев и карачаевцев. Москва.

ტეგუევა 2006 - Текуева М. А. Мир интимных переживаний адыгов//Исторический вестник. Вып. III. Нальчик.

ყაბარდოული ტექსტები 1891 – Кабардинскиетексты // СМОМПК. Вып. XII. Тифлис.

ჩურსიხი 1957 – Чурсин Г. Ф. Материалы по этнографии Абхазии. Сухуми.

ჯურთუბაევი 2013 – Джуртубаев М. Ч. Происхождение нартского эпоса. Нальчик.

ანთელაგა - 6. ანთელაგა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები (ინახება ავტორთან).

გიორგაძე 1987 - დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბილისი.

მაკალათია - 6. მაკალათია. ხევსურეთში მივლინების მასალები. ხელნაწერი. დაცულია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

სახოკია 1956 - ო. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. ღელაძებორი პროფ. გ. ჩიტაია. თბილისი.

ქობალია - ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. (ხელნაწერი დაცულია ქ. ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში).

ჭანტურია 1982 - ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-წვეულებანი // თსუ შრომები, № 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბილისი.

Nugzar Antelava
Sexual Culture in Caucasian Tradition.1. Ritual-mythological con
text
Of Circassian magical-religious eroticism
Abstract

The paper discusses the tradition related to the cult of deceased that is described in the Nart saga of the Northwest Caucasian peoples (Circassians and Balkan-Karachais) and is attested in Circasian ritual practice of the 15th c. which depicts the young girl's defloration on the tomb of a newly died person. The ritual that accompanied by such a public sexual act is not attested in the Caucasian peoples if not taking into account the sexual scenes performed in different spring customary performances (but not on the grave).

Transformed type of Circassian ritual sex is erotic games (imitating the sexual act, etc.) at deceased, which was one of elements of the complex of Georgian and Western Ukrainian burial traditions. Analogy of the erotic games is Christmas and Shrovetide carnival marches which are intended to increase fertility.

Based on the above data, the paper analyzes the interrelated problems of death and Eros (sex), myth and ritual.

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

ქართველთა და ოსთა მატერიალური კულტურა (ურთიერთშედარებითი ასპექტი)

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეთნიკური თვალსაზრისით მრავალფეროვანი რეგიონია. იგი მუდმივად მოგზაურების, ისტორიკოსების, გეოგრაფების, ბოტანიკოსების და სხვათა უურადღებას იყრიცბდა. კავკასიონის მთავარი ქედი ამ რეგიონს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად ყოფს, რომელთა მოსახლეობასაც ოდითგანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან. საუკუნეების მანძილზე, კავკასიაში როგორც განსხვავებული, ისე მსგავსი ტიპისა და ფორმის საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები იქმნებოდა. მსგავსება და განსხვავება, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, რელიეფის, კლიმატური პირობებისა და სამშენებლო მასალების სფერიზით იყო გამოწვეული.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართველთა და ოსთა მატერიალური კულტურის შედარებითი შესწავლა. მანამ, სანამ უშეალოდ ამ პრობლემას შევეხებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსები ძირდებოდი კავკასიულები არ არიან. კავკასიაში მოსვლამდე ოსთა წინაპარმა ალანებმა მიგრაციის სანერძლივი გზა გაიარეს. IV საუკუნის 70-იან წლებში ისინი ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში დასახლდნენ, ხოლო მონალოლთა შემოსევების შემდეგ, დაკარგეს რა განსახლების ეს არეალი, მთიელებად იქცნენ. ადრე შუა საუკუნებში ოსები ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიაში ბალყარეთის ტერიტორიაზეც.

როდესაც ოსთა წინაპრები კავკასიაში შემოვიდნენ, ისინი ჯერ კიდევ მომთაბარეები იყვნენ, „არ ცხოვრობდნენ ქოხებში, არ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. ხორცითა და რძით იკვებებოდნენ და „კიბიტებში“ ცხოვრობდნენ, რომლებიც ხის ქერქის მოღუნები ნაჭრებით იყო გადახურული“ (თოფჩიშვილი, 2008: 2-5; გოლიაძე, 2018: 112-113).

როდესაც ოსთა წინაპრები მდ. ყუბანის ზემო წელზე და თერგის ველზე (გოილაძე, 2018: 99-110) დასახლდნენ, მათი დასახლებები გალავანშემორტყმული და დაწნული იყო; ისინი მიწით ამოვსებულ კედლებს წარმოადგენდა. გალავნის შიგნით ნაგებობებიც მსგავსი წესით უნდა ყოფილიყო აგებული. ვ. გოილაძის ვარაუდით, თუ ეს საცხოვრებლები სარმატი სირაქების მიერ იყო აგებული, მაშინ, მშენებლობის ასეთი წესი მათ ადგილობრვი მოსახლეობისგან უნდა შეეოფისებინათ. სარმატი აორსების მსგავსად, სირაქებიც თიხალესილ საცხოვრებლებს აგებდნენ. აორსებსაც თავიანთი განსახლების ადგილზე თიხალესილი კედლებიანი ნაგებობები ჰქონდათ აგებული. მიაჩნიათ რომ, ეს მოსახლეობა უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწერდა. სირაქებმაც აორსების მსგავსი დასახლება გამართეს. თუმცა, იმ დროისთვისაც მოსახლეობის უმეტესობა მაინც მომთაბარე ცხოვრებას მისდევდა. ე. ი. როგორც სირაქებს, ისე აორსებს, ციხე-ქალაქების და საცხოვრებელი ნაგებობის მშენებლობის მსგავსი ტექნიკა ჰქონდათ – ისინი თიხალესილ კედლებიან სახლებს აგებდნენ, ხოლო ქალაქების გალავნები მიწით ამოვსებული წნულკედლებიანი ნაგებობები იყო, რაც საუკუნეებს ვერ უძლებდა. ამიტომ ავტორის აზრით, მდ. თერგისა და მდ. ყუმის ნაპირებზე აგებული გამაგრებული პუნქტები, ასევე მდ. ყუბანის ზემო წელზე ქვით ნაგები საცხოვრებლები, აბორიგენი მოსახლეობის შემოქმედებად უნდა მივიჩნიოთ (გოილაძე 2018: 112-113), რასაც სრულიათ ვეთანხმებით.

IX-X საუკუნეებში აღანების საზოგადოებაში მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები მოხდა. ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას მოსახლეობის ზედა ფენების ქრისტიანობისაკენ მობრუნება მოჰყვა. X საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, აიგო ტაძრები, სადაც ზოგიერთ მათგანში კედლის მხატვრობა ქართველ ოსტატების მიერ იყო შექმნილი. ლანიის დასავლეთ ტერიტორიაზე მიკვლეულია X-XIII საუკუნეების ქვის ჯვრები (ზოგი ბერძნული წარწერით). ზელენჩუკის ხეობაში 941 წლით დათარიღებული, ბერძნული ასოე-

ბით შესრულებული ალანური წარწერა აღმოჩნდა. სავარაუდოდ, იმ დროს, დასავლეთ ოსეთში ბერძნული ანბანი უნდა დამკვიდრებულიყო (გოილაძე 2018: 142-143).

მეცნიერები ვარაუდობდენ, რომ VIII-X საუკუნეებში ალანებს დაბლობთან ერთად მდ. ყუბანის ტერიტორიებიც ეკავათ. სამხრეთის საზღვარი უშუალოდ კავკასიონის ქედს ეკვრდა. ის ადგილები, რომლებიც ალანებს საცხოვრებლად და მეურნეობისათვის ეკავათ, ბუნებრივი პირობებით მდიდარი იყო. სწორედ ამგვარმა სამურნებო და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ალანების სწრაფ დაწინაურებას შეუწყობელი (ანჩაბაძე 1969: 42).

ქართულ წყაროებში ალანებს, „ოვსებად“ მოიხსენიებდნენ, რუსულ წყაროებში „ასებად“ და „იასებად“. სომები გეოგრაფი ალანებში ორ ტომს გამოყოფდა: „აშდიგორელებს“ ანუ „დიგორებს“ და ალანებს. ქრისტიანობა უკვე IX საუკუნეში ვრცელდება ალანებში, თუმცა, მოგვიანებით, საქართველოსთან ურთიერთობის შედეგად ქრისტიანობის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო იზრდება.

ახალ ლიტერატურასა და წყაროებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, მომთაბარე მოსახლეობამ ჩრდილოეთ კავკასიაში დაბინავების შემდეგ, მკვიდრი კავკასიელი მაცხოვერებლების გამოცდილება გაიზიარა და ლოკალური მაცერიარელი კულტურა ადგილად აითვისა, თუმცა მასში თავისი წვლილიც შეიტანა.

ოსი მეცნიერები თანამედროვე მთიანი ოსეთის სოფლებში გორებზე მიმოფანტულ მაცერიალურ ძეგლებზე – „ადგილობრივ ნეკროპოლზე“ ამახვილებენ ყურადღებას; მათი აზრით ეს ძეგლები ოსების შემოქმედება უნდა იყოს. XX საუკუნის დასაწყისში ეს აკლდამები ოსმა ეთნოლოგმა [Кокиев, 1928] აღწერა. მისი გადმოცემით, გორაკებზე შეფენილი ეს აკლდამები დროთა ვითარებაში დაზიანებულა. ამ აკლდამების დათარიღების მცდელობა ვ. მილერს, უვაროვას, სოსიექს და ბაიერნის ჰქონდათ. თითოეულმა მათგანმა ისინი სხვადასხვა პერიოდით დაათარიღა. ვ. მილერმა – XII-XIII საუკეუნეებით; უვაროვამ ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეებით; სოსიექს XV საუკეუნეების ძეგლად ჩათვალა და აღნიშნა, რომ ყარაჩაელები ამ აკლდამებს თავიანთ

საკუთრებად თვლიდნენ; თუმცა, მეცნიერმა ეს საქვოდ მიიჩნია, ვინაიდან, ყარაჩაელებს ეს ძეგლები არაფრად უდირდათ და არ აფასებდნენ; ბაიერნი კი თვლიდა, რომ სოფ. ლაცის, ყობანის, დარგავსის და სხვ. აკლდამები მის მიერ მცხეთის რაიონში გამოკვლეული აკლდამების ანალოგიური იყო და ძეგლი წელთაღრიცხვის I საუკუნით ათარიდებდა. გ. კოკიევი, რომელიც სოსიევის გარდა არცერთ მათგანს არ ეთანხმებოდა, წერდა, რომ ეს შეხედულება მეთოდოლოგიურად მცდარი იყო და ხარვეზად მიაჩნდა ინვენტარის დათარილების პრინციპი და ადგილობრივი პირობების იგნორირება. აკლდამებს იგი სამ დიდი ჯგუფად ჰყოფდა (მიწისზედა, ნახვრადმიწისქვეშა და მიწისქვეშა), რომლებიც მკაფიოდ განირჩეოდა ერთიმეორისაგან არამარტო ფორმით, არამედ წარმოშობის დროითაც (Кокиев 1928: 62).

გ. კოკიევი თვლიდა, რომ ეს აკლდამები ოსური უძველესი საბრძოლო კოშკებისა და ძველი ეკლესიების მშენებლობის პერიოდის უნდა ყოფილიყო, რომლებსაც ჩეჩეთისა და ინგუშეთის საბრძოლო კოშკებს და ძველ საეკლესიო ნაგებობებს ადარებდა. იგი ფიქრობდა, რომ აკლდამების არქიტექტურულ ფორმებზე და ტექნიკაზე გავლენა უნდა მოეხდინა საბრძოლო კოშკებსა და ძველ ეკლესიებს. მართალია, მიწისქვეშა და მიწისზედა აკლდამები ბაიერნს უპერ დათარილებული ჰქონდა, მაგრამ გ. კოკიევმა ლაცში, ძევგისსა და ყობანში გავრცელებული ნახვრადმიწისქვეშა და მიწისქვეშა აკლდამები ლეგენდარულ „ცარციათის“ ხალხს მიეკუთვნა (Кокиев 1928: 64).

პირამიდული ტიპის კოშკურ აკლდამებს, საფეხურებიანი გადახურვით გ. კოკიევი XIV საუკუნით ათარიდებდა. ამ კოშკების მშენებლობას იგი ყაბარდოელებთან აკავშირებდა. მონდოლების შემდგომ ჩრდილო კავკასიის დაბლობიდან ოსები, მისი აზრით, ყაბარდოელებმა გამოაძევეს და შედევნეს მთის ხეობებში. აი, რას წერდა იგი ამის თაობაზე: ყაბარდოელმა თავადებმა ოსები თავის მოხარკედ გამოაცხადეს და მათი დამორჩილება მოინდომეს. ყაბარდოელები ოსების ხეობებში დამსჯელ რაზმებს აგზავნიდნენ. მათ ოსები წინააღმდეგობას უწევდნენ. ამის შედეგად, გ. კოკიევის ვარაუდით, ოსებმა XIV საუკუნეში საბრძოლო კოშკები

სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე ააშენეს, ინგუშების დახმარებით. ამავე დროს, ასევე ინგუშების დახმარებით, უნდა აშენებულიყო აკლდამებიც, რომლებიც გარეგნულად საბრძოლო კოშკების მხგავსი იყო (Кокиев 1928: 65).

ცალკე განიხილავს იგი ნუზალის, გალიათის და ძევგისის მოგრძო პირამიდული ტიპის აკლდამებს, ორფერდა გლუვი სახურავით. გ. კოკიევი ამ აკლდამებსა და ხეობებში არსებულ უძველეს ეკლესიებს შორის გენეტიკურ კავშირს ხედავდა და ფიქრობდა, რომ ისინი ეკლესიის მშენებლობასთან ერთად უნდა გაჩენილიყო (კოკიევი 1929: 65-66). მას მხედველობაში ჰქონდა: 1. უძველესი ქართული ეკლესია თხაბა-ერდი ინგუშეთში, 2. ნუზალის წმ. გიორგის ეკლესია, 3. ძევგისის წმ. გიორგის ეკლესია და, ბოლოს, 4. გალიათის იუსი ძუარ ანუ ავდ-ძუარ, რომელსაც დ. ბაქრაძე IX საუკუნის დასაწყისით (830 წ.) ათარიღებდა. რაც შეეხება პფაფს, იგი მათ ოსური ხალხური გადმოცემების მიხედვით XII საუკუნით ათარიღებდა. გ. კოკიევი ამ ეკლესიებს თამარის მეფობის ხანაში აშენებულად თვლიდა, იგი მოგრძო ფორმის აკლდამებსაც XII-XIII საუკუნეებით ათარიღებდა. საბოლოოდ მისი დასკვნა ასეთი იყო: 1. მთიან ოსეთში მიწისქეშა და ნახევრადმიწისქეშა ტიპის აკლდამური ნაგებობები რსების წინაპრებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ისინი თვით ოსების ან მათი შეკვეთით ინგუშების მიერ შენდებოდა, რომლებიც განთქმული იყვნენ მხგავსი ქვის ნაგებობების შენებით; 2. აკლდამური ნაგებობების მშენებლობა მცირემიწიანობით და მიცვალებულის კულტიდან გამომიღინარე (არ შეიძლებოდა მიწაში დასაფლავება) იყო გამოწვეული; 3. ადგილობრივი მოსახლეობის აკლდამებს რსები და იქ ჩასახლებული ნოღაელები საუკუნეების მანძილზე იყენებდნენ; 4. ეს აკლდამები ძირითადად ოსებს ეკუთვნოდათ, მაგრამ პარალელურად ნოღაელებიც ხმარობდნენ, მით უმეტეს კოშკური ტიპის აკლდამებს; 5. აკლდამური ნაგებობების კულტურა არა ჩრდილოეთში, არამედ სამხრეთში წარმოიშვა.

გ. კოვალევსკაიას აზრით კი, მის მიერ ზმეისკოეს ნასახლარების გათხრამ შესანიშნავი მასალა მისცა არქოლოგებს: სწორედ ზმეისკოეში გამომჟღავნდა პირველად

ალანთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნიმუშები. ვ. კოვალევსკაია თვლიდა, რომ ძველი ყობანური და-სახლება ჩვენს ერამდე I ათასწლეულის დასასრულს მიუკუთვნება, როდესაც მისი ვარაუდით, კავკასიაში ირანულენოვანი ტომები შემოჭრილან (Ковалевская, 1934). აქ ისმის კითხვა: იყვნენ კი ალანები ამ ძეგლების შემქმნელები? ზემოთქმული ეჭვს იწვევს, რადგან ასალ თეორიებზე დაწრნობით, ჩვენ ვიზიარებთ, რომ ეს ინდივიდუალური და გვაროვნული სამარხები მკვიდრი კავკასიელების მატერიალური ძეგლებია და ისინი უძველეს დროში სწორედ ამ ხეობებში კავკასიის მკვიდრმა, თუმცა მოსახლეობის წინარე ავტოქტონმა ხალხმა შექმნა. დამხვდური მოსახლეობა მოსულს უნდა შერწყმოდა.

ვ. კოვალევსკაიას მოსაზრებით, ძველყობანური დასახლება – პირველყოფილი კულტურის ძეგლი იყო და დასახლებას მოელი გორაკი ეკავა. გორაკის ფერდობები თავდაცვისთვის გამოიყენებოდა. გორაკზე დაფიქსირდა მიწისზედა მცირე ნაგებობები, საცხოვრებლები, რომელთაც ქვის ფუნდამენტი ჰქონდათ. კედლები წარმოადგენდა ტოტებით მოწნულ საშუალო ზომის ძელებს, რომელიც გარედან და შიგნიდან თიხით იყო გალესილი. ერთ-ერთი საცხოვრებლის იატაკში აღმოჩნდა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც თიხით იყო ამოლესილი და შიგ ნაცარი იყო ჩარჩენილი. როგორც ჩანს, იგი კერა იყო. მიწური ნაგებობის იატაკი თიხით იყო გალესილი, ზოგან კი მდინარის კნებით მოკირწყლული (Ковалевская 1984: 10,11,17,74). მოსახლეობა გამაგრებულ ადგილებს, მზით განათებულ გორაკებს, წყალთან ახლოს მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგ და ადგილობრივი მესაქონლეობისათვის კარგ საძოვრიან მდებარეობას ირჩევდა. დასახლებებში დიდი ქვებით, მშრალად ნაშენი მიწისზედა (სივრცით 80-100 კვ. მ.) საცხოვრებელი ნაგებობები იდგა. კედლები ძელებით იყო გამაგრებული, ცენტრალური გამაგრებული ძელები დრმად იყო მიწაში ჩაფლული და ორფერდა ლელქაშიან სახურავს ამაგრებდა. როგორც ჩანს, კედლები შიგნიდან თხელი ფიცრებით ითარებოდა. კედლების ძირი მუხის მორების ნაპობებით იყო დაფარული, იატაკი მიწის იყო და კარგად დატკეპნილი, ზოგჯერ თიხით

შელესილი. ეზო მრავალი სამეურნეო კერით და ორმოებით იყო მოფენილი. ასეთი საცხოვრებლები ყუმისა და ყუბანის აუზში იქნა აღმოჩენილი. საცხოვრებლების სამშენებლო მასალად ქვა იყო გამოყენებული როგორც ხსნარით (კირის), ისე მშრალი წყობით (Ковалевская 1984: 58-59).

თავისთავად ცხადია, გ. კოპიევისა და ვ. კოვალევსკაიას მიერ თანამედროვე მთიანი ოსეთის ხეობებში მოპოვებული, შესწავლილი და გამოქვეყნებული მასალა და ნაშრომები მეცნიერებისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ის იწვევს ეჭვს, რომ მატერიალური კულტურა „ადგილობრივი ნეკროპოლი“, განათხარი აკლდამები და საცხოვრებელი ნაგებობები ისეთი კომპეტენტური სპეციალისტების მიერ იქნა დათარიღებული (უვაროვა, კოვალევსკაია), რომ ეჭვის შეტანა მასში ძნელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით, ეს მატერიალური კულტურა მკვიდრი, აბორიგენი ხალხის შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

XI საუკუნიდან ჩრდილო კავკასია აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანების გზაჯვარედინი ხდება. ასეთ პირობებში, ცხადია, ალანთა სამეფო (ანუ, ქართული წყაროებით, ოვსური სამეფო), უკვე ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიაში. მართალია, ადრეფეოდალური, თუმცა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციო. მათ სათავეში მეტე ედგა, შემდეგ მოსდევვნენ „მთავრები“ და თავადები. ქონდათ სატახტო ქალაქი, ციხესიმაგრეები, ჰყავდათ ჯარი და სამხედრო აღმინისტრაცია.

ალანების მშვიდობიან ცხოვრებას და წინსვლას, როგორც ზემოთ აღინიშნა, თათარ-მონღოლთა შემოსევებმა მოუღო ბოლო. 1222 წელს მონღოლები ჩრდილო კავკასიას შემოესივნენ და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა 1239 წ. იგი დაიპყრეს. მართალია, მონღოლებმა ალანთა მხოლოდ ნაწილი დაიმორჩილეს, XIV საუკუნეში ალანთა ტერიტორიაზე მონღოლთა 10 ათასიანი ლაშქარი იდგა. მონღოლებმა ალანები გადასახადებით დაბეგრეს და საკუთარ ლაშქრობებშიც მონაწლეობას აიძულებდნენ. 1263 წ. ბექა ყაენი – ოქროს ურდოს წარმომადგენელი – ალანებს უკიდურესად ავიწროვებდა. 1277 წ. მონღოლებმა ალანებს ალყა

შემოარტყებს და მათი ქალაქი ცეცხლს მისცეს. ამაში მონ-დოლებს რუსი მთავრებიც ეხმარებოდნენ. უთანასწორო ბრძოლაში ძალიან ბევრი ალანი გაწყვიტეს. ალანთაგან თუ ვინმე ცოცხალი დარჩა, აქეთ-იქეთ გაიფანტა. 1395 და 1400 წლებში თემურ-ლენგმა ალანები გაანადგურა. ცხადია, ალანთა სახელმწიფო დაეცა. ალანთაგან ვინც ცოცხალი გა-დარჩა, ცენტრალურ კავკასიაში, მნელად მისადგომ ოთხ მთიან ხეობაში გაიხიზნა და მათთან ერთად ბევრი სხვა ჩრდილო კავკასიელი (ანჩაბაძე 1969: 85-92). ალანების ნაც-ხოვრებ ველის რაიონებში შემდგომში თანდათან ყაბარდო-ელები დასახლდნენ.

ალანები, მონცოლებმა მთის ხეობებში – თაგაურში, ქურთათში, ალაგირსა და დიგორში შეკეტეს. თუმცა, როგორც ცნობილია, დიგორში ალანების კავკასიაში შემოსახულების (IV ს. 70-იანი წ.) შემდეგ უკავი იყვნენ დასახლებულნი. მოსული და დამხვდეური მოსახლეობის ასიმილაციის შედეგად ამ რეგიონში, თანამედროვე ოსები ჩამოყალიბდნენ. ამდენად, როგორც ლიტერატურიდან ჩანს, ამ ხეობებში ოთხი საზოგადოება ჩამოყალიბდა. თუმცა, ისინი ერთმანეთი-საგან იზოლირებულ ცხოვრებას ეწეოდნენ. აქედან გამომდინარე, მათ საერთო ეთნიკური სახელი ბოლო დრომდე არ ჰქონიათ. თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის მოსახლეობა, რადგან ირონულ დიალექტზე მეტყველებდა, მათ „ირონ“ ეწოდებოდათ, ხოლო დიგორის ხეობაში მცხოვრებლებს, რომლებიც დიგორულ დიალექტზე საუბრობდნენ, „დიგორელებს“ უწოდებდნენ. დიგორული დიალექტი უფრო არქაულია, ვიდრე ირონული. რაც შეეხება, მათ საერთო დასახელებას – ოსი – იგი გვიანდელია.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპები რეგიონში ძველთაგან კლიმატური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით განისაზღვრებოდა. ასევე დიდი მნიშვნელობა ადგილზე არსებულ საშენ მასალას ენიჭებოდა (ქვა, ხე-ტყე), რაც დასახლების, როგორც ფორმაზე, ისე ტიპზე ახდენდა გავლენას.

როდესაც XIV-XV საუკუნეებში ალანები ამ ხეობებში მოხვდნენ, მათ იქ ქვის ერთოთახიანი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები დახვდათ.

ბუნებრივია, მათ მკვიდრი კავკასიელი მოსახლეობის საცხოვრებლების გამოყენება დაიწყეს. მაგრამ, მოგვიანებით, გვიან შეა საუკუნეებში, იქ კოშკური კულტურა გავრცელდა. ამჟამად, თანამედროვე ოსების მაღალმთიან ხეობებში, ერთ კომპლექსში მოქცეულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, ვერტიკალური განლაგება და მასთან ერთად სართულიანობა ახასიათებს. ამ დროიდან მათი ყურადღება მეცხოველეობაზე იქნა გადატანილი, ამიტომ ისინი საძოვრებისა და მინდვრების ახლოს სახლობდნენ. თავდაცვის მიზნით ისინი ხეობათ უფრო ძნელად მისავალ ადგილებში სახლდებოდნენ. ოსები მიწათმოქმედებითაც იყვნენ დაკავებულინი, მაგრამ სახნავები მცირე ზომის პქონდათ. ოსებში შეიქმნა მთური ტიპის საცხოვრებელი. მას როგორც სოციალური და სამეურნეო, ისე თავდაცვითი ფუნქციები გააჩნდა.

მ. ყიფიანი წერდა, რომ ოსურ გვარებს შორის ხშირი იყო დაპირისპირებები და ოსები თარეშობით ცდილობდნენ უკეთესი ადგილისა და ნაგებობების დაპატრონებას. იმისათვის, რომ მაღალმთიან ადგილებში საცხოვრებლები გაემართათ, მათ ამისათვის უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდებოდათ. „უნდა გაგიკვირდეთ აქაური მოსახლეობის დასახლების სიმაღლე და მშენებლობა. მათი სოფლები შორიდან არწივის ბუდეებს მოგაგონებო“ (Кипиани 1884: 8). ცხადია, ასეთ ადგილებში მსხვილი სოფლები არ შეიქმნებოდა. ამიტომაც წერდა კოსტა ხეთაგუროვი, რომ „ასეთი პატარა სოფლები ერთ კერსტზედ თითქმის ათველია“ (Хетагуров 1960: 314).

კ. ხეთაგუროვმა დიგორის ხეობაში დასახლების ოსური ტიპი და ფორმა აღწერა. მისი ვარაუდით, ადრეულ ეტაზზე, პირველი დასახლება სოფლებში გვაროვნული იყო. ერთ მცირე სოფლებში ერთი გვარის მოსახლეობა ცხოვრობდა. ამიტომ მათი დასახელებაც გვარიდან იყო ნაწარმოები. ასე მაგ. – „აბაითი ხეუ“, ე. ი. აბაევების სოფელი, „ხესათი ხეუ“ (ხესაევების სოფელი), „ანდიათი ხეუ“ (ანდიევების სოფელი) და ა.შ. დიგორში ასეთი საგვარო სოფლები და დასახლებები გვარებით აღინიშნებოდა, მაგრამ „ხეუ“ არ ემატებოდა. მაგ, „ხაზახთე“ (ხაზახოვები), „თაუითე“ (თაუითოვები) და ა.შ. ალაგირის ხეობაში მცირე რაოდენობით

იყო საგვარო დასახლებები. მაგ. „გიორე ხეუ“ (გიორეების), „კოზატი ხეუ“ – კოზაევების, „სკესენ“ – გვარი ხეთაგურო-ვების, „თეფენ ხეუ“ - ბურნაევების და ა. შ. (Хетагуров 1960: 313). ტერმინი „ხეუ“ მათ ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული, რომელიც იგივე ხევია.

უნდა ვიყიქროთ, რომ ეს დასახლებები უფრო პატრონიმიულია – 7-დან 20 ოჯახამდე. როცა ოჯახი მრავლდებოდა, მაშინ ახალგაზრდა წევილები გამოეყოფოდნენ და ცალკე სახლდებოდნენ. იმავე გვარის, მაგრამ ამ „ახალ“ დასახლებას, ხეუს უწოდებდნენ. ასე გაჩნდა სოფლები, რომელსაც ქვემო, ზემო და შუა უწოდეს. ასეთ გამოყოფილ სოფლებში ერთი წინაპრის განაყოფები სახლობდნენ და მათ საერთო საგვარო დასახლება ჰქონდათ. გარდა ამისა, ხეობის ფარგლებში ბევრი სოფელი ყოფილა, რომლებიც ერთმანეთთან ჰქიდროდ იყვნენ ნათესაური ხაზებით დაკავშირებული.

კ. ხეთაგუროვი წერდა, რომ „ყველა ოჯახი, თავის მხარეს, პატარა ნაკვეთს ითვისებდა, დამოუკიდებლად სახლდებოდა და მრავლდებოდა. როცა ადგილი არ ჰყოფნიდათ, სოფლის განაპირა ადგილს ითვისებდნენ (Хетагуров 1960: 314).

XIX საუკუნეში ეს საგვარო თუ პატრონიმიული სოფლები უკვე რდგვევის პროცესში იყო.

პირველად თანამედროვე თხეთი ვახუშტი ბაგრატიონმა აღწერა. ეს არის XVIII ს-ის პირველი ნახევრის ცნობები. „...ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარისა და ოოვლიანის მთის მიერ... კუალად სივიწროვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნელად განვალს ცხენი ფონად, თვინიერ ჭიდისა, არამედ მცურავთაგანცა არა ძალ-იდების ცურვად. არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი, გარნა მდინარეთა კიდეთა და დელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე – სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების, გარნა ვიეთი ზიდვენ ჩერქეზის მთიდამ, და სხუანი სწვენ წიგასა. კუალად არიან ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდინარნი...“ (ქართლის ცხოვრება 1973: 635-638).

ბოლო პერიოდში ოსი მეცნიერების მიერ ხდება ამ ეთნოსის საქართველოში დასახლების ისტორიის გაყალბება. ამ გაყალბებას საფუძველი ეთნოლოგმა პ. კალოევმა ჩაუყარა. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებულია, რომ სამხრეთ კავკასიის ფერდობებზე გადმოსახლება ოსებმა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ადმინისტრაციის დასუსტების შემდეგ შეძლეს, XVI საუკუნიდან თავდაპირველად ისინი საქართველოს ერთ-ერთ უმცველეს რეგიონში – დგალეთში იჭრებიან, სადაც მათმა რიცხობრივმა სიჭარბემ დროთა ვითარებაში დვალები (ძველი ქართული მოსახლეობა) თანდათან გააოსა. ცარიზმის ადმინისტრაციამ ეს მხარე – მაშინდელი თბილისის გუბერნიის გორის მაზრას ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა (თოფჩიშვილი 2026: 9,11).

ბ. კალოევი, როგორც სხვა ოსი მეცნიერები, საცხოვრებლის განვითარებას როგორც სხვა კავკასიელებში ერთოთანიანი ნაგებობიდან იწყებს. ამ მთავარ საცხოვრებელს ხედარ ეწოდა. ხედართან ახლოს შენდებოდა საკუჭნაო და ხშირად ის ოთახებიც, რომლიც დაქორწინებულ წყვილთათვის იყო განკუთვნილი. ხედარი კერიანი იყო, რომელიც სახურავიდან ჩამოშვებულ ჯაჭვთან ერთად ოჯახის სიწმინდეს წარმოადგენდა (Калоев 1967: 189).

შეელი საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მთიელების ცხოვრებაში, იყო ციხე-სახლები (გნახ), რომელიც დიდ პატრიარქალურ ოჯახებს ეფუთვნოდა. დიდ კვადრატულ სამსართულიან ციხე-სახლებს, პირველი სართულიდან ერთი საერთო შესახლელი ჰქონდა. შიდა სართულთაშორისი ასახვლელები სწორედ აქვთან ყოფილა. ოჯახის მთელი ქონება პირველ სართულზე ინახებოდა, მეორე საცხოვრებელი, ხოლო მესამე – თავდაცვას ემსახურებოდა, ასევე გამოიყენებოდა სასტუმროდაც; სინათლე მასში სათოფურებიდან შედიოდა. ცნობილია, რომ ციხე-სახლები მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული, თუმცა, ციხე-სახლები უფრო ხშირია ინგუშეთში. აქ ის რიცხობრივად მეტი ყოფილა, რაც პ. კალოევის მტკიცებით ძირითადად ინგუშების ოსებთან

ახლო მეზობლობით აიხსნება (Калоев 1968: 130-132). თავის-თავად ცხადია, რომ ბ. კალოევის აზრით, ინგუშებს ეს კომპლექსები ვითომ ოსებისგან გადაღებული პქონიათ.

თავის დროზე, ამ არასწორ ინტერპრეტაციაზე ბ. კალოევმა, ალ. რობაქიძისაგან შენიშვნა დაიმსახურა, რომელმაც კარგად განმარტა, რომ ციხე-სახლებისა და კოშკების მსგავსი რთული კომპლექსები საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გარკვეული საფეხურის პროდუქტს წარმოადგენდა. ალ. რობაქიძემ გ. კოკიევის ციტატის მოტანით მიანიშნა, კალოევს, რომ იგი ობიექტური არ იყო. გარდა ამისა, ალ. რობაქიძე თავისი ეთნოგრაფიული მასალებით აზუსტებდა, რომ ციხე-სახლს არა პირველ სართულზე, არა-მედ შესასვლელი კარი მეორე სართულიდან პქონდა“ (Робакидзе 1968; Робакидзе, Гегечкори 1975: 20; Кокиев, 1935: 217).

ბ. კალოევი არ ითვალისწინებდა საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს კავკასიაში ინგუშებისა და ჩეჩენების ავტოქტონობის თაობაზე. როდესაც ოსები ჯერ კიდევ მომთაბარეობდნენ, ინგუშებისა და ჩეჩენების, როგორც ბინადარ მოსახლეობას, საცხოვრებელი ნაგებობები უკვე პქონდათ, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ცენტრალური კავკასიონის ხეობებში ჩასახლებული ოსები მსგავსი კომპლექსების ასაშენებლად სწორედ ინგუშებს იწვევდნენ. ეს ოსური ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება.

ბ. კალოევი მატერიალური კულტურის აღწერას და დასახლების ფორმებს, არა საკუთრივ ოსეთის აღწერით, არამედ სწორედ საქართველოში ჩასახლებული ოსების მატერიალური ძეგლებით იწყებს, რომლებიც ქართულია. ლოგორც დასახლების ფორმები ასევე საცხოვრებლები და სამეურნეო ნაგებობები, არც ერთ შემთხვევაში ოსური არ არის. იგი წერს: „დასახლება ოსებში მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა. გვიანი შუა საუკუნეებიდან მთაში (სოფელ ნუზალში, ურსდონში, ძევგისში, ხილაკში, კასრის გასასვლელში) შემონახულია სხვადასხვა კოშკები, ქრისტიანული ტაძრები – სოფ. ზრუგში, ნუზალში, ძევგისში“ და სხვა (Калоев 1967: 116).

უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, მის მიერ ზემოთ დასახელებული ტოპონიმები ქართველურია და ქართველური ენების დახმარებით იხსნება (თოფჩიშვილი 2011: 56-79), მეორე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სოფლებში არსებული მატერიალური ძეგლები ეჭვს არ იწვევს, რომ ქართული წარმოშობა ქართული წარწერებითაც დასტურდება. აქედან გამომიდინარე ბ. კალოევის ნააზრევი, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია.

ბ. კალოევის აზრით, ციხე (გალუარ) დიდი საოჯახო თემის და ოსი ფეოდალების საკუთრებაში ყოფილა, რომელშიაც ციხე-სახლი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, საბრძოლო კოშკები შედიოდა. ყველაფერ ამას გარშემო ქვის კედელი ჰქონდა შემოვლებული. გალუანმა შედარებით ფართო გავრცელება ოსეთის ცენტრალურ ნაწილში მიიღო, რაც ბ.კალოევის აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი აქ უფრო ადრე გაჩნდნენ. მაგრამ კოშკები (მასივ) მთელს ოსეთში დიდი რაოდენობით გვხვდება. კოშკებს XVIII საუკუნეშიც აშენებდნენ, რაც „სატომთაშორისო“ და საგვარო ბრძოლის იქნ გამოწვეული (კალოევი 1967: 130-132).

ა. მაგრმეტოვი თველის, რომ ოსეთის მთიანეთი ძველად შეჯგუფული დასახლებით გამოირჩეოდა. სახლები ერთმანეთთან იმდენად ახლოს ყოფილა, რომ იარუსებს ქმნიდა. ქვემო სართულის სახურავი ზემოთ მაცხოვრებლებისათვის ეზოს მოვალეობას ასრულებდა. სახლებს შორის მხოლოდ მიხვეულ-მოხვეული ვიწრო გასასვლელები ჰქონიათ, რომლებიც ხშირად ჩიხით მთავრდებოდა. ამ გასასვლელში ადამიანი ფეხით ან ცხენოსანი თუ გაივლიდა. ყველაზე გავრცელებული საცხოვრებელის ტიპი ორსართულიანი ქვის სახლი იყო, რომლის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებას ასრულებდა. იგი საქონლისათვის მოიხმარებოდა. მეორე სართული ოჯახის საცხოვრებელი, ხოლო მესამე სართული (თუ ჰქონდათ) სასტუმროს წარმოადგენდა ან ხშირად იგი საკუჭნაოდ იყო გამოყენებული. შაცხოვრებლები ძირითადად დაუმუშავებელი ქვის ან კლდის ფილებისაგან, მშრალი წყობით შენდებოდა. ქვებს ან ფილებს შორის

დარჩენილი სივრცე თიხით ან უბრალო მიწით ივსებოდა. თუ საცხოვრებელი ფერდობზე კლდესთან შენდებოდა, მაშინ კლდე უკანა კედელს ქმნიდა, ხოლო გვერდით კედლებს აშენებდნენ. კედლებზე მსხვილ მორებს დებდნენ, რომელზე-დაც უფრო წვრილი მორები ეწყობოდა, მორები ლატინთ იფარებოდა, ლატანზე კი ბურბუშელასა და ფოთლებიან ნედლ ტოტებს ერიდნენ. ზემოდან თივის ფენას ადებდნენ, ხოლო ბოლოს თიხით დესავდნენ, რომელ შიაც ღორღს ურჩებდნენ. ამის შემდეგ სახურავს კარგად ტკეპნიდნენ, რომელიც აუცილებლად სწორი, მაგრამ ოდნავ დახრილი უნდა ყოფილიყო, რომ წვიმა და თოვლი სახურავზე არ გაჩერბულიყო და არც სახურავის ზედა ფენა არ ჩამოერეცხა. სწორი, კარგად დატკეპნილი ბანი სამეურნეო ეზოდ გამოიყენებოდა. იქ მრავალი სამეურნეო პროცესი (პურის ლეჭვა, მარცვლისა და მატყლის გაშრობა, ქალთა საქმეები და სხვ.) მიმდინარეობდა. კარგ ამინდში იგი დასავენებელი და გასართობი ადგილიც იყო (Магометов 1968: 246).

საცხოვრებლის იატაკი მიწის იყო და კარგად დატკეპნილი, ხოლო შიდა კედლები ნაკელნარევი თიხით ილესებოდა. კარს დაბალს უკეთებდნენ, რომელსაც ნაჯახით თლიდნენ, რკინის ანჯამებისა და საკეტების გარეშე. შარკ-მლის მაგივრად კედლებში ხვრელები იყო გაკეთებული, რომელიც სიცივეში ფიცრით ან ქვით იხურებოდა, თან თივასაც აყოლებდნენ. კედლებში ეს ნახვრებები სინათლისთვის იყო; ის ზამთრის გარდა, კართან ერთად მუდმივად გადებული იყო. სინათლის წყარო იყო საკვამლე „ერდოც“, რომელიც სახურავში კეთდებოდა. ერდოსთვის ფუტურო ხის ცილინდრული ფორმის ნაჭერი გამოიყენებოდა, რომელსაც შიგნიდან გამოწვავდნენ და მშენებლობის დროს სახურავის სიგანეზე აყოლებდნენ, იგი შემოსაზღვრული იყო, რომ წვიმა სახლში არ ჩასულიყო. ერდო ქარის მიმართულებით იყო დახრილი. მაგრამ, რადგან ქარი მიმართულებას იცვლიდა, სახურავზე მეორე ერდოც კეთდებოდა, რომელსაც ზამთარში ხმარობდნენ. ქარის მიმართულებით დახრილ ერდოს, ზამთარში ქვის ფილით ხურავდნენ. ხშირად ორსართულიან სახლს ფასადის მხრიდან ჩარდასს უკეთებდნენ, რომელიც ბოძებს ეყრდნობოდა. ხით მდიდარ ხეობებში ხის

მრგვალ სახლებსაც აშენებდნენ, ორფერდა ან ოთხფერდა სახურავით. ასეთი ტიპის ნაგებობები ცეისის და დიგორის ხეობაში გვხვდებოდა. ამ ხეობებში წნული სახლებიც შენდებოდა, (Магометов 1968: 146-147).

ა. მაგომეტოვის მიერ დაწვრილებითაა აღწერილი და-სახლების შეკვეთული ფორმა, საცხოვრებლის ტიპი, – ის რომ ერთი ნაგებობა, სადაც სახლის ბაზი ზემოთ მაცხოვ-რებლებისათვის ეზოს მოვალეობას ასრულებდა – კავკასი-ის მთიანეთის ყველა ხალხისათვის იყო დამახასიათებელი (ბახია 2017).

ზემოთ აღწერილი რამდენიმე სართულიანი ქვის სახ-ლები, ჩრდილო კავკასიაში შემოსული ოსების წინაპრებს უნდა დახვედროდათ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თავდა-პირველად ეს უნდა ყოფილიყო ერთოთახიანი, ერთსართუ-ლიანი ხის სახლი, რომლის კვალი თანამედროვე ყოფაში არ დარჩენილა. წყაროებიდან ჩანს, რომ დასავლეთ ჩეჩნეთ-ში იგი წნული ან ალიზის აგურისაგან უნდა ყოფილიყო გაკეთებელი. ამავე დროს, ჩეჩნეთის ჩანთისა და შარო-არგ-უნის რაიონში უკვე ქვის ორსართულიანი სახლები იყო გავრცელებული (Магометов 1968: 44-45). მოგვიანებით ხის სახლი ქვის ორსართულიანმა და სამსართულიანმა საცხოვ-რებელმა შეცვალა. პირველი სართული ჩვეულებრივ სამეუ-რნეოდ, ხოლო ზემოთა, საცხოვრებლად გამოიყენებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ინგუშეთსა და ჩეჩნეთში ოთ-ხი განსხვავებული საცხოვრებელი კომპლექსი იყო შექმნი-ლი – ერთსართულიანი ხის, ორსართულიანი ქვის, კირხ-სნარის გამოყენებით, სამი და მეტ სართულიანი საცხოვრე-ბლები და საბრძოლო და თავდაცვითი კოშკები (Магометов 1968: 96-98; ქალდაბი 1990: 96-90; გოლძტეინ 1973: 208). ხსე-ნებული მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თავდაცვითი და საბ-რძოლო კოშკები, საცხოვრებელ კოშკთან შედარებით უფ-რო გვიანი წარმოშობის უნდა ყოფილიყო, რაც საამშენე-ბლო ტექნიკას და მშენებლობის თავისებურებებსაც ეტყო-ბა. როგორც დავინახეთ, სანამ ოსების წინაპრები ამ რეგიო-ნში ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ ნაწილში დასახლდებოდ-ნენ იქ უკვე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების

შენების ტრადიცია არსებობდა. ამდენად, სავარაუდოა, რომ მათ ეს პრაქტიკა გაითავისეს. რაც შეეხება, მთა ოსეთში გვიან შუა საუკუნეებში ჩასახლების დროს, მათ იქ მკვიდრი კავკასიელი მოსახლეობა უნდა დახვედროდა, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან შესაბამისი საცხოვრებლებით. გარდა ამისა, რამდენიმე ხნით ადრე, მათ ჩასახლებამდე ეპიდემიის გავრცელების გამო მოსახლეობა ამ ხეობებში შედარებით შემცირებული იყო.

დასახლების ერთეული, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, წარმოადგენს გარკვეულ ერთობლიობას, რომელსაც მოსახლეობის ძირითადი ბირთვის ეთნიკური ერთგვაროვნება ახასიათებს. ეს ეთნიკური ერთგვაროვნება და საურთო ენა, სამეურნეო ინტერესების თანხვედრილობას, ტერიტორიის ერთიანობის, კოლექტიური დაცვის აუცილებლობას მოითხოვს. ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მოსახლეობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობის მახასიათებელი გარკვეული ერთობლიობა, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ეკონომიკაში, ასევე იდეოლოგიის ზოგ სფეროში (Робакицзе 1958: 52).

ცენტრლური კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, ჩრდილოეთსა და სამხრეთში ტრადიციული საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი „ქოშკური ჯულტურა“ ტიპოლოგიურად მსგავსია. თანამედროვე ოსეთი მთებშია მოქცეული, ამიტომ ბუნებრივია, მთის ტიპის დასახლება სიმჭიდროვით, შეჯაზულობით გამოიჩინა, ეს მაგომეტოვის ნაშრომიდანაც კარგად გამოჩნდა – საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ვერტიკალურ ჭრილში, ერთ კომპლექსშია მოქცეული და მრავალსართულიანია. სამოსახლო ადგილის შერჩევისას, ხალხური წესების დაცვა აუცილებელი პირობა იყო, მთელი კავკასიის ფარგლებში, ყველა რეგიონს საკუთარი წესი ჰქონდა. ნაგებობებისათვის ადგილის შერჩევის დროს ყველა მნიშვნელოვან ბუნებრივ მოვლენას ითვალისწინებდნენ... აუცილებელად ანგარიშგასაწევი იყო მტრისაგან თავდაცვის საკითხი; სასმელი წელის არსებობა; შესაძლებლობის ფარგლებში სახნავი მიწის ასლო მდებარეობა.

ა. ქალდანის ვარაუდით, XVI-XVII საუკუნეებში, როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხებში, ისე ქართველ მთიულებში (სამხრეთ კავკასიაში) კოშკური საცხოვრებლები საკმაოდ ძნელად მისადგომ აღილებში, ერთიერთმანეთის გვერდი-გვერდ ჭიდროდ იყო განაშენიანებული, რაც თავდაცვით ფუნქციებს კარგად ასრულებდა. მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩეჩენებსა და ინგუშებში, ოსებში, ისე ქართველ მთიულებში (თუშეთში, ხევსურეთში, მთიულეთში, ხევში, სვანეთში), როდესაც ცალკეული ოჯახების ეკონომიკური მდგრმარეობა გაუმჯობესდა, მაშინ საცხოვრებელი კოშკების დამოუკიდებელი ტიპი გაჩნდა. აქ მისი აზრით, საბრძოლო და კოშკური საცხოვრებელი ერთმანეთს ორგანულად შეერწყა. ასეთ შემთხვევაში კოშკი თავდაცვას, ხოლო კოშკურის საცხოვრებელი საცხოვრებლისა და სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენებოდა (ქალდანი 1990: 175-179).

ა. ქალდანის აზრით, ცენტრალური კავკასიონის მთიულთა კოშკური კულტურა ხალხური მატერიალური კულტურის ძირითადი ფონდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა (ქალდანი 1990: 8).

ა. ქალდანის მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთის, ხევის, სვანეთის), ჩეჩენეთის, ინგუშეთის და ოსეთის კოშკური საცხოვრებლები. ნაშრომში ყველა დასახელებული რეგიონიდან მოძიებული მასალების ფონზე ნაჩვენებია ნებისმიერი კოშკური კულტურის ტიპისათვის დამასხასიათებელი ფუნქციები, კონსტრუქციები და გამომსახველობითი ფორმების ერთიანობა, შინაგანი სივრცის ორგანიზაცია, რომელიც ნაკარნახევი იყო მთიულთა სამეურნეო-კულტურული თავისებურებით.

ცენტრალური კავკასიონის მთიულთა კოშკური კულტურის შესწავლაში ა. ქალდანს საშუალება მისცა შემდეგი დასკვნები გაეკეთებინა: ა) საკვლევი რეგიონის ტრადიციული სამშენებლო ხელოვნება განსხვავებული ამოცანების ფართო წრეს მოიცავდა, რომელთაც ეკონომიკური, სოციალური, მაგიურ-სიმბოლური, ტექნიკური და მხატვრული ხასიათი გააჩნდა. მათი გადაწყვეტა ურთიერთკავშირსა და

ურთიერთგანპირობებულობაში ხდებოდა, რის გამოც ხალხური მშენებლის ნაზრევის რეალიზაციაში ოპტიმალურადაა შერწყმული უტილიტარული და ესთეტიკური მხარე.

ბ) კოშკური კულტურის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პროცესში ცენტრალურ კავკასიონზე სამი ძირითადი ტიპი გამოავლინა: პირველი კოშკურის საცხოვრებელია, რომელშიაც საცხოვრებელი, სამეურნეო და დაცვითი ფუნქციების მატარებელი სათავსოები, ვერტიკალურ ჭრილშია განლაგებული. საცხოვრებელის ამ ტიპში ყველაფერი თავდაცვითი ფუნქციისადმია დაქვემდებარებული. ეს აშკარად ჩანს, როგორც სათავსების განლაგებაში, ისე ცალკეული ელემენტების (კარი, სარკმელი, სართულების დამაკავშირებელი საძრომელი, სათოფურები, სალოდე და სხვ.) აგებულებაში, ზომებსა და ფორმებში.

გ) საკვლევ რეგიონში დასახლების ისეთი ტიპი იყო გავრცელებეული, რომელიც ძნელისადგომ ადგილზე ერთმანეთზე მჭიდროდ მიღებული კოშკური საცხოვრებლებითაა განაშენიანებული. ასეთი ციხე-სოფელი კარგად პასუხმდა მის ხელშეუხლებლობას და თავდაცვის მტკიცე გარანტიას იძლეოდა; შემდგომ პერიოდში, როდესაც ცალკეული ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა იწყებს გაუმჯობესებას, ყალიბდება საცხოვრებლის დამოუკიდებელი ტიპი, რომელიც თავდაპირველად ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული საბრძოლო კოშკისა და საცხოვრებლისგან შედგებოდა. კოშკი თავდაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს ემსახურებოდა, ხოლო კოშკური საცხოვრებელი ძირითადად საცხოვრებელ-სამეურნეო მიზნებით გამოიყენდა; ბოლო სართულმა კი თანდათან თავისი დანიშნულება დაკარგა.

დ) კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საწყის ეტაპზე საერთო-სასოფლო დაცვის ფუნქციას პასუხმდა. შემდგომ იგი ერთმანეთს საერთო-სასოფლო და ოჯახის ინდივიდუალური დაცვის ფუნქციებს ერთმანეთს უთავსებდა. XVII საუკუნიდან ეს კომპლექსი ძირითადად ოჯახის ინდივიდუალურ თავდაცვაზეა გამიზნებული.

ე) კოშგური ტიპის ნებისმიერი ტიპისათვის დამახასიათებელია ფუნქციების, კონსტრუქციებისა და გამომსახველობითი ფორმების ერთიანობა, შინაგანი სივრცის ორგანიზაცია, რომლის სტრუქტურა ნაკარნახევია შინაარსით, მთიელთა სამეურნეო-კულტურული (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ამ უკანასკნელის წამყვანი მნიშვნელობით) და საოჯახო-ყოფითი წყობის (დიდი ოჯახის და პატრონიმული ორგანიზაციის გვიანამდე შემონახულობა) თავისებურებებით. მთიელთა საზოგადოებრივ ყოფასთან დაკავშირებით განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ მაღალმოიან ზოლში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირემ აქ წარმოების დამატებითი გზების ძიება მოითხოვა. ამან საკვლევ რეგიონში მეკობრების ინსტიტუტის განვითარებას შეუწყო ხელი. მეკობრეთა რაზმები მეზობელი თემების აოხრებით საკუთარი თემის ძლიერებას და არსებობის საშუალებას ზრდიდნენ. ასეთ შემთხვევაში თემს ხელშეუვალობის მტკიცე გარანტია უნდა ჰქონოდა, რომელსაც სწორედ მისი საცხოვრებელი წარმოადგენდა.

ე) კოშგური კულტურის ცალკეული ტიპები არ წარმოადგენენ ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სტატიკურ, უცვლელ ფორმებს, რომელიც ნეიტრალური იქნებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მიმართ.

ცენტრალური კავკასიონის კულტურა ტიპოლოგიურად ერთიანია, რაც იდენტურმა ბუნებრივმა პირობებმა, ინტენსიურმა კავშირებმა და კულტურულ-ისტორიული განვითარების მსგავსმა გზებმა განაპირობა. რეგიონის ცალკეულ კუთხეებში იგი ეთნოსაციფიკური განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება, რაც ამ კუთხეებში სამშენებლო რესურსების გავრცელების არაერთგვაროვნებაზე, არქიტექტურის შინაგანი კანონზომიერების თავისებურებებზე და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მიგვანიშნებს (ქალდანი 1990: 175-181).

ლ. ჩიბიროვი მთიანი ოსეთის ძველ საცხოვრებელს, თავის მხრივ ოთხ ქვეტიპად ყოფდა: ბრტყელი სახურავითა და კერტიკალური მშენებლობით, ბრტყელი სახურავითა და პორიზონ- ტალური მშენებლობით – გალუანი და გნახი.

პირველი ქვეტიპი სამსართულიანი კომპლექსია, ხოლო მეორე – ნაგებობების ჰორიზონტალური განლაგებით. აღუანის კომპლექტში ავტორი თავდაცვით კოშკსაც გულისხმობს, რომელ შიც ცალ-ცალკეა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაწილები გამოყოფილი და რომელსაც გამაგრებული კვდლები ჰქონდა. გნახ, ავტორის აზრით, ციხე-სახლია. იგი მონუმენტური ნაგებობაა, რომელსაც საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები გააჩნდა. მესამე ტიპი დაბლობი-სათვის – ოსური წნული საცხოვრებლები, რომელიც ნედლი აღინითაა ნაშენები და ასევე მეორე – გამომწვარი აგურით. მეოთხე ტიპად ავტორი თვლის მიწიქვეშა და ნახევრადმიწისზედა საცხოვრებლებს, რომლებსაც იგი ქართულ გომურთან აიგივებს (ყინირი 1970: 95 და შედგ.).

1970-იან წლებში სრულიად ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, სხვადასხვა წყაროების მოხმობით და ლიტერატურული მასა- ლების გათვალისწინებით, აღ. რობაძიძემ და გ. გეგმეჯიორმა შეძლეს მთიანი ოსეთის დასახლების ფორმათა და საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობების, მონუმენტური „კოშკური კულტურის“, საკულტო ნაგებობების მეცნიერულად, ფუნდამენტურად შესწავლა და მასალის დათარიღება.

მთიან ოსეთში დასახლებულ მეცნიერთა მიერ საერთო კავკასიური კოშკური კულტურის ზედმიწევნიობა შესწავლამ, მათ შესაძლებლობა მისცა, ვაინახების (ჩეჩენთ-ინგუშეთის), საქართველოს (მთის) და დაღესტნის გეერდით ოსეთის ჯგუფიც გამოყოო. ამ ჯგუფების ნაგებობებს შორის განსხვავება ერთნაირ ტიპოლოგიურ ხასიათს ატარებს. მათი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტია, ის რომ მონუმენტური კომპლექსების სამშენებლო მასალა, მშენებლობის ხერხები, გარეგნული ფორმა, მოცულობა, მათი ტოპოგრაფია, პირველ რიგში გამოკვეთილ თავდაცვით ფუნქციებშია გამოხატული. რაც შეეხება შიდა დაგეგმარებას იგი დიდი ოჯახისათვის იყო განსაზღვრული, საცხოვრებელი ფართის დაუყოფლად, ტრადიციულად, მაგრამ მისი ყოველი ნაწილის ფუნქციათა მკაცრი განსაზღვრით. საერთო საცხოვრებელ კომპლექსში მნიშვნელოვანი იყო საქონლის ადგილი, რომელიც, მართალია, მიწათმოქმედებასთან შეფარდებული

იყო, მაგრამ წამყვანი როლი სწორედ მესაქონლეობას ეკის-რებოდა.

აღ. რობაქიძემ და გ. გეგეჭქორმა მთის ოსების ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირებულ თავდაცვით და საცხოვრებელ კომპლექსებში, ძირითადი ფორმები გამოყვეს: ხეძარ – საცხოვრებლის მარტივი ფორმა ყოველგვარი თავდაცვის ნაგებობების გარეშე; გნახ – საცხოვრებელი კოშკი (ხშირად მას მოიხსენიებენ, როგორც ციხე-სახლს), რომელშიაც საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები ერთიან კომპლექსშია განთავსებული, საცხოვრებელი შეწყვილებულია თავდაცვით კოშკთან, ვერტიკალურ პლანში; გალუახ – იგივე კომპლექსში, რომელსაც შემოვლებული აქვს, გარშემო გალავანი; გუდარ – საცხოვრებელი კომპლექსი ციხე-პალატის ტიპის. მთიან ოსეთში შესწავლილი და მითითებული საცხოვრებელი კომპლექსები, მეცნიერთა აზრით, გენეტიკურად, არქეოლოგიურად დადასტურებული ქვის ერთოთასიანი საცხოვრებლიდან მომდინარეობს (Робакидзе, Гегечкори 1975: 190).

საცხოვრებელი კომპლექსების უმეტეს ნაწილში თავდაცვითი ხასიათი აშკარად გამოკვეთილია. ზოგიერთ ნაგებობებში, როგორც ჩანს, უძველს დროში არსებობდა ადგილი ტყველებისათვის ე.წ. „ბალც, რაც მთა ოსეთის საზოგადოებრივ ყოფაში სამხედრო დემოკრატიულ წყობაზე მიუთითებდა (Робакидзе, Гегечкори 1975: 191).

მთა ოსების საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობები, მათი შესაბამისი ფორმა, დასახლების როული სტრუქტურა (ხიხ, ხეჭ, ქომ) თავისი ძირითადი ნიშნებით, ჩრდ. კავკასიის მთიელების და კერძოდ ჩემნების, ინგუშების, ასევე საქართველოს მთიელებთან (თუშებთან, ხევსურებთან, მოხევეებთან და მთიულებთან) ორგანულ მსგავსებას ავლენს. ოსების სამშენებლო კულტურა საერთო-კავკასიური მთის კულტურაში თავისი შესაბამისი დასახლების ფორმებით ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენდა. მთიელი ოსების საცხოვრებელი კომპლექსების და დასახლების ფორმების თვალის გადევნებით, შესაძლო იქნება იმის დანახვა, თუ ადგილობრივ ნიადაგზე როგორ ფორმირდებოდნენ ისინი და მათი კულტურის ანალოგიური ელემენტების

მსგავსება კავკასიის სხვა მთიელებთან, ლაპარაკობს კავკა-სიის ხალხთა შორის კულტურულ-ისტორიულ კავშირზე და მათ მრავალსუკუნოვან შემოქმედებით ურთიერთობაზე. ძე-მოთ აღნიშნულმა პირობებმა ერთი უმნიშვნელოვანესი ელე-მენტის ფორმირება მოახდინა – საერთოკავკასიური კულ-ტურის, რომელმაც მსოფლიოს ხუროთმოძღვრების ხალხურ საგანძურში საკუთარი ადგილი დაიკავა (Робакидзе, Гегеч-კორი 1975: 194).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, მთიანი ოსეთის რეგი-ონებში საცხოვრებლების მრავალფეროვანი ფორმების არ-სებობის მიუხედავად, ისინი, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამ-ხრეთ კავკასიის მთიანეთში გაგრცელებული მატერიალუ-რი კულტურის მსგავსი იყო. როგორც ზემოთ უკვე აღნიშ-ნული იყო, კავკასიაში დაფუძნების შემდგომ მომთაბარე ოსებმა, მკვიდრ კავკასიელ ხალხთან ისტორიულ-კულტუ-რული ურთიერთობის შედეგად ადგილობრივი მატერიალუ-რი კულტურა გაითავისებ.

დამოწმებული ლიტერატურა

ანჩაბაძე, ბოცვაძე, თოგოშვილი, ცინცაძე 1969 – ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიი ნარკვევები, თბ., 1969.

ბახია-ოქრუაშვილი 2011 – ს. ბახია-ოქრუაშვილი, დვალთა ეთნიკური ვინაობის ისტორიის საკითხები, პმპ, XIII, თბ., 2011.

ბახია-ოქრუაშვილი 2017 – ს. ბახია-ოქრუაშვილი, ქართველ-თა და ჩრდილო კავკასიელთა ეთნიკური მატერიალური კუ-ლტურა, თბ., 2017.

გამრეკელი 1958 – გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანა-ლიზისთვის, ივჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. I, 1958.

გვრიტიშვილი 1949 – დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, თბ., 1949.

გოლდაძე 2018 – ვ. გოლდაძე, ოსთა წინაპრები ძვ. VII- ახ. წ. XIV საუკუნეებში, თბ., 2018.

თოფხიშვილი 2008 – რ. თოფხიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008.

თოფხიშვილი 2011 – რ. თოფხიშვილი ონომასტიკური მონაცემები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. III, თბ., 2011, გვ. 56-79.

თოფხიშვილი 2016 – რ. თოფხიშვილი, დვალეთი და დვალები, თბ., 2016.

ქალდანი 1990 – ა. ქალდანი, ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კოშკური კულტურა, თბ., 1990.

ქვ 1973 – ქართლის ცხოვრება, V, თბ., 1973.

Гамрекели 1957 - Гамрекели В. Н. Племени двалов, მსე, ტ. IX, თბ; 1957.

Голдштейн 1973 - Голдштейн А. Башни в горах, М; 1973.

Иваненков 1920 - Иваненков Н. С. Горские чеченцы, Т. С. Владикавказ, 1920.

Калоев 1967 - Калоев Б.А. Осетины М; 1967.

Кипиани 1984 - Кипиани М. С. От Казбека до Эльбруса, Путевые заметки о нагорной полосе Тверской области, Владикавказ, 1984.

Ковалевская 1984 - Ковалевская В. Б. На холмах и горных долинах, Кавказ и аланы, Века и народы М; 1984.

Ковалевская 1934 - Ковалевская В. Б. Кавказ и аланы, М; 1934.

Кокиев 1928 - Кокиев Г. А. Склеповые сооружения горной Осетии, Владикавказ, 1928.

Кокиев 1935 - Кокиев Г. А. Боевые башни и заградительные стены горной Осетии, "Изв. ЮОНИИ" вып. II, 1935.

Крупнов 1971 - Крупнов Е. Н. Средневековая Ингушетия, М; 1971.

Магометов 1968 - Магометов А. Х. Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968.

Робакидзе 1968 - Робакидзе А. И. Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб; 1968.

Робакидзе 1968 - Робакидзе А. И. К вопросу о формах поселения в горной чечне, КЭС VI Тб; 1986.

Робакидзе, Гегечкори 1975 - Робакидзе А. И., Гегечкори Г. Г, Формы жилища и структура поселения горной Осетии, Тб; 1975.

Уварова 1900 - Уварова П. С. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М; 1900.

Чибиров 1970 – Чибиров Л. А. Осетинские народные жилище, Цхинвали, 1970.

Хетагуров 1960 – Хетагуров К. Сборник сочинений в пяти томах, том четвертый, М; 1960.

Salome Bakhia-Okruashvili

Material Culture of Georgians and Ossetians (Comparative Aspect)

Comparative study of material culture of the Georgians and Ossetians gave us the opportunity to identify the main types of dwelling : 1. A dwelling of a simple type without any fortification defensive facilities; 2. Atower house or a fortress with dwelling, household and defensive functions vertically planned in a single complex; 3. A dwelling, enclosed with walls around the household and dwelling complex with a defensive tower; 4. A dwelling complex of a castle type. Genetically all the above-mentioned complexes of a castle type archaeologically come from the flatlet stone dwellings. The material culture of the Ossetian highlanders appropriate for the forms of settlements similar to that of the Georgians and other Caucasian mountain peoples.

ვალერი ვაშაგიძე ტერმინ „კაგასიის“ წარმომავლობა და ეტიმოლოგია

ანტიკური სამყაროსა და კაგასიის ურთიერთობაში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა. პირველია, როცა ძველი ბერძნები სცდებიან თავიანთ საცხოვრისს (დაახლ. ძვ. წ. XIII საუკუნიდან), ეცნობიან ეგვეოსის ზღვის აუზს, ამყარებენ კავშირს მცირე აზიის სანაპიროსთან და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნებთან. ამ დროს კონტაქტებს „სტიქიური ხასიათი აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად ინტენსიური, რომ იგი აისახა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ“ (ყაუხჩიშვილი 1976: 11). ამას მოჰყვა დიდი ბერძნული კოლონიზაცია (ძვ. წ. VIII-VI სს.), რომელმაც შავი ზღვის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროებიც მოიცვა, რის შედეგადაც ბერძნებისა და კავკასიის ხალხების ურთიერთობამ მუდმივი ხასიათი მიიღო. მომდევნო ხანაში ბერძენ-სპარსელთა ომებმა, ალექსანდრე დიდის აზიაში ლაშქრობამ, რომის იმპერიის აღმოსავლეთისაკენ გაფართოებამ, მითრიდატე IV ევპატორის ომებმა და სხვ. გააღმავა ანტიკურ ავტორთა ცოდნა კაგასიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამის თაობაზე ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64 – ა. წ. 24 წწ.) „ბერძრაფიაში“ (1,2,1) შენიშნავს: „რომაელებისა და პართელების მმართველობამ, ალექსანდრეს ლაშქრობის მსგავსად, მრავალი რამ შემატა ჩვენს ცოდნას; როგორც ერატოსთენესი ამბობს: მან აღმოგვაჩენინა ჩვენ აზიის მეტი წილი და ევროპის მთელი ჩრდილოეთი ისტორიაში, რომაელების მთელი დასავლეთი მდინარე ალბიოსაბმე... ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ მეოტებამდე და სანაპირომდე, რომელიც კოლხებთან მთავრდება, ცნობილი გახდენენ მითრიდატეს, ევპატორად წოდებულის და მისი მხედართმთავრების წყალობით. პართელებმა კი ჩვენთვის ცნობილი გახადეს ქვეყნები, რომლებიც მდებარეობენ პირკანიასთან

და ბაქტრიანესთან და სკვითები, რომლებიც მათ ზემოთ ცხოვრობენ“ (სტრაბონი 2010: 206).

მართლაც, ძველი მსოფლიოს ისტორიაში მომხდარმა ზემოჩამოთგლილმა ეპოქალურმა მოვლენებმა განაპირობა კავკასიის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობების თავმოყრა ბერძნულ და ლათინურენოვან თხზულებებში, რომელთა უანრობრივი მრავალფეროვნება (ეპოსი. ლირიკა, დრამა, პოეზია, პროზა, საისტორიო და საგეოგრაფიო ნაშრომები და ა.შ.) მათი, როგორც წყაროს, გამოყენებისას უცილობლად გასათვალისწინებელია.

„კავკასია“ – „კანკასიი“ პირველად დამოწმებულია ესქილეს (ძვ. წ. 525/4-456/5 წწ.) თხზულებაში „მიჯაჭვული პრომოტე“. ის, რომ სსენებული ტერმინი ძველბერძნულ მწერლობაში აღნიშნული დროიდან გვხვდება, სრულიად ბუქებრივია, რადგან მას წინ უძლოდა დიდი ბერძნული კოლონიზაცია, რამაც, როგორც ითქვა, ბერძნებისა და კავკასიული ხალხების ურთიერთობაში სრულიად ახალი ეტაპი შექმნა. ესქილეს თქმით, ზღვის ხმაურიანი და კლდოვანი ნაპირის გასწვრივ „ხელმარცხნივ სახლობენ ხალიბები, რკინის დამუშავებელნი... შემდეგ მიაღწევ ზვიად მდინარეს... მას ნუ გადალახავ, რადგან მოუხერხებელია გადასასვლელად, ვიდრე არ მიაღწევ კავკასოსს, მთის ქედებს შორის ყველაზე მაღალს, სადაც მდინარე ჩამოსჩქეფს თვით მწვერვალებიდან“ (ესქილე 2010: 67).

ვიდრე ჩვენთვის საინტერესო ტერმინის წარმომავლობასა და ეტიმოლოგიას შევეხებით, უნდა აღინიშნოს, რომ ძველბერძნულ სამყაროში ცნობილი იყო მეორე, ინდოეთის „კავკასოსიც“ – ირანისაგან ინდოეთის გამმიჯნავი მთათა სისტემა (თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით – ინდი-ქუშანის მთიანეთი). ამ ფაქტს დამაჯერებლად ხსნის სტრაბონი; „გეოგრაფიაში“ (11,5,5) ნათქვამია: „შემთხველები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისაკენ – ზღვასთან, კოლხისისა ევქსენოსის ზემოთ მდებარე კავკასოსის მთებისა. სწორედ ამ მთებს იყო, რომ ელინები კავკასოსს

უწოდებდნენ და ისინი დაშორებულნი არიან ინდოეთს 30.000 სტადიონზე მეტით... უფრო სასახელო იყო ალექსან-დრესათვის ინდოეთის მთებამდე დაპყრობა აზისა, ვიდრე ევქსეინოსისა და კავკასოსის კუთხებდე, მაგრამ დიდება მთისა, მისი სახელი და ის ამბავი, რომ იასონისა და მისი ახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშ-ქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე, და ის, რომ პრო-მეთევსი გადაცემული იყო მისაჯაჭვად ქვეყნის კიდეზე, კავ-კასოსზე, ამ ამბების გამო უნდოდათ როგორმე ესიამოგნე-ბინათ მეფისათვის და გადაიტანეს მთის სახელი ინდოეთში“ (სტრაბონი 2010:231).

ბერძენი ავტორის „ზემომოტანილი ეს ცნობა ერთმნიშვ-ნელოვნად მეტყველებს, რომ ინდოეთის „კავკასოსი“ შავსა და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმული „კავკასოსის“ მიბა-ძით მოგვიანებით გაჩენილი ორონიმია. საერთოდ, ძველი ბერძნული მწერლობისათვის ერთი და იმავე სახელით სხვა-დასხვა გეოგრაფიული ადგილების, მდინარეების, სრულიად განსხვავებული წარმოშობის ხალხების და ა.შ. მოხსენიება საკმაოდ გავრცელებული და დამახასიათებელი მოვლენა იყო (ვაშაკიძე 1993:58).

ტერმინ „კავკასოს“-ის წარმომავლობითა და ეტიმოლო-გით ჯერ კიდევ ანტიკური ავტორები დაინტერესდნენ. პლუტარქოსი (აბ. წ. აღ. I-II სს.) თავის ნაწარმოებში „მდინა-რეთა, მთათა სახელწოდებებისა და იმის შესახებ, რაც მა-თში მოიპოვება“ (V,3) ორონიმ „კავკასოს“-ის გაჩენის მითო-ლოგიურ ვერსიას გვთავაზობს. ბერძენი ავტორის მიხედვით, პრომეთევსმა „ერთი ადგილობრივი მცხოვრები – მწყემსი კავკასოსი მოკლა და მისი შიგნეულობა გამოიკვლია, თქვა, რომ მტრები შორს იყვნენ. აյ მოსულმა ზევსმა მამა დაგ-რებილი მატყლით შეკრა და ქვესპნელში ჩააგდო. მთას კი მწყემსის პატივსაცემად დაარქვა კავკასოსი, მას მიაჯაჭვა პრომეთევსი და აიძულა დაეთმინა ტანჯვა“ (პლუტარქოსი 2010: 230). როგორც ვხედავთ, პლუტარქოსის აზრით, მთა სახელწოდება მიიღო ადგილობრივი მწყემსის საკუთარი სა-ხელიდან „კავკასოს“.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის უერად-სადებია გაიუს პლინიუს სეკუნდუსის (23-79) „ბუნების ის-ტორიაში“ (VI,50) დაცული ერთი ცნობა: „თავად სკვითები სპარსელებს ქორსარებს უწოდებენ, ხოლო კავკასიის (Caucasum) მთას - კროუკასის (Caucasim), ე.ი. „თოვლისაგან ქათქათას“ (გაიუს პლინიუს სეკუნდუსი 2010: 505).

ზუსტად იგივეს იმეორებს გაიუს იულიუს სოლინუსი (III ს.) თავის თხზულებაში „დირსშესანიშნავი ამბების კრებული“ (49,5). სრულიად ეჭვმიუტანლად უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სოლინუსის წყარო პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“; ამიტომ ტერმინ „კავკასიის“ (ბერძნული „კავკასოს“) ე.წ. სკვითური სახელწოდების ლათინურენოვანი ფორმა „Caucasis“, რომელიც „კავკასიის“ ერიმოლოგიის შესწავლისას არაერთი მკვლევრისათვის ამოსავალს წარმოადგენდა, პირველად სწორედ გაიუს პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაშია“ დამოწმებული.

ადსანიშნავია, რომ ტერმინი „კავკასოსი“ უცხოა კავკასიაში მცხოვრები ავტოქტონი მოსახლეობისათვის. ამაზე ირიბად მეტყველებს სტრაბონის „გეოგრაფიის“ (XI, 2,15) ერთი პასაჟი, სადაც ნათქვამია: „ხოლო ეს მთა (კავკასოსი) მდებარეობს ორივე, როგორც პონტოსის, ასევე კასპიის ზღვის ზემოთ... ერატოსთენესი ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასოსი იწოდება კასპიად, შესაძლებელია, კასპიების სახელის მიხედვით“ (სტრაბონი 2010: 222).

კავკასიის ხალხთა ენებში სახელწოდება „კავკასოსი“ ბერძნულიდან არის შესული. ეს ჯერ კიდევ პ. უსლადარმა შენიშნა. მისი თქმით, ბერძნებს რომ ამ ქედისათვის სხვაგვარი სახელი დაერქმიათ, ჩვენც ახლა მას სხვანაირად მოვიხსენიებდით იმიტომ, რომ არც თავად კავკასიელ ადგილობრივებთან, არც მათ ადმოსავლელ მეზობლებთან არ გხვდებით სახელწოდება კავკასს. მას არ იცხობს ბიბლია, ავესტა, ბუნდეგეში. ამ ორ უკანასკნელ თხზულებაში საუბარია მისტიური მთის – ალბორჯის შესახებ, რომლის მდებარეობა ირანელთა წარმოდგენაში საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა... სახელწოდება ელბორჯი/ელბრუსი გვხვდება

ქასპიის ზღვის სამხრეთითაც და კავკასიის ქედზეც, ასევე ზაგროსის ქედზე, ჰამადანთან (Услар 1881: 484-485).

სახელწოდება „კავკასოს“ დიდი ხანია იყრობს მეცნიერთა უძრავდებას. თვალში საცემია, რომ მკვლევართა უმრავლესობა, ორონიმის ძველბერძნული ფორმის (“Καύκασις”) ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციის სირთულეებიდან გამომდინარე, პლინიუს უფროსთან დაცულ ლათინურენოვან „Caucasis“-ს მიმართავს; ამ ცდუნებას კიდევ ერთი სერიოზული მიზეზიც აქვს: როგორც ზემოთ ვნახეთ, „ბუნების ისტორიაში“ პირდაპირ ნათქვამია: სკვითები უწოდებენ „კავკასიის მთას კროუკასისს, ე.ი. ოვალისაგან ქათქათას“. რადგანაც მოტანილი ცნობის მიხედვით „კროუკასის“ სკვითური სახელწოდებაა, ამ შეხედულების გამზიარებელთათვის ტერმინის გაგებისას უპირატესობა ინდოარიულ და ირანულ ეტიმოლოგიას მიენიჭა.

გ. ბროსე თვლის, რომ „კავკასია“ მომდინარეობს ირანული სიტყვიდან „კაპ-კაჭ“, რაც „დიდ მთას“ ან „მაღალ მთას“ აღნიშნავს (Brosset 1849:54). ამ მოსაზრებას არაერთი მკვლევარი იზიარებს (გამყრელიძე 1988: 36; სანაქე 2001: 70 და სხვ.).

ი. მარკვარტმა „კროუკასის“ ორი ნაწილისაგან შემდგარ სიტყვად მიიჩნია და იგი ძველირანულ ენაზე ახსნა, როგორც „ყინულივით ბრწყინვალე“ (Marquart 1922).

კ. კრეჩმერის აზრით, ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ასევე ორი კომპონენტისაგან შედგება: ერთია ძველი ბერძნული „ყინული“, მეორე კი – ძველი ინდური „ბრწყინვა“. საკუთრივ „კროუკასის“ სახელწოდება მან ინდურად ჩათვალა, ხოლო მისი მნიშვნელობა განსაზღვრა, როგორც „ყინულივით ბრწყინვალე“ (Kretschmer 1928:100).

როგორც ვხედავთ, სემანტიკურად ი. მარკვარტისა და კ. კრეჩმერის ეტიმოლოგიები იდენტურია, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი: სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინდური და ირანული ენების ახლო ნათესაობა (Откупщиков 2001: 313).

პ. ბოლენი შეეცადა „გროუკასის“ (უფრო სწორად, ამ სიტყვის პლინიუსისეული თხზულების ერთ-ერთი წაკითხვით „Graucasus“- გრაუკასუს) დაეკავშირებინა ძველინდურ „ქვასთან“, „კლდესთან“ და „ბრწყინვა-კაშკაშთან“ (Bohlen 1830:11-12).

ა. ჰუმბოლდტი „გრაუკასუს“ პირველ ნაწილს („გრაუ“) ძველინდურ სიტყვას – „მთას“ უკავშირებს (Humboldt 1843: 109).

პ. უსლარიც „გრაუკასუს“ ძველინდური ენის საფუძველზე ხსნის: მისი აზრით, ეს არის „გრავაკასა“, რაც „ბრწყინვალე კლდეებს“ შეესატყვისება (Услар 1881: 492-493).

ამ უკანასკნელ საბ შემთხვევასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ფორმა „გრაუკასუს“, რომელიც პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიის“ ერთ-ერთ ხელნაწერშია დაცული, კვლევისათვის მთლად საიმედო არ უნდა იყოს; ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სოლინუსთან, რომელიც უეჭველად პლინიუს უფროსის თხზულებით სარგებლობს, ეს სიტყვა გახვდება დაწერილობით „კროუკასის“ და არა – „გრაუკასუს“. ამიტომაც წყაროს გამოყენებისას სწორედ პირველს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და არა მეორეს, რომელიც „ბუნების ისტორიის“ ერთ-ერთ ხელნაწერშია დადასტურებული და რომლის წარმომავლობაც (გადამწერის შეცდომით, თუ სხვა რამ მიზეზით) ბუნდოვანია. რაც მთავარია, ჩვენ ხელთაა ესქილესეული „კავკასოსი“, რომელიც ამოსავალი უნდა იყოს ამ ორონიმის ეტიმოლოგიის კვლევისას. გარდა ამისა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ პ. ბოლენისა და ა. ჰუმბოლდტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებში („ქვა“-„კლდე“ თუ „მთა“ და „ბრწყინვა“// „კაშკაში“), ძველი ინდური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ორონიმში „გრაუკასუს“ სიტყვის შემაღებელი კომპონენტების თანმიმდევრობა პირიქით იქნებოდა, ე.ი. ძველინდურში მივიღებდით არა „გრავაკასას“, არამედ „კასა გრავას“ (Откупщиков 2001: 312).

ო. ტრუბაჩევი თავდაპირველად შეეცადა ირანულ ნიადაგზე აეხსნა „კავკასოს“ (Трубачев 1981: 47), მაგრამ

მოგვიანებით მან ეს მოსაზრება უარყო და ამ სიტყვის ინდოარიული ეტიმოლოგია შემოგვთავაზა; მკვლევარი იმეორებს პ. უსლარის ზემოთ მოტანილ დაკვირვებას, რომ „სახელწოდება კავკასი არ იცის არა მარტო კავკასიურმა ენობრივმა სამყარომ, არამედ მას ასევე არ იცნობს ირანული ტრადიცია – არც ზეპირი და არც წერილობითი. ეს კი ერთმნიშვნელოვანი განაჩენია სახელწოდება კავკასის ირანული (მათ შორის სკვითური) ეტიმოლოგიებისათვის“ (Трубанев 1981: 102).

ო. ტრუბაჩოვი თავისებურ კონტამინაციას ახდენს, ის იზიარებს პ. ბოლენის ეტიმოლოგიას, თუმცა – ა. პუმბოლდობის შესწორებით. მეცნიერის აზრით, ინდოარიელთა მიგრაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან აზიაში უკვალოდ არ ჩაუვლია და სწორედ მათგან მომდინარეობს სახელწოდება კავკასი. ო. ტრუბაჩოვი აღნიშნავს, რომ ინდოარიული წარმომავლობის ტერმინს „გირაუ-კასის“ (ბრწყინვალება ან ელვარება მთაზე) მოტივად დაედო კავკასიის მწვერვალების სიქათქათე, რომელიც დრმა შთაბეჭდილებას ახდენდა დაბლობზე (იგულისხმება ჩრდილო კავკასიის სტეპები – ვ. ვ.) მცხოვრებ ინდოარიელთა ცნობიერებაზე. მკვლევრის აზრით, ეს მოტივი სავსებით გასაგებია და ტოპოლოგიურადაც „უნიკალური არ არის, რადგან იმავე ინდოარიელებმა პიმალაის ხილვისას მთათა ამ სისტემასაც „პიმალაები“ (ძველინდურად „ჰემავატ“//„ჰაიმავატ“) ანუ „თოვლიანი“ უწოდეს (Трубанев 1999: 218-219).

მოტანილი მსჯელობის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქამს მ. იუიუკინი: იგი საკამათოდ არ მიიჩნევს „გრაუკასუს“-ის ამგვარი ასხის დამაჯერებლობას, მაგრამ ეჭვებეშ აყენებს ესქილეს „კავკასოსთან“ ამ სახელწოდების გენეტიკური კავშირის საკითხს. როგორც მეოთხოლოგიური, ისე ლოგიკური თვალსაზრისით, მ. იუიუკინისათვის გაუმართლებელია, რომ პრობლემის კვლევისას პირველადად მივიჩნიოთ ტერმინის ის ფორმა, რომელიც 6-7 საუკუნით გვიან იხსენიება. ამასთან დაკავშირებით ჩვენც იგივე პოზიცია გვაქვს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ კიდეც. გარდა ამისა, მ. იუიუკინი ითხოვს პასუხს კითხვაზე, აიხსნას,

თუ როგორ იძლევა ინდოარიული „გრავა-კასა“ ან „გირაუ-კასი“ სახელწოდება „კავკასოს“ (Юокин 2012: 894).

ჩვენი აზრით, მ. იუიუკინის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ანგარიშგასაწევი და გასაზიარებელია. ამიტომაც, ტერმინ „კავკასოს“ ინდოარიული და ირანული ეტიმოლოგიები ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩინია.

სამეცნიერო ლიტერატურაში „კავკასოს“ ადგილობრივი, კავკასიური ენების მეშვეობით ახსნის რამდენიმე მცდელობაა; ფიქრობენ, რომ ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა: აფხაზური „კაზკაზ“ – ელვარე/ბრწყინვალე (Гублиа 2000: 79-81), ან ქართულ, უფრო სწორად – ერთ-ერთ ქართველურ ენაში (სვანურში) დამოწმებული „ქაზ-ქალნ“ – „ოოვლიანი მთა“ (ხარაძე 2018: 242-243).

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ოვალსაზრისი მთლად ორიგინალური არ არის: მაგ., ენციკლოპედია „ბრიტანიკაში“ ვკითხულობთ, რომ სახელწოდება „კავკასია“ ძველ ბერძენ გეოგრაფის ხედით და ისტორიკოსებთან დამოწმებული „კავკასოს“-ის ლათინიზებული ფორმაა... ვარაუდობენ, რომ ის წარმოდგება „კაზ-კაზისაგან“, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხის ხეთური სახელი იყო (<http://www.britannica.com/place/Caucasus>); იგივეა ნათქვამი „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“: სიტყვის წარმომავლობა ზუსტად არ არის დადგენილი, შესაძლოა, ის უკავშირდებოდეს ხეთურ „კაზ-კაზს“ – სახელწოდებას ხალხისა, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდა (БСЭ 1973).

ზემოთ ითქვა და აქაც საჭიროდ მივიჩნევთ გავიმეოროთ, რომ როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული, სახელწოდება „კავკასოს“ სხვა (მათ შორის კავკასიურ) ენებში მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულიდან არის შესული (ბევრ შემთხვევაში ლათინურის მეშვეობით). რაც შეესება აფხაზურ „კაზკაზს“, აქ ისევ მ. იუიუკინს უნდა დავესესხოთ, რომლის სამართლიანი შენიშვნით, ამ შემთხვევაში, ასახსნელია, თუ რა მიზეზით შეიცვალა ამ სიტყვის პირველი „ზ“ „გ“-დ (Юокин 2012: 894). ამდენად, კავკასიურ ენებზე ტერმინ „კავკასოს“-ის ეტიმოლოგია პიპოთეზის დონქს არ

სცილდება და მისი მტკიცებისათვის მეტი საბუთიანობაა საჭირო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ორონიმი „კავკასოს“ ბერძნული ენის ნიადაგზე წარმოიშვა. ამ მიმართულებით გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება. ა. ვან ვინდეკენსმა „კავკასოს“ ბრუტიაში არსებული მთისა და ქალაქის სახელთან (Kókuvnicioz) განიხილა და მიიჩნია, რომ მათთვის საერთო ამოსავალია ლიტვური „კაუკასია“ (ამობურცული ადგილი, ბორცვი) და „კაუკარას“ – მწვერვალი (Windekkens 1954:32).

ჩვენი აზრით, საგვებით მართებულია ი. ოტკუპშჩიკოვის მინიშნება იმის თაობაზე, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც სახელწოდება „კავკასოს“ ეტიმოლოგიას სწავლობდა, სრულიად უგულებელყოფდა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიცაა საგვლევი პრობლემის არეალი (Откупщиков 2001: 313). მეცნიერი აღნიშნავს, რომ კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე „კავკასოს“ ამ რეგიონში ყოველმხრივ იზოლირებული ტოპონიმია და ეძებს ამ სახელწოდების სათავეებს. ბერძნული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ი. ოტკუპშჩიკოვი დაასკვნის, რომ ბერძნულ საკუთარ სახელებს შორის „კავკასოს“ საქმაოდ გავრცელებული იყო: ასე ერქვა არა მარტო კავკასიაში არსებულ მთათა სისტემას, არამედ მთებს არკადიაშიც; „კავკასოს“ იყო მდინარე ორაკიაში, ტოპონიმი – კუნძულ კეოსზე, ანთროპონიმი – კუნძულ ქიოსზე (გავიხსენოთ, რომ ამ სახელის ქონი მწყემს ახსენებს პლუტარქოსიც), ამავე კუნძულზეა ყურე, რომელსაც „კავკასა“ ჰქვია, ერთორიაში აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში იხსენიებიან „აპოლონ კავკასევსი“ და „არტემიდა კავკასიის“ და ა.შ. (Откупщиков 2001: 314).

სრულიად ცხადია, რომ ტერმინ „კავკასოს“-ის სათავეების ძიებისას მკაფიოდ იკვეთება ბალკანო-ეგეოსური არეალი, სადაც ამ სახელით (ან მისი ძირით – „კაუკას“) დამოწმებულია ორონიმები, ჰიდრონიმები, ანთროპონიმები და თეონიმები. ამიტომაც ი. ოტკუპშჩიკოვი სახელწოდება „კავკასოს“ გავრცელების თავდაპირველ ეპიცენტრად

ბალკანებსა და ეგეიდას თვლის, არაკორექტულად მიიჩნევს მისი ეტიმოლოგიის ახსნას ირანული, ინდოარიული თუ კავკასიური ენების ნიადაგზე და აღნიშნავს: „ცხადია, სახელ-წოდება „კასკასი“, სხვა საკუთარ სახელებთან ერთად, ეგეიდიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იქნა გადმოტანილი, მსგავსად იმისა, როგორც შედარებით მოგვიანო ეპოქაში ალექსანდრე მაკედონელის მეომრებმა იგივე სახელი უწოდეს პინდიკუშს (Откупщиков 2001: 314). ამგვარი მოვლენა რომ უცხო არ იყო ძველბერძნული ენობრივი სამყაროსათვის, ამაზე ზემოთ ჩვენც მივუთითებდით. საბოლოოდ, ი. ოტავაშჩიკოვის აზრით, მართებულია შეხედულება, რომლის თანახმად „კასკასი“ ინდოევროპული წარმომავლობისაა და უკავშირდება გოთურ „ჰაუს“ (მაღალი) და ლიტერუ „კავკარას“ (მწვერვალი); „კავკასოს“ ამ ტერმინის ერთადურთი სანდო ფორმაა და სწორედ ის, და არა ლათინურენოვანი „კროუპასის“ არის ამოსავალი საშუალო სპარსული „კაპ-კოფისა“ თუ კავკასიის სხვა ენებზე არსებული სახელწოდებებისათვის (Откупщиков 2001: 316-318). კვიქრობთ, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ლიტერუ „კავკარა“, რადგან, როგორც ცნობილია, ამ ენამ „ყველაზე მეტად შემოინახა ინდოევროპული არქაიზმები“ (მელიქიშვილი 1965: 239).

მ. იურეგინიც თვლის, რომ „კავკასოს“ წარმოქმნილია ბერძნული ენის საფუძველზე; იგი ორი ნაწილისაგან შედგება – „კას-კასის“ (კავ-კასოს), მისი პირველი ნაწილი არის ძირი სიტყვებისა „კავაქს“, „კავექს“ და ა. შ., რაც შეესატყვისება ზღვის თოლიების ერთ-ერთ სახეობას და ასახულია ტოპონიმებში (მაგ. „კავე“ – დასახლებული პუნქტი მისია ში) და ეთნონიმებში („კავკანუს“ – ტომი ბითვინიაში, იმავე სახელწოდების ტომი პელოპონესში). რაც შეეხება მეორე ნაწილს, ისიც ასევე დამოწმებულია ძველბერძნულ ენაში შემონახულ ტოპონიმებში (მაგ. „კასიის მთა“ თუ „კასიის მთაგრეხილი“ ქვემო ეგვიპტეში). აქედან გამომდინარე, მკვლევარი მიიჩნევს, რომ „კავკასოს“ შეიძლება აიხსნას, როგორც „თოლიების მთა“ ან „თოლიების კლდე“ (Ююкин 2012: 894-896).

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გასაზიარებელია მ. იუიუკინის „დასკვნა „კავკასოს“ წარმოშობის შესახებ ბერძნული ენის ნიადაგზე; რაც შეეხება მის მოსაზრებას ამ ორონიმის შემადგენელ ორ კომპონენტზე (პირველი მათგანი ზღვის თოლიის სახელწოდების ძირს წარმოადგენს, მეორე კი ჰქვია მთას, და ამიტომაც „კავკასოს“ შეესატყვისება „თოლიების მთას“ ან „თოლიების კლდეს“), ვფიქრობთ, იგი მეტ არგუმენტებს საჭიროებს. ამას ადასტურებს თავად მ. იუიუკინის მსჯელობაც: მეცნიერის აზრით, „კავკასოს“ მეორე ნაწილს – „კასოს“ **შესაძლოა ჰქონოდა** (ხაზგასმა ჩვენია – ვ. ვ.) მნიშვნელობები „მთა“, „კლდე“ ან „ამაღლებული ადგილი“ (Юიკინ 2012: 296). ამდენად, ვიდრე არ გაირკვევა, აღნიშნავს თუ არა „კასოს“ მთას, კლდეს ან ამაღლებულ ადგილს, მანამდე მეცნიერის ეს თვალსაზრისი ორიგინალურ ჰიპოთეზად დარჩება.

ბოლო ხანს სახელწოდება „**კაუკასიის**“ წარმომავლობასა და ეტიმოლოგიას ყურადღება მიაპყრეს რ. გორდეზიანმა და გ. უგულავაძემ. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული არაერთი თვალსაზრისის განხილვის შემდეგ მკვლევარნი მიდიან დასკვნამდე, რომ ტერმინის შესწავლა მიზანშეწონილია „იმ ლექსიკური ფორმატივების კონტექსტში, რომლებიც ეგეოსურ სამყაროში დასტურდებიან და შეიცავენ, ფაქტობრივად, „კაუკასიის“ იდენტურ ფუძეებს“ (გორდეზიანი, უგულავა 2018: 27).. შესაბამისი მაგალითების მოხმობის შემდეგ, მეცნიერები ბერძნულ ენაში დადასტურებულ წინაბერმნული წარმომავლობის მასალასაც განიხილავენ (მაგ. კაუკალას – ფრინველის სახეობა, კაუკალს – ქოლგისებრი მცნარე, კაუკალთის – ჭურჭელი ვიწრო ყელით და სხვ) და გვთავაზობენ დასკვნას: „ყველა ამ საკუთარი სახელისა და აპელატივის განხილვის საფუძველზე შეიძლება გიგარაუდოთ, რომ მათი გამაერთიანებელი მნიშვნელობა უნდა იყოს „მოკაკვული, მოგრეხილი“. შესაბამისად, სავარაუდო წინაბერძნულ ფუძეს კაუკას სწორედ ამგვარი სემანტიკა შეიძლებოდა ჰქონოდა. ასთან შეიძლება საერთოქართველური *კაკ- ან *კაპუ- ფუძის დაკავშირება... როგორც ჩანს, სახელწოდება ეგეიდაში უნდა

ჩამოყალიბებულიყო ჩვენი ქედისა და მთიანი რეგიონის აღ-სანიშნავად“ (გორდეზიანი, უგულავა 2018:27).

საყურადღებოა რ. გორდეზიანისა და გ. უგულავის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როდის უნდა დამკვიდრებულიყო „კავკასოს“ საკუთრივ კავკასიაში. ღო-გორც მკვლევარნი აღნიშნავენ, „შეიძლება დაგუშვათ, რომ სახელწოდება კავკასიაში გვიანბრინჯაოსა და რკინის ხა-ნის გეორსური მიგრაციების შედეგად უნდა შემოსულიყო, თუმცა უფრო საგარაუდოა, რომ ქართულშიც და სომხურ-შიც ბერძნული ენიდან შემოვიდა“ (გორდეზიანი, უგულავა 2018: 27).

როგორც ვხედავთ, ტერმინ „კავკასოს“-ის წარმომავლო-ბასა და ეტიმოლოგიას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის თანა-მად სახელწოდება „კავკასოს“ ეგეოსურ სამყაროში გაჩნდა და ბერძნული ენის მეშვეობით გავრცელდა სხვა, მათ შო-რის კავკასიის, ხალხთა ენებში. მისი უძველესი და ერთა-დერთი სწორი ფორმაა „Καύκασος“, როგორც ეს პირველად არის დამოწმებული ესქილებთან; „კავკასოს“-ის ეტიმოლო-გია ინდოევროპულ ენათა ნიადაგზე აიხსნება და შეესატყვი-სება „მაღალს“, „მწვერვალს“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გაიუს პლინიუს სეუნცუსი (უფროსი). ბუნების ისტორია. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები. ობ., 2010.
გამყრელიძე 1988 – გამყრელიძე თ. „ტრანსკავკასია“ თუ „სა-მხრეთ კავკასია“, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუ-სტებისათვის. პოსტკომუნისტური დემოკრატიული გარდაქმ-ნები და გეოპოლიტიკა ამიერკავკასიაში. ობ., 1988.

გორდეზიანი, უგულავა 2018 – გორდეზიანი რ., უგულავი გ. კავკასია/კავკასოსი. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, III, ობ., 2018.

ესქილე. მიჯაჭვული პრომეთე. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები. ობ., 2010.

ვაშაკიძე 1993 – ვაშაკიძე ვ. „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართველი ტერმინოლოგია. თბ., 1993.

პლუტარქოსი. მცენარეთა, მთათა სახელწოდებებისა და იმის შესახებ, რაც მათში მოიპოვება. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები. თბ., 2010.

სანაძე 2001 – სანაძე მ. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ., 2001.

სტრაბონი. გეოგრაფია. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, I, წყაროები. თბ., 2010.

ყაუხჩიშვილი 1976 – ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976.

ხარაძე 2018 – ხარაძე კ. კავკასიონის (კავკასიის) ეტიმოლოგიისათვის. ტოპონიმიკური შტუდიები. თბ., 2018.

Bohlen 1830 - Bohlen P. Das alte Indien mit besonderer Rühsicht auf Aegipien. Königsberg, 1830.

Brosset 1849 - Brosset M. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie en 1847-1848. SPB, 1849.

Carnoy 1960 - Carnoy A. Les suffixes toponymiques pré-grecs. L'antiquité classique, 29, 1960.

Humboldt 1843 - Humboldt A. Asie centrale, I, Paris, 1843.

Kretschmer 1928 - Kretschmer P. Weiteres zur Urgeschichte der Inder. KZ., Bd 55, 1928.

Marquart 1922 - Marquart J. Kaukasus. Morgenland, №1, 1922.

Windekens 1954 - Windekens A. van. Contributions à l'étude de l'onimastique Pelasgique. Louvain, 1954.

БСЭ, т. 11, М., 1973.

Гублиа 2000 - Гублиа Р.К. К этимологии топонима Кавказ. Проблемы региональной ономастики, Майкоп, 2000.

Откупщиков 2001 - Откупщиков Ю. В. КАВКАЗОΣ. Очерки по этимологии. СПБ, 2001.

Трубачев 1976 - Трубачев О.Н. О синдах и их языке. Вопросы языковедения, №4, 1976.

Трубачев 1983 - Трубачев О.Н. INDOARICA. Этимология, Кавказ. Этимология, 1981. М., 1983.

Трубачев 1999 - Трубачев О.Н. INDOARICA в Северном Причерноморье. Реконструкция реликтов языка. Этимологический словарь. М., 1999.

Услар 1881 - Услар П.К. Древнейшие сказания о Кавказе. Сборник сведений о кавказских горцах, Вып. X, Тифлис, 1881.

Фасмер 1996 - Фасмер М. Этимологический словарь русского языка. I, СПБ, 1996.

Ююкин 2012 - Ююкин М. А. О происхождении названия Кавказ. Индоевропейское языкознание и классическая филология, XVI (чтения памяти И.М. Тронского), СПБ, 2012.

Valerian Vashakidze

The origin and etymology of the term "Caucasus"

Numerous interesting studies are dedicated to the origin and etymology of the term "Caucasus". The article shares the view that the name "Caucasos // Caucasus" was originated in the Aegean world and spread to other peoples, including the Caucasians, through Greek. Its oldest and only correct form is „Καύκασος“, as first witnessed in the work of the ancient Greek tragedian Aeschylus –" Prometheus Bound".

ირმა კვაშილავა

სამურზაყანოს ისტორია ტოპონიმიაში

ისტორიული სამურზაყანო, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ძირითადად, გალის, ნაწილობრივ, ოჩამჩირის რაიონებს, აგრეთვე, ტყვარჩელს მოიცავს, რომლებიც სხვადასხვა დროს, კოლხეთის, შემდგომ სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ფარგლებში შედიოდა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილს დღესაც წარმოადგენს. ამ რეგიონისადმი ინტერესი, თითქმის არასოდეს შენელებულა, პირიქით, მიმდინარე კონფლიქტმა კიდევ უფრო გააღრმავა.

ტოპონიმების ღირებულება, წარსულის რეკონსტრუქციის საქმეში, საყოველთაოდ აღიარებულია, ვინაიდან ისტორიული პროცესების მართებულად გაშუქების ერთ-ერთ სანდო წყაროდ ითვლება. ამიტომ, ტოპონიმების მოძიება და სათანადო მოკვლევა თითოეული ჩვენგანის საზრუნავია. ამ მხრივ, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს: აწ განსევნებულ ვალერიან ზუსტიასა და პაატა ცხადაიას, რომლებმაც 1969-1970 წლებში გალის რაიონში შეკრებილ უნიკალურ მასალას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში მოუყარეს თავი. აღნიშნულმა მკვლევრებმა მას არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა მიუძღვნეს და ფასდაუდებელი საგანძური დავიწყებას გადაარჩინეს.

სამურზაყანოს ეთნოისტორიაზე მუშაობისას საშუალება მომეცა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალით მესარებლა, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები. ამჟამად, ისევ ვუბრუნდები მათ, ვინაიდან ტოპონიმებით იშიფრება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მომხდარი ყოველნაირი ცვლილება, აგრეთვე, მათი წარმომქმნელი ადგილობრივი, თუ მიგრირებული მოსახლეობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ეთნო-კულტურული პროცესები. მართალია, ტოპონიმებს ძირითადად ლინგვისტები სწავლობენ, მაგრამ მისი მონაცემები ძლიერ ქმნარება სხვა დარგებს, მათ შორის, ისტორიას, ეთნოლოგიას... „ამიტომ, ხშირად ერთი სიტყვის ასენა, გარჩევა უფრო ნათელს პფენს და სხის რაიმე

ეთნოგრაფიულ მოვლენას, ვიდრე მისი ვრცელი აღწერა, ხოლო იქ, სადაც რომელიმე ფაქტი გადავარდნილია, ან დავიწყებული, ენაში კი, მარტო სიტყვა დარჩენილა, ამგვარ შემთხვევაში, ასეთი სიტყვის განხილვა-გარჩევა აუცილებლად საჭიროა“ (ჭარაია 2011: 9).

გალის რაიონის ტოპონიმიკურ ლექსიკონზე, აფხაზეთის კულტურის ძეგლთა დაცვის ინსპექტორი ხოდარ შონია მუშაობდა, რომელმაც 1300 გეოგრაფიულ სახელწოდებას მოუქარა თავი. მისი დაკვირვებით (როგორც მოსალოდნელი იყო), გალისა და სამეგრელოს (კოლხეთის, 6. შონია) ტოპონიმის ბევრი რამ საერთო აქვთ. უფრო დაწვრილებით, საყურადღებოა ეთნიკურობის აღმნიშვნელი ადგილთა სახელწოდებანი. მაგალითად: „ნააფხაზარი“, „ნათურქი“ და მისთანა; ბევრია საკუთრებასთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები, რომლებშიც მითითებულია მესაკუთრის სახელი, ან გვარი, საკუთრების საგანი, როგორიც არის: მიწა, სამჭედლო, ტყე, წისქვილი, სასაფლაო, ციხე, გორაკი და ა. შ.; ასევე, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიდან წარმოშობილი ტოპონიმები, მაგალითად: „ნაჯვარი“, „ნამეხარი მუხა“, „საქაჯე“ და მისთანა. ნიშანდობლივია აგრეთვე, ხოფლის მეურნეობის, ადამიანთა შრომა-საქმიანობის, ადგილთა გეოგრაფიული დახასიათებისა და სხვა მოვლენებისაგან წარმოშობილი ტოპონიმები (შონია 1970: 62-63).

აფხაზეთის თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით, ამჟამად, მეტად საინტერესოა სამურზაყანოს აფხაზური ტოპონიმები, რომლებიც ისტორიულად მომხდარი ცვლილებების მიუხედავად შემოგვრჩა. ისინი ბევრი არ არის მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არც აქ დამკვიდრებული მიგრირებული აფხაზები იყვნენ რიცხვმრავალნი, თუმცა, ამას ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს. ამ მიზეზით, კიდევ ერთხელ ვეცადე ისტორიული სამურზაყანოს ტოპონიმების გაშუქება.

„სამურზაყანო-გალის რაიონი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რაიონია, რომლის მოსახლეობა 1993 წლის 1 ოქტომბრისათვის 83.000 იყო; ანუ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 15,8%-ს შეადგენდა. მისი მრავალრიცხვანი,

მაგრამ ძირითადად ქართული მოსახლეობა, ქალაქ გალსა და ოქმებად გაერთიანებულ 90 სოფელში იყო განლაგებული... 1990 წელს აქ ჭარბობდა ეროვნება ქართველი (93,8%), მხოლოდ 3,1% რუსი და 0,8% აფხაზი ითვლებოდა“ (ნადარეიშვილი 1998: 68; 149). აღნიშნულ მონაცემებს ტოპონიმიკურ მასალასთან შევაჯერებთ.

აჩიგვარის თემა - სოფელები: აჩიგვარა, ვუწყერი, გუდავა, ტოვონი, ბულიშხინჯი, ოზურე.

აჩიგვარა, უფრო ზუსტად, აჩგუარა მდინარე ოქმის ორივე მხარეს მდებარეობს. სახელწოდება აფხაზურია და ნიშნავს ცხენების სამწყვდევ ადგილს. შესაძლებელია, ამ ტოპონიმს აფხაზურ საგვარეულო სახელ – აჩასთან ჰქონდეს კავშირი. „აჩიგვარა“ ნიშნავს რემას (ცხენების ჯოგე). გადმოცემის მიხედვით, აქ აფხაზეთის მეფის ცხენების საძოვარი ყოფილი (გოგატიშვილი 1989: 13). აფხაზურთან დაკავშირებული სხვა რაიმე სახელწოდება არ გვხვდება. სოფელი დასახლებულია უბნებად, როგორიც არის: საკვარაცხელიო, სატორუო, საქობალიო, საშაკაიო. „გარდა ამისა, აქ ცხოვრობს ბაძალუა, გვილავა, გობეჩია, გოგოხია, დოჩია, ესართია, კალანდია, კორსანტია, მანდარია, მიქაძე, ოთხოზორია, როსტობაია, ცირდავა, ჯგურენაია, ჯოლოხავა“ (დლონგი 1971: 51). სოფელში არის „თაკალანის დელე“, გზისპირზე კი, – „ძუკუტის სამჭედლო“ (ძუკუტი ლაგირვანები თავის სამჭედლოში შესწირავს, სწირავდა დმერთს – „ოჭკადირეში ოხვამერი“), „მარდანიების ტყე და წისქილი“, „მარჯოზიას ნასახლარი“, აგურისა და კრამიტის ქარხნის „ნაზავადები“, „ამჯერად, სახნავი ფართობებია.

სოფელ ვუწყერის, დასახლებული უბნებია: საბენიო, სავაზგანიო (ვახანაგები), სამალანიო, საფაჩულიო, საჭკადუო. „წეუ“ მეგრულად, წყაროს ჰქვია. ფუწყერი, შეიძლება, ცედ, უგემურ წყაროს ნიშნავდეს (ვალერიან ზუხბაია). საინტერესოა, რომ აჩიგვარის საზღვართან არის ნაციხეარი „გაბარიშ ნაჯიხ.“ „ჯიხა“ (მეგრ.) – ციხე, „ნაჯიხ“=ნაციხეარი. სოფელი ფუწყერი მდინარე ოქმწყალის ნაპირზე, სოფელ წარჩეს საზღვართან არის. ფუწყერში ანჩხაიას//ანჩხაიების – ანჩხაბაძეების (თავადების) სახნავია, რომელიც ქობალიუ-

ბმა იყიდეს. ფუწვერის იმ ნაწილში, რომელიც სოფელ წარჩის თქმში შედის, – საბენიოში არის ნაეკლესიარი „ფუწვერული ოხვამე“. აქვეა სახნავი „ოხვამეშ დიხა“. „ოხვამე“ (მეგრ.) სალოცავს, ეკლესიას და სასაფლაოსაც ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს. სოფლის უბნებია: სახირგინო (სირგინავები), საუბილო (უბილავები), საჯიგანიო (ჯიგანიები). სახნავებია, რომელთა მესაკუთრენი, თავის დროზე, ყოფილან: ბეკვერიები, ბეჭვაიები, გაგუები, გეოთები, თარბაიები. ეს უკანასკნელნი, ალბათ, თარბები (აფხაზები) იყვნენ.

გუდავა ოქუმწელის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელ გუდავისა და ტოგონის საზღვარზე არის ტბა ბებუისირი. სოფლის სახნავებია: „კაკუბავას კუთხე“ („კაკუბაშ კუნთხეუ“ მეგრ.), „მარღანიას ტყე“; სასაფლაო იქ, სადაც ადრე ეკლესია ყოფილა. ადგილების მესაკუთრეთა საკუთარი სახელებიდან აღსანიშნავია: ბოდდა, ბიქტორი, გრიშა, დავეხი, ივა, ეთმე, პეტუ...

ტოგონი ნიშნავს ჭაობების, დელების ადიდებით დაგუბებულ წეალს (ვალერიან ზუბბაია). მას სამხრეთ-დასავლეთით სოფელი რეფი ესაზღვრება, აღმოსავლეთით – სოფელი შეშელეთი, ჩრდილო-დასავლეთით კი, – სოფელი გუდავა. სოფელში საბაბაღუო//ბაბაღუების დასახლებული უბანი ყოფილა, ასევე, ცირდავების, გოგოხიების, ჯგურენაიების კუთხეები. სახნავებია: მარღანიების, „იასქუაკუფიშ“ (იაშვილების), გულუების; ტყეებია – ანთიასი, ანჩბაიების (ანჩაბაძეების), ბაბაღუების; ნაწისქვილარი – კვარაცხელიების, არდიების, კაკაჩიების... არის აგრეთვე, ნაგზაური „ნარელს“//„ნამატაკოზ“; 1946 წელს სოფელ აჩიგვარადან სოფელ გინძე-ეწერამდე, ხე-ტყის გასატანად, „მატაკოზის გზა“ გაიყვანეს.

სოფელი ოხურეები თხამირის რაიონის საზღვართან მდებარეობს. მას დასავლეთით ესაზღვრება სოფლები: ანარია და პირველი გუდავა, ჩრდილოეთით – ბედიის თემი, აღმოსავლეთით – მდინარე შაშიკვარია და სოფელი აჩიგვარა. მდინარე ოხურეის წყალი გალისა და ოხამირის რაიონების საზღვარია. „ოხურეი ერქვა ვრცელ ტერიტორიას მდინარე ოქუმსა და დალიძგას შორის. აქ იყო ჭაობნარი, იცოდა

ხურობა და ამიტომაც დარქმევია სახელი ოხურეი“ (ო- მეგრ. გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი პრეფიქსია) (ცხადაია, ხორავა 2016: 137). ოხურეი ნაწილობრივ, გუდავის თემ-საც განეკუთვნება, რომელსაც შემდგომ მივუბრუნდები. იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ სოფელი ოხურეი სამურზა-ყანოს დაბლობზე მდებარეობს, რომელიც 200 კმ-ზე გადაჭიმულ კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ეწოდა, მაგრამ გეოგრაფიულად სცილდება სამურზაყანოს საზღვრებსა და მდინარეებს – ენგურსა და კელასურს შორის ტერიტორიას მოიცავს. „კოლხეთის დაბლობის ამოშრობამ, გარდა იმისა, რომ მოსპო მაღარია, 220.000 ჰექტარით უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობა“ (რევიაშვილი 1982: 84).

სოფელ ოხურეის დასახლებული უბნებია საგოგოიო და სანარმანი; ნასახლარებია: ბალიბაიების, ზვამბაიების, კვატანიების, ლაშხიების, შაკაიების, ჭარაიების; მიქანეების, ქუთელიების (სახნავები); აგრეთვე, ემხვარების, შარაშიების (შარვაშიძეების) „ნადეები“, ამჟამად, ტყეები... ემხვარები და შარვაშიძეები აფხაზი თავადებია, ხოლო გვარების - ბაღბაია, ზვამბაია, ფუქეები - ბაღბა, ზვამბა აფხაზური წარმომავლობის არის. აქეთ გვხვდება აფხაზური წარმოშობის ადგილის, წყაროს სახელწოდება „აფხაძის“, „ძიხ“ აფხაზურად, წყაროს ნიშნავს.

სოფელი ბულიშხინჯი მეგრულად, სიტყვასიტყვით ბლის ხიდს ნიშნავს, რომელიც მდინარეების შესართავთან ყოფილა გადებული, ამიტომაც დაერქვა ეს სახელწოდება. წყალოშესართავს მეგრულად „ოტუფუე“ ჰქვია. აქ გვხვდება ჭალა-სახნავები, ნასახლარი მინდვრები, სახნავები. მაგალითად: „შონიას კუთხე“ (ანუ, უბანი), წყაროები, ტყეები – რცხილნარი, რომლებიც ძველ მესაგუთრეთა სახელებით შემორჩა. ასეთია: დათიკოს წყარო, ეთმეს ისლნარი, დიმიტრის, პატუხუს ქიბარის, ვასილ პაპას (პაპა აქ მდვდელს უნდა ნიშნავდეს) ნასახლარები, ძალკას ნასახლარი ბორცვია (ძალკა ქალის სახელია).

ძეგლის სასოფლო თემი – სოფლები: ძეგია, სახახუბიო, ფშაური.

სოფელი ბედია – დასახლებული უბნები: საგვარამიო, სააფშილო (აფშილავები), საქუთელიო (ქუთელიები). გარდა ამისა, ალ. ღლონტის მიხედვით, აქ სახლობდნები: აფშილავა//აბშილავა, ბარქაია, ბახია, ბიგვავა, გოგოხია, გუნია, გურგულია, გუჩუა, დავლიანიძე, კაჭარავა, კიკორია, მატავა, ნარმანია, ნიჟარაძე, რაფავა, ქანთარია, ქუთელია, შაკაია, შელია, ციცარია, ჭავავა, ჯაკონია – ყველა კოლხური წარმოშობის გვარია. რაც შეეხება სახნავებს, წისქილებს, წყაროებს, ღელებს, ნასახლარ ბორცვებს, ტყეს, მორევს – ფონს მრავალფეროვანი პირსახელები უძღვის წინ. მაგალითად: ჭიტის, ორთანის, გვაჯის, ბურდღუს, ბადრას, ბეგოს, გვევას, მატას, ჩამშუქის, თარხუნას (მამაკაცის სახელია), თეგნიზის, კოსტას, კუზუს, მუსტაფას (ბიგვავას ღელე), მატას, მალხას (ქალის სახელია)... „ოვალში საცემია აღნიშნულ თემში და სხვა ბევრგან ტყის მასივების სიმრავლე, როთაც აფხაზეთი იმდენად მდიდარია, რომ 290-მდე სახეობა (მათ შორის ძვირფასი ჯიშები) ხარობს“ (კობახია 1970: 1). ტყებს აფხაზეთის ტერიტორიის 55,4% უჭირავს. ამავე დროს, აფხაზეთზე მოდის საქართველოს მთელი ტყის ფონდის 18,7% (კაკაბაძე 1961: 111). გვხვდება წიფლის ტყე, ტყე „ქაზიონი“, სახელმწიფოს ეპუთვნოდა „ობში“ – საერთო ტყე, ტყე „რუსის პლანი“ და ტყე „სააფშილო“, „სარაგო“ – კერძო საკუთრებაში.

აქვე, სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ს. ჭოლარიას სახლთან არის წყარო. მას „სტალინის წყაროს“ უწოდებენ. არსებობს გადმოცემა, რომ სტალინი და მისი ამხანაგები ერთ დამეს თხამირიდან მოღიოდნენ, იყვნენ ს. ჭოლარიასთან. ეს ამბავი რევოლუციამდე მოხდა.

სოფელი სახახუბიო სოფელ აგუბედიის საზღვართან არის. აქვე წიფლნარი ტყე და ხასიების ნასახლარი. გრეთვე, თოფურიას, მატკავას, ჭარაიების, იზორიების ნასახლარები, რომლებიც მინდორ-ტყე-ველს შემორჩა. „სახახუბიოში, ალბათ, ხახუბიები ცხოვრობდნენ, ახლა არ არიან, არც ახსოვთ“ – ჩაუნიშნავს 1982 წელს პაატა ცხადაიას. სოფელ სახახუბიოში უბანია სააფშილო. ხახუბიას გარდა, ცნობილია ხახბაიაც, რომელსაც ზემოთ აღნიშნულ აფხაზურ

გვარებთან აქვს დიდი მსგავსება, სახელდობრ, თარბაია, ზვამბაია, ბაღბაია...

სოფელ ფშაურში არის ნაციხარი – მეგრ. „ნაჯიხ“ სარაგოში. სამურზაყანოში გვარები, როგავა და რიგვავა გვხვდება. სარაგო (რაგავა), საგოგოხიო და საჯიჯორიო დასახლებული უბანებია. აქაც ნაციხარია, „საკიკორიო“//„კიკორიების ჯიხა“. ეს მეორე ნაციხარია ამ სოფელში. საინტერესოა, რომ გადმოცემით, ფშაურიანი აქ ჯიხის//ციხის ამშენებლის გვარი ყოფილა. დასახლებული უბანია სამარგალო//სამეგრელო, სადაც სამეგრელოდან გადმოსახლებულები ცხოვრობდნენ. ფერდობის სახელწოდებაა „სანაკიძეს (სანიკიძე) ნასახლარი“, აგრეთვე, ბადღასი, ბადრასი; სახნავი, ნასახლარი, მინდორი – ზორისი, მაქსიმესი, გორგისი; წყაროები – იასონის, იონასი, ბარდღუსი, ვალოდიასი... ყველა მეგრული ტოპონიმია, მაგალითად, „გვადაშ წყურგილი“, – გვადას წყარო; სახნავი – გოგოხიების „ნადიხი“, სადაც გოგოხიებს სახნავ-სათესი მიწები ჰქონდათ.

განახლების ოები – სოფლები: განახლება, ოკინორე, დიხაგუმბა, გაგიდა.

სოფელი განახლება ზღვისპირა დაბლობზეა. 20 წლის წინ, ორი სოფლის, ოკინორესა და გაგიდას გაერთიანებით შეიქმნა და განახლება უწოდეს (1969 წლის ჩანაწერით). დასახლებული უბიებია: საბიგვო (ბიგვავები), საკახიანო (კახიანები), სამინჯორაიო, საცქიტარიო (ცქიტარიები). განახლებაში სახლობენ ქართული საგვარეულოები: არქანია, ბელქანია, ბიგვავა, ზუბბაია, თოლორაია, თორდუა, იზორია, კახიანი, კვარაცხელია, ლაგვილავა, მინჯორაია, მორგოშია, ოდიშარია, რუხაია, ფაცაცია, ქობალია, ლინჯილია, ცაგვა, ციკოლია, ცქიტარია, ჭანია, ხარჩილავა, ჯაიანი; ანჩაბაძეებიც (აფხაზები) ცხოვრობენ, რომლებიც სამურზაყანოში სხვაგანაც გვხვდებიან (ჟღენტი 1971: 56). სოფელში არის სახნავები, რომლებიც მათი ყოფილი მეპატრონების გვარ-სახელებს ატარებს. მაგალითად, ანჩიბაიას სახნავები, რომელიც ეხვაიამ შეისყიდა; ასევე, გერგედავების სახნავი, ანჩიბაიას (ანჩაბაძის) ტყე, მაიკას (ქალის სახელია) სახნავი; არის მდვდლის ლელე, მინდორი, სახნავი. ზღვისპირას არის ადგილი „ნაზავოდ.“ რევოლუციამდე აქ ხე-ტყის სახერხი

ქარხანა პქონდა გერმანელ მრეწველს, ვინმე ფეტერს. შახელწოდებაც აქედან მიიღო. ტყით მდიდარი სამურზაყანო ხის დამამუშავებელი სახერხი ქარხნებით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ XIX ს-ის 20-იანი წლებისათვის, საბერიოში, ოტობაიში, თაგილონში, გაგიდა-ნაჭკადოუში, გუდავაში აღრიცხული იყო ხის საწარმოები.

ოკვინორე განახლებისა და ოტობაის თემში შემავალი სოფელია. „კვინორი“ მეგრულად, კვერნას ნიშნავს. ოკვინორე, ე. ი. საკვერნე, დაბლობი რელიეფით, დაჭაობებული ტყიანი მხარეა. საზამთრო საძოვრებია, „ნაკარუ“ – საქონლის სადგომები. არის ტყე, საძოვარი არახამიასი/არაპამიასი (გვარია); აგრეთვე, გითოლენდიას (გვარია), მათეიას, როზდანის, მაქსიმეს „ნაკარუ“. აღნიშნულ პირებს ზამთარში აქ ჰყავდათ საქონელი. აქვე, სათოლორაიოს უბანში არის მინდორი, სალოცავის – ეკლესიის – მეგრულად „ოხვამეს“ მინდორი და მღვდლის მინდორი. სოფლის დასახლებული უბნებია: სამინჯორაიო, სათოლორაიო, საფაცაციო, საქობალიო, საღვინჯილიო.

სოფელი დიხაძუბა – დიდიხაგუშტუბა ეწოდება ხელოვნურ ბორცვს, რომელიც გვხვდება გალის რაიონში. „დიხა“ მეგრულად მიწას, „გუშტუბია“ კი, ამაღლებულ ადგილს ნიშნავს. შესაბამისად, დიხაგუშტუბა ამაღლებულ მიწაყრილს ეწოდება. იგი ზღვის პირას, სოფელებს – გაგიდასა და ფინორს – შორის მდებარეობს. უბნები დასახლებულია (როგორც ყველგან სამურზაყანოში, ასევე, აქაც) ქართული საგვარულოებით: საქობალიო – ქობალიებით, საღურწვაიო – ღურწვაიებით, საჯინჯოლიო – ჯინჯოლავებით. ნასახლარებიც ქართულია - ჯიქას, მიშველიას, მებონიას, კუხალეიშვილის. არის ემხვარის (აფხაზური გვარია) ნასახლარიც, „გინახორანოხორი“ მეგრულად, ნასახლარს ნიშნავს. სოფელში არის ტყე და საძოვრები, მაგალითად: ოოფურიასი, ქარდავასი (მეგრულად, ქარდეფიშ), ანჯაფარიძის...

სოფელი გაგიდა ზღვის პირას მდებარეობს. მის სამხრეთით სოფელი დიხაგუშტუბაა, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ოკვინორე, ჩრდილოეთით – გინძე-ეწერი, აღმოსავლეთით – სოფელი პირველი ოტობაია. გაგიდას ძელი სახელწოდებაა ნაჭკადუ. დასახლებული უბნებია: სამებონიო, საქობალიო,

საშონიო, საჭანიო, საკვაშილო. ამ ქართული გვარების გარდა, გულუას, ბელქანიას, საჯაიას, ქარჩავას ნასახლარებია. აფხაზური ტოპონიმები და გვარ-სახელი აქ არ გვხდება. პირ-სახელები, რომლებიც ადგილის სახელწოდებებთან ფორმულირდება, ასეთია: ამბაკო, არჩილი, ბაჯგა, ბეგლარი, ესტატე, ვარლამი, იზდო, იასმენი, კაუნა, ლუთია, ფადუ (ქალის სახელია), ტუტუ, სანდრო (ჩხირკვანძე), ჯაგუ, ჭუჭუ, ძიკა, ცაქვა, სისონა, სვიმო, სეფანე... საინტერესოა ტოპონიმი „მარგალეფიში“ (მეგრელების) კანცელარია, რაც სოფელ გაგიდის კოლმეურნეობის კანტორას ეწოდება. კოლმეურნეობაში სამეგრელოდან ჩამოსული ახალმოსახლები იყვნენ გაწვრიანებული. საქმე იმაშია, რომ სოფელი XIX საუკუნის დამლევს, სამურზაყანოსა და სამეგრელოს მთისწინეთის სოფლებიდან გადმოსულოთაგან, ფაქტობრივად, ხელახლა შეიქმნა (ცხადია, ხორავა 2016: 138). ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთში სუბტროპიკული კულტურების ასათვისებლად და დასანერგად, საკავშირო მნიშვნელობის არაერთ ორგანიზებულ მიგრაციას ჰქონდა ადგილი.

თვალშისაცემია წყაროებისა და ტყის სიმრავლე, აგრეთვე, სახელწოდება „ნაზავოდ“-ის, რაც სახერხი ქარხნების მიმანიშნებელია. საბალახო-საძოვარი ადგილები, მინდვრები, ნასახლარები, სათევზაო ადგილები, ძირითადად, ქართველების გვარ-სახელებითაა გაფორმებული. აქვეა ჭაობიანი ადგილი, „ჩალამი“. ზღვისპირას, 10 ჰექტარზე იზრდება მცენარე ხაია, რომელსაც სახურავად იყენებდნენ.

გუდავის თემი - სოფლები: პირველი და მეორე გუდავა, ოხურევი, ანარია.

სოფელი გუდავა//გუდაყვა (პირველი და მეორე გუდავა) ისტორიულად ცნობილი დასახლებებია. ის ბერძნულ-რომაულ წყაროებში, ზიგანეოსი//სიგანენოსის სახელწოდებით არის ცნობილი, სადაც ლაზიკის მიტროპოლიტის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი მდებარეობდა. X ს-ის დასასრულს, ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე კათედრაში ახალ ცენტრში, შუაგულ ბედიაში გადაინაცვლა. X ს-ის პირველ წლებში (901-907 წწ.), ლაზეთის ეპარქია, თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით (როდოპოლისი, ცაიში, პეტრა, ზიგანევი), კონსტანტინეპოლის პატრიარქს უკვე

ადარ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მცხეთის საკათალიკო-სოს დაუკავშირდა (გეორგიძა 1952: 198). გუდაყვა/ზიგანეოსის ეკლესიის ნაშთები მიკვლეული არ არის, მაგრამ ზღვის ნაპირიდან დაახლოებით, 1.5 კმ-ზე ეკლესიის ნანგრევი გახვდება, რომელიც შეიძლება იყოს საეპისკოპოსო ეკლესია (ბერულავა 1951: 65). საეპისკოპოსო ცენტრი მეორე გუდავაში იყო. აქ არის ადგილი „ნაოხვაშ“ (მეგრულად) წმიდა ბარბალეს სახელობის ნაეკლესიარი; აგრეთვე, ეკლესიის ყოფილი სახენავები, სასაფლაო „კურთხეული დიხა“ (მეგრულად), მიწა და მღვდლის სახენავი – მეგრულად, „პაპაშ ნადიხ“. აქვე სოხაძეების, ნაპარების, შიშმანის ნასახლარები, ასევე, ქარდავების, კოტუების, ზვამბაიების, უბნები – მეგრულად „კუთხე“. გარდა ამისა, დასახლებული უბნებია: დიდი სახახუბიო, საკოტუო, სამეფორო, საჩხვირკიო, სახაბურზანიო, საგიგო, სააკიშხაიო, რომლებიც ბზიფიდან მოსულან. ხახუბია, კოტუა, მეფორია, ჩხვირკია, ხაბურზანია, გიგავა ქართული საგვარეულოებია, ხოლო ზვამბაია და აკიშხაია/აკიჯბაია – აფხაზური წამომავლობის არიან. აქ ახნბაიას (ახნბაძის) წისქილიცაა, ტყე – „აწაგვარა“ და დელე „აძაფშ“, რაც აფხაზურად „წითელ დელეს“ ნიშნავს. მას მეგრული სახელწოდებაც აქვს - „ჭითა ლალი“ - იგივე, წითელი დელე.

პირველი გუდავა დასახლებულია ქართველებით, ჩვეულებრივ, უბნებად – კუთხეებად. მაგალითად: კირცხალიუბის, ქირიების, შონიების, ხუტკუბიების კუთხეები; უბნებია: საზაქარიო, საბერიო, სატაბადუო, სადოჩიო.

ადსანიშნავია, რომ აქ იყო „ჩე ოხვამე“ (მეგრულად), თეთრი საყდარი და ივანე მღვდლის სასაფლაო. გუდავა ეწიგვარიას თემშიც არის, სადაც იყო ეკლესია და სასაფლაო. ტყეს შემორჩა არაბი მარია კარაკახის სახელი, რომელიც სირყვა მარღანიას თურქეთში უყიდია. სოფელ გუდავას ჩრდილოეთიდან იცავდა ტბა ბებესირი (ბებეოსირი), ჭაობები და გაუვალი ტყეები. სახელწოდება „ბებესირი“ წარმოიშვა მეგრული „ბებელა ისირი“-საგან, რაც იზრდება ტბის ირგვლივ და ცუდ ისლს, ხელის მჭრელს ნიშნავს. მას მოსახლეობა სახლის სახურავად იყენებდა. ამ ტბიდან

მოედინება მდინარე ჯოყოფა (ჯოყობა), რომელსაც ზღვასთან ცორიკას ეძახიან (ბერულავა 1951: 66). ჯოყობას სათავესთან, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსეთის ჯარი იყო დაბანაკებული. აქეთ ტყე საბრაგო; მუჭაჯირობის დროს, აქ აბრაგები ბანაკებოდნენ. ხელუხლებელი ტყით მდიდარი სამურზაყანოს ტოპონიმიაში ერთგან შეგვხვდა ტოპონიმი „ქობაიჯგურა ტყა რდუა“ (მეგრულად), რაც ნიშნავს: ხორბლის ყანასავით იყო ტყე დაფენილი. ზემოაღნიშნულ მდინარე ჯოყობასთან, ოჩამჩირის რაიონამდე სოფელი ოხურე მდებარეობს, რომელიც გუდავის და აჩიგვარის თემში შედის. მისი დასახლებული უბნებია: საბერძენიო, საქუთელიო, საშამათო – ბერძენია, ქუთელია, შამათავა.

სოფელი ანარია. აქ რეინიგზის ბაქანია. ანარა//ანარია აფხაზური წარმოშობის ტოპონიმი უნდა იყოს. პაატა ცხადაია აღნიშნავს, რომ „ნარუა“ მეგრულში მცირე, ნარნარ რწევას, რყევას, ნძრევას აღნიშნავს. „ანარია“ ტოპონიმ „ონარია“-ს აფხაზური ვარიანტია (მეგრული სიტყვის „ო“ აფხაზურში გადადის როგორც „ა“), მაგრამ ზუგდიდის რაიონის სოფელი ანარია XVII ს-ის I ნახევარში არის დაფიქსირებული. ანარია, სახელის სახელად, ქვემო იმერეთშიც არის დადასტურებული, აგრეთვე, სამეგრელოს მოსაზღვრე (ე. ი. ზანური სუბსტრატია) დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე. სამურზაყანოში, აკიბის ქედზე, მთა საძოვარს ეწოდება ანარა. მისთვის ამოსავალია აფხაზური სიტყვა „ანარა“ – ფერდობი. ზოგი აფხაზი ინფორმატორის მტბიცებით, ანარია აფხაზურში ნიშნავს „მოხვეულ, მოღრეკილ ადგილს“ (ცხადაია 1998: 13). ანარიაში არის მდინარე ალაკვარა//ლაკვარა, რომელიც თურქულად, „ეშმაკის ლელე“ ნიშნავს. აქეთ ტყე „ნათურქუ“ – ნათურქალი; აგრეთვე, ტყე „ჰადაშის (ქალის სახელია) დიხა“ (მეგრულად) - მიწა.

ლუმურიშის თემი – სოფლები: ქვემო და ზემო ლუმურიში, ფართოდალი.

ლუმურიში სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან ნაწარმოები ტოპონიმია. სვანურად „ლუმურ“ ნიშნავს ნაძვს, „იშ“ სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ე. ი. ნაძვნარი. სოფელ ლუმურიშში, ადგილ საგერ-

გაიოში (ქართული გვარი გერგაია), 1955 წელს მხარეთმცოდნე ნოდარ შონიას მიერ აღმოჩენილი იქნა ეკლესიის კედლის პერანგის კირქვის ფილა, რომელზეც ამოკვეთილია ასომთავრული სამშენებლო წარწერა. XI საუკუნით დათარიღებული წარწერიანი ფილა სოხუმის მუზეუმში ინახებოდა. ოკვევა, რომ იმ პერიოდში „დედოფალთა დედოფლის საგდებეტის საგამგებლო ყოფილა, რომლის ვინაობის დაგენა არავის უცდია“ (ხვისტანი 1998: 64).

სოფელი ზემო დუმურიში მდინარე ოქუმის მარცხენა ნაპირას იწყება და სოფელ რეჩხამდე გრძელდება. მისი მნიშვნელობა ადგილობრივებმა არ იციან. „დუმუ“ მეგრულად, ლომია, მაგრამ „რიში“, ჩვეულებრივ, აფხაზური სუფიქსია. სოხუმის რაიონში არის ტოპონიმი „დუმურიშხე“. აქაც თითო-ოროლა აფხაზური ტოპონიმი გვხვდება, მაგალითად, ფერდობი „ასიპორა“, „ასიბ“ აფხაზურად, სიპის ქვას ეწოდება; ღელე „აფთახარა“, საძოვარი „აძმაცერხვა“, მინდორი „აშხევრა“, „აშ“ აფხაზურად, ძროხას ნიშნავს, „ხვერა“ - წველას.

სოფელში ადგილის სახელწოდებაა ნამარკილუ, წინათ აქ მარკელიებს უცხოვრიათ. ამჟამად, რეფი-შეშელეთში ცხოვრობენ. ტყე არის რცხილნარი; აგრეთვე, ღელე - „მუშუარა“ აფხაზურად, „დათვის ღელე“ ნიშნავს. ზღვის ნაპირზე „ბოლაზია“ - უბე, სადაც ნავებს აჩერებდნენ. სოფელში დასახლებული უბანებია: საგერგაიო, საზუბაიო, სანანო (ნანავა); არის ბობოხაძის ნასახლარი. „ფერდობის სახელწოდებაა ნაგადავანი, როგორც გადმომცეს, აქ უნდა იყოს ძველი „კელასურის კედლის“ ფრაგმენტი. დღემდე, ამ ადგილას მისი ნაშთი დარჩენილა“ (ვალერიან ზუბაია). კელასურის გალავნის აშენების თარიღის შესახებ, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ეს ვევბერთელა გალავანი (დაახლოებით, 160 კმ), მდინარე კელასურის შესართავიდან დაწყებული, მდინარე ენგურამდეა გადაჭიმული (ბერულავა 1951: 270).

სოფელი ფართოლალი, ფართო ღელე, რომელსაც კალაპოტი აქვს ფართო. ღელე//მდინარის სახელწოდება სოფლის სახელად იქცა. დასახლებული უბანებია: საჭანიო, საქაჩანიო, სარიგვაო (ქართული საგვარეულოები: ჭანია,

ქვაჩახია, რიგვავი). სოფელში ტყებია: ბზის (მეგრულად, „ობზაკალონი“, ბზა/ბზაკალი), „ჭუბურონი“ (მეგრულად) ქართულად – წაბლნარი, წაბლის ტყე. აფხაზურად ამ ადგილს „ახიარა“ ეწოდება, ნიშნავს იგივეს - წაბლიანს.

დიხაზურგის ოემი - სოფლები: დიხაზურგა, ზენი, ოცარცე.

დიხაზურგა – სოფელია ვაკე-ბორცვიანი რელიეფით. აქ მეგრული და ქართული სიტყვის შეერთება გვაქვს. „დიხა“ მეგრულად მიწას ნიშნავს, ზურგი გასაგებია. კ. ი. მიწის ზურგი რელიეფის თავისებულების გამო დაერქვა. სოფლის უბანია დიდი წიფური. „წიფური“ მეგრულად, წიფელს ნიშნავს; ადრე, დიდი წიფური (დიდი წიფელი), სადაც ოდესდაც დიდი წიფელი მდგარა, თემის ცენტრი ყოფილა. აქ მუხის, თუთის და წყავის ტყეები ყოფილა. მეგრულად „წყეონაც“ გვხვდება. ტყეს უჭირავს ის სახნავები, სადაც ადრე ხორბალი და ჭვავი მოჰყავდათ. სუბტროპიკული კულტურა – ტუნგოს ალანტაციაც ყოფილა, რასაც ტოპონიმი „ოტუნგონი“ გვახსენებს. მისგან მზადდება საუკეთესო საღებავი, ვინაიდნ ტუნგოს თესლი 60% ზეთს შეიცავს. 1933-34 წლებში, აფხაზეთში პირველი სამრეწველო პლანტაციების გაშენება იწყება. ტუნგოს მასივები უფრო გალისა და ოჩამჩირის რაიონებშია გავრცელებული. აფხაზეთის ხვდრითი წილი საქართველოს ტუნგოს ნარგავების ფართობში 29,6% შეადგენს (დევიძე 1961: 154). კაპლის ტყე - „ნეძონა“ (მეგრულად კაკალი), ნაისლი (ნაისირი) და სხვა, ადგილის სახელწოდებებს შემოუნახავთ. ტყესთან დაკავშირებული ტოპონიმი „ქვაჯვარიც“ გვხვდება, ასვე, „ნახატდიხა“ (მეგრულად), ხატის მიწები (ნამიწარი), რომელიც უკვე ტყედ არის ქცეული. ტყიან ადგილს ერთგან უწოდებენ „განაცუდუს“, რომელიც სოფელ საბერიოს ტერიტორიაზე გადის. აქ ძველად, ბატონების დროს, ყმებს თავს დაესხებ, უნდოდათ მათი გატაცება და თურქეთში გაყიდვა, მაგრამ ვერ მოახერხეს, „გაცუდნებ“. ამიტომ, ამ ადგილს „განაცუდუ“ დაერქვა. „განაცუდუს“ წყაროცად, სადაც არაყს ხდიდნენ – მეგრულად „ონტებაშ ოფუნაფალი.“ ღელგ-წყაროებიც მრავლდაა, რომლებიც საკუთარი სახელებით ფიქსირდება. აგრძითად: ანდრიას, ბარდლუს, გეგიას (ქართული გვარი

გეგია), სვარადის, კაჭარავების (ქართული გვარი), ნავეს, ნარიქის, პუპნას, სევას წყაროები (მეგრულად „წყურგილი“ – წყარო). საინტერესოა მდინარის ხეობა „ჩეგემდალი“, მთა სათანჯოს ძირას. „ჩეგემი“ მეგრულად, ჩანჩქერებით მდიდარი დელეა. „ჩეგემს“ სახიფათო ადგილს უწოდებენ – უძირო, ხარო, უფსკრული. მთა სათანჯოს ძირას, კლდეში გამოქვაბულია, რომელსაც „ოჩოკოჩიშ უდე“ მეგრულად, ოჩოკოჩის (ტყის კაცის) სახლი ეწოდება.

დიხაზურგაში დასახლებული უბნებია: საგვაგვალიო, საგამსახურდიო, საგამახარიო, საკაჭარაო, საკვირკველიო, სალამაძიო, საძიგუო, სამარლანიო, საჯონჯუო. უკლებლივ ყველა ქართული საგვარულოებია. საინტერესოა სათანჯოს მთა ციხე-კოშკით, სადაც კურორტია „საჰავო“ (მეგრ.), სა-სარგებლო პაერი. სათანჯოს შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა: 1. სათანჯო, იგივე სატანჯოა; შეუა საუკუნეებში აქ, ციხე-კოშკში ფეოდალები ადამიანებს სტანჯავდნენ; 2. შეუა საუკუნეებში აქ გენუელების, თუ ვენეციელების კოლონია ყოფილა; 3. სათანჯო წარმოიშვა მეგრული სიტყვა „თანჯი-დან“, რაც სამანს, საზღვარს ნიშნავს (ვალერიან ზუხბაია). „გენუელთა პირველი კოლონიები შავიზდვისპირეთში ჯერ კიდევ XII ს-ის II ნახევარში გაჩნდა. მალე მათ ტანადან სებასტიონლის-სოხუმამდე 39 დასახლება დააარსეს. აქედან 7 – საქართველოს სანაპიროზე. ყველა ეს დასახლება თანამედროვე აუხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მათ შორის ერთ-ერთი მდინარე ენგურის შესართავთან (შანტანგელო)“ (პაპასკირი 1998: 75).

ზენი არის დიხაზურგისა და ნაბაკევის თემის (თემი - ადრე სასოფლო საბჭო) სოფელი. ის დიხაზურგის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, რელიეფი ვაკეა. მეგრულად „ზენი“ ვაკეს ნიშნავს. დიხაზურგა კი, მთაგორიანი ადგილია (ვალერიან ზუხბაია). ნასახლარები-სახნავებია: ნავეს, ოვას, კვეწეს, დუდას, ეომეს, ერას, ალსანდრეს, „აბრაგიო“ (მეგრულად) - ყაჩაღის, სახნავი მეგრულად – „სადინი“. სოფელში არის მარლანიების, ბულიების (გვარია) ტყე და სახნავი, აგრეთვე, ჩქოტუას (გვარია) სახნავი. დასახლებული უბნებია: ფიფიების, ცანავების, კეკუების – ქართული საგვარულოებია – საფიფიო, საცანო, საკეკუო.

ოცარცე – სოფელი ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. „ოცარცე“, ქ. ი. საცარცე, ცარცის საბადო. აქ საკორე ქვა მოიპოვება. დასახლებულია უბნებად: სადემურიო და სამიქიო (დემურია, მიქია ქართული გვარებია). მიქია დევნილთა სიებში არ გვხვდება, შეიძლება, დღესდღეობით არ ცხოვრობენ, ან იყოს სამიქაიო (მიქაიები). მიქაიას გარდა, ზოგადად, სამურზაყანოში მიქავა, მიქაძე, მიქელბაია, მიქელაძე, მიქიაშვილი სახლობენ (გალის... 2005).

ზემო ბარღების ოები – სოფლები: საბუთბაიო, ზემო ბარღები, საშამუგიო.

სოფელი ზემო ბარღები, მეგრულად, „ბარღეფი“ ქალაქ გალის სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ-ზე მდებარეობს. რელიეფი ვაკეა; ამჟამად, დაჭაობებული ადგილები ამომშრალია და ჩაის პლანტაციებია გაშენებული. ამიტომ, ადგილების სახელწოდებები ჩაის ფართობებს, ან „ნაჩაის“ (სადაც ადრე ჩაი იყო) უკავშირდება. მაგალითად: გაგის, ვენედის, ძუგუს, ელიზბარის ჩაი (ელიზბარ მესხიამ 1926 წელს გააშენა). როგორც ყველგან სამურზაყანოში, აქაც დელე, სახნავი, მინდორი, ტყე, საძოვარი პირვენებების სახელს ატარებს. ასეთებია: ასლანგერი (მამაკაცის სახელი), სამხონი, ილა, გერა, გიდი, ბარდღუ, ქუზუ, ყარა, ჩიქო, ძორგო, ძუგუ, ქოჩო... აქვე, სოფლის ცენტრალურ ნაწილში არის წყარო „მაფაშ წყურგილი“ მეგრულად, მეფის წყაროს ნიშნავს. ეგრულმა მითოლოგიამ „ტყაში მაფა“-ც იცის (ტყის კაცი), მაგრამ, მეტად არადამაჯერებულია, ვიდრე მეფის წყარო. სოფელში საინტერესო ადგილია ომერ ფაშას გზა, სადაც ადგილობრივი მოხუცების თქმით, 1856 წელს ომერ ფაშას ჯარს გაუგლია.

თითო-ოროლა აფხაზური ტოპონიმი აქაც გვხვდება. „აქუარა“ და „აძიხ“ – ორივე აფხაზურად ღელეს ნიშნავს (ვალ. ეზუგბაია). სხვაც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ არ ფიქსირდება. სოფლის დასახლებული უბნებია: მირცხულავების, მესხიების, უბილავების – მეგრული ფორმით „საუბილუ კუნთხუ“. გარდა ამისა, აღ. დღონების მიხედვით, აქ სახლობენ: ბუთბაია, ლუკავა, მირცხულავა, შამუგია, შარია, წურწუმია, ხვითაია... (ღლონგი 1971: 61).

აღსანიშნავია, რომ საბუთბაიო და საშამუგიო ცალკე სოფლებად განიხილება. საბუთბაიოს სოფლები: ქვემო და ზემო ბარდები, საშამუგიო და ხუმუშქური ესაზღვრება. აღსანიშნავია ნასაყდრალი „ეწერული ოხვამე“ – ეწერული ეკლესია; ტყე-მინდორია მღვდლის მიწა-ტყე; ნასახლარებია: ახალაიების, გამსონიების, მარღანიების, ჭადუების, ჯალალონიების. ტყეები: „ჩქოტუს ნაღელი“ და „რატიას ნასახლარი“ (რატია დევნილთა სიებში ვერ მოიძებნა. დატიანები სამურზაყანოში გვხვდებიან). დასახლებული უბნებია: შარიების და ზარიების – საშარიო, საზარიო.

სოფელი საშამუგიო უბანია, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გვარად შამუგიაა, სახელწოდებაც აქვთან მიიღო. წურწუმიების – საწურწუმიო უბანიც გქხვდება. ნასახლარი მინდვრები: გადელიას, შონიების, ქოთალანის სახელს ატარებს ისევე, როგორც ანხაბაძის ტყე – მეგრულად „ანხიბაიას“ ტყე, ზაქარაიას ტყე და მისთანა. ნიშანდობლივია რამდენიმე ტოპონიმი, როგორიცაა „ტეფიკარე“ და „ცუნაკამი“, მდინარის ნაპირებს ეწოდება. ინფორმატორთა თქმით, სახელწოდებები მათ წინაპრებს მეზობელი წალენჯისის სოფელ ფახულანიდან გადმოუტანიათ.

ქვემო ბარდების თემი – სოფლები: ქვემო ბარდები, საბჭოთა ჩაი, ფიცარდალი, ბოგვეთი.

ქვემო ბარდების დასახლებული უბნებია: სამირცხულო (მირცხულავები), სამიქაო (მიქაიები), საცობეხიო (ცობეხიები გუდაუთიდან წარმოშობით ცვეიბები ყოფილან), სახელწოდება „ხიტუშ მუხუბი“ – ხუტუს კუთხე იმიტომ ეწოდა, რომ აქ ხიტუშ ანხაბაძეს უცხოვრია. აფხაზური ტოპონიმი საძოვარს შემორჩა, ასეთია „სვიტაშ აფთირა“. სვიტა გგრია, „აფთირა“ – საქონლის სადგომი აქვეა „ჰაჯალიშ“ ნასახლარი, ჰაჯალი თურქი იყო, შვილი ბუთბაიად დაიწერა. სოფელში არის „შარაშიას ნაკარუ“ (შარაშიძის კარი) – საძოვარი უკვე სახნავადქცეული. ხშირად, ადგილები გქხდება დიხაგუშებას სახელწოდებით, რაც ზღვისპირა დაბლობებში ყორდანებს ეწოდება.

სოფელს საბჭოთა ჩაი, XX საუკუნის 30-იან წლებში ეწოდა (ადრე „ხიტუს მუხური“ ერქვა – ხიტუშ ანხაბაძეს ეკუთვნოდა), როდესაც ჩაი გააშენეს და კოლმეურნეობას -

„საბჭოთა ჩაი“, მიაკუთვნეს. დასახლებული უბნებია: საპაპასქუო (პაპასქუების), სხვაგან სამურზაყანოში პაპავებიც მკვიდრობენ და პაპაშვილებიც, საჯოლოგუო (ჯოლოგუები), „ტურეფიშ მხარე“ (მეგრულად), ტურავები – ქართული საგვარეულოა, „ჩაფრეფიშ“ (მეგრულად), ჩაფრავა, ჩაპრავა და ჩაბრავა დევნილთა სიებში გახვდება, რომლებიც გალის გამგეობამ აღრე მოგვაწოდა. იმავე სიების მიხედვით, აგუმავა დღეს გალში 182 სული ირიცხება (დევნილთა... 2005). აქ ოთხოზორიებიც სახლობენ – ოთხოზორიების მხარე. სხვა დროს, უბნების განმსაზღვრელი მეგრულად „კუთხუ“ და „მუხური“ გვქონდა. ახლა ქართული ტერმინი „მხარე“ შემოვიდა უბნის აღმიშვნელად. ერთ დროს, აქ გარაფანძეს, ლორიას, ნარმანიას, ორჟონიას, ქუთელიას, ხუბუტიასაც უცხოვრიათ და ტყე, წყარო, მინდორი მათ ნაკვალევს ინახავს. ზოგან, მათ ნასახლარებს მხოლოდ სახელები შემოუნახავთ. მაგალითად: ძვაძვი, ქვაჩალა (ქვაჩანია გვარიც არის), გუძა, დუბუ, ესტატე, კოსტა, ბერზუხი და სხვა. სოფელში სახნავი ადგილი გვხვდება სახელწოდებით, „ბერის ნასახლარი“, ეკლესიის მახლობლად ბერი ცხოვრობდა. სასაფლაო ყველა სოფელს საკუთარი ჰქონდა, აქ მას „ცხაცხუს სასაფლაო“ ერქვა. ზოგჯერ ტოპონიმ „ოხვამეს“ (მეგრ.) „ოღურელე“ ჰქვია, ადგილი, სადაც მკვდრები, გარდაცვლილები განისვენებენ.

სოფელი ფართოდალი მეგრულად, – ფართო დელა, რომელსაც კალაპოტი ფართო აქვს, ტყის მასივითაა ცნობილი. გვხვდება ბზის და წაბლის ტყე. ერთგან მას აფხაზური ტოპონიმი „ახიარა“ (წაბლიანი, წაბლოვანი) აღნიშნავს. სოფელში ჭანიების, ქვაჩანიების, რიგგავების (ქართული გვარებია) სამკვიდროა, რომლებიც უბნებად ცხოვრობენ.

სოფელი ბოგვეთი ადრე ქვემო ბარდების სასოფლო საბჭოში შედიოდა. სახელწოდება მეგრულია, „ბოგვი“ მეგრულად, ერთგვარი ბალახის სახელია (ცხადია, ხორავა 2016: 157). (საყურადღებოა, რომ აღნიშნული ფუძით სოფელი ქვემო ქართლშიც იყო – „ბოგვი“). მას სოფლები: ხუმუშქერი და ზემო ბარდები ესაზღვრება. აღსანიშნავია, რომ სოფელში საყდარი ყოფილა „ბარდებ(ვ)ულ ოხვამე“ მეგრულად,

ბარღების ეკლესია. რელიეფი დაბლობია და მრავლადაა დელები, ჭაობნარი, ტყე, ჩაის ფართობები, ნაწისქვილარები. დასახლებულია ბუთბაიებისა და ელიავების უბნებად. არის ღურწკაიას, ცხაკაიას, ჩემინავას ნასახლარები, „პაპას“ – მდვდლის ნასახლარიც. ანთროპონიმებიც მრავალფეროვანია: დიმიტრი, დუდუ, თავოზი, ჯუზა, ოსთარი, რომა, სეფანი, უტუა, ტუტუ, დიდო, დუდი, ქუთა და ა. შ.

ლეკუხონის თემი – სოფლები: ლეკუხონა, ჟირდალიშკა, ლეჭარაიე.

ლეკუხონა გალის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, მდინარე ენგურის ნაპირზე. სოფლის რელიეფი გორაკ-ბორცვიანია. „ლეკუხა“ ქართული წარმოშობის ტოპონიმია. ეს არის ადგილი, სადაც მცენარე ლეკუხა – ხეჭრელი იზრდება. სოფლის უბანია „ჩემონა“; ჩემონა აქ გავრცელებული ვაზის ჯიში იყო, ამიტომ ეწოდა ეს სახელი. 1969 წელს ვალერიან ზუბაიას ადგილის სახელწოდებად „ოყორანები“ (მეგრ.) – საყორნე ჩაუნიშნავს. იმ დროს, ენგურპესის მშენებლობა მიმდინარეობდა დელე ოყორანებე და მოასფალტებული გზატკეცილი გაუყვანიათ. ბენებად დასახლებულ ლეკუხონაში ჩქოტუები და ლექავები ცხოვრობენ. „ჟირდალიშქა“ მეგრულად, ორდელეს შუას ნიშნავს, ე. ი. ადგილმა სახელწოდება ორ დელეს შორის მდებარეობით მიიღო. აღნიშნულ სოფელში მიედინება მდინარე თომი - „თომიშ წყარი“ (მეგრ.), რომელსაც ორი დელე ქმნის. ამ დელებს შორის ტერიტორიას „ჟირითომიშქა“ (მეგრ.) – თხომს შუა ეწოდება (ვალერიან ზუბაია). სოფელში არის გორაკი – ნაციხარი, სასაფლაო, უფრო ზუსტად, „ნაოხვაშ“, – ადგილი, სადაც ადრე სასაფლაო იყო. უბნურ დასახლებებში ქართული საგარეულოები ცხოვრობდნენ: ლექავები, ტაბაღუები, მანიები, ჩაკაბერიები, ხარჩილავები, ჩქოტუები, ჭახაიები. იყო სახვარო – ხვარავების უბანი, სავარაუდო, სორავების, რომლებიც დელესაც ცხოვრობენ სამურზაყანოში, ისევე როგორც ჩქოტუები – აფხაზთა წარჩინებული საგვარეულო. გვხვდება ხარჩილავების ყოფილი დასახლებული უბანიც.

ლეჭარაიე – სოფელი გორაკ-ბორცვიანი რელიეფით. ლეჭარაიე არის უბანი, სადაც ჭარაიებს უცხოვრიათ, ისევე,

როგორც სამაგრელოში ლექარჩე (ქარჩავების), ლეჯიქე (ჯიქიების), ლეშამუგე (შამუგიების) და ა. შ. ლეჭარაიე სოფლის ხრდილო ნაწილშია და სოფელ ლეგუხონას ტერიტორიაზე მდებარეობს. დასახლებულია უბნებად: საქობალიო, საშამათო, საღურწეალი, საჯახიათ, საკირტო, საგულუო – ქობალიების, შამათავების, ლურწეაიების, ჯახიების, კირტიების/კვირტიების, გულუების ქართული საგვარეულოები აქ დღესაც მრავლად არიან (მათი უმრავლესობა დევნილობაშია).

მზიურის ოები – სოფელები: მზიური, შაშიკვარა, პარტაუწია, მახუნჯია.

მზიური ახალი ტოპონიმია. ამ სოფელს ადრე ცხიროგალი ერქვა. „ცხირი“ მეგრულად, ტყეს ეწოდება. „ჩხირუა“ ჩიტის დასაჭერ ბადეს ჰქვია. „ფარონი“ მეგრულად, უღრან ტყეს ნიშნავს და ტყიანი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება. სოფელში არის დელექტი, მაგალითად, „კიშის დალი“ მეგრულად – კეცის დელე. მის ნაპირებზე დღესაც კერამიკის („კიცის“) ნამსხვრევებს პოულობენ. ჩანს, აქ, ძველად დასახლებული პუნქტი იყო. აქვეა დელე, რომელსაც „ყოჯელი“ ეწოდება, რაც აფხაზური ტერმინია და ქოთანს ნიშნავს. ამ დელესთან ახლაც ქოთნებს, დოქებს ამზადებენ (1969 წ.); წარსულშიც ასე იყო. აქა-იქ გვხვდება აფხაზური ტოპონიმები. მაგალითად, წყარო „აძიხ“ აფხაზურად, წყაროს ნიშნავს; პატარა მდინარე „შაშკვარა“ აფხაზურად, შაშის (ქალის სახელია) დელეს ნიშნავს, მოგვიანებით სოფლის სახელად იქცა. სოფელ მზიურში არის ბორცვი „ლაკირბაიას დიხაშუგუბა“, რინიგზის ხაზთან ახლოს, სადაც გამომწვარი თიხის სასახლე – კუბო უბოვიათ; მაღლობია, სახელწოდებით „ხობზონი“, რომელიც წყავის მსგავსი მცენარეა. ძველად, ამ მცენარის დეროებით და ტოტებით საცხოვრებელ ფაცხებს ღობავდნენ. მზიური ქართველებით არის დასახლებული უბნებად: ნაყოფიებით, ყოლბაიებით, უბილავებით, ღურწეაიებით, ჯგერენაიებით, აბრამიებით – სააბრომიო... აქ სახლობენ გვარები: აბაკელია, არქანია, ახალია, ბეგუა, ბიბლია, გადველია, გერგედავა, გოგონია, დარსანია, ეგვაია, ვარდანია, ზაქარაია, კვეკვესკირი, ლექავა, ლეფსაია, მამასახლისი, მიქაია, ნაჭყებია, პაპავა, უზანაშვილი,

ქობალია, შენგელია, შონია, წურწუმია, ჭარაია, ხუხუა, ჯღარკავა... (ჟღენტი 1971: 9).

შაშიკვარა – უბანი, დელე – სოფელ რეფის საზღვარ-თან არის. დელე სოფელ ჭუბურხინჯში იწყება და სოფელ რეფში მდინარე ოჯოღორეს ერთვის. სოფელი ქალაქ გალის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. დასახლებულია უბნებად ქართული საგვარეულოებით: დარსანია, ზაქარაია, ქარჩავა, შონია, ჭარაია, ჯგერენია. ყოფილი დასახლებული უბანია საბიბლაიო (ბიბლაია) და საყოლბაიო (ყოლბაია). უბანი საჯგერენაიო (ჯგერენავები) სოფელ პატრახუწის საზღვართან არის, რომელიც მდინარე ერწყარის მარცხენა ნაპირზე, გალი-რეფის გზაზე მდებარეობს.

პატრახუწი – „ახუწა“ აფხაზურად, სოფელს, სოფლის უბანს ნიშნავს. „პატრ“-ის მნიშვნელობა უცნობია. შესაძლოა, რომ აღნიშნული ტოპონიმი ქართული სიტკის – „პატრარა“ და აფხაზური „ახუწა“-ს შეერთებით წარმოიშვა. სოფლის დასახლებული უბანია „გარდანი ეფიშ კუნთხუ“ მეგრულად, ვარდანიების კუთხე, აგრეთვე, საშენგელიო (შენგელიები), ადრე იტყვილნებ – „შენგელიეფიშ კუნთხუ.“ გვხვდება ზვამბაიას, მარდანიას წისქვილები, ლაკირბაიას, ჭანტურიას ტყეები, შანავების, ჭარაიების, ცქიტაიების სახნავები, მინდვრები.

მახუწჯია ქალაქ გალს აღმოსავლეთიდან აკრავს. სოფლიდან მახუწჯიას წყარო გამოდის, რომელსაც გალში ქვიშონა ეწოდება. აღსანიშნავია ნაციხეარი „მარღანიების ნაჯიხ“ (მეგრ.), აქვეა ბორცვი – ქარდავების ნაციხეარი, „ქარდეფიშ ჯიხა, ნაჯიხ“ (მეგრ.) დასახლებულია ქარდავებისა და არქანიების უბნებად. სოფლის ტყეების მესაკუთრეები აქირთავები, ინალისქუა (ინალიშვილი), ჯინჯორაია ყოფილან. ეს უკანასკნელი, ამჟამად, სამურზაყანოში არ ცხოვრობენ (დევნილთა... 1998).

მუხურის თემი – სოფლები: მუხური, საბულისკერიო, პირველი შეშელეთი.

სოფელი მუხური სამხრეთით ვაკე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ბორცვიანი რელიეფით ხასიათდება. ტოპონიმი „მუხური“ დასავლეთ საქართველოში ბევრგან გვხვდება და ცნობილია, რომ კუთხეს აღნიშნავს (ვალ. ძუხბაია).

დასახლებულია ქართველებით უბნებად. აქ გვხვდება გვარები: ბენია, ბულისკერია, შარანგია, გულუა. არის პატარაიების კუთხე. ნასახლარებია: გაბელიას, გოგოხიას მამულები, ანჩაბაძეების, გუჩუების. წყაროები: გოლანძიას, ემსვარის... ტყე – მეგრულად „აბსეფიშ ტყა“ – აბსაკების ტყე, დევნილთა სიებში მათი რაოდენობა 267-ს არ აღემატება. მუხურში სახლობენ გვარები: აბრამიშვილი, ალანია, ანთია, ანჩაბაძე, ბასლანძე, ბალიშვილი, ბადბაია, ბენია, ბულისკერია, გაბედავა, გაგუა, გასაშვილი, გვალია, გვაძაბია, გოგოხია, გულავა, ზედგინიძე, თარბაია, კვარაცხელია, კვირკვრულია, კილანავა, ლიპარტია, ლუკავა, მარკელია, მებონია, მოსიაშვილი, მოსიძე, რუხაძე, სვიმონია, ფარცვანია, ფირცხალავა, ქვაჩახია, ქვაცაბია, შანავა, შარანგია, ცაცუა... (ჟდენტი 1971: 73).

ტოპონიმებში ხშირია სუბტროპიკულ კულტურის – ჩაის ფართობთან და ფაბრიკასთან დაკავშირებულ ადგილთა სახელწოდებები. მაგალითად: ბაღბაიას, გაგუას, თარბაიას, კოწოლანძის ჩაის ფართობები. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის სუბტროპიკული მეურნეობის მთავარი დარგი მეჩაიერება იყო. აფხაზეთის ჩაის პლანტაციების ფართობის უდიდესი ნაწილი – 88,3% გალისა და ოჩამჩირის რაიონებშია განლაგებული. მეჩაიერების ყველაზე მძლავრი რაიონი გალი იყო, რომელზეც ავტონომიური ჩაის პლანტაციების თითქმის 53% მოდიოდა (ნაჭყებია 1961: 6). რაიონის გორაკბორცვიან ზოლში, მეჩაიერებით აჩიგვარის, პირველი გალის, ოქუმის, ჭუბურხინჯის, მუხურის და ბედის სასოფლო თემები გამოირჩეოდა. სოფელ მუხურზე ზემოთ უკვე აღინიშნა და დანარჩენ სოფლებში, მეჩაიერებასთან დაკავშირებული ტოპონიმები სათანადოდ განიხილება. ჩაის პლანტაციები ვაკე-დაბლობის ზოლშიც იყო გაშენებული. ასეთია: სიღის, ზემო ბარღების, თაგილონისა და ნაბაკევის სასოფლო თემების ტერიტორია. ჩაის კულტურამ ზღვისპირა სანაპირო დაბლობზეც კარგად იხარა, როგორიცაა: ქვემო ბარღების, გუდავას, განახლების, ოტობაიასა და ფიჩორის სოფლები.

საბულისკერიო – ბულისკერიების უბანი, რომელიც ცალკე სოფლად ჩამოყალიბდა მუხურისა და ოქუმის თემებში.

ასეთი ტიპის არის სასოფლო დასახლებები ზემო ბარდებში: საბუთბაიო, საშამუგიო და ოქუმის თემში – სამელაიო.

პირველი შეშელეთი მუხურის თემშია, ხოლო მეორე შეშელეთი – რეფი-შეშელეთის თემის შემადგენლობაშია. შეშელეთი ისტორიული სოფელია, რომელიც XVII საუკუნეში, არქანჯელო ლამბერტის რუკაზე კალესიასთან ერთად არის გამოსახული. ცხადია, ამ ხანებში მჭიდროდ იყო დასახლებული და კალესიაც ამ სოფელს ეკუთვნოდა (კილანავა 1975: 41). ამ უძველესი ტოპონიმის აზრობრივი მნიშვნელობა უცნობია. შესაძლებელია, ფუძე იყოს „შეშა.“ შეშელეთი, ე. ი. ადგილი, სადაც შეშა მზადდებოდა.

ნაბაკევის თემი - სოფლები: ნაბაკევი, ზენი, ეწერი.

ნაბაკევი თემის ცენტრია. იგი მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ვაკე რელიეფით ხასიათდება. ნაბაკევი აქ არსებულ „ბაკზე“ მიუთითებს. მეგრულად ამ სოფელს „ნაბაკი“ ეწოდება და მას ხსნიან როგორც დატკეპნილ („ბაკილი“) ადგილს. დასავლეთ იმერეთშიც არის ამ სახელწოდების ხოფელი (ვალ. ეზუგბაია). ხოფლის უბანია სათორიო, თორიას გვარის ქართველებით დასახლებული; საჩხეტიო – ჩხეტიების უბანი; ჩიკვატიას ნასახლარი და მხეიძეების სასაფლაო. ამჟამად, ნაბაკევში ეს გვარი არ ცხოვრობს. ნაბაკევში ხოფლის კუთხეა წიფურია, რომელიც გადადის ჩრდილოეთით, სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე. „წიფური“ მეგრულად, წიფელს ნიშნავს. რქანჯელო ლამბერტი (იტალიელი მისიონერი) აღნიშნავს, რომ XVII საუკუნეში, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ წიფურიაში იმართებოდა ბაზრობა. გარდა ამისა, წიფურია ცნობილია, როგორც კულტურის კერა, საღაც თრი მშვენიერი, თლილი ჭით ნაშენი კალესია, სამეგრელოს ერთ-ერთმა მთავარმა კათოლიკე მისიონერებს გადასცა. XIX საუკუნეში, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას, ნაბაკევში, თავად ლეონ შერვაშიძის სახსრებით, წმიდა გიორგის სახელზე, ხის კალესია აუშენებია (Отчेत... 1865: 90). „აღნიშნული ეკლესია 1885 წელს გაუძარცვავთ, 2.500 მანეთის ღირებულების საეკლესიო სამკაული გაუტანიათ და ოქროში დაფერილი ვერცხლის ხატები, რომელთა ძვირფასი შემკულობის ფასი კაცმა არ იცის.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერაფერს მიაკვლია. ამ ხატებს აქაურები „წველი მარდიანს“ და „ჯიშვე მაცხოვარს“ ეძახდნენ. თუმცა, სამურზაყანოში, ქრისტეს სწავლას მტკიცედ არა აქვს ფეხი მოკიდებული, მაგრამ ამ ხატებს ყველანი დიდ პატივს სცემდნენ. ისეთ ოჯახს აქ ვერ ნახავთ, რომ ამ ხატების შესაწირავად საქონელი ან რამე საკლავები გაშვებული არ ჰყავდეს. ყოველწლიურად მსხვერპლს სწირავდნენ მათ და ადგილობრივ ეკლესიაში სხვა დაწესებულ შესაწირავს გზავნიდნენ. ძვირად მოხდებოდა, რომ ამ ხატების წინაშე რომელიმე სამურზაყანოელს სიცრუე ეთქვა, როდესაც სახარების და ჯვრის წინაშე ზოგიერთები სიცრუეზე იფიცებდნენ“ (ურნალი 1886: 3). ვრცელი დამოწმება იმისთვის დაგჭირდა, რომ ნაბაკებში დღესაც ორი ეკლესია არის. მათ შორის ერთ-ერთი – „მარდიანიშ ოხვამე“ – მარდიანიშ (ქართ. მადლიანის) ეკლესიაა, რომელიც ზემოთ ნახენები „წველი მარდიანი“ (წმიდა გიორგის ხატის მიხედვით შერქმეული) უნდა იყოს. მეორე არის „ჯოჯიშ ოხვამე“ მეგრულად, რაც ჯოჯის (მამაკაცის სახელია) ეკლესიას ნიშნავს. „ჯოჯის ვინაობაზე სხვადასხვა გვარი მიუთითეს, სარწმუნოდ არ მივიჩნიე“ – ადნიშნავს ვალერიან ეზუგბაია, ამ უნიკალური ტოპონიმიკური მასალის შემქრები.

ზენი მეგრულად, ვაკეს, ველს ნიშნავს. რელიეფი მართლაც ვაკეა, ამიტომ ეწოდა სოფელს ეს სახელი. ამ სახელწოდების მეორე სოფელი ჭუბურხინჯის თემში შედის. აქაც ნაეკლესიარი ყოფილა. ადგილის სახელი – „ნაოხვამ“//„შარდენიშ ოხვამე“, შარდენის ეკლესიაა. საყდარი აქედან ეწერში გადაიტანეს. ახლა იქ არის „ეწერიშ ოხვამე“ მეგრულად, ეწერის ეკლესია. აქვეა ნასაყდრალი, ფიფიების ეკლესია//მანჩას (მანუჩარის) ეკლესია სოფელ სიდის საზღვართან. სოფელი დასახლებულია ქართველებით შემდეგ უბნებად: კირცხალიები, მებონიები, ქარდავები, ჩარგაზიები, აქუბარდიები...

ადსანიშნავია ნასახლარები, რომლებიც სახნავებს, წყარებს, დუქანს, სასაფლაოს, საბანაო ადგილებს და ა. შ. შემოუნახავთ. მაგალითად: ანჩაბაიას (ანჩაბაძის), შონიების, აბსანების, ხასაიების მიწები (სახნავები), თოფურიას, ბერაიების, კუპრავების მინდორი, გუნჯუების ნასახლარი,

დურნებ ელიაგას აღმართი, ელიების წყარო, თურქების სასაფლაო – ძევლი სასაფლაო, კიკალიას, თორიას წყარო, კონჯარიას საბანაო, მაშვა ბოტოკიას ნამიწარი – სახნავი, ხუც ეხვაიას ისლნარი...

სასაფლაო – ძიგის სასაფლაოდ იწოდება. ძიგიმ კაპლის ხე დარგო და ოქვა: აქ დამმარხეთო. დაკრძალეს და ეს ადგილი შემდეგ სასაფლაო გახდა. საჩაიეს, ჩაის ფართობს „აფხაზების ფართობი“ ჰქვია იმიტომ, რომ ჩაის მკრფავები აფხაზეთიდან ჩამოჰყავდათ.

სოფელი ეწერი სოფელ ნაბაკევის დასავლეთით მდებარეობს. აქ ეწერი ნიადაგია. სოფლის სახელწოდება ნიადაგის ტიპთან არის დაკავშირებული. „დასავლეთ საქართველოში არის ამ სახელწოდების 19 სოფელი, რაც ამ მხარეში ფართოდ გავრცელებული ეწერი ნიადაგის გამო ეწოდა. ნიადაგის სახელი ეწერი კი წარმოშობილია გვიმრისაგან, რომელიც კარგად ხარობს დასავლეთ საქართველოში. ეწერი აჭარასა და სამეგრელოში გვიმრას ჰქვია“ (გოგატიშვილი 1989: 27). სოფელში ადგილს „ენწერიშ ოხვამე“ (მეგრულად), ეწერის ეკლესია ეწოდება, რადგან ის ეწერ ადგილას მდგრა; ამჟამად, ეკლესია არ არის (ვალ. ზუხბაია). აქ არის სასაფლაო, ნასაყდრალი „მარდიანის ეკლესია“ და ნასაყდრალი „ხვევერიაშ ნოჯის“ (მეგრ.) „ხვევერიაშ“ (ხოფერიას, ი. კ.) ნაციხეარი. მარდიანის ეკლესიასთან არის მდვდლის სახნავი მიწა. დასახლებული უბანი თორიების ქართული გვარისაა, სადაც აკაციის – „ოლიკაციონი“ (მეგრ.) ტყეა. იმავე სათორიოში მუხის, თბელის ტყეც გვხვდება. ნასახლარებია: კონჯარიების, კოხიას, მერქულეს (მერქულიფხეს), ჩუჩის (ქალის სახელია). პირსახელებიდან აქ გვხვდება: ჩამას, შარვანის, ღუტუს, ქუშუს, ქუთუიაშ, ტოტიას, ტაგუს, ნესტორის, მახაზის, ბარდლუს, გვარდლის, გუძას, დათას სახნავები; საჩაიები, მინდვრები, ტყეები, ტლაპო-ტბორები.

ოქუმის ოქმი – სოფელები: ოქუმი, სამელაიო, აგვავერა, საბულისკერიო.

ოქუმი გალის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილია, ვაკე-ბორცვიანი რელიეფით. „ქუმუ“ მეგრულად, ჩვეულებრივარის სელი; ოქუმი - სახელე, ე. ი. ადგილი, სადაც სელს სოე-

სდნებ“ (ვალ. ზუხბაია). აღსანიშნავია, რომ 1840 წელს, ბე-დიდან სოფელ ოქუმში გადაიტანეს სამურზაყანოს ცენტ-რი. სხვა თემებთან შედარებით, აქ მრავლადაა აფხაზური ტოპონიმები. მაგალითად, ადგილია „ანიხაგუართა“ (აფხაზურად) – სალოცავი ხატის ადგილი, წმიდა ადგილი, სა-თიბი – ემხვარის ნასახლარი, ადგილი „უთრათიფ“ (აფხაზურად) – საბოსტნე ადგილს ნიშნავს. „სერი ქაფშექითი“ აფხაზურად, ქაფშის სოფელს ნიშნავს. ქაფშ – გვარია, გუ-დაუთაში ცხოვრობენ, ხოლო ქაფშაიები – გალის რაიონში. „ქაფშ“ აფხაზურად, წითელსაც ნიშნავს. სოფელ ოქუმის სატყეოში კიდევ უფრო მეტი აფხაზური წარმომავლობის სახელწოდებებია. მათი დიდი ნაწილი საძოვარს, ბორცვს, მინდორს, მთა-მაღლობს, ტყეს, მდგომეს, ღელეს უჭირაგს, რომელიც ძირითადად, დაუსახლებელი ტერიტორიებია. სა-ხელდობრ, ფერდობი „აბაცუანარა“ – ზღმარტლის ფერდო-ბი, ტყე – „არმუა“ – ჯარის გზა, მინდორი, ველი აფხაზუ-რად – „აშთა“, ტყე – „აჩამ(ჰ)არა“, „ჩამპა“ - ნეკერჩხალი, ღელე – „მარშან ქუარა“ – მარშანიას ღელე, ადგილი, მაღ-ლობი – „ეიქუარა“, წყაროს, უფრო შექრს ნიშნავს, იქ დღე-საც შექრი იზრდება; „ახიარა“ – წაბლის ტყე, ჭაობიანი ადგილი – „ჩამაა ამმახ“ და მისთანა.

ოქუმში ქართველებით დასახლებული უბნებია: სადო-ჩიო (დოჩიები), სარიგვა (რიგვავები), საჯგუბურიო (ჯგუბუ-რიები), საჯანჯულიო (ჯანჯულიები), საქვაჩანიო (ქვაჩანი-ები), საკოზმაა (კოზმავები)...

სადოჩიოს უბანში ადგილის სახელწოდებაა სადოჩიოს ეკლესია, ადრე აქ ეკლესია იყო. სოფლის უბანია „ესქერდა“ გორაკ-ბორცვიანი რელიეფით; არის შეუ საუცუნეების ციხე-კოშკის ნანგრევები. სახელწოდება „ესქერდას“ მნიშვნელო-ბა გაურკვეველია. ვალ. ზუხბაია მიიჩნევს, რომ შეიძლება, აფხაზური წარმოშობის იყოს.

სამელაიო სოფელია ოქუმის თემში, რომელიც მელიე-ბის გვარის საცხოვრისს ნიშნავს. მელია, მელაშვილი, მე-ლაძე გალის რაიონში დღესაც ცხოვრობენ. სამელაიოში ფარფალიები და შამათავებიც სახლობენ.

სოფელი აგვავერა ოქუმის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და აფხაზურად ტაფობს, ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. სოფელმა სახელწოდება რელიეფის გამო მიიღო. დასახლებულია ქართველებით, უბნურად: საახვლედიანო (ახვლედიანები), საგოგუო (გოგუები), საქვანიო (ქვანიები), საქვაჩანიო (ქვაჩანიები), საშადანიო (შადანი-ები), საჯუმუტიო (ჯუმუტიები), საშონიო (შონები). სოფელში, ძირითადად, აფხზური ტოპომინებია. მაგალითად, ტყე-ფერდობებია – „აფხასარი“ და „აკარმარა“, აქვე „ათვადუშ წაჭროა“ (თავადის წყარო), „ანარა“ დიდი დაქანების ფერდობს ნიშნავს, „ადგილი არადუ“ აფხაზურად – დიდი კაკლის ხე, მარტო მდგომი. საბალახო – „აქამბურა“//„აკამბურა“ (აფხაზურად) – ქამბური//კამბური მცენარეა. მორევი „აძიგეში“//„აძიგეში“ აფხაზურად, წყალტრიალა. წყალვარდნილი „აძიგვა“ 50 მ. სიმაღლის იქნება. „ელმაპრა“//„ეიმაპერა“ 20 მ-ის სიმაღლიდან ჩამოსული ჩანჩქერია. სოფელში სახნავია – „ლემკაციშ მამული“, რომელიც ლემკაც ემხვარს ეკუთხნოდა. ხშირად, სახნავს, ნავენახარს, ნასახლარს სამურზაყანოში „მამული“ ეწოდება. გზა „ახუწა“//„ახუცა“ – „შარა“ (მეგრ.) გზას ნიშნავს. ძველი გზაა, რომელიც მთის ძირს მიჰყვებოდა ტყეარჩელა-მდე და სოხუმამდე. „ახუწას“//„ახუცას“ შარა აფხაზურ-მეგრული ტოპონიმია, რომელიც ზოგან გვხვდება სამურზაყანოში და ნიშნავს „გზას, რომელიც ლაკადებს გასდევს.“

პირსახელებიდან ნიშანდობლივია შემდეგი სახელები: ბიჯგვა, ბიშხა, ბეკო, ბიდდი, მიკო, კუბელი, ნიტუ, დავითი, დოროთე, თათა, კაბე, კოზმა, კოჭი, კუჭუ, ჯვებე, ჯოდორია, კოლოკი, ძაღუ, ტამუ, პავლე...

სოფელი საბულისკერიო მთის ძირას, მდინარე ოქუმის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს; მას დასავლეთით სოფელი ოქუმი, ჩრდილოეთით სოფელი აგვავერა ესაზღვრება. დასახლებულია უბნებად ქართული გვარებით: ბულისკერია, გერგაია (ამჟამად, მხოლოდ ერთი ოჯახია დარჩენილი, 1969 წ.), დოჩია, ჯგუბურია, ჭარაია, ჯუმუტია, გორგაია, ლაცბაია. უბანი სალაცბაიო სოფელ ოქუმის საზღვართანაა, აქ ლაცუზბაიები ცხოვრობენ. აქვეა ემხვარის ნასახლარი, ბერის წყარო და ნასახლარი... ზემოთ ჩამოთვლილი

საგვარეულოების გარდა, ოქუმის თემში მკვიდრობენ: ბაღი-შვილი, გაბლაია, გაბისონია, გოგოხია, გოგუა, გუნია, ეზუგ-ბაია, ემხუვარი, ემუხვარი, ზარანდია, თოდუა, კაკავა, კაკუ-ბავა, კვარაცხელია, კორსანტია, კოზმავა, ლაგირვანძე, ლე-მონჯავა, ლეჟავა, მარგველანი, მარკოზია, მარხულია, მას-ხარაშვილი, მელაია, მესხია, მირცხულავა, მიქავა, მორგო-შია, ნანავა, ნარმანია, უვანია, რეჭია, სირგინავა, ტაბალუა, ფარულავა, ფარფალია, ფუტურანძე, ქეცბაია, ღურწკაია, ყოლბაია, ყუფუნია, შამათავა, შონია, შელია, ჩერქეზია, ჩხა-პელია, ცაბალუა, ცაცუა, წირდვავა, ჭანტურია, ჭითანავა, ჭუბურანძე (ჭუმბურიძე), ხარებავა, ხასია, ხორავა, ჯონჯუა, ჯგურენაია, ჯობავა (ჯდენტი 1971: 81).

ოტობაიას თემი – სოფელები: ოტობაია, ოკვინორე, პი-რველი ოტობაია, ვეშქუდელი, ზარწუფა, მეორე ოტობაია, ქვიშონა.

ოტობაია სასოფლო თემის ცენტრია, დაბლობი რელიე-ფით, ზღვასთან ახლოს. ის მდინარე ენგურის მარჯვენა ნა-პირზე მდებარეობს. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ოტობაია“ ტბას ნიშნავს. „ტომბა“ მეგრულად, ღრმა წყალს ნიშნავს. „აქ ენგური ძლიერ ღრმა არის“ (ვალ. ზუხბაია, 1968 წ.). სოფელი ოტობაია თემის ცენტრიდან სოფელ ფიჩო-რის საზღვრამდე გრძელდება. ის ისტორიული სოფელი ნა-ჟანეულია, რომელიც აფხაზეთის დიდ საკათალიკოსო იად-გარშია მოხსენიებული. „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვა-შიძესთვის მიებარებინა“ (კაკაბაძე 1921: 104). ე. ი. სოფელი ნაჟანეული ამჟამად, ოტობაია. არის გადმოცემა, რომ აქ თავადი ქანა ანჩაბაძე ცხოვრობდა, ამიტომ, სოფელს ნაჟანე-ული ეწოდა. სოფელში ქართველებით დასახლებული უბნე-ბია: საგაპანიო/სავახანიო (ვახანიები), საროგო (როგავები), საძაძუ (ძაძუები). სახნავებია, ნამიწარი: ელიების, თედო ჩაჩბაიას (ჩაჩბა და ჩაჩიბაიები დღესაც ცხოვრობენ (დევნი-ლთა სიები 1998), ჩხიფაძის, ლაუ იზორიას, მიხა რატიასი (რატია და რატიანი ამჟამადაც მკვიდრობენ)...

მეორე ოტობაია – სოფელი მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მას დასავლეთით პირველი ოტობაია ესაზღვრება. დასახლებულია უბნებად: ალფენიძეების,

კვარაცხელიების, ძამუების. უბანი საძამუო პირველი ოტობაიას საზღვართანაა. სოფელში არის თხილნარი – ანჩაბაიების (ანჩაბაძეების), აგრეთვე პეტრე ანჩაბაძის წისქვილი, სახენავები, სადაც ადრე ჩაი იზრდებოდა. ენგურის პირზე, მთის ძირას დაფერდება „რიყეა“, სადაც გზა გადიოდა სოფელ განმუხურისკენ – „ვეშკუდელის გზა.“

სოფელი ვეშკუდელი მდინარე ენგურის სანაპიროზე, განმუხურის საზღვართან მდებარეობს. მეგრულად, „ვე“ ველია, ხოლო „ჯუდელი“ – კუდი, ბოლო. ე. ი. სოფლის სახელწოდება „ველის ბოლოს“ ნიშნავს. ჩრდილოეთით მას მეორე ოტობაია ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით – სოფელი ქვიშონა; დასახლებულია ქართველებით უბნებად; ხოტკილავების, ფაცურიების, ხალვაშების (ჰალვაშების)... სახნავები-ნასახლარები ტუფურიას, უზარაშვილების (უზარასქუების), ბესელიების, კვარაცხელიების, აბლოთიას, აფხაზიას ეკუთვნოდათ (გვარი აფხაზია, ამჟამად აქ არ გვხვდება). გარდა ამისა, არის სახნავები, რომელთაც სამამულო ომის დროს, სოხუმშესის თანამშრომლები ამუშავებდნენ. ასეთია: ბესელიას, ტუფურიას, სოტკილავას, აბლოთიას ნამიწები...

აქ არის დაფნის, (მეგრ. „ოდაფე“) პლანტაცია. საქართველოში კეთილშობილი დაფნა ბუნებრივი ნარგაობის სახითაც გვხვდება. მას არქნიჯელო ლამბერტიც (XVII ს.) მოიხსენიებს. საქართველოში ამ ქულტურის წარმოშობის დრო დადგენილი არ არის. არის მოსახრება, რომ ველურად მზარდი დაფნა ძევლი პონტოს სუბტროპიკული ფლორის ნარჩენებს წარმოადგენს. ბოტანიკოსების აზრით, დასავლეთ საქართველოში შემოტანილია მისი სამშობლოდან და აქვარი ხელსაყრელი კლიმატის პირობებში გავრცელებული იქნა ფრინველების მიერ. „ძველად, დაფნით შემორგავდნენ მონასტრებს, აქედან წარმოიშვა მონასტრების სახელწოდება“ (ყანჩაველი 1962: 103). დაფნის რიყები საკარმილამო ნაკვეთებსაც ალამაზებენ. გარდა სილამაზისა, მათ ეკონომიკური დანიშნულებაც აქვთ.

სოფელი ზარწუფა დაბლობი რელიეფით ხასიათდება. „ძარწუფა“ მეგრულად, მცენარის სახელწოდებაა (ძახველი), იმერეთში „ბაბუცაგრძელან“-ს ეძახიან (პ. ცხადაია). ტოპონიმი მცენარე ზარწუფასთან არის დაკავშირებული.

ტოპონიმი „ზარწუფონა“ მეჩხერი ტყეა, რომელიც ოდესდაც გაუვალი ყოფილა. დასახლებულია ქართველებით უბნურად: ფაცრიეფიშ მხარე, იგივე საფაცურიო, ფაცურიები, ქირთბაიები, ფარულავები, მესხიები, თაკალანძეები. ნიშანდობლივია, რომ მხარის, კუთხის უბნის აღსანიშნავად, პ. ცხადაის ჩაუწერია „საგანო“, მაგალითად, შენგელიების საგანო, იგივე საშენგელიო (შენგელიები), აქვეა „ჩქოტიეფის ღელე“ და „ნაოთხირი“ მეგრულად, ყოფილი თხილნარი, ჰალგაშის ნასახლარი.

ეკლესია – „ოტობაიას ოხვამე“, ოტობაიას ეკლესია იყო. ზარწუფა ოტობაიას თემში შედის. მღვდლის სახნავი (ნამიწარი) ეკლესის მიწა იყო. ტყე „ნაჯიხ-ნაციხარი“ მეჩხერი ტყეა, სადაც თხმელი, წიფელი, ცაცხვი, რცხილა იზრდება. ოდესდაც, ტყის შუაგულში ციხე ყოფილა, რომლის ნაგრევებმაც დღემდე მოაღწია. მდინარე ენგურის კულნბულზე სასაფლაო იყო, რომელიც წყალმა წაიღო. პირ-სახელები, რომლებიც სახნავებს, ტყებს, წისქვილებს, ველ-მინდვრებს უკავშირდება მრავალფეროვანია. კერძოდ, ბატუია, გაბე, ბერკეტი, გადუ, თემრაზი (თეიმურაზი), კოჩია, ლუკაია, მისაკი, ნიკო, ტატაში, ძაგვაია...

სოფელ ქვიშონას სამხრეთით ესაზღვრება სოფელი გაგიდა, დასავლეთით – სოფელი ოკვინორე, ჩრდილოეთით – სოფელი პირველი ოტობაია. მდინარე ენგურის აღიდების დროს, ეს ადგილი წყლით იფარებოდა, შემდგე კი, რჩებოდა მდინარის მიერ მოტანილი შლამი, ქვიშა. „ქვიშონა“ მეგრულად, ქვიშიანს ნიშნავს. სოფელი დასხლებულია უბნებად: საგამახარიო (გამახარიების) – სოფელ ფიჩორის საზღვართან, სადგებიო (დებუების), საზანთარიო (ზანთარაიების), საბახტაძო (ბახტაძეების). სოფლის სახნავები: ბასარიას ნასახლარი, ბერაძის მიწა, როგავების ნამიწარი, სადაც ტყეა, ქარდავების, ხუბულავების, ხუფენიების, იზორიების, ელიების ნამიწარი, აგრეთვე, ხავაშების სახნავ-სათესი მინდორი, რომელიც მემამულებისაგან შეუძენიათ და დიდი ხნის განმავლობაში მათ საკუთრებას წარმოადგენდა. აქ არის ანჩბაიას (ლევან ანჩაბაძის) ნამიწარი, სახნავი და ტყე. მღვდლის დელესთან წისქვილებია: ტაბაღუების, დგებუების

და გამისონიების საკუთრებაში არსებული. ამდენად, სათო-თაოდ ყველა სოფელი უბნებად არის დასახლებული, სადაც გამონაკლისების გარდა, ქართველი მოსახლეობაა. შოფელ-ში თვალშისაცემია სოფლის სასაფლაო და ეკლესია, ან ნაეკლესიარი, მღვდლის, ან ბერის ნასახლარი, ტყე, საძოვარი, წისქვილი და კუსტარული მეურნეობის ამსახველი ის ტოპონიმები, რომლებიც სამურზაყანოს მრავალკომლიან სოფლებში, ამა თუ იმ სოფლის ეკონომიკური უზრუნველყოფისა და დამატებითი შემოსავლის მიღებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი მცირე სამრეწველო წარმოება, სოფელ ქვიშონაში, აგურის საწარმო იყო, ვინაიდან აქ აგურის გამოსაწვავი წითელი მიწაა.

სოფელი რამი ოტობაის თემის ცენტრიდან იწყება და ჩრდილოეთით, სოფელ ზარწიფამდე გრძელდება, დაბლობი რელიეფით ხასიათდება. XX ს-ის 30-იან წლებში, აქ საფეიქრო ტექნიკური კულტურის – რამის პლანტაციები გააშენეს, რაც არარენტაციელური აღმოჩნდა. იმ ადგილს, სადაც რამის კულტურა იყო გაშენებული „რამი“ სახელწოდება შერჩა (ვალ. ზუხბაია, 1969 წ.). სოფლის დასავლეთ ნაწილში მდგებარე დიდ სახნავ ფართობს „ნარამ“ ეწოდება. სოფელი დასახლებულია უბნებად: ალფენიძეების, თორდუების, რატიების, საჯაიების, ხუფენიების. გარდა ამისა, ველ-მინდვრები ძველი მეპატრონეების გაგრ-სახელებს ატარებს. მაგალითად: ყოლბაის ნამინდვრალი, ჩაჩიბაიას, ძაძუების და წარალბაიების ნამიწარი. სოფელ მეორე ოტობაის საზღვართან თხმელის ტყე გვხვდება.

პირველი გალის თემი – სოფლები: სამქვარი, ზემო გალი, ლექუმხარა, კოხორა ფართოლალი, ცხირი.

პირველი გალი, თავდაპირველად, საბჭოთა მეურნეობას ერქვა და შემდგომ სოფლის სახელი, მოგვიანებით კი, თემი გახდა.

სამქვარი, თავდაპირველად, ეკლესიას ერქვა, შემაღლებაზე, სადაც ახლა (1986 წ., პ. ცხადაია) სასაფლაო არის. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ აქ ეკლესია აშენდებოდა, იყო წმიდა სალოცავი – ადგილი, სადაც სამი ქვა იყო (იდო) – „სამქვარი“ (ვალ. ზუხბაია). როგორც ყველგან, ყოფილ სამურზაყანოში, აქაც ქართველებით დასახლებული

უბნებია: საქეცბაიო (ქეცბაიების), საჩეხერიო (ჩეხე-რიების), სახარჩილაო (ხარჩილავების); აგრეთვე, არის აბაშიების, ბიბლაიების, დარსანიების, ვარდანიების, ზაქარაიების, კვეკვე-სკირების მონოგამიური უბნები. გვაქვს ნასახლარები: მღვდლის ნასახლარი (მეგრ. „პაპაშ ნოხორი“) და დიაკვნის ნამიწარი, აგრეთვე, ჭარაიების ნასახლარი. ადგილების სახელწოდებებიდან ყურადღებას იქცევს: „ნადოხორი“, „ნაბერაჟ“ და „მამული“. „ნადოხორი“ მეგრულად, ნასასახლევს ნიშნავს, ე. ი. ადგილს, სადაც სასახლე იდგა. „დოხორები“ სამურზაფანოში თავადის სახლს უწოდებდნენ, რომელიც გლეხების ფაცხებისა და ჯარგალებისაგან განირჩეოდა (ვალ. ზუხბაია). ვისი სასახლე იგულისხმება, ტოპონიმები-დან არ ჩანს, თუმცა სამურზაფანოს თავადაზნაურთა გვა-რები, ისევე როგორც საერთოდ, აფხაზეთის, მრავალფერო-ვნებით არ გამოირჩევა. ადგილი „ბერაჟი“ მეგრულად, დორ-შას, ბაირადს ეწოდება. ე. ი. „ნაბერაჟ“ – ადგილი, სადაც ძევლად დროშას არჭობდნენ და ლაშქრობის წინ იკრიბე-ბოდნენ. ადგილის სახელწოდება „მამული“ ტოპონიმებში სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად, სოფელ დიხაზურგაში (დიხაზურგის ოქმი), მამული სავენახე ადგილს ნიშნავს. ქართველი კაცი, ღვინო, ვაზი და ვენახი რომ განუყოფელია, მსჯელობას არ საჭიროებს. ტოპონიმი „მამული“ ვენახთან ასოცირდება და არა მიწათმოქმედების რომელიმე სხვა და-რგოთა. „მამულ“-ში (მისი საყოველთაო მნიშვნელობის გარ-და) იგულისხმება ადგილი ვენახით და ხეხილით. „დამამუ-ლებულიაო იტყოდნენ, ე. ი. ვენახი და ხეხილია გაშენებუ-ლიო“ (ვალ. ზუხბაია). ერთ-ერთი ეს ტოპონიმიც საკმარისია იმის დასტურად, რომ ყოფილი სამურზაფანო (დღევანდველი გალის რაიონი), ქართულ რეგიონად განიხილებოდეს. მიზა-ნიმიმართული მცდელობა, სადაოდ ექციათ რეგიონის ეთნო-ისტორიული საკითხები, მხოლოდ მითი და მითოლოგებაა, რომელსაც ამჟამადაც წარუშატებლად ეწევიან.

„სამქვაიში“ სამქედო ყოფილა. საქეცბაიოში (ქეცბაიე-ბის უბანში), მინდორს „ნაოჭკადირ(ი)“ ეწოდება, ადგილი, სადაც ადრე სამქედლო იყო. აფხაზური ტოპონიმებიც გვხ-ვდება, მაგალითად: ადგილი ძველი კოშკით, „აბააჟვ“

(აფხაზ.) – ადგილი, სადაც ძევლი კოშკის, სიმაგრის ნანგრევებია. მითოებულია სოფელი ნარინჯოვანი; საქმე იმაშია, რომ ზემო გალს, ერთ დროს, „ნარინჯოვანი“ უწოდეს. აფხაზური ტოპონიმებია: „აიმაცარა“ (აზრობრივი მნიშვნელობა უცნობია) და „აწვცარა.“

სოფელი ლეკუმხარა – ლეკუმხა (აფხაზურად „ნეკუხა“, „ნიკუხა“) მდინარე ერისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ლეკუმხარა (მეგრ. ლეკუმხა), მცხნარე ხეჭრელაა. სოფელში ლევლეს, მინდორს, ფერდობს აფხაზური სახელწოდებები აქვს: „ათირქეიკვარა“, „არწახაძ“//„აწვახაძ“, „ახუწა.“ სახნავს „ბაბუშ ნოხორი“ (მეგრ.) – ბაბუას ნასახლარი ეწოდება. აფხაზური წესით, რძლები ბაბუის სახელს „ივაკას“ ვერ იტყოდნენ და დაარქვეს ბაბუას ნასახლარი, რაც სოფელში გავრცელდა. მინდორი „ბოშნა გილართა“ აფხაზური წარმოშობისაა. „ბოშნიეს სადგომი, ბოშილა მეჯოგე იყო და იქ იდგა“ (პ. ცხადაია). დასახლებულია ქართველებით: საგაბლაიო (გაბილაია) გაბელია, გაბლიანი, გაბალაძე... დღესაც ცხოვრობენ ამ რეგიონში (დეკილთა ...1998), საგონიო (გონავა), საკაკო (კაკავა), სასარუო (რურუა)... აქვე, სასარუოში ბორცვია „ნაჯიიხ“ (მეგრ.) – ნაციხარი, მდინარე ნიშონის მარცხნივ. ტოპონიმი „ნიშონი“, შესაძლოა, კავშირში იყოს „ნიშთან“ – ნავთან. მდინარე ნიშონის მარჯვენივ, სამსონის რცხილნართან არის მინდორი, რომელსაც „ციმპვაშ ოხვამუერს“ უწოდებენ. წვიმის მოსაყვანი რიტუალი „ციმპვა“ აქ სრულდებოდა, შემდეგ ნიშონში ერთმანეთს აგდებდნენ. საინტერესოა სახნავების სახელწოდებები, რომლებიც პირველი შეშელეოთის საზღვართან მდებარეობს: „ქეცბაიაშ ნაგრად“ და „ჯობააშ ნაგრად(ი),“ რომლებიც ქეცბაიასა და ჯობავას, ოურქებთან ომის შემდეგ, საჩუქრად მიუღიათ. აქ, ომერ ფაშას წინააღმდეგ, ენგურის ცნობილი ბრძოლა უნდა იგულისხმებოდეს, რომელმაც 40.000-იანი კორპუსი აფხაზეთში გადმოიყვანა და სამურზაყანო ოსმალეთის საფაშალიყოდ გადააქცია. სწორედ გადამყწვეტ ბრძოლაში, მტერს პირველი ეკვეთა სამურზაყანოს მილიცია, აფხაზი პოდპოლკოვნიკის, ს. ზვანბას მეთაურობით, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა. „მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა. აქაურ მცხოვრებთ, დღემდე ახსოვთ

მინდორი, სადაც ათასზე მეტი მკვდარი ეყარა და ამდენივე წყალმა წაიღო...“ (ბოროტდი 1934: 21). ხალხმა ამ ადგილს „ნალიმა“ შეარქვა. ზემოთ შეგვხვდა აღნიშნული ტოპონიმი და აგრეთვე, გზის სახელწოდება – „ომერ ფაშას შარა“ (მეგრ.) – გზა. ტოპონიმების ფასდაუდებელი მნიშვნელობაც იმაშია, რომ სიტყვაში ინახება ისტორიული მოვლენები, რომელთა გაშიფვრისას, მთლიანად ისხნება მოვლენის არსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ენგურის ბრძოლაში თავი ისახედა სამურზაყანოს მილიცამ, რისთვისაც რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ, გამოგზავნა დროშა წარწერით: „სამურზაყანოელთა მამაცობისათვის.“ სამურზაყანოს ცენტრი მაშინ სოფელი ოქუმი იყო და ეს დროშაც, როგორც სამურზაყანოელების გმირობისა და მამაცობის რელიქვია, ოქუმის ეკლესიაში ინახებოდა. „ოქუმის ეკლესია როცა დაუნგრევიათ, დროშაც მაშინ დაუწევიათ. ნაპოვნია დროშის ტარი, რომელიც ბოლო დრომდე გალის რაიონის მხარეთ ცოდნების მუზეუმში ინახებოდა“ (აქირთავა 1981: 2). დროშის, ბაირადის მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ იმის გახსენებაც საჭიროა, რომ ტოპონიმებში ადგილის სახელწოდებად „ნაბერაყი“ (მეგრ.) – დროშა, ბაირადი ფიქსირდება სოფელ სამქარში, ამავე სასოფლო თემში.

სოფელი კოხორა გორაკ-ბორცვიანი ადგილია. თავდაპირველად, მას მუხნარი რქმევია. რკოს მეგრულად „კი“ (კი) ეწოდება, ამიტომ საეჭვო ჩანს. „კოხორა“ წალენჯიხის რაიონში, მდინარე ილორის ხეობაშიც გვხვდება (ვალ. ზუბაია). დასახლებულია შემდეგ გვარებად: ზუბაია, შარანგია, ქარდავა, არქანია... სოფელში ანჩბაიას (ანაჩაბაძის) ნასახლარი გვხვდება; ასევე, ფერდობი – წისანიას (გვარია) ნასახლარი; ტყე - „ინალისქუაშ ნადელი“ მეგრულად, ინალიშვილის ნადელი, რომელიც დებული ინალიშვილს ეპუთვნოდა. აქვეა აგრეთვე, მარდანიების და ქარდავების ნაციხარი; ხემბი-ციხის საზღვარზე „ტყე ობშინა“ არის, სადაც ყველას შეეძლო ტყის მასივით სარგებლობა. დელების - „ალაჟვარასა“ და „ავასახას“ (აფხაზური ტოპონიმები) სათავეებთან „ობამბუქეა“. კოხორაში „ალაჟვარაშ“ წყაროა, საიდანაც ძველად, სოფელ მუხურში წყალი ყოფილა

გაყვანილი, ამიტომ კერამიკის მიღის ნაშთები გვხვდება. აქვეა ნაციხარი „ალაპვარაშ ჯიხა“ („ჯიხა“ – მეგრულად, ციხე) – ალაპვარას ციხე.

ფართოდალი სოფელია პირველი გალის თემში. ამავე სახელწოდების ტოპონიმი დუმურიშის თემშიც არის. ფართოდალი (ფართო დელე მეგრულად), ე. ი. დელე, რომელსაც ფართო კალაპოტი აქვს. დასახლებულ უბნებში შემდეგი გვარები გვხვდება: ალსანდია/ასლანდია, ბუავა (საბუო), გოგლანძე (საგოგლანძო), ნაყოფია (სანაყოფიო). ასლანდი-ებისა და ნაყოფიების მცირე, მიკროუბნებია. ტყე – „მარდანიეფის კუთხე“, წყარო – „ზაქარაიების წყურგილი“ (მეგრ. წყარო), სახნავი – „აპარას ნამიწარი“, მინდორი - „ნაციხარი“ დელე ფართოდალის მარჯვენა ნაპირზე, მაღლობზე მდებარეობს.

ზემო გალი მდინარე ნიშონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მას სოფელი ოქუმი ესაზღვრება. ბასარიების, გასაშვილების ეზუგბაიების, მიქაიების, როსტობაიების, ფირცხელიების (სამურზაყანოში ფირცხელიანები და ფირცხელავებიც ცხოვრობდნენ), ქეცხაიების, შამათავების ჯეჯეიშების უბნებია. აქვეა ნასახლარი „ნადულათუ“, სადაც გვარად დულათავა ესახლა, დელე – „რეჭიაშ დალ“//„კოჩიაშ დალი“, აქ კოჩი რეჭია სახლობდა. აფხაზური ტოპონიმებიდან აღსანიშნავია: დელე „აკუარა თბაა“ (აფხაზურად), რაც ფართო დელეს ნიშნავს; ბორცვი – „აკაჭარან;“ დელე და ხევი – „ამუშკვარან“ და „აშუმპარა.“

სოფელი ცხირი მდინარე ერისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და იყოფა სამ ნაწილად: ზემო ცხირი – სოფელ ლიხაზურგის საზღვართან, „ჯვეში“ ცხირი – მდინარე ერისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაღლობზე და ქვემო ცხირი – მდინარე ერისწყლის მარჯვენა ნაპირზე. სოფელი ვაკებორცვიანი რელიეფით სასიათდება. ცხირის მნიშვნელობა უცნობია. მეგრულად, ზმნა „ცხირუა“, „გეცხირუა“ ფრინველების დასაჭერად ცხენის ძუის გაბმას ნიშნავს. ქართლში არის ტოპონიმი „ცხირეთი“, აფხაზეთში, ტამიშთან - „ცხირიში.“ შესაძლებელია, ეს იყოს ადგილი, სადაც რცხილა სარობს (ვალ. ზუხბაია). აქ არის ბამბუქის ტყე, რომელიც სამშენებლო დანიშნულებისაა. სოფელში არის ეკლესია,

ძველი სასაფლაო საინტერესო სახელშოდებით - „ქუა-ჯვარიშ ეხვამე“ (მეგრ.), ე. ი. ქვაჯვრის სალოცავი, შეიძლება, სასაფლაოსა და ეკლესიის შეერთების სიმბოლური ტერმინია; ნანავების სასაფლაო – მეგრულად „ოლურელე“, რაც გარდაცვლილთა სამყოფელს, სამკვიდროს ნიშნავს. ქართველებით დასახლებულ უბნებში გვხვდება გვარები: ბეწვაია, ზუბებაია, იზორია, კვატანია, ნაყოფია, როდონაია, ციკლია. ყოფილი დასახლებული უბნებია: საარდიო (არდიების) და ნამარკილუ (მარკილები და მარკელიები). სახნავი მინდვრებია: კუდა დადიანის, კორსანტიოების, კოკაიების, კვირკველიების, ჯეჯეიების, ცაცბაიების და სხვა. ერთგან თურქის ნასახლარიცა; სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან, აქ რუსები (3,1%), აფხაზები (0,8%) ცხოვრობდნენ. დანარჩენი მოსახლეობა ქართველები იყვნენ, რაც თვალსაჩინოა იმ უნიკალური ტოპონიმური ლექსიკონიდან, რომელიც თავდაუზოგავი შრომით, ჩვენამდე მოვიდა და რომელიც საშუალებას გვაძლევს ისტორიული სამურზაფნოს ისტორიის სადაც საკითხები სათანადოდ შეფასდეს.

პირველი გალის თემში, ძირითადად, შემდეგი გვარები სახლობდნენ: აბაშია, არჯევანიძე, ვანიძე, ბასარია, ბიბლაია, დარსანია, ეზუგბაია, ზაქარაია, თარბაია, კვერცხესირი, მიქაია, რეწია, როსტობაია, ფერცხელავა, ქეცბაია, შამათავა, ჩეხერია, ჯეჯეია... (ჟღენტი 1971: 83).

ფიზიკის თემი – სოფლები: ფიზორი, ნაჭკადუ, ნაკარდალი.

ფიზორი ზღვისპირა სოფელია, რომელსაც ჩრდილოეთით სოფელი დიხაგუმუბა, სამხრეთით კი, სოფელი ნაჭკადუ ესაზღვრება. სოფელში მეფორიების, ორჟონიების, სოსელიების, სიჭინავების, შამათავების უბნებია. აქვეა ნამიწარი-ნასახლარი ველ-მინდვრები: ანჩაბაის, თორიების, კიუტების (კიუტი გვარია), ლემონჯავების, ჩიკვატიას, შამუგიების, მარდანიების... სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში არის ტყე - „ჭუბაბრიას წიფნარი“, აგრეთვე, ტყე „მეტროსტროის“ ტოპონიმით, სადაც ხეებს ჭრიდნენ და სოხუმში მიჰქონდათ. აქვეა ნაგზაური, ძველი გზა - „მეტროსტროიშ შარა.“ სოფელში არის მინდორი თუთის ხეებით. თუთის ხეები

(„ოჯამპე“ – მეგრულად) სამურზაყანოში მრავლად გვხვდება, რამაც, თავის დროზე, მეაბრეშუმეობის გავრცელებას შეუწყო ხელი. „აფხაზეთზე, საქართველოში დამზადებული აბრეშუმის პარკის, თითქმის 10% მოდიოდა, ხოლო გალის რაიონი აბრეშუმის პარკის კველაზე დიდ მწარმოებელს წარმოადგენდა“ (ქავთარაძე 1971: 59).

სოფელში გვხვდება სახნავები „ნაანგური“ (მეგრ.) – ეწოდება ადგილს, სადაც წინათ აგურს ამზადებდნენ. ზღვისპირა ადგილს „ისორათი“ ეწოდება, „ბოდაზი ისორათი“ შავიზღვის ნავსადგურს ერქვა.

ნაჭკადუ - „ჭკადი“ მეგრულად მჭედელს ნიშნავს, ე. ი. ადგილი, სადაც სამჭედლო იყო (ვალ. ზუხბაია). სოფლის დასახლებული უბნებია: საბაქუბარდიო (აქუბარდიების), საგელენიო (გელენიების), საკიტიო (კიტიების), საშარიო (შარიების), საბექელიო (ბექელიების), სიჭინავების, ჩიჩუას ნამიწარი სახნავებიც გვხვდება. ადსანიშნავია, რომ ერთ-ერთ დასახლებულ უბანს „ხირზანეფი“ მეგრულად, ხიზნები ეწოდება. ეს არის სხვა სოფლებიდან მოსულთა დასახლება ნაკარლალსა და ბორსკეში. ბორსკის დასახლებული უბანი სოფელ ფიზორსა და შავ ზღვას ესაზღვრება. ასევე საინტერესოა, რომ ბესელიების ნამიწართან არის „ჯვარალების“ (ჯვარი, სამეგრელო) სამოვარი.

ნაკარლალი – სოფელი და დელე – ნაკარლალი, ე. ი. დელე, რომლის ნაპირზეც კარავი მდგარა. ნაკარლალის ნაპირზე არის ტყე, სადაც ქურსეუს (გვარია) კარავი პქონდა (საქონდის მწყემსვის დროს). სოფელში ველ-მინდვრებია: ბიგვავების, საჯაიფის, პატარაიების, პერტაიების... აქვე გადიოდა არხი ხეების დასაცურებლად. „დასავლეთ საქართველოში ხეტყის ექსპორტი XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო, რაც მეტ-ნაკლები ინგენიორით კარგა ხანს გრძელდებოდა, სანამ 1880-იანი წლებისათვის ამას მტაცებლური ექსპლუატაციის შედეგად არ მოჰყვა ამ ტყეების უდიდესი ნაწილის განადგურება“ (გუგუშვილი 1979: 166). ასე იყო სამურზაყანოშიც. „მდიდარ ბუნებრივ რესურსებს მრეწველობის განვითარებისათვის არ იყენებდნენ. აქედან გაპქონდათ რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება იაფად. მეტი მოგებით დაინტერესებული მწარმოებლისაგან ტყე საკმაოდ გაიჩეხა,

ამიტომ 1920 წელს, ერთობის გამგეობას უნდა გაერქვია სამურზაყანოს ტკითა მდგომარეობა და ხარისხი“ (გაზეთი 1920: 2).

რეფი-შეშელეთის თემი - სოფლები: რეფი-ეწერი, მეორე შეშელეთი, ხუმენი-ნათოფური, ხუმუშქური, აკვარიკვა, თხინაშვარი.

რეფი-შეშელეთი დაბლობი ადგილია, ტყიანი, მდინარეებით უხვი. ზღვიდან აღმოსავლეთით, სოფელ მუხურამდე გრძელდება, სამხრეთით – სოფლების: ბარღების, ხუმუშქურისა და ცხირო-გალის გასწვრივ, ხოლო ჩრდილოეთით სოფლების: გუდავისა და აჩიგვარას გასწვრივ მდებარეობს. რაც მთავარია, თემის სახელწოდება ქართულია, თუმცა აქაიქ აფხაზური ტოპონიმებიც გახვდება. მაგალითად: პატარა მდინარე – „შაშიკვარა“, რაც ქართულად შაშის (ქალის სახელია) წყალს, დელეს ნიშნავს. ის რეფი-შეშელეთის ტერიტორიაზე მიედინება. საინტერესოა დასახლებული უბის ამსახველი აფხაზურ-მეგრული ტოპონიმი „შაშკვარაპიჯი“, ე. ი. შაშკვარას სანაპირო, ნაპირი; „პიჯი“ მეგრულად პირს ნიშნავს. ასევე, უბანი, ღელე „აბაყ(ირ)ჩა“ სოფელ რეფის საზღვართან. „რეფი“ მეგრულად დარტყმას ნიშნავს; ტყეში ხეებს ჭრიდნენ და „რეფაფი“ ისმოდა, ან „რეფი“ – ურტყი, ასევე „ქორეფი“ („ქო“ ზმისწინია) სიტყვა „რეფი“ მეგრულულ ენაში მრავალი მნიშვნელობით იხმარება. „სოფლის სახელი რეფი წარმომდგარა სიტყვა ურტყისაგან“ (პ. ცხადაია). სხვა ვერსიით, ძველად, სანამ აღნიშნულ ადგილზე ხალხი დასახლდებოდა, ჯერ მეცხვარეები მოსულან და შორი-შორს დასახლებულან, მათ ცხვრები მრავლად ჰყოლიათ. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ, საჭიროებისამებრ, ხეზე რკინა ჩამოკიდეს (სარეკალა) და იმით რეკრინენ. შეშელეთში, მაღლობზე არის ტოპონიმი „ხობზონი“. ხობზი წყავის მსგავსი მცენარეა. მისი ღეროებისაგან, ძველად, ფაცხებს ღობავდნენ. სოფელში არის უბნები: თუნგიების, ორჟონიების, ფარფალიების, ხარბედიების, ჯდარკავების, რომლებიც რეფი-ეწერში ცხოვრობენ. რეფი-შეშელეთის თემში ქართველები მკვიდრობენ შემდეგი საგვარეულოებით: ალასანია, არდია, არონია, ბეკალავა, გოგილანძე, გულია, გოგონია, თამაზ-ოდლი (ლაზი), თოლორდავა, კვატანია, კოკაია,

კორსანტია, გვილავა, ლექავა, მატუა, ნაყოფია, როდონაია, სანიკიძე, სოსელია, ფიფია, ქათალანძე, ქობალია, შონია, ჩეხერია, ციკოლია, ცხუცხუბია, ჯობავა... (დლონტი 1971: 85).

გინდე ეწერი რეფი-შეშელეთის ტერიტორიაზე არის. ზღვის გასწვრივ, სანაპირო დაფარულია თხმელის ტყით. აქ არის დელე „ოთულე“ (მეგრ.), ქართულად – საგოჭე. ძველად, გინდე ეწერის უღრან ტყეში, გარეული ლორები ბინადრობდნენ. სოფელი მთლიანად ტყიანია და 200 ჰექტარს მოიცავს. სახელწოდება იმიტომ დაერქვა, რომ გრძელ („გინდე“ მეგრულად, გრძელს ნიშნავს), ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმული. ტყის მასივი თავად შარვაშიძეებს ეპუთვნოდათ. მისი უკანასკნელი მფლობელი პოეტი გიორგი შარვაშიძე იყო. თავადმა ტყე გერმანელებთან (რადაც გაუგებრობის გამო) კარტში წააგო მაშინ, როდესაც მოსკოვში მეოვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა. როცა გერმანელებმა ტყე მიისაკუთრეს, ვინმე ფეტერი გამოგზავნეს, რომელმაც რევოლუციამდე, აქ სახერხი ქარხანა ააგო. ერთ-ერთ ადგილს ახლაც „ფეტერიშ ნაზავოდი“ ჰქვია. ხის დამამუშავებელი ქარხნები სხვაგანაც იყო. აქ არის დელე „აბდახარა“//„აბდაჰარა“, რომელიც სოფელ რეფიდან მოდის და მდინარე ხუმუშქურის შენაკადია. ფეტერს მასზე მდინარე ერწყარამდე არხი გაუყვანია ხეების დასაცურებლად. ხეების გადასაზიდად, ემხვარებსაც გაუყვანიათ არხი – „ემხვარეფიშ(ი) ნანთხორა“ (მეგრ.) მდინარე ქირიდან ხუმუშქურამდე. არის სხვა არხებიც. აღსანიშნავია ნავსაყუდელი „საფილკო“, რომელიც მდინარე გაგიდაწყალზე იყო. აქამდე მოდიოდნენ ხოფელი ლაზების ნავები – „ფილუკები“ და მუხის მორებით იტვირთებოდნენ. ინფორმატორი აქ მუშაობდა.

სოფელში ადგილია სახელწოდებით, „ნარელსარი.“ აქ ოდესდაც რომაული კოპორტები იდგნენ. სავარაუდოდ, ეს რელსები (ცხადია, ტყეში ნაკლებად ემჩნევა) ოჩამჩირიდან ფოთამდე მათ უნდა გაეყვანათ. აღსანიშნავია გინდე ეწერის ტყის შეაგულში მდებარე წყარო. დაბლობ ადგილზე ტლაპოა, რომლის ფართობი 8 კვ. მეტრი იქნება, სადაც კამეჩები ნებივრობენ და ამდვრევენ წყალს, რომელიც მიწიდან ამოსვლის ადგილზე ქოველთვის სუფთაა. ეტყობა, რომ ეს

ადგილი ბველად მოკირწყელული იყო. შესაძლოა, ეს უძველესი წყალსადენია, მაშინდელი, როცა აქ რომაული კოპორტები იდგნენ. ბერძენი ისტორიკოსების ცნობებით, ამ მიდამოებში მნიშვნელოვანი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები ყოფილა.

რეფი-შეშელეთის ტყეში, ზღვასთან ახლოს, ღელე „ოც-ხენესთან“ (მეგრ.), ქართულად – საცხენე, ადგილობრივები ციხის ნანგრევების არსებობაზე მიუთითებენ, რომლის ისტორია არავინ იცის. რაც შეეხება წყაროს, შესაძლოა, ბერძენთა „ნახელავი“ იყოს. ამ ადგილებში სასმელი წყალი არ ვარგა; ჭის წყალი მოწითალო შეფერილობის და მომლაშოა. აღნიშნული წყაროს წყალი კი, ზამთარ-ზაფხულ, თითქმის ერთნაირი ტემპერატურისაა, გემოთი – სასიამოვნო, მუდამ სუფთა და გამჭვირვალეა.

სოფელი ხუმენი-ნათოფური. ხუმენი ნათოფურის აღმოსავლეთი ნაწილია, დიდი ერწყარსა და რეფს შორის მდებარეობს. ხუმენი დიდი ტყე იყო, მაღალი ხეებით, სადაც სულ ხმები ისმოდა („ხუმა“ მეგრულად, ხმას ნიშნავს) ან მიწისქეშა წყლების, ან ქარიან ამინდში, ტყის ხმაურის მსგავსი. სამეგრელოში, კაცზე, რომელიც მაღალი სიმინდების ყანაში დგას, იტევიან: „ხუმენს მითორენია“ – ხუმენში, დაბურულ ტყეში დგასო. აქ ბზისა და იფნის დიდი ტყეა; სახნავი მინდვრებია: ზვამბაიების, შარიას, კვიტიების..., აქვეა მარღანიას წყარო და ა. შ. გზა, რომელსაც ტოპონიმი „ჭოჭოშ გინაჭერა“ (მეგრ.) აღნიშნავს, ჭოჭოს მიერ გათხრილს, გაფვანილს ნიშნავს. აღნიშნული გზა 1929 წელს გაუყვანიათ რეფიდან ზღვამდე. მას ე. წ. „პრიმორსკის“ დასახლების გზა გაჰყოლია.

სოფელი ხუმუშქური მდინარე ხუმუშქურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფლებამდე: აკვარიქვა და რეფი-ეწერი. მის დასავლეთით, სოფელი თხინაშეარია, სამხრეთით – სოფლები: სიდა და ზემო ბარდები, ხოლო აღმოსავლეთით – სოფელი მხიური. მდინარე ხუმუშქურის ნაპირზე სახნავებია და საძოვარი – „ეშბაიების ნადელი.“ აღსანიშნავია ანჯაფარიძის ეკლესია საკვესქოს უბანში. აქ სალოცავად მოსული უზარაშვილები, ნის ძირას შესაწირ

ფულს ტოვებენ. სოფლის დასახლებული უბნებია: საგადგლიო (გადელიების) და საკეთსქირიო (კმეპესქირების).

სოფელ აკვარიკაში არის ამავე სახელწოდების დელე, რომელიც დაბლობ ადგილზე მიედინება, ზაფხულობით შრება, მაგრამ ტყით მდიდარი ნაპირი აქვს. „აკვარიკა“ აფხაზურად, შავ ღელეს ნიშნავს. ღელე დაჭაობებულია და მისი წყალი შავი ფერისაა. სოფელში საჩაიერები და ჩაის ფაბრიკებია. მაგალითად: გეგიას, ელიზბარის, კიტაის (კიტაგას), ძეგეს... აქ არის: ლემონჯავების და სვანის ნასახლარები, ბეგლარის ნადუქნარი და ა. შ.

თხინაშეკარი – „თხინა“ ადგილს ერქვა, სადაც მწევებს „კარე სადგომი“ ჰქონდათ. სოფელი თხინაშეკარი//თხინაშეკარე მდინარე ხუმუშქურის (ქართული ტოპონიმია, „ხუმ“ - ხმელი, „უშქური“ – ვაშლი) ჩრდილოეთი მდებარეობს. მის სამხრეთით სოფელი ზემო ბარღებია, ჩრდილოეთით – სოფელი ხუმენი-ნაოთოფური. ქველად, სოფელში უბნებად ყოფილან დასახლებული ანთიები და ბასარიები, გეხვდებოდა გვარები – გამსონიები და გოგოხიები. აქ არის გულორდავას წყარო, ტყე – „ბეგულის ნადელი“, რომელიც ბებული მარდანიას ეცუთვნოდა. თხინაშეკარი დასახლებულია ქართველებით უბნებად: საბელქანიო (ბელქანიები), სალგებიო (დგებუები), საშენგელიო (შენგელიები), საშონიო (შონიები) და საჩიკვატიო (ჩიკვატიები).

რეჩხის თემი - სოფლები: რეჩხი, ხელე.

სოფელი რეჩხი რეჩხი-ცხირის ჩრდილოეთი ნაწილია. „რეჩხი აგრეთვე დაბას სოფელ პირველი გალის (ნარინჯოვანის) ტერიტორიაზეა, სადაც ჰქის შენდება“ (ვალ. ზუბაძია). სოფელი ჭამგვარას მთის ძირას არის, სოფლებს – საბერიოსა და ღუმურიშს შორის. აქ მდინარე რეჩხი//რეჩხისწყალი ჩამოედინება, რომელიც მდინარე ერწყარის მარჯვენა შენაკადია და სათავეს ჭამგვარას მთიდან იღებს (ცხადაი 1974). სოფელში დელებისა და წყაროების სიმრავლეა, რომლებსაც ქართულ-აფხაზური სახელწოდებები აქვთ. გეხვდება ბორცვი ნაჯიხური//ნაჯუხური, „ნოჯიხი“ ნაციხარ ადგილს ნიშნავს; ბორცვიანი ადგილია „აბააჯე“ (აფხაზური ტოპონიმია და კოშკს, ძველ კოშკს ნიშნავს), რომლის მწვერვალზეც ძველი კოშკის ნანგრევები ყოფილა;

სერის სახელწოდებაა „აბაზი“, მასზე ნაჯიხ-ნაციხარია, სადაც კაცს ჰყიდვდნენ ერთ მტკაველში ერთ აბაზად და ამიტომაც დაერქვა აბაზი; ბორცვი „ქუაჯვარი“ სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. აქ ოდესდაც ქვის ჯვარი მდგარა და სახელწოდებაც აქვდან მოდის.

სოფელი ქართული საგვარეულოებით არის დასახლებული: ბასარიები, ინალიშვილები („ინალისქუა“ მეგრულად, საინალისქუო უბანი), მატუები, მესხიები, მიქაიები, ნანავები, ფასანძები (საფარსანძო), ქვაცბაიები, ყოლბაიები, შონიები, ციკოლიები, ჭითანავები, ჯობავები...

სოფელი ხოლე მდინარე ერისწყლის ნაპირებზე მდებარეობს. მას აღმოსავლეთით სოფელი საბერიო ესაზღვრება, ხოლო სამხრეთით – სოფლები: დიხაზურგა და ცხირი. ხოლე ადგილია, სადაც მთას ტყე ახლოს აქვს. „ხოლო-ხოლე“ – სახელწოდება ქართულია, ქართული ენის რაჭულ დიალექტში აღმართს ნიშნავს. გადმოცემით, „ხოლე, თავდაპირებულად, მდინარე ერისწყლის მარჯვენა ნაპირზე სამარტლო მინდორს ერქვა, შემდეგ მან მოიცვა წკელიკარიც და ბოლოს სოფლის სახელად იქცა“ (ცხადაია, ხორავა 2016: 153). წკელკარი მაღალი გორაა. გადმოცემით, აქ ესვენა ხატი „წკელი.“ აქვე „ნაოხვამი“ („ნაოხვამი“), სასაფლაო. „ხვამი“ მეგრულად, ლოცვასაც ნიშნავს. ხშირად, „ნაოხვამი“ სალოცავთან ასოცირდება. „წკელი გაგიწყრაო“ – იტყოდნენ ძველად სამურზაყანოში. სოფლის დასახლებული უბანია პაპ(ი)ჭონი, რომელიც სოფელ რენბის საზღვართან მდებარეობს, ყვანჯარას მთის ძირას; აქვე „პაპჭონიშ ოხვამე“, „ჭანდარიშ ოხვამე“ (მეგრ.) – ჭადრის სალოცავი, თუ ჭადრის ხე-სალოცავი. დიდი ჭადრის ხესთან ხის ეკლესია ყოფილა აგებული. უბნურად დასახლებულ სოფელში არონიები და ლაგვილავები ცხოვრობენ. ადრე გულუებიც იყვნენ, მაგრამ ახლა არ ცხოვრობენ. არიან ასევე, სხვა გვარების წარმომადგენლებიც.

სიდის თემი - სოფელი სიდა

სოფელი სიდა სოფელ ჭუბურხინჯის დასავლეთით მდებარეობს. ჩრდილოეთით სოფელი ხუმუშქურია, სამხრეთით – სოფლები: თაგილონი და ბარლები ესაზღვრება. სიდა ტყით მდიდარი ყოფილა. ბევრგან გვხვდება რცხილნარი

(მეგრულად, „ოცხიმურონი“) ანდის, ბიქტორის, მელტოს, იბლოს, ბუჯგის (საკუთარი სახელები), გვარების – აქებარდიებისა და ფიფიების საკუთრებაში. აკაციის ტყე (მეგრულად, „ოლაკაციონი“) „ნარიქის“ სახელით შემორჩა. შოფლებს: ხუმუშქურსა და სიდას შორის რცხილნარი ყოფილა. აქვეა სახაიე სახელწოდებით „ნატრაქტორი.“ 1932 წელს, ტრაქტორით პირველად ეს ტერიტორია მოხვედის. სახნავები ბასლანძეების, აკობიების, კუპრავების, კვიტიების, გუჩების, სექანიას, სიგუასი და სხვა გვარების ყოფილა. სამოვრები, წისქვილები, ნაგზაურები მათი მეპატრონების ადგილობრივი, ან დროებითი მცხოვრებლების ანთროპონიმებით შემოინახა; ასევე, ღველების და წყაროების სახელწოდებებიც. ერთ-ერთ ღელებს „ბრძა ღელე“ ჰქვია იმიტომ, რომ მიმართულება არ ჰქონდა და ნაწვიმარზე გზა-გასასვლელს ეძებდა. ჩვენი წინაპრების მხატვრული აზროვნების ნიმუშები ამ მხარის გორგოფიულ სახელწოდებებში იკვეთება. აგალითად: სოფლის კუთხეს სოფელ ჭუბურხინჯის საზღვართან „სალხინოს“ უწოდებენ; სოფელ საბერიოში ღელებს, სადაც სამოვარია, მეგრულად „ბეღნიერი ღალი“ ჰქვია; სავწნახე ადგილს სოფელ დიხაზურგაში „მამული“ ეწოდება; ადგილს განახლებაში „ტყედოხორეს“ (მეგრ.) – „ტყესასახლებს“ ეძახიან. „ნოხორი“ მეგრულად, ნასახლარს, „დოხორე“ (მეგრ.) კი – სასახლეს ნიშნავს; ადგილს სოფელ საბერიოში „ტახტს“, ხოლო მდინარეს – „მშრალ ღელეს“ უწოდებენ, მეგრულად „დალხუმლას“ („დალ“ – ღელეა, „ხუმლა“ – ხმელი, გადატანითი მნიშვნელობით, მშრალი); სოფელ გაგიდაში ტბას „უთავო“ (მეგრულად, „უდუდე“) ჰქვია. ის მცირეზომის ზღვისპირა ტბაა, რომელსაც ღელები ერთვის, ზღვაში გასასვლელი არა აქვს, ამიტომ ეწოდა „უდუდე“, ქო. „უთავო“...

სოფელ სიდაში მოსახლე გვარები უბნურად ყოფილან დასახლებული: გამსონიები, გეგენავები, გერგედავები, გოთოლენდიები, კუპრავები, ლევავები, ქარდავები, ქობალიები, შარიები, ჩიკვიტიები, წულაიები, ხურცილავები... მათ გარდა (ალ. ღლონტის მიხედვით) აქ ცხოვრობენ: აბლოთია, აკობია, არონია, აქებარდია, ბასლანძე, ბაღბაია, ბუგა, გაბისონია, გადელია, გვაზავა, გიორგობიანი, გოგოხია,

დარსანია, ელიავა, ეხვაია, ზანთარაია, კაპაშვილი, კალანდია, კვესელავა, მანჯგალაძე, მინჯორაია, მუშუქია, ნიკოლაძე, პარკაია, პირტახია, როსტობაია, საბულუა, სართანია, სექანია, სხელუხია, უბილავა, უზარაშვილი, ფიფია, ფოცხორაია, ქალდანი, ქირია, ყოლბაია, შამათავა, შონია, ჩარგაზია, ხურცია, ჯოლოგუა, ჯდარკავა (ღლონტი 1971: 88).

თაგილონის თემი - სოფლები: სალხინო, თაგილონი.

სოფელი თაგილონი ენგურის ნაპირზე მდებარეობს და დაბლობი რელიეფით ხასიათდება. ის ქვემო, ზეა და ზემო უბნებად იყოფა. ვაკე რელიეფის მქონე ქვემო უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილშია, ხოლო ზემო უბანი მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ადგილობრივი მცხოვრებლები ფიქრობენ, რომ სოფლის სახელწოდება მეგრული „თაქეინოლი“-დან არის წარმომდგარი (რაც ქართულად აქედან გადავარდას ნიშნავს). „თითქოს ამ სოფელს შემოსეული მტერი, აქ მდინარე ენგურში გადავარდნილა“ (ვალ. ზუებაია).

სოფლის ტერიტორია უმცესესი დოროდან ყოფილა დასახლებული, რაზეც მეტყველებს 1930 წელს აქ ნაპოენი განდი – ოქროს, ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოსა და რკინის საგნები, რომლებიც მც. წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ღირებულების მქონე ნივთებით, სამურზაყანოს სოფელ ჭუბურხინჯის განმა მიიქცია ყურადღება, ხოლო მასალის სიმრავლით, კულტურის ნაშთების უძრავ მდგომარეობაში ყოფნით, ამავე რაიონის სოფელ ჩხორთოლის დია ტიპის ნამოსახლარმა, რომელმაც კავკასიაში დღემდე ცნობილ სინქრონულ ნამოსახლარებს გადააჭარბა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ბრინჯაოს ხანაში, ამ მხარეს თვისი საწარმოო კერა ჰქონდა, ვინაიდან სოფლებში: საბერიოში, წარჩეში, რეჩხში, ფიჩორში, ბედიაში, ჭუბურხინჯში, თაგილონში სხვადასხვა მნიშვნელობის განძებია ნაპოენი (აფაქიძე 1984: 47). ამავე რეგიონში, სოფელ ნაბაკევში, ნუმიზმატიკური მასალით მდიდარი განძი აღმოჩნდა, ისევე, როგორც სოფლებში: საბერიოსა და ბარდებში. ამდენად, არქეოლოგების კვლევა-ძიება ადასტურებს, რომ გალის რაიონის ზღვისპირა ზოლი ძველი კოლხური კულტურის ფორმირების წამყვან რეგიონს

წარმოადგენდა. მას არც შემდეგ დაუკარგავს მნიშვნელობა, რაც უკვე გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც აისახა. სახელ-დობრ, სოფელ თაგილონში, გვიან შუა საუკუნეებში, სოფელი წიფურია მდებარეობდა, რომელიც, თავის დროზე, კათოლიკე მისიონერების სამოღვაწეო ცენტრი იყო. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ანგარიშების მიხედვით, 1860-1870-იან წლებში (თარიღში უზუსტობაა), თაგილონში დვოთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია აუშენებიათ; აქვე, მეორე ტაბარი წმიდა მთავარმოწამე გიორგის სახელობის ყოფილა (Отчет...1890: 169). ხევნებული დვოთისმშობლის მიძინების სახელობის ხის ეკლესია, სხვა ცნობით, 1900 წელს აშენდა, ხოლო 1913 წელს შეაკეთდა (Отчет... 1916: 45).

გეოგრაფიული სახელწოდებების მიხედვით, იმ ადგილს, სადაც წიფურიას ეკლესია იყო და დიდი წიფლის ხე იდგა, „წიფურიას ნაეკლესიარი“ ეწოდება. „წიფურიას ციხეც პქონდა, მის ადგილსამყოფელს „ნაჯიხს“ (მეგრ.), ნაციხარს ეძახიან“ (ვალ. ზუხბააია). საინტერესო ტოპონიმია „მანჩას ნადოხორი“ (მეგრ.), რაც მანჩას (მანუჩარ) ნასახლარს, საცხოვრებელს ნიშნავს. გადმოცემით, აქ თავად მანჩა შარაშიას (შარვაშიძის) სასახლე ყოფილა, რომელიც XIX საუკუნის 10-იან წლებში ხანძოკლე დროით განაგებდა სამურზაყანოს.

წამხარი თაგილონის ერთ-ერთი უბანია, სადაც წყაროების მიხედვით, XVII საუკუნეში, სამგერელოს მთავარ ლევან დადიანს სასახლე პქონდა. აქვე არის ნასაყდრალი, რომლის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებმა ჩვენამდე მოაღწია. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ნახენებ სამურზაყანოს მმართველს, მანუჩარ შარვაშიძეს, 1812 წელს, წამხარში ეკლესია განუახლებია და მისთვის დვოთისმშობლის ხატი შეუწირავს. ხატზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ტაბარი, წმიდა გიორგის სახელზე, ცაიშელ მიტროპოლიტს, გრიგოლს უკურთხებია. აღნიშნული დვოთისმშობლის ხატი, თ. ჭიჭინაძეს სოფელ კოკის წმიდა გიორგის ეკლესიაში უნახავს (კვაშილავა 2011: 238).

საყურადღებოა ადგილის სახელწოდება „ნარუსი“ (მეგრ.), რუსის ნაკვალევი. გამოცემით, XIX საუკუნის 50-

იან წლებში, ომერ ფაშასთან ომის დროს, აქ, ენგურის მარჯვენა ნაპირზე, რუსის ჯარი მდგარა, ამიტომ ადგილს „ნარუსი“ ეწოდება.

ადსანიშნავია სამეურნეო დანიშნულების აღმნიშვნელი ტოპონიმები. მაგალითად: ადგილი „ნაჭარხალი“, სადაც XX საუკუნის 30-იან წლებში ჭარხალი მოჰყავდათ, მაგრამ რენტაბელური არ აღმოჩნდა, თუმცა, სახელწოდება შერჩა; გვხვდება ვენახისა და ხეხილის ბაღების აღმნიშვნელი სახელწოდება „ნაშენი“. სუბტროპიკულ, ტემპიკულ, თუ ტრადიციულ სამეურნეო დარგებთან დაკავშირებული სახელწოდებები, თითოეულ სოფელში ისეთი სიზუსტით არის ფიქსირებული, რომ სათვაზაო ადგილების, ე. ი. მეურნეობის დამხმარე დარგებიც შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რაც მხარის წარსულისათვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

სოფელ სალხინოს ადრე ზემო თაგილონი ერქვა. ის სოფლებს: ჭუბურხინჯსა და თაგილონს შორის მდებარეობს. რკინიგზის ბაქანს, რომელსაც „სათანჯოს“ უწოდებენ, ახლა სალხინო დაერქვა. სათანჯოს მთასაც, სადაც დიდი კოშკი დგას და გარშემო ქვის კედელი აკრავს, „სალხინოს“ ეძახიან. ადგილი საკურორტოა, დასასვენებელი პირობებით და სახელიც შესაფერისი შეურჩიეს. სათანჯოს ციხე-კოშკი და გალავანი ტანჯვით აუშენებიათ, ვინაიდან მდინარე ენგურიდან მთამდე ხალხი იყო დარაზმული, რომლებიც ერთმანეთს ქვებს გადააწოდებდნენ. სახელწოდებაც აქედან წარმოიშვა – „სათანჯო“//„საგანჯო“, თუმცა, ზოგიერთები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ.

ადსანიშნავია სახნავის სახელწოდება „ნაბომბა“ (მეგრ.), ე. ი. დანაბომბი. 1943 წელს, ომის დროს, მტერს ენგურზე ხიდის დაბომბვა უნდოდა, თუმცა ბომბი ერთ-ერთ სახლს დაეცა და ოჯახი ამოწყვიტა.

საძოვარს „ნაინგირი“ (მეგრ.) – ნაენგურალი//ნაენგური იმიტომ ჰქვია, რომ მდინარე ენგურმა კალაპოტი შეიცვალა, სოფელ შამგონას მხარეზე გადაიწია და ეს ადგილი დატოვა. სოფელშიც იმავე ტიპის სახელწოდებებია, რაც ადგილობრივ სასოფლო დასახლებებს ახასიათებს; უპირველესად, ქართველებით (აბლოთიები და ჯოლოგუები) დასახლებული უბნები და ძველი, თუ ახალი მოსახლეობის

საკუთრების აღმნიშვნელი ველ-მინდვრების, დელების, ვაკებორცვების, ტყე-საძოვრების, წყაროების ამსახველი ტოპონიმები. არც ლემონჯავას (გვარია) ყოფილი დუქანი (მეგრულად, „ნადუქანი“), „ნაკარტოფილარი“ (ადგილი, სადაც კარტოფილი მოპყავდათ)და სხვა ასეთი სახელწოდებებია საკვლევი ოქმისთვის მისავიწყებელი.

წარჩის თემი - სოფელები: ფუწური, წარჩე, ნახიგუ, ფშაური.

წარჩე სოფელიც არის და მდინარეც, სახელწოდება წარჩე მეგრ. „წყარი ჩე“-დან (თეთრი წყალი) წარმოსდგება. სოფელს უძველესი ისტორია აქვს. ანტიკური ხანის მწერლების ცნობებზე დაყრდნობით, კ. ბერულავას მიაჩნია, რომ ქალაქი „ტარშენი“ იგივე წარჩეა, ხოლო მდინარე „ტარსურა“ – მდინარე წარჩე, რომელიც მდინარე ოხოჯეს ერთვის (ბერულავა 1951: 66). წარჩეში ბევრი ისტორიული ძეგლი მდებარეობს. მხარეთმცოდნე ნ. შონიასა და სხვების დახმარებით, დღემდე, 23 ისტორიული ადგილია მიგნებული, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობის ისტორიულ მასალას მოიცავს. საქმარისია წარჩის „ფიჭერისთეს“ სახელწოდების მქონე გუმბათოვანი ეკლესიის შესწავლა, რომ იგი ხუროთ-მოძღვრების უნიკალურ ნიმუშად ჩაითვალოს. აღნიშნული ეკლესია განსხვავდება როგორც წარჩის სხვა ეკლესიებისაგან, ისევე გალის რაიონის ხუროთმოძღვრული ძეგლებისაგან. „ფიჭერისთეს“, „ფიჭვის ოხვამეს“ (მეგრ.) – ფიჭვის ეკლესიასაც უწოდებენ, რომელიც ქვისად და თურქებთან ომის დროს აუშენებიათ. ტოპონიმიკური მასალის მიხედვით, 1970 წელს, ის ჯერ კიდევ იდგა. უფრო ადგინდელი ცნობით, ეკლესიის ხუთი ოთახიდან, სამს თავისი პირვენდელი სახე შენარჩუნებული ჰქონდა. მას სამრეკლო არ გააჩნდა. თლილი ქვით აგებული ეკლესიის კედლის სისქე ყველგან ერთ მეტრს შეადგენდა. მის კედელლთან მიშენებულია საინტერესო დანიშნულების მქონე ნაგებობა, რომელსაც შესასვლელ კარებზე მსხვილი ურდულის გასაყრელი ხვრელები აქვს დარჩენილი (შონია 1958: 278). ე. წ. „ფიჭვის ოხვამეს“ ქვემოთ სერი და წყარო (მეგრულად, „ბერებიშ სუკი“, „ბერებიშ წყურგილი“) მდებარეობს.

ადსანიშნავია ადგილის სახელწოდება „გოხორხილი“, მეგრ. პირდაპირი მნიშვნელობით, სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს, რეალურად კი – გზა-გასასვლელს აღნიშნავს, რომელიც ბერების სერიდან, მეზობელ სოფელ ფშაურში (ბედიის თემი) გადადის. ძველად, სოფლის ტერიტორიაზე ბევრი ეკლესია-მონასტერი ყოფილა. არც ნაციხარი ადგილებია ცოტა, მეგრ. „ნოჯიხი//„ნაჯიხი.“ აქვეა ციხის დელ (მეგრ. „ჯიხაშ დალი“), რომელიც ძველ კოშკთან გაივლის და მას ციხის დელესაც უწოდებენ. სოფელ წარჩეში, ცენტრალურ ადგილზე მდებარე წყაროს – „მეფის წყარო“ (მეგრ. „მაფაშ წყურგილი“) ჰქია. XVII საუკუნეში, სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის დროს, სოფელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ლევან დადიანისეული ხატებიდან, წარჩის მთავარანგელოზთა ხატი იმითაც გამოირჩევა, რომ სამეგრელოს მთავრის ქედიტორული გამოსახულების პირველ ცდას წარმოადგენს.

სოფელ წარჩეში ქართველების უბნური დასახლებებია: ბენიების, გერზმავების, გვალიების, ელიავების, კენჯიების, კობახიების, მიქაიების, ჩერქეზიების, ჩხორთოლიების და სხვა. ნიშამდობლივია, რომ სოფელი ჩხორთოლი ამ სოფლის ბოლოში მდებარეობს. წარჩეში ანჩაბაძის, ჭითანავების, ძიაფშიფას ნასახლარებიც გვხვდება. ერთ-ერთ ადგილს შემორჩა სახელწოდება „ძეფცხეში (ძეფსკუა, ძეფიშვილი, ანუ ძიაფშიფა) ნეძი“, მეგრ. ძიაფშიფას ასულის (ფხე, მდედრობით სქესზე მიგვანიშნებს) კაკლის ხე. საინტერესოა აგრეთვე, სახელწოდება „გიდიშ ნადოხორი“ (მეგრ.), ადგილი, სადაც გიდის სასახლე ჰქონდა. „გიდი ძველად, სამურზაყანოში მხოლოდ თავადებს ერქვა“ (ვალ. ზუბაია).

სოფელი ფშაური ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი – ბედიის, ხოლო მეორე – წარჩის თემში შედის. ამ სოფლის ტერიტორიაზე შეუკუნეების არქიტექტურული ძეგლი აღმოჩინეს. ჩანს, ფშაური უძველესი სახელწოდებაა. მისი წარმოშობის შესახებ ადგილობრივებმა არაფერი იციან. მსგავსი სახელწოდებები სამურზაყანოში იშვიათად გვხვდება. ბედიის თემის სოფელ ფშაურზე გადმოცემა

არსებობს, თითქოს, ციხის მშენებლის გვარი ფშაურიანი ყოფილა.

სოფლის უბნურ დასახლებებში, ძირითადად, შონიები და ჯიგანიები ჭარბობენ. ნასახლარებმა ძიმისტარაშვილების, ელიავების, ფიფიების, ჩერქეზიების კვალი შემოგვინახა ადგილ-სახელწოდებათა ენაზე. ადსანიშნავია „წირქვანის წყარო“ („წყურგილი“ მეგრ.) და „ქორთუს ნახორი“ (მეგრ.), რაც ეთნონიმ ქართველის ნასახლარს ნიშნავს, რომლის გვარი უცნობია.

სოფელი ფუწყური, ისევე როგორც ფშაური, წარჩის თემის გარდა, აჩიგვარას თემშიც შედის. უფრო დაწვრილებით, სოფელი ფუწყური წარჩისწყალსა და ოქუმწყალს (მდინარეები – წარჩე და ოქუმი) შორის, სოფელ წარჩემდე მდებარეობს. დასახლებულია ქართველებით – ბენიების, სირგინავების, უბილავების, ჯიგანიების და სხვა საგვარეულოებით. საბენიოს უბანში, ნაეკლესიარი ადგილია, რომელსაც „ფურწყულ(ი) ოხვამეს“ უწოდებენ. ამავე უბანშია სახნავი „ნაეკლესიევი მიწა“, ნასახლარი ხაბუგუ ანჩაბაძის გვარ-სახელს ატარებს. რეგიონში ხშირად გვხვდება გვარ ანჩაბაძესთან (მეგრ. ანჩიბაია) დაკავშირებული ტოპონიმები, რომლებიც ამ ცნობილ თავადებზე გარკვეულ ინფორმაციას იძლევა. სოფლის ტერიტორიაზე არც თუ ცოტაა ნასახლარებად ქცეული: ბეკვერიების, ბეჭვაიების, გაგუების, გეთიების კლდ-მინდვრები. მდინარე ოქუმის მარჯვნივ „ნაზავოდი“ გვხვდება, სადაც XX საუკუნის 30-იან წლებში სახერხი ქარხანა ყოფილა.

ნახინგუ. ნა-პრეფიქსით არაერთი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება. „ხინგუ“-ს მნიშვნელობა უცნობია. „ხანგუ“-ს კი, მუქი ფერის კარბონატულ ქანს, თიხიან კირქვას ეძახიან (ვალ. ზუხბაია). სოფლის უბნებში ქართველები (ბეკვერთიები, ვაზგანავები, ზარაქუები, კენჯიები, კობახიები, ფარფალიები, ჯახაიები, თოლორაიები) სახლობენ. ლანიების, ჭარაიების, ბენიების, ხითაროუს (ხითაროვები – გამეგრელებული იყვნენ) ნასახლარები სახნავებად არის ქცეული. საკენჯიოს (კენჯიების) უბანში საოჯახო სასაფლაო ჰქონდათ (მეგრ. „ოხვამერი“, იგივე „ოდურელე“).

ადსანიშნავია სალოცავი მუხა, მეგრ. „ქუთაშ ჭყონი“, ე. ი. ქუთას (სახელია) მუხა, რომელიც გზის პირზე იდგა და „უინიში გითახვამური“ (მეგრ.) – ზენა-ზეციურის სალოცავი. სერგი მაკალათიას მიხედვით, ივლისში, კვირა დღეს, „უინიშის“ – „ზემორეს“, ზეციურის ლოცვა სრულდებოდა. ამისთვის, ციკანს სახლიდან მოშორებით დაკლავდნენ და იქვე მოხარშავდნენ, კერძებსაც აცხობდნენ. „უინიშის“ ადამიანისა და საქონლის მფარველობასა და გამრავლებას შესთხოვდნენ... ადამიანი თუ „უინიშის“ მიზეზით, ბრალით ავად გახდებოდა, მას წმიდა გიორგის ხატოან წაიყვანდნენ; შესაწირად ავადმყოფის სიგრძის სანთელი და ვერცხლის ძაფი (წვრილი მავთული) მიჰქონდათ. „უინიშით“ დაავადებულ ადამიანს ბნედიანის ნიშნები ჰქონდა. იგი ბორგავდა და ზოგჯერ სხვა ადამიანსაც ერჩოდა. ასეთ ადამიანს ილორში მიიყვანდნენ და „უინიშის“ მის განჯურნებას შესთხოვდნენ (მაკალათია 1941: 319). ამდენად, სოფელ ნახინგუში, ფარფალიების უბანში მდგარი მუხის ხე მნიშვნელოვანი სალოცავი ყოფილა.

საინტერესოა, რომ სოფელ ნახინგუს ვაკე-ბორცვიანი რელიეფის გამო, უბნური დასახლებები ბორცვის, სერის მიხედვით იხსენიება. მაგალითად, ბეკვერიების, მიქაიების, კვარაცხელიების „ხუკი“ („ხუკი“ მეგრ. სერს ნიშნავს).

ჩხორთოლის თემი - სოფელი ჩხორთოლი.

ჩხორთოლი (მეგრ.) „ცხრა თვალს“ ნიშნავს. ისიც გადმომცეს, რომ აქ ვიდაც თავადს ცხრათვალა სასახლე ჰქონდა“ (ვალ. ზუბებაია). ტოპონიმი ქართულია, მაგრამ სოფელში ნაწილობრივ, აფხაზური სახელწოდებებიც გვხვდება ისევე, როგორც სამურზაფანოს ზოგიერთ სოფელში. უფრო ხშირად, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორსახელიანობა (ტოპონიმური სინონიმია) დასტურდება, რომელიც ზოგად-ტოპონიმიკური მოვლენაა და გამოწვეულია გვიან მოსული სალხის მიერ, იქ უკვე დაფიქსირებული ტოპონიმების თარგმნით, ან ჩვეულებრივ, მოქმედ ენებზე თარგმნით (ცხადაია 1999: 231).

სოფელი ჩხორთოლი ზემო (მეგრ. „ეკიანი“) და ქვემო (მეგრ. „თუდოიანი“) ნაწილებად იყოფა, რომელსაც ტოპონიმი „გური ჩხორთოლი“ (მეგრ.) – ჩხორთოლის გული, ანუ

შუა ნაწილი ასახავს. სახელწოდება „ეშქითი“ ეშბაიებით (აფხაზებით) დასახლებულ უბანს ეწოდება. ასეთივეა ტოპონიმი „ქაფშ ქითი“ (აფხაზ.), რაც ქაფშების გვარით დასახლებულ სოფელს ნიშნავს, რომელიც სამი სოფლის – წარჩეს, ჩხორთოლის და ოქუმის საზღვარზე მდებარეობს. სოფელში დასახლებული სხვადასხვა გვარები უბნებად ცხოვრობენ: ბადბაიები, გამსონიები, ეშბაიები, ზუბბაიები, თარბაიები, კიკორიები, მალიშავები, სირგინავები, მოროხიები, ფაზულიები, შაკაიები, ქვარანძიები. ჩემინავას, ბარძემიშვილების, ლაგირვანძეების, გეგიების ნასახლარები სახავებისა და საჩაიების სახელწოდებებმა შემოინახა.

საინტერესო მიკროტოპონიმებია: „აშხარუაში მამული“, სადაც ახლა საჩაიეა, ხოლო ადრე აშხარუას გვარს მამული სწორედ ამ ადგილას ჰქონდა; ტყე) – „ბერძენიეფიში“ (ბერძენიების გვარი) მამული.“ „მამული“ ნიშნავს ადგილს, სადაც ვენახი ჰქონდათ; ერთ-ერთ წყაროსთან სახნავს „ნაჯიხუ“ – ნაციხარი ეწოდება. წყაროების მესაკუთრები ემხვარები და თარბაიები ყოფილან (მეგრ. „ემხვარეფიში წყურგილი“, „თარბაიეფიში წყურგილი“). ადრე ჭის წყალზე მეტად წყაროებს იყენებდნენ. წყალი თუ გამდინარე არ იყო, მის მოხმარებას ერიდებოდნენ. სოფელში ბორცვის სახელწოდება „ნაოჭკადირი“//„ნაჭკადირი“ (მეგრ.), ე. ი. ადგილი, სადაც წინათ მჭედელი იყო („ჭადი“ მეგრ. მჭედელს ნიშნავს). სამჭედლო კიკორიების (გვარია) უბანში ყოფილა. სელოსნობას უკავშირდება აფხაზური ტოპონიმი „აუარდინაცვიარა“ – ადგილი, სადაც ადრე ურმებს აკეთებდნენ. შოფლის მთიანი ნაწილის ტოპონიმები, ძირითადად, აფხაზურია. კერძოდ, „არაზანუ“, „აუგუბერა“, „ალაშარა“, „ავიჭარა“, „აბაზუ“ და სხვა (დლონტი 1971: 50). „აბააჯე“ (აფხაზ.) ძველ კოშქს, ძველ სიმაგრეს ნიშნავს. გზის მონაკვეთი „აბააბუარა“, ციხეს შუაზე კვეთს//ყოფს. სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, 50 მ-ის სიმაღლის ბორცვზე „რეჭ-აბას“ ციხის ნაშთები მდებარეობს. ცნობილია, რომ ჩხორთოლის ტერიტორიაზე უძველესი გზა-გადასახლელები გადიოდა. ამ გზის ორი განშტოებით, ზემო სვანეთში და ჩრდილო კავკასიაშიც შეიძლებოდა გამგზავრება. ამ სამეურნეო და სტრატეგიული გზების გაკონტროლებას ჩხორთოლის ციხეები –

რეჭი და ჯიხა ემსახურებოდნენ (ხვისტანი 1998: 57). „ციხე-სიმაგრეებმა როდესაც მნიშვნელობა დაკარგეს, მოსახლეობამ რეჭის ციხეს თაყვანი სცა, როგორც მესაქონლეობის მფარველ მიქამბარიოს სალოცავს. ციხეს, როგორც სოფლის ისტორიულ წარსულს, სათანადოდ უფრთხილდებოდნენ“ (Пачулиა 1960: 176).

ჩხორთოლში ადგილობრივი მნიშვნელობის გზა-გადასახლელებს შორის აღსანიშნავია ნაგზაური – „გვეში ნარელს“ (მეგრ), ძველი ნალიანდაგარი, რომელიც სოფლებში: ბედია, ოქუმი, პირველი გალი, გალი გადის. ის თურქებთან ომის დროს, გადასახლელად რუსებს გაუკეთებიათ. რაც მთავარია, სამურზაფანოს ამ სოფელშიც იყო ეკლესია „ცუდნა“//„ჯგეგეცუდნა“, რომელსაც სახელწოდება აქ დასვენებული წმიდა გიორგის ხატისგან მიუღია, რომელიც სოფელ ბედიდან ქელბათ გოჯოლანძეს წამოუბრძანებია.

ჭუბურხინჯის თემი – სოფლები: ჭუბურხინჯი, ზენი, პირველი აკვალია, მეორე აკვალია, ჭყონხუმლა.

სოფელი ჭუბურხინჯი გალის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას აღმოსავლეთით მდინარე ენგური ესაზღვრება, ჩრდილოეთით – სოფლები: ღიხაზურგა, რეხხო-ცხირი, დასავლეთით – სოფელი მზიური, სამხრეთით კი, სოფლები: სიდა და თაგილონი. სოფლის დასავლეთით, მდინარე ხუმუშქურს ღელე ბაბაშია ერთვის. გადმოცემით, 300 წლის წინ, იმერეთიდან ჩხეტიძეები (ჩხეტიქები) გადმოსულან. დელის ნაპირზე ბაბაშია ჩხეტია დასახლებულა და დელებაც სახელწოდება აქედან მიიღო. სოფელს ჭუბურხინჯი (XIX საუკუნიდან) მდინარე ბაბაშიაზე გადებული წაბლის (მეგრ, „ჭუბური“ – წაბლი, „ხინჯი“ – ხიდი) ხიდის გამო ეწოდა. საუკურადღებოა ბორცვი „ნაჯიხი“ - ნაციხარი, ნაკოშგარი, სადაც დღემდება შემორჩენილი ორი კოშკის ნანგრევი. ერთი უფრო დიდია, მეორე – პატარა ზომის არის. მთავარი გზის პირზე, ვაკე ადგილზე ეკლესია „ჩე ოხვამე“ (მეგრ.) – თეთრი ეკლესია დგას, რომელიც თეთრი კირქვით არის მოპირკეთებული. მთა სათანჯო („ნათანჯა“), სამი სოფლის საზღვარზეა.

ნიშანდობლივია ტოპონიმი „ფარონი“//„ფარინი“, რაც მიუვალ ადგილს ნიშნავს და სახნავების სახელწოდებაა.

ერთ დროს, წყალმა ტალახი და ხეები ამ ადგილას მოაგროვა. შესვლა არ შეიძლებოდა, ამიტომ ადგილს „ფარონი“ დაარქვეს. შემდგომ, გაწმინდეს, გაკაფეს და სახნავად გამოიყენეს. ასეთივე გაუვალი ტყით და ეკალბარდით დაფარული ადგილი „გაბარი“//„ეწერი“ იყო. „გაბარი“ სამურზაყანოში, ვაკე ადგილს, ოდნავ ამაღლებულ კორდს, სერს ნიშნავს. აღნიშნული ადგილი 1957 წელს, ქლუხორის რაიონიდან გადმოსახლებული სვანებით დასახლდა (ვალ. ზუხბაია). ამ პერიოდში, სოფელ ჭუბურხინჯში სვანების 43 ოჯახი დასახლებულა. XX საუკუნეში, საქართველოში ადგილი პქონდა სოფლის მოსახლეობის ორგანიზებულ მიგრაციას. კერძოდ, 30-იანი წლების საკავშირო დადგენილება ითვალისწინებდა გამოუყენებელი მიწების ათვისებას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთის მცირემიწიანი რაიონებიდან დაიწყო ჭარბი შრომითი რესურსის ორგანიზებული გადმოყვანა, ხოლო 50-იანი წლების შუა ხანებში მეტ-ნაკლებად დაზუსტდა გეგმიური მიგრაციული ნაკადების ჩასახლების პუნქტები საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთში (კაცაძე 1993: 49). შესაბამისად, გალის რაიონის მცხოვრებთა შორის, სვანებიც არიან: აცაგურიანი, ავაილანი, ბენდელიანი, გასვიანი, გაბლიანი, გვარმიანი, გუჯუჯიანი, გულედანი, დევდარიანი, დავითულიანი, ვიბლიანი, ზურებიანი, იოსელიანი, კვიციანი, ლეთოლიანი, ნავერიანი, ონიანი, რატიანი, უშხვანი, ფარჯიანი, ქალდანი, ყიფიანი, შუკვანი, ჩაჩხიანი, ცალანი, ცინდელიანი, ხვისტანი, ხარძიანი...

საინტერესი ტოპონიმია „ნააფხაზუ“ – ნააფხაზარი, სოფლის დასავლეთით, ბორცვს ეწოდება. წარსულში მეგრულებსა და აფხაზებს ამ ადგილას შეტაკება პქონდათ. სოფელში სამკურნალო წყალია, გუბე – „აბანა“, სადაც ხალხი აბაზანების მისაღებად დადის. წყაროები, ღელები, ტყის კორომები – კოპიტნარი, იფნარი აქაც გვხვდება. ადგილის სახელწოდებაა „ნაოუთუმ“//„ნაკაზარმ“, მინდვრებზე ადრე თამბაქო („ოუთუმი“ მეგრ.) მოჰყავდათ და „კაზარმებში“ აშრობდნენ. თამბაქო შრომაზევადი კულტურაა, რომელიც აფხაზეთში ფართოდ გავრცელდა და სამურზაყანოში

ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების გავრცელებამდე მოჰყავდათ, მაგრამ საბოლოოდ, ნაკლებპროდუქტიული გამოდგა.

სოფელი უბნურად არის დასახლებული: გამსახურდიების, გერგედავების, გოგონიების, ღემურიების, ცაცუბიების, ყოლბაიების, ჩხეტიების, ჭედიების საგვარეულოებით; არიან სხვა გვარებიც. ყოლბაიები, ჭედიები, ჩხეტიები სოფლებში – ჭყონხუმლასა და აკვალაში უბნურად ცხოვრობენ. შოფელ ზენში კი, ქაჯაიებისა და ქირიების კუთხეები, იგივე უბნებია.

სოფელი პირველი აკვალა სოფელ ჭუბურხინჯის ჩრდილოეთით მდებარეობს, მას სოფელები მზიური და წყონხუმლა ესაზღვრება, დასავლეთით – სოფელი მეორე აკვალაა. სოფელში ღირშესანიშნავ ადგილს მაღალ გორაზე „ნაოხვამ“-ი (ნაეკლესიარი) წარმოადგენს. ტოპონიმი „პაპაშ დიხა“ (მეგრ.) – მდგდლის მიწა, სახნავებს ეწოდება, რომლებიც ეკლესიის კუთვნილება იყო და მდგდელი ამჟავებდა. ასეთი ტოპონიმი ეკლესიათა, საყდართა სიმრავლის გამო, თითქმის ევალა თემში მოიძებნება. მეორე აკვალის საზღვართან ყოლბაიებით დასახლებული უბანია. აქ გვხვდება: ცაცუების ნასახლარი, კვატანიას სერი//გორაკი, წყარო – ლეგავების უბანში, ლეგავების წყაროდ წოდებული. მხარე ტექის მასივებითაც მდიდარი ყოფილა: ბეროს, დიტოს, ნიკოს, დემუს, ბაბუშის, ერმინეს, ნესტორის... ტყები.

სოფელ ჭყონხუმლაში, მთის ძირას, სასაფლაოზე დიდორნი ხეები დგას. ამ ადგილებში, ადრე, დიდი გამხმარი მუხა იდგა (მუხა მეგრ. „ჭყონი“, ხმელი – „ხუმლა“), აქედან მოდის სოფლის სახელწოდებაც – გამხმარი მუხა. ამ სოფელში 100 მ-ის სიმაღლის კლდეა, აფხაზური სახელწოდებით - „ახრა“, რომელიც მდინარე ბაბაშიას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მის ხეობაში ციხე-სიმაგრის ნანგრევებია, ტოპონიმი – „ნაჯიხ“, ნაციხარი. ტოპონიმი „ნაოურქუ“ (ნაოურქალი) ბორცვს ეწოდება.

სოფელში, უბნურ დასახლებებში ჭედიები და ჭკადუები მკვიდრობენ. ჭუბურხინჯის თემში აქირთავას, აბლოთიას,

ბერაძის, დანელიას, კაკაბაძის, მიქაიას, უვანიას, ფარჯიანის, ქარდავას, ქოშმარიას, ქორთუას, ქორჩილავას, ქურსუას, წულაიას, წირდვავას, ხარაულს და სხვა გვარებსაც შეხვდებით (ღლობტი 1971: 102).

რაც შეეხება, სახელწოდება „სამურზაყანოს“, დღემდე შემორჩა, როგორც გეოგრაფიული არეალი (მამაკაცის სახელი მურზა დღესაც გვხვდება გალის რაიონის დევნილთა სიაში). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, 1921 წელს სამურზაყანოს მაზრა შეიქმნა, 1930 წლიდან კი – გალის რაიონი. XX საუკუნის დასაწყისისთვის, სოფელ ოქუმიდან სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაციული ცენტრი სოფელ გალში გადაიტანეს, რომელიც ამ დროს, ორ ნაწილად იყოფოდა – პირველ და მეორე გალს მდინარე ერისწყალი შუაზე ყოფდა. 1932 წელს გალს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ამდენად, გალის რაიონის ტერიტორია, რომელიც 1002,5 კმ.² კმ-ია, ქალაქ გალს, 24 სასოფლო თემს (სასოფლო გამზეობას) – 90 სოფელს მოიცავს. 1990 წლის მონაცემებით, გალის რაიონში, მოსახლეობის თითქმის 94% ქართველი იყო (ხადარეიშვილი 1998: 68), რაც გეოგრაფიული სახელწოდებებითაც დასტურდება. აფხაზთა ნაკვალევი, ცხადია, მცირე რაოდენობით, სამურზაყანოს ძველ ტოპონიმებში გამოიკვეთა, რაც ენათმეცნიერებს საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი და გაანალიზებული. მხოლოდ -ბა დაბოლოების (-ია წამატებულ) გვარებზე დავამატებ, რომელსაც ს. ჯანაშია აფხაზურად მიიჩნევდა. „მეგრული გვარები ქანიბიათ, ჩანიბიათ, კაკუბაია-კაკუბავა, ეზუგბაია, ქეცბაია და სხვა უეჭველად აფხაზური წარმოშობისაა. მათ ახასიათებს აფხაზურ გვარსახელთა ერთი ჯგუფის სპეციფიკური დაბოლოება -ბა, რომელსაც შემდეგში მეგრული იდენტური ფუნქციის დაბოლოება -ია წამატებია. დაბოლოება „ბა“ საფიქრებელია „ფა“-ს (-ქეს) განვითარებაა გარკვეულ ბგერით პირობებში... ზემოაღნიშნული გვარის მატარებელნი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში არიან გაღმოსული“ (ჯანაშია 1952: 476). „აღნიშნული მოსაზრების ერთმნიშვნელოვნად გაზიარება, მიუხედავად მისი მართებული გააზრებისა, მაინც სიფრთხილეს მოიხოვს, ვინაიდან ქართველური წარმოშობის გვარ-სახელებს

უფრო დიდი და ტრადიციული განვითარების ისტორია გააჩნიათ, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურსა და თანამედროვე აფხაზურ გვარ-სახელებს, რომელთა უმეტესობა XVIII-XIX საუკუნეებშია ფორმირებული“ (ბახია-ოქრუაშვილი 2010: 274).

აფხაზეთის მესკეურებმა მდინარეებს დალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორიის დაუფლების შემდეგ, აქ ბზიფის აფხაზეთიდან აფხაზები გადმოასახლეს, მათ შორის თავად-აზნაურნი, სახელდობრ: ანჩაბაძე (წყაროში შარვაშიძე არ იხსენიება), ემუსხარი, ინალიშვილი, მარდანია, ზვანდაია, ლაკირბაია და აქირთავა (ჭიჭინაძე 1897: 394), რომლებსაც ცხადია, გლეხობაც მოჰყვებოდა. მათი წარმომადგენლები დღესაც ცხოვრობენ ყოფილ სამურზაყანოში (გალის რაიონში), რაც გეოგრაფიულ სახელწოდებებში და დეკნილთა სიებშიც გარკვევით აისახა. სახელდობრ: ლაცუზზბაია, ქავშბაია (ოქუმი), ქეცბაია (პირველი გალი, ოქუმი, ჩხორთოლი), თარბაია (პირველი გალი, მუხური), ეზუგბაია (ოქუმი, პირველი გალი), ცხუცხუბაია (რეფი-ეწერი), ხინთბაია, ბუთბაია (ზემო და ქვემო ბარდები), როსტობაია (აჩიგვარა, სიდა, ჩხორთოლი), ზვამბაია, აკიშბაია//აკიშბაია (გუდაგა), ცაცბაია (პირველი გალი, ცხირი), ბუთბაია, ლაკირბაია (ზემო ბარდები), ჩაჩბაია/ჩაჩიბაია, წარალბაია (ოტობაია), ეშბაია (ჩხორთოლი)... გარდა ამისა, შარვაშიძე, ანჩაბაძე, ემუსხარი, ინალიშვილი და სხვა თავადაზნაურული გვარებიც გვხვდება, მაგალითად: ალიშბაია (ალშიბაია), აქირთავა, გულიშბაია, ზვანბაია, ლაკერბაია, ჩაჩბაია, ცისბაია – აზნაურები, ხოლო ინალიშვილები, ძიაფშიფები, ცანბები, ჩხორუები აფხაზი თავადები იყვნენ (თოფჩიშვილი 2011: 23, 41, 99, 136, 188, 376, 395-397, 400, 407).

ამას ემატება დეკნილთა სიების მიხედვით, რამდენიმე გვარი: აბუხბაია, აზუხბაძე, ზუხბა, არშბა, კაბუბავა, მიქელბაია, ქვაცბაია, ჩაჩბა, ხახბაია და ა. შ., რომლებიც სამურზაყანოს ეთნიკურ სურათს ვერ შეცვლიდნენ და არც შეუცვლიათ.

სხვა ეთნოსის წარმომადგენლები აქ ძალზე მცირედ არიან წარმოდგენილნი.

ამრიგად, სამურზაყანოში გვიან ჩამოსახლებულ აფხაზთა რაოდენობა იმთავითვე უმნიშვნელო იყო. ისინი, დროთა განმავლობაში, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან თანდათან ასიმილირდნენ. სამართლიანად მოაქცია სერგი მაკალათიამ არა მარტო ყოფილი სამურზაყანო (თანამედროვე გალის რაიონი), არამედ ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობაც ეთნოგრაფიული სამურგრელოს საზღვრებში (მაკალათია 1941: 181). სწორედ ამის შესახებ წერდა 1804 წელს სამურზაყანოს მმართველი მანუჩარ შარვაშიძე: „ქვეყნა ჩვენი იყო ზედმოკიდებული დადიანისა კერძო ვიდრე აშლილობისა უამამდე და არა აქვნდა უფლება მას ზედა არცა უწინარეს და არცა ამას ჟამსა არცა პორტასა ათმანსა და არცა ქლეშბეგსა“ (Акты 1870: 536).

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ დადასტურდა არა მხოლოდ სამურზაყანოს ეთნოგულტურული ერთგვაროვნება, არამედ იმ ტოპონიმური მასალის უნიკალურობა, რომელიც, თავის დროზე, დაწვრილებით ჩაიწერეს, გადაამოწმეს, გააანალიზეს და შთამომავლობას წარსულის სანდო და რეალური მონაცემები შემოუნახეს.

ტოპონიმები ის მძლავრი საშუალებაა, რომლითაც ხალხის ეთნო-კულტურული, სოციალ-ეკონომიკური და სხვა ასპექტები იშიტება, ამიტომ ამ მასალებს ყოველთვის ფას-დაუდებელი მნიშვნელობა ექნება.

დამოწმებული ლიტერატურა

ჭარაია 2011 - ჭარაია (გიორგიძე) პ., აფხაზეთი და აფხაზნი, თბ., 2011.

შონია 1970 - შონია ნ., აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონიმიკის შესწავლისათვის, „ძეგლის მეგობარი“ 21, 1970.

ნადარეიშვილი 1998 - ნადარეიშვილი თ., აფხაზეთი ომამდე და ომის შემდეგ, თბ., 1998.

გოგატიშვილი 1989 - გოგატიშვილი შ., საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1989.

ლლონტი 1971 - ლლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1971.
ცხადაია, ხორავა 2016 - ცხადაია პ., ხორავა ბ., აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.

რეხვიაშვილი 1982 - რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982.

ქობახია 1970 - ქობახია კ., მზიური აფხაზეთი, ქურ. „საქართველოს ბუნება“ 2, 1970.

კაგაბაძე 1961 - კაგაბაძე კ., აფხაზეთის ასსრ მრეწველობის განვითარება და განლაგება, ვახუშტის სახელობის გაროგრაფის ინსტიტუტის შრომები, XVI, თბ., 1961.

გეორგია 1952 - გეორგია, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 4, ნაკ. 2, თბ., 1952.

ბერულავა 1951 - ბერულავა კ., აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951.

ცხადაია 1998 - ცხადაია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, თბ., 1998.

ხეისტანი 1998 - ხეისტანი რ., დედოფალ საგდუხტის ვინაობის დადგენისათვის, წიგნი „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998.

დევიძე 1961 - დევიძე ნ., სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება აფხაზეთის ასსრ-ში, ვახუშტის სახელობის გეოგრაფის ინსტიტუტის შრომები, XVI, თბ., 1961.

პაპასკირი 1998 - პაპასკირი ზ., დღვევანდელი აფხაზეთი XIII-XV საუკუნეებში, წიგნი „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998.

გალის 1998 - გალის რაიონის გამგეობა, დევნილთა სია, თბ., 1998.

ნაჭყებია 1961 - ნაჭყებია ნ., აფხაზეთის ასსრ მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგადი დახასიათება, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, XVI, თბ., 1961.

კილანავა 1975 - კილანავა ნ., შეშელეთის XVII საუკუნის ეპლესის შესახებ, „ძეგლის მეგობარი“, 38, 1975.

Отчет... 1865 – Отчет...общество восстановления православного христианства на Кавказе за 1862 и 1863 годы, Тиф., 1865.

ჟურნალი 1886 - ჟურნალი „მწერლები“ 5, 1886.

კაგაბაძე 1921 - კაგაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეპლასიო საბუთები, წ. 1, ტფ., 1921.

ყანჩაველი 1962 - ყანჩაველი გ., დაფნის ბუნებრივი რაყები, როგორც დამატებითი ნედლეულის მნიშვნელოვანი წყარო, „სუბტროპიკული კულტურები“ 52, 1962.

ბოროზდინი 1934 - ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი (მოგონებანი), თბ., 1934.

აქირთავა 1981 - აქირთავა ვ., მშობლიური მხარის ისტორიის ერთი ფურცელი, გამ. „ლენინელი“, 3 თებერვალი, 1981.

ქავთარაძე 1971 - ქავთარაძე ა., აფხაზეთის ასსრ ფოფლის მეურნეობა 50 წლის მანძილზე, სოხუმი, 1971.

გუგუშვილი 1979 - გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება (XIX-XX საუკუნეებში), ტ. IV, თბ., 1979.

გაზეთი 1920 - გაზეთი „ერთობა“, 255, 1920.

აფაქიძე 1984 - აფაქიძე ჯ., გალის განძი, „ძეგლის მეგობარი“, კრ. 65, თბ., 1984.

კვაშილავა 2011 - კვაშილავა კ., ისტორიული სამურზავანოს წარსულიდან, თბ., 2011.

Отчет... 1890 – Отчет... общество восстановления православного христианства на Кавказе за 1899 г., Тиф., 1890.

შონია 1958 - შონია ნ., ცხობები სოფელ წარჩის წარსულიდან, Труды Абхазского государственного музея, вып. III, Сух., 1958.

ცხადაია 1999 - ცხადაია პ., ტოპონიმიკური ინტერპრეტაციის საკითხისათვის, აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე, „ქართველური მემკვიდრეობა“, კრ. 3, 1999.

მაკალათია 1941 - მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

კაცაძე 1993 - კაცაძე ა., სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია საქართველოში, თბ., 1993.

ხვისტანი 1998 - ხვისტანი რ., ოქუმის ხეობა (ენგურ-დალიძგის აუზი), თბ., 1998.

Пачулия 1956 – Пачулия В., Поисторическим местам Абхазии, Сух., 1956.

ჯანაშია 1952 - ჯანაშია ს., შრომები, ტ. II, თბ., 1952.

ბახია-ოქრუჟაშვილი 2010 - ბახია-ოქრუჟაშვილი ს., აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010.

ჭიჭინაძე 1897 - ჭიჭინაძე თ., სიგელი, უცრნალი „კვალი“ 20, 1897.

თოფჩიშვილი 2011 - თოფჩიშვილი რ., საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011.

Акты 1870 – Акты собранные Кавказскойархеографической комиссией, т. II, Тиф., 1870.

გიორგი მამარდაშვილი კვლავ ტერმინ „აფსუას“ შესახებ

გასული საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ისტორიკოსთა, წყაროთმცოდნეთა, არქეოლოგთა და ეთნოლოგთა შორის საქმაოდ მწვავე კამათი მიმდინარეობს დღევანდელი აფხაზეთის ისტორიისა და, განსაკუთრებით, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებზე. აზრობრივი დაპირისპირება, თითქოსდა 1954 წელს გამოცემულ პ. ინგოროვას წიგნს მოჰყვა, სადაც მეცნიერმა თანამედროვე აფხაზების (თვითსახელწოდებით აფსუაბის) ავტოქთონობა ეჭვქვეშ დააყენა და ისინი აღნიშნულ ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებში მოსულად გამოაცხადა (ინგოროვა 1954). დღევანდელი აფხაზების საგარაუდო წინაპრების ჩრდილოკავკასიური სამყაროსადმი მიკუთვნების ტენდენცია ბიზანტიურ წყაროებშიც იკვეთება და რუსულ ისტორიოგრაფიაშიც. ამ აზრს ცალსახად ავითარებს მეთვრამეტე საუკუნის ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ვ. ტატიშვილი. მისი თვალსაზრისით, აფხაზები ჩრდილოეთიდან, ყუბანის მარჯვენა სანაპიროდან მოსული ხალხია (ცნობა მითითებულია გ. გასვიანის ნაშრომიდან – გასვიანი 2008: 46). აფხაზთა ჩრდილოეთიდან მოსულობაზე საუბრობდა გასული საუკუნის დასაწყისში ა. დიაჩკოვ-ტარასოვიც (Дьячков-Тарасов 1905: 65). ამიტომაც, მართებული არ არის მოსაზრება, რომ ინგოროვამ „დაუდო სათავე“ აფხაზურ-ქართულ სამეცნიერო და არა მარტო სამეცნიერო დაპირისპირებას (ანჩაბაძე 2006: 49-52). ცხადია, ცარისტულ რუსეთსა და საბჭოთა ხელისუფლებასაც აწყობდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირება, ჯერ სამეცნიერო ასპარეზზე და შემდგომ ამ დაპირისპირების არეალის გაფართოება და ურთიერთსიძულვილის გაღვივება. სამწუხაროდ, დღეს, გაყინული კონფლიქტის ფონზე, კვლავ გრძელდება პოლიტიკური შეკვთების იდეოლოგიით გაჯერებული საინფორმაციო ომი და დაპირისპირება სამეცნიერო სარბიელზეც. საკითხი, აფხაზთა ავტოქთონობისა თუ აფხაზეთში მათი ტიტულოვანი ერად გამოცხადების შესახებ, აფხაზურ და ანტიქართული ორიენტაციის რუსულ

სამეცნიერო წრეებში „გადაწყვეტილია“. ამჟამად ისინი, მეორე ნაბიჯს დგამენ „წინ“ – მათ დღის წესრიგში დგას თანამედროვე აფხაზისათვის ეროვნული თვითშეგნების, საქუთარი გამორჩეულობის, ეთნიკური სიამაყის გრძნობის უმაღლეს ხარისხში აყვანის საკითხი. ამ ტაქტიკის მთავარი მიმართულებაა რუსული იმპერიის მიერ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არჩეული კურსის გაგრძელება. ამ იდეის ცხადი გამოხატულებაა ლ. ვორონინის 1907 წელს გამოცემული წიგნი „აბხазია–ნეკუზია“.

დღესდღეობით, აფხაზთა ეროვნული სიამაყის გასაღვივებლად იქმნება სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც აფხაზურ კულტურას აკავშირებს უძველეს ციფილიზაციებთან (ხეთურ სამყაროსთან); აფხაზებს ლამის პირველ ქრისტიან ერად წარმოადგენენ და ტრადიციულ აფხაზურ რელიგიასაც მონოთეისტურ და ქრისტიანობასთან ახლო მგლომ, თოთქმის ქრისტიანობამდელ ქრისტიანობად განიხილავენ; ამ ნაშრომებში, უარყოფილია აფხაზეთის სამეფოს ქართულობა და მისი, როგორც ქართული კულტურული კერის როლი და ა.შ. ეს პათოსი კარგად ჩანს რ. ბარციცის ნაშრომში, ხ. ბგაუბას ნაშრომიდან (ეტიუდები და გამოკვლევები, 1974) ნასესხებ ციტატაში: „მათ (აბაზებისა და აფსუების შთამომავლებს) ამაყად შეუძლიათ განაცხადონ, რომ არა ბედის უკულმართობა, ისინი ეკროპაზე წინ იქნებოდნენ. როცა ანდრია პირველწოდებული აქ ქრისტეს რჯულს ქადაგებდა, ეპროპაში ჰერცოგებიც კი კამენის ტყავებში ჩატარდი ფეხში შველა დადიოდნენ ტყეებში და შუბით ხელში ნადირობდნენ“ (Барциц 2010: 46). თავი რომ დავანებოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, რომც ჩავთვალოთ, რომ დღევანდელი აფხაზების წინაპრები ერთერთი უპირველესი ქრისტიანები არიან, ეს გამონათქვამი, XXI საუკუნეში, რბილად რომ ვთქვათ, სულ მცირე არაკორექტულია.

იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა აფხაზარა – აფხაზთა დაუწერებლი მორალური კოდექსი, მათი კეთილშობილებისა და გამორჩეულობის, თვითშეგნების და ერის შემაკავშირებელი საფუძველი. აფხაზარას შესახებ მრავალი შრომა არსებობს.

ამჟამად მათზე არ შევჩერდები, თუმცა კი აღვნიშნავ, რომ განსაკუთრებული, უნიკალური ამ მორალურ კოდექსში არაფერია, ის საერთო კავკასიურ და ზოგადსაკაცობრიო დორებულების მატარებელია და მსგავსი მორალური პრინციპები მსოფლიოს სხვა ხალხშიც გვხვდება. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად აფსუარას ან აფხაზებში რაიმე მკაცრად ჩამოყალიბებულ მორალურ კოდექსის შესახებ ცნობები XX საუკუნის ოციან წლებამდე არ მოიპოვება. ამგვარი ცნობა არც ერთი მოგზაურისა და მეცნიერის აღწერილობასა თუ ნაშრომში არ გვხვდება (პირველად, მას დ. გულია იხსენიებს). ეს ყოველივე გვვარაუდებინებს, რომ აფსუარას იდგა წინ წამოწეულია იდეოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა, არ შეიძლება უარყოფა, რომ ქცევის ნორმთა ერთგვარი კოდექსი აფხაზებში არსებობდა და არსებობს კიდევ. პირად საუბარში, ლინგვისტი, თ. გგანცელაძეც ადასტურებს, რომ ქველი თაობის აფხაზებში, ძირითად სოფლად, ხშირად, გაიგებდით წუხილს აფსუარას წესების დარღვევებისა გამო და საუბარს მისგან გადაცდომებზე. აფსუარა ითარგმნება, როგორც „აფხაზობა“. ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს სხვა მხარეებშიც – სადღეგრძელოს თქმის დროს ან რაიმე მორალურ საკითხებზე სჯაბასისიას, ხალხი ხშირად აღნიშნავს, რომ „ქართველობა იკარგება“, „ქართველობას გვარომევენ (ვიღაც გარე ძალა)“ და ა.შ. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქართველებს გაგვაჩნია რაიმე მკაცრად ჩამოყალიბებული მორალური კოდექსი, რაც მთლიანობაში გამოგვარჩევს სხვათაგან.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია შემთხვევა, როდესაც მორალური კოდექსის სახელწოდება ეთნონიმიდანაა ნაწარმოები (ადიღელთა დაუწერელი მორალური პრინციპების კრებული „ადიღადე“ – ანთელავა). თუმცა, სხვა ხალხებში ამგვარი რამ არ გვხვდება (სომხებში „სომხობა, ოსებში „ოსობის“, რუსებში „რუსობის“ და ა.შ.). ადიღელებშიც, ეს კოდექსი, ძირითად სოციალურად დაწინაურებულთა ფენის კუთვნილებაა. ადიღელთა და აფხაზური მორალური კოდექსების ურთიერთკავშირი, საკმაოდ საინტერესო თემაა და მომავლი კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

აფხაზურა პირდაპირი მნიშვნელობით თარგმანში „აფხაზობას“ ნიშნავს. ე. ი. ეს მორალური კოდექსი დაკავშირებულია ხალხის თვითსახელწოდება აფხაზურასთან. ამ მორალური კოდექსის ფუნქციებზე, მის როლზე და დანიშნულებაზე, მის, როგორც ეროვნულობის უმთავრეს საზომად წარმოჩნდების საკითხებზე მსჯელობა, ამჟამად ჩემ მიზანს არ წარმოადგენს და მხოლოდ იმიტომ შევეხე, რომ უკავშირდება დღევანდელი აფხაზის თვითსახელს, რომელის შესახებაც, ასევე შელამაზებული და იღეოლოგიური თვალსაზრისით გაჯერებული წარმოდგენები არსებობს.

აფხაზები თავიანთ თავს აფხაზს უწოდებენ, ხოლო აფხაზებს – აფხნის. რადა თქმა უნდა, ყველა ხალხს ეამაყება თავისი სამშობლო და არც აფხაზები არიან ამ მხრივ გამონაკლისი. უფრო მეტიც, შესაძლოა მათ, ბევრ სხვაზე უფრო მძაფრად აქვთ გამოხატული ეს გრძნობა. აფხაზთა შორის გავრცელებულია ლეგენდა, თუ როგორ ხვდა წილად მათ ხალხს აფხაზეთის მიწა: როდესაც ღმერთი მიწას ანაწილებდა, აფხაზებმა დაიგვიანეს. ღმერთმა დაგვიანების მიზეზი ჰკითხა. მათ უპასუხეს: სტუმარი გვევდა და მისთვის ჯეროვანი პატივის მისაგებად დრო გვჭირდებოდა. ღმერთმა, რადგან თქვენ სტუმარმასპინძლობის წესი წმინდად შეგისრულებით, ჩემთვის საკუთრად გადანახულ მიწაზე დაგასახლებთო. ამიტომაა, რომ აფხაზეთი სტუმარმასპინძლობით განთქმული და გამორჩეული მიწაა (ზუბბა 1988: 203-204). საკუთარი სამშობლოს შესახებ, ასეთივე შინაარსის ლეგანდა/გადმოცემა, კავკასიის სხვადასხვა ხალხებშიც, მათ შორის ქართველებშიცაა გავრცელებული. ნიშანდობლივია, რომ აფხაზი თავის მიწას ღვთიურობის ნიშნით აღბეჭდავს. უნდა ითქვას, რომ ასევე პოეტურ-მისტიური ფორმით განმარტავს ტერმინ აფხაზ-აფხნის, როგორც ხალხური წარმოდგენები ასევე ზოგიერთი „სამეცნიერო ნაშრომი“. თანამედროვე აფხაზური სამეცნიერო ლიტერატურა გაჯერებულია მსგავსი პათოსით. ამის საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე ციტატას ა. კუპრავას ნაშრომიდან: „ცნობილი ლეგენდის მიხედვით აფხაზეთი ღვთიური მიწაა. ასე აღიქვამს აფხაზი ხალხი თავისი სამშობლოს სილამაზესა და სიმდიდრეს. ეს გარემო აყალიბებს ერის ხასიათს, მის

ფსიქოლოგიასა და კულტურას. ბუნების პეიზაჟების სილამაზე აკეთილშობილებს ადამიანს, მისი მრავალფეროვნება კი ამდიდრებს ადამიანის პიროვნებას“ (Куправა 2008: 7). კუპრავა ისტორიულ ფაქტებსაც იშველიებს აფხაზეთის „დვორიულობის“ წარმოსაჩენად და იძლევა საკუთარ ინტერპრეტაციას – ანაკოფიის ციხესოთან გამართული ბრძოლის შესახებ ის წერს: „უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ სამყაროზე, მანამდე დაუმარცხებლად შერაცხული არაბების ლაშქრის დამარცხებამ, 738 წელს აფხაზეთის დედაქალაქ-სიმაგრესთან (ფორმულირება ეკუთვნის კუპრავას – გ. მ.), ანაკოფიასთან. აქ ბოლო მოედო არაბთა უქსანისიას და ამით შეიცვალა მთელი კავასიის ისტორიული ბედი. კავასიის ხალხებისთვის, ბრძოლა ანაკოფიასთან აფხაზეთზე და აფხაზ ხალხზე „დვორიული მფარველობის“ გაცხადებად ჩაითვალი. მოხდა რაღაც იმდაგვარი, რაც ბიბლიურ ეპოქაში ასირიელების მიერ იერუსალიმის ალყის დროს – არაბთა ბანაკში ჭირი გაჩნდა. ეპიდემიამ დიდად დააზარალა მტრის ჯარი. ერთმა მუჭა მამაცებმა – 2000-მა აფხაზმა და 1000-მა ქართველმა (რომელებიც ანაკოფიის ციხეს შეეფარებ არაბთაგან დევნილნი) მეომარმა, მეფე არჩილის მეთურობით გაუძლო 40000-იანი არმიის ალყას და ბოლომდე მიუვანა დაუმარცხებელი და დაუნდობელი სარდლის, მურვან ყრუს განადგურება. ეს იყო აფხაზური სამეფოს სიდიადისა და სიძლიერის ეპოქა“ (Куправა 2008: 7). აქ, აფხაზთა როლი პიპერბოლიზიზირებულია, აფხაზი ხალხი დვორიული ნიშნითაა აღბეჭდილი, ხოლო „აფხაზური სახელმწიფო წარმოსაჩილია კავკასიის ერთ-ერთ საკვანძო პოლიტიკურ ერთგულად. მიუხედავად იმისა, რომ ნახსენებია არჩილ მეფე და 1000 ქართველი, ეს გამარჯვება ძირითადად დვორის განგებას და აფხაზური სახელმწიფოს ძლიერებას მიეწერება. სწორედ ამ ტიპის არგუმენტები უძვეს საფუძვლად ა. კუპრავას სლოგანისებურ განცხადებას: აფხაზარა იცოცხლებს მანამდე, სანამ არსებობს სულის ხალხი! (Куправა 2008: 9)“ ანუ აფხაზ-აფხაზი, სულის ხალხია, მათი მორალი – აფხაზარა (პირდაპირ თარგმანში აფხაზობა). ანუ აფხაზა, ნიშნავს „სულის ხალხს“.

აფხაზთა ეთნონიმის „აფხაზ“ და აფხაზეთის სახელწოდება „აფხანის“ შესახებ ისტორიკოსებს, ლინგვისტებს და ეთნოლოგებს შორის კარგა ხანია არსებობს ოამოდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. აფხაზეთის ამჟამინდელ მოსახლეობაში უართოდაა გავრცელებული აზრი: აფხანი (აფხაზეთი) ნიშნავს „სულის ქვეყანას“. ამ აზრს მეცნიერთა გარკვეული ნაწილიც ემსხობა. როგორც ჩანს, ეთნონიმის ამგვარ გააზრებას, სწორედ მათ დაუდეს საფუძველი. ცნობილი აფხაზი მეცნიერი, შალვა ინალ-იფა წერს: „აფხაზ – აფხაზთა ფართოდ გავრცელებული თვითსახელი, პირდაპირ თარგმანში შესაძლოა ნიშნავდეს „სულის ხალხს“, „აფხაზების ხალხს (ტომს)“. ამავე სახელით იხსენიებდნენ აშხარელი აბაზების მცირე ნაწილსაც, რომელთა ერთ-ერთი აულსაც აგრეთვე აფხაზ ქვია“ (Инал-ипа 1976: 355).

აღიღეულები სხვასხვანაირად ეძახიან აფხაზებს – აბაზ, აბაზა (ჩრდილოკავკასიელი აბაზები), აზეხა და აზეგა. ყაბარდოელები და ყარაჩაელები აფხაზებს ჩრდილოდასავლურ აფხაზური ტომების სახელებით (აიგბა, ახჩიფსი, მდაუე) მოიხსენიებენ. პ. უსლარის ცნობით, უბისები მოლიანად აფხაზებს „აძიგებ“ ეძახდნენ. თურქები აბაზას უწოდებენ, ქართველები აფხაზს (ძვხაზ სვანურად; აფხაზა მეგრულად). შ. ინლ-იფამ ყურადღება მიაქცია პ. უსლარის ცნობას, რომ აბაზი ჩერქეზებისთვის არის კრებითი სახელი ყველა აფხაზურ ენაზე მოლაპარეკე ხალხისა (Инал-ипа 1976: 353).

კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები აფხაზების აღსანიშნავად ჩერქეზები ეთნონიმ „ბასხიგსაც“ იყენებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ აბაზების წარმოშობის შესახებ ორი თვალსაზრისი არსებობს – ერთი ვერსიით, ისინი რაღაც დროს აფხაზეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებულთა შთამომავლები არიან, ხოლო მეორეთი, პირიქით, აფხაზთა იმ შტოს ნაწილი, რომლიც ყებანის ჩრდილოეთით დარჩა. აფხაზთა წინაპრებმა მდინარე გადმოკვეთეს და სამხრეთით დაიწყეს საბინადრო ადგილების ძიება.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ჯოვანი დე ლუკას (მეტვიდმეტე საუკუნის შუა ხანები) დაფიქსირებული აქვს აბაზი, აბკასა და აბაცა. იგი გამოთქვამს ფრთხილ გარაუდს

აბაცასა და აფსუას ერთიდაიგივეობის შესახებ და შემდეგ, მოაქვს უსლარის მოსაზრება, აფსუა იგივე აფხაზიაო (ლორთიფანიძე 1990: 15-16).

არსებობს ოვალსაზრისი, რომ აფშილები და აბაზები დღევანდელი აფხაზების წინაპრები არიან. ამ ოვალსაზრისის მომხრეები ეთნონიმ აფშილს, აფხაზთა ახლანდელ ოვითახელ „აფსუას“ უკავშირებენ და ქართულ ან სხვა ენის სპეციფიკით გადასხვაფერებულ ვარიანტად თვლიან.

ა. კუპრავა, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, მიიჩნევს რომ აფხინი, ანუ აფხაზეთი, ნიშნავს „სულის ქვეყანას“, ხოლო აფსუა-აფხაზი კი სულის ხალხს, რომელიც აფსუარას (აფხაზთა დაუწერელი მორალური კოდექსი) ნორმების მიხედვით ცხოვრობს. აქევე, ის აღნიშნავს, რომ აფხინის ეძანიან საკუთარ სამშობლოს აზის ქვეყნებში მცხოვრები აფხაზ მუჭაჯირთა შთამომავლებიც (Куправა 2008: 9). ცხადია, არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ აფხაზთა თვითსახელი აფსუა-აფხინია, მაგრამ საინტერესოა ამ ეთნონიმის ისტორია. სახელდობრ აფხინი-აფსუა ფორმის ეთნონიმი საქმაოდ გვიან, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიქსირდება. როგორც ჩანს, თვითსახელის ამ ფორმის შესახებ ცნობა პირველად უსლართან გვხვდება (ლორთქიფანიძე 1990: 15-16). ცალკეულ ავტორთა აზრით, აფხინ-აფსუა არის ჯერისგან წარმოქმნილი ეთნონიმი და პირველად, პლინიუს უფროსთან ნახევრებ აფშილ-აფსილში უნდა ვლინდებოდეს. სავარაუდოდ, იმ ადგილას სადაც აფშილები არიან მოხსენიებული, ლაზებთან, ხალიბებთან, მოსინიკებთან და იბერებთან ერთად, მეოთხე საუკუნის ბიზანტიული ისტორიკოსი, ეპიფანე კვიპრელი ხალხთა წარმოშობის შესახებ საუბრისას იხსენიებს ფსილიტებს. ნ. მარი ფსილიტებში აფშილებს ხედავს (გეორგიკა 1961: 41). ეპიფანე კვიპრელი, როდესაც საუბრობს ამა თუ იმ ხალხის რჯულზემწვალებლობის მრავალ ფორმაზე, ჩამოთვლის ქვეყნებს და ხალხებს, მათ შორის, ახლომდებარე მხარეებს: ლაზიას, იბერიას, ჯიქებსა და ამორბალებს (ამ უკანასკნელთ ერთად მოიხსენიებს). თუმცა, აქ აღარ იხსენიებს ფსილიტებს. სავარაუდოდ, ფსილიტები მცირერიცხოვანი ხალხი იყო, ამიტომ ისტორიკოსი აღარ შეჩერდა მათი ზნე-ჩვეულებების აღწერაზე.

ფსილიტები (ფხ ფუძის მქონე ეთნონიმის მატარებელი ხალხი), გარკვეული ალბათობით აფშილები, სავარაუდოდ ლაზების შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ. ჯიქებში დიდი ალბათობით ადიდეური მოდგმის ტომები იგულისხმება.

ბიზანტიურ ისტორიკოსთან, ისაკ ცეცხლან არის ცნობა, რომ ძევლი დროის მასაგეტებს მის ეპოქაში აზგები ეწოდებოდათ (გეორგიკა 1961: 159).

მეხუთე საუკუნის ანონიმი ისტორიკოსის ცნობით, ჯიქები სახლობდნენ ჰეპტალების ნაგსადგურის ახლოს, ძევლი ლაზიკეს (ტუაფსეს) და მდინარე აქეუნტის მიდამოებში. ანონიმის ცნობით ადრე ამ მიწებზე ჰენიოხებს, კორაქსებს, კოლიკებს, მელანქლენებს, მაქლონებს, კოლხებს და ლაზებს უცხოვრიათ (გეორგიკა 1965: 11). ჩამოთვლილ ტომებს ერთდროულად არ შეეძლოთ ამ ტერიტორიაზე განთავსება. სავარაუდოდ, აქ ჩამოთვლილია ხალხები, რომელთც ამ ტერიტორიაზე ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში უცხოვრიათ. უნდა ითქვას, რომ დასახელებული ტერიტორიისა და კავკასიის ეთნოსთა საცხოვრებელი ტერიტორიების საზღვრებში გარკვევა საკმაოდ რთულია. ისაკ ცეცხეს აბაზგი გაიგებული ჰყავს მასაგეტებთან, რომელიც, სავარაუდოდ, აქ არის ჩრდილო კავკასიური გაერთიანების, რაღაც დიდი ერთობის კრებითი სახელი. შესაძლოა, აბაზგები მართლაც იყვნენ ამ გაერთიანების ნაწილი. თუმცა, ამის მტკიცება, ჩვენს ხელთ არსებული მასალით შეუძლებელია.

საინტერესოა ცნობა, რომელიც აბაზგებს ჩრდილო კავკასიურ სამყაროს უკავშირებს. მათდამი აბაზგების მიგუთვნება ადასტურებს, რომ ბიზანტიური ისტორიოგრაფია ტრადიციულად აბაზგს ჩრდილოეთ კავკასიაში მოიაზრებდა. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ პლინიუსი აფხილებს ლაზების ჩრდილოეთით ათავსებს, ხოლო აბაზგებს არ იხსენიებს. აბაზგებს პირველად მოიხსენიებს არიანე და მათ ტერიტორიად აფშილებისა და სანიგებს შორის არსებულ მონაკვეთს მიიჩნევს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პლინიუსს, ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპიისპირეთში, სკვითების მახლობლად დაფიქსირებული აქვს „მრავალსახელიანი“ (შესაძლოა მრავალტომიანი, ტომთა გაერთიანება) აბზოუს ტომი. შესაძლებელია, რომ აბზოუს ტომები პლინიუსის დროს

ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ, არიანეს ეპოქაში, მათი ნაწილი აღმოჩნდა აფშილების ჩრდილო დასავლეთ მხარეში, რომელსაც არიანე აბაზების უწოდებს. უნდა ითქვას, რომ აბაზები და აფშილები (თუ მათ ჩრდილოკავკასიელების – ფსესების, პისინიუნების, აბზოების, მასაგეტ-აბაზების ნაწილებად ჩავთვლით) სანიგთა და ლაზთა შორის ტერიტორიაზე სახლობდნენ – ე.ი. ისინი ამ მხარეში (მათ გამოჩენამდე ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე) დიდი ალბათობით კოდორის ხეობის გადასავლელებით და კავკასიონის უდელტეხილების გავლით მოხვდნენ. ერთი მოსაზრების მიხედვით, აბზოები, არა კასპიისპირეთში, არამედ აზოვისპირეთში ცხოვრობდნენ (ოფიციალური 2015: 58-59). ამ შემთხვევაში, შესაძლოა ისინი აბაზ-აბაზა ტომებს დავუკავშიროთ და კავკასიონის სამხრეთით გადმოსულ პირველ აფხაზურ (პროტოაფხაზურ) ნაკადადაც ჩავთვალოთ. ავკასიონის უდელტეხილები შემდგომ დროშიც რომ მუდმივი მიგრაციის მაგისტრალს წარმოადგენდნენ, აფხაზური გვარების შესახებ არსებული გადმოცემებითაც დასტურდება, რომლის მიხედვითც აბებებს, ზუბებებს, კვიჭინებებს, ადლებებებს, ინაფშებებს, მარშანებს და სხვებს კავკასიონის კალოებს იქით უცხოვრიათ და რადაც დროს გადმოსულან მის სამხრეთ ფერდობებზე, ამჟამინდელ აფხაზეთში (Инал-ипа 1976: 175).

ჩრდილოკავკასიელთა სამხრეთით მოძრაობის ამსახველი უნდა იყოს აფხაზური ხალხური გადმოცემა – მტრისგან დევნილი აფხაზები (აფხაზთა წინაპრები) დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ყუბანს მიადგნენ, ნაწილი მდინარის სამხრეთით გადავიდა, რადგან გაუსაძლისი ყინვები იყო. სამხრეთით გადასულები აფხაზები არიანო, ხოლო ვინც ჩრდილოეთით დარჩა, მათ აბაზები ეწოდებათ – გვამცნობს ეს გადმოცემა (Инал-ипа 1976: 169).

შ. ინალ-იფას ეთნონიმ აფხაზის მრავალი განმარტება აქვს მოცემული (ხულის ხალხი, აფხთას ხალხი და სხვა). ამ საკითხებზე მსჯელობისას, გაკვრით ახსენებს, რომ შეიძლება აფხაზი ნიშნავდეს მოკვდავს, ადამიანს. ამ აზრის საფუძვლად ის აფხაზური ზღაპრებს და ლეგენდებში

ნახსენებ აფსუას უკავშირებს. როდესაც ზღაპრული არსებები (გოლიათები, დევები და ა.შ.), ე.ი. ადამიანის მოდგმის-გან განსხვავებული არსებები, ახლომახლო დამალული ან იქ მყოფი ადამიანის (ზღაპრის ან ლეგენდის ადამიანური მოდგმის გმირის) ძებნას იწყებენ, ხშირად ამბობენ ხოლმე: აფხაზის სუნი მცემს. აფხაზური ნართების გმირი სოსრიყვაც, რომელიც გოლიათების ქვეყანაში მოხვდა, მათ მიერ საწყალ აფხაზად არის სახელდებული (Инал-Ипа 1976: 361). ცხადია, ორიგინალში აფხაზი აფხუადაა დაფიქსირებული და ინალ-იფაც სწორად აღნიშნავს, რომ აფხუა, სავარაუდოდ ადამიანს, მოკვდავს უნდა ნიშნავდეს. შ. ინალ-იფას ამ აზრის დასტურს აფხაზური ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებშიც ხშირად ვხვდებით. ამ მოხაზრების არგუმენტაციისათვის შეიძლება გავიხსენოთ აფხაზური ფოლკლორული გადმოცემები აწანების შესახებ. ამ გადმოცემის ერთ-ერთ ვარიანტით, ჯუჯა აწანები აფხაზეთის პირველმოსახლენი იყვნენ. თუმცა, ზოგ გარიანტში ისინი დედამიწის პირველმოსახლედაც მიიჩნევიან, რომელიც შემდეგ დევებბმა შეცვალეს. შემდეგ დევები ნართებმა, დღევანდელი აფხაზების წინაპრებმა გაანადგურეს. ზოგ გადმოცემაში აწანები და ნართები ერთდროულად ცხოვრობდნენ და ერთმანეთისგან არც თუ ისე დაშორებული ტერიტორია ეჭირათ. ცხადია აწანს, დევეს და ნართს ნაციონალური ნიშანი არ გააჩნია. აქ საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიის ხალხურ გაგებასთან, რომლის მიხედვითაც: სამყარომ სამჯერ იცვალა სახე – პირველად გრიგალით, შემდეგ ცეცხლით და ბოლოს წყლით. პირველად სამყაროს აწანები მოევლინენ. ისინი ძალიან ძლიერი და მოხერხებული ქონდრისკაცები იყვნენ, ზოგიერთი გადმოცემით, ჯადოქრობაში დაოსტატებულნიც. აწანები, თვით ღმერთსაც არ უწევდნენ ანგარიშს, რის გამოც ღმერთმა რისხვა დაატეხა თავს და ცეცხლით ამობუგა. დოლმენებში მცხოვრები მითიური ჯუჯა ხალხის შესახებ გადმოცემები აქვთ ადიღეელებსაც. ეს ჯუჯები ცხოვრების წესით გვანან აფხაზური ლეგენდების აწანებს. აფხაზურ ლეგენდებში გვხვდება ბიბლიური ბაბილონის გოდოლისმაგვარი სიუქეტიც: როდესაც აწანები მიხვდნენ, რომ ღმერთი გამწრალია მათზე, განიზრახეს ცაში ასვლა. ააშენეს გრძელი

კიბე და გაემართნებ ცისკენ. თუმცა, შუამდეც ვერ მიაღწიეს და უქან დაბრუნდნენ. გადმოცემებით, აწანები ველურები და უმი ხორცის მჭამელები იყვნენ. მათ დროს დედამიწაც სხვანაირი იყო – წყალს დაფარული ჰქონდა დაბლობები, მთის ზეგნები ნაყოფიერი, მიწა მოსავლიანი და სასიცოცხლო პირობები იდეალური იყო. არ არსებობდა ბუნებრივი კატაკლიზმები. ზოგ ვარიანტში, აწანები დმერთმა ქვესკნელში ჩაგდო. ისინი დღისით თხრიან მიწას, რათა ამოვიდნენ სამზიანოზე, სააქაო ქვეყანაში. თუმცა მათი შრომა უშედეგოა – მიწა დამით იშლება და მათაც თავიდან უწევთ მუშაობის დაწყება (ზუბა 1988: 153-163). აქ უკვე ცხადად ჩანს დაპირისპირება ორ სკნელს – შუასკნელს (ზოგიერთ შემთხვევაში აფხაზეთის ანუ აფხინის ანუ აფხუათა ქვეყნის) და ქვესკნელს შორის. შემთხვევითი არ არის, რომ აწანები დასახელებული არიან აფხინის, ანუ მოკვდავი ადამიანების, სამყაროს, სააქაოს, სამზიანოს, შუასკნელის პირველ ბინადრებად. ანუ, აფხინი/აფხაზეთი (დღევანდელი ფორმულირებით) აქ აღნიშნავს არა კერძოდ ლოკალურ ადგილს, არამედ ადამიანთა სამყოფელს, სააქაოს.

ზღაპრებში აფხაზის, ანუ აფხუას, ხსენების სიხშირე შეუმნეველი არ დარჩენია აფხაზური ფოლკლორის მკვლევარს, ს. ზუბას. თუმცა, ამ ვაქტს ის თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს: „აფხაზურ ზღაპრებში თითქმის მუდამ არის აღწერილი აფხაზეთის ბუნება. აქ, ჩვენი ზღაპრის შექმნელის და მთხოვბელის მიერ კონკრეტულად თავის ირგვლივ, თავის ქვეყანაში დანახულის შესახებ თხრობას ვისმენაფხაზურ ზღაპრის გმირებს აფხაზეთის კაშკაშა მზე დანათის თავს“; „აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო გარემოც: უმეტეს შემთხვევებში ზღაპრის გმირის მტრები სხვა ქვეყნის, სხვა სოფლის მკიდრი არიან, თვითონ კი მუდამ აფხაზია. მოვიგონოთ სიტყვეირი ფორმულა, რასაც ეუბნებიან გმირს დევები, მითიური დედაბერი ან მაცილი: „საიდან მოდისარ, მათხოვარო აფხაზო? „აფხაზი მათხოვრის სუნი მცემს, „მე შენ გიჩვენებ, აფხაზო მათხოვარო! და სხვ. გმირი ამაყობს თავისი აფხაზობით და ზღაპრის შემოქმედის სიყვარულიც მისდამია მიმართული (ზუბა 1988: 218-221). ვფიქრობ, ს. ზუბას ეს აზრი,

საკამათოა. მსოფლიო ხალხების ზღაპრებსა და ლეგენდებში, როგორც წესი, პერსონაჟებს ეროვნება არ გააჩნიათ. არსად არ არის აღნიშნული რუსული ზღაპრის გმირის, ივანუშკას „რუსობა“, ხუთკუნტულას, ან ნაცარქექიას ქართველობა. სავარაუდოდ, ორიგინალში აფხაზის ნაცვლად იქნებოდა აფხუა. შესაბამისად, დევის ანუ არაადამიანური საწყისის მქონე არსების კითხვა იქნებოდა: „აფხუას სუნი მცემსო“, სადაც აფხუა, ადამიანს, მოკვდავ არსებას, სულიერს გულისხმობს. სხვა ეთნოსთა ზღაპრების ანალოგიური სიუკეტებში, როდესაც დევი ბრუნდება თავის სამყოფელში და ამჩნევს რომ ყველაფერი რიგზე არაა, დაეჭვებით ამბობს: „ადამიანის სუნი მცემსო“. ცხადია, აფხაზური ზღაპრებშიც ზოგადად ადამიანზე და არა კონკრეტულად აფხაზზე უნდა იყოს საუბარი.

ერთ-ერთ ზღაპარში, რომლის მთავარი პერსონაჟი ყველასგან მიტოვებული მოხუცია, ღმერთი დედამიწაზე აგზავნის ანგელოზს, რათა იქაური ამბები შეიტყოს – წადი, აფხაზეთში, გაიგე რა ხდებაო? (ზუბა 1988: 170). რა თქმაუნდა, ორიგინალში, აფხაზურ ენაზე იქნებოდა: წადი აფხნიში (აფხუების, მოკვდავების საცხოვრისში) და გაიგა, იქ რა ხდებაო. ე. ი. ერთიდაიგივე მცნებებია, დედამიწა, შუასკნელი და აფხ-ების საცხოვრისი რომელსაც ზესკნელიდან, ზეციდან ანგელოზი უნდა ესტუმროს.

ერთ-ერთ ზღაპარში გმირი ქვესკნელში ხვდება. ის ჯადოსნურ ფრინველს ეხვეწება: ჩემს აფხაზეთში დამაბრუნეო“. აქაც, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ტერიტორია ფსოუდან ენგურამდე (დღევანდელი თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორია), აფხაზთა სამთავრო ან აფხაზთა სამეფო. აქაც, გმირის სურვილია დაუბრუნდეს აფხნის – ამ შემთხვევაში შუასკნელს, სააქაოს, სამზიანოს. ადსანიშნავია, აგრეთვე, აბრსკილის ბრძოლა მტრებთან – ის აფხაზეთის (ორიგინალში აფხნის) მტრებს ებრძვის. აქ, უნდა იგულისხმებოდეს, მთლიანად კაცთა მოდგმის, და არა კერძოდ აფხაზეთის მტრი (Инал-ипа 1976: 371).

ვ. ჩირიკბა, აღნიშნავს, რომ აფხუას ფუძე არის ფს, რაც მოკვდავ ადამიანს უნდა აღნიშნავდეს. შესაბამისად აფხნი გამოდის ჩვენი სამყარო, სააქაო, რაც საიქიოს,

გარდაცვლილთა სამყაროს საპირისპირო მცნებაა (Чирикба: 1). კ. ჩირიკბა თავის ნააზრებს ლინგგისტურ ძიებაზე დაურდნობით წარმოადგენს. იგი იმოწმებს გამყრელიძის და ივანოვის ნაშრომებს და მრავალი პარალელი მოჰყავს. შიკვდილი, როგორც ადამიანის, მოკვდავი არსების აღმნიშვნელი სიტყვის ფუძე მრავალ ქაში გვხვდება – სომხურში, ძველ ირანულში, საეკლესიო სლავურში, ინგლისურში (Чирикба: 2). ამ მხრივ, საინტერესოა, აფხაზთა მონათესავე ჯოქების თვითსახელის პანეშისეული ინტერპრეტაცია – ამ ტერმინს საფუძვლად უქმდება „ცუგ“, რაც ადამიანს ნიშნავს (თოვზიშვილი 2015: 44). ანუ, აქ ვხვდებით ეთნონიმის წარმოების მსგავს სისტემას – შესაძლოა: მცნება ადამიანური, შინაური, ერთგვაროვან-ნათესაური, უპირისპირდება გარესამყაროს და მისგან თაგს იზღუდავს. შედეგად ადამიანის, ადამიანურობის, კეთილის, შინაურის გაგებას იქნება და შემდეგ უკვე სატომო თუ რამდენიმე მონათესავე დასახლების, გაერთიანების აღმნიშვნელად ქცეული, ხდება თვითსახელწოდების საფუძველი.

კ. ჩირიკბა ტერმინ აფშილზეც გამოთქვამს მოსაზრებას, უარყოფს ილ სუფიქსის ქართულობას. იგი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ილ სუფიქსი, წარმომავლობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსის ტოლფარდია და მათი მონაცვლეობა ქართულ ენაში არ არის უცხო (Чирикба: 7-8). მართლაც, -ილ სუფიქსით წარმოებული ეთნიკური ტერმინები ქართულში არ მასსენიდება (არის კახ- კახ-ელი, იმერ – იმერ-ელი, მეგრ- მეგრ-ელი და არა კახ-კახი-ილი, იმერ-ილი, მეგრ-ილი). ო. გვანცელაძე აღნიშნავს, რომ პლინიუსის მიერ მოხსენიებული ლათინური „აპსილაჟ სახელი უაჭვალად შეიცავს ქართულ სუფიქსს (-ილ სუფიქსს), რაც იმას ნიშნავს, რომ რომაელი ავტორი შესაბამის ტომს ქართველების მეშვეობით გასცნობია“ (გვანცელაძე 2008: 54). ვფიქრობ, რომაელ ავტორს გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა სახელი აფშილი-აპსილაჟ, აედო მეგრულენოვანი გარემოდან, სადაც კუთვნილების, წარმომავლობის აღმნიშვნელი ილ და ელ სუფიქსები არ არსებობს და მათ ფუნქციას

ასრულებს „არ“ სუფიქსი (ზუგდიდ-არი, ოდიშ-არი, სენაკ-არი და ა.შ).

ვ. ჩირიკბა „ი“-ს აფსილ-ში ფუძის ნაწილად განიხილავს და ეთნონიმის ძველ ვარიანტად აფსილა (აფსი ფუძე და ლა სუფიქსი) ფორმას ვარაუდობს. წერს, რომ აფხაზურში -ლა სუფიქსი თანაზიარობას, გარკვეული თვალსაზრისით, ერთიდაიგივეობას, ერთიან წარმომავლობას უნდა აღნიშნავდეს. მოჰყავს მაგალითებიც: აცა ნიშნავს რძალს, ხოლო აცა-ლა, თანარძალი (ერთიდაიგივე ოჯახის რძლობა), ამახვ სიძეა, ამახვი-ლა აღნიშნავს ერთი ოჯახის სიძეობას, თანასიძეობას. -ლა სუფიქსი რუსულ პრეფიქსს, co-ს მნიშვნელობისა (Чирикба: 8). ჩირიკბა აღნიშნავს, რომ აფსილა ფორმა ძველაფხაზურია და ამ ლოგიკით ლა სუფიქსი აერთიანებს, ურთიერთკავშირში აქცევს აფსი-ებს, ლა სუფიქსი თითქოს საზღვრავს აფხებს სხვებისგან (ისინი თანამო-აფსევები, თანაზიარნი არიან და განსხვადებიან სხვებისგან). ჩირიკბას ლოგიკას თუ გავყვებით, და ფუძე ფს-ს მოკვდავი ადამიანის, სულიერის მნიშვნელობით განვიხილავთ, სრულიად შესაძლებელია, რომ აფსი-ლა სახელწოდება განვაგრცოთ, ადამიანთა მოდგმაზე, კველა სულიერზე, ადამის მოდგმაზე ან მის რაღაც ნაწილზე, მიკროსამყაროზე, რომლებიც რაღაც ნიშნით ერთიანდებოდნენ.

სახელების აფსუასა და აფშილის ურთიერთმიმართულაც საკამაოა. აფხაზი მეცნიერების აზრით, მერვე საუკუნიდან მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზური წარმომავლობის მქონე ტომების კონსოლიდაცია აბაზების ჰეგემონობით. შედეგად, სხვა ტომების სახელები გაქრა და ქვეყანას აბაზგია-აფხაზეთი დაერქვა. შეა საუკუნეებში აბაზგია დასავლეთ საქართველოსაც აღნიშნავდა და სშირ შემთხვევაში გაერთიანებულ ქართული სახელმწიფოსაც. უცნაურია, რომ აბაზგებმა გააერთიანეს აფხაზი ხალხი, შემდეგ აფხაზეთი/აბაზგია მთელი საქართველოს აღმნიშვნელადაც იხმარებოდა, იმავდროულად კი საკუთრივ აფხაზებს აფსუა შერჩათ თვითსახელად.

ადვილი შესაძლებელია, რომ აფშილსა და აფსუას არ ჰქონდეთ ურთიერთკავშირი და სულ სხვადასხვა ეთნიკურ ერთობას აღნიშნავდეს. აფსუა- აფსილ-აფშილის

ურთიერთმიმართების საკითხში საყურადღებოა ფორმა აფს-არი, რომელიც გვხვდება ანა დედოფლისეულ ქართლის ცხოვრების მინაწერში – ლაშა, აფსართა ენითა განმანათლებელსა ქვეყნისა ნიშნავსო – გვამცნობს ეს მინაწერი. ამ ცნობით, სავარაუდოდ, დასტურდება მეთორმეტე საუკუნეში აფსართა (აფსების? აფსუების?) ენის საკმაოდ მაღალი სტატუსის (უფლისწულს მათ ენაზე არქმევენ სახელს) არ-სებობა და აგრეთვე ფუძე ა-ფს, რომელსაც დაერთვის ქართული წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსი „არ“ (შეადარეთ – სამშვილდ-არი, სომხით-არი და ა.შ.) შეიძლება ითქვას, რომ აფს-არ-ს ძირად ფს აქვს და ამ ლოგიკით აფსუასა და აფსარს ერთი და იგივე ფუძე აქვს. ეს ყოველივე შესაძლებელს ხდის აფსუა თვითსახელწოდება დავაკავშიროთ აფსართან (ქართული არ სუფიქსით ნაწარმოები აფსუები, აფსუელ-ნი).

ქართული საისტორიო ტრადიციით, აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში ორი საერისთავო იყო: უკიდურეს ჩრდილო დასავლეთში საკუთრივ აფხაზეთის საერისთვო, ხოლო მის აღმოსავლეთით ცხეუმის საერისთავო. იგივე მონაცემები დასტურდება ბიზანტიურ წყაროებში: აბაზგია და აფშილეთი. აბაზგი და აფშილი შესაძლოა ეთნიკური თვალსაზრისითაც ყოვილიყო განსხვავებული. აფსარის, აფშილისა და აფსუას ურთიერთმიმართების შესახებ, მნიშვნელოვანია დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი, რომ „აფსარებს“ არაფერი აქვთ საერთო „აფშილებთან“, არც აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან ჩამოსახლებულ აფსუებთან. ავტორის მოკლე, მაგრამ მკაფიო არგუმენტებით გამყარებული კვლევა საწინააღმდეგო აზრების გამოთქმის სურვილს აღარ ბადებს (მუსხელიშვილი 2000: 17-23). აფსუასა და აფშილის გაიგივებას მხოლოდ ეთნონიმთა ლინგვისტური ანალიზი უდევს საფუძლად. თუმცა, აფშილისა და აფსუას ერთიდაიგივეობა ამითაც ვერ დასტურდება (მუსხელიშვილი 2000: 18). ინგვისტური პაექრობა ამ საკითხთან დაკავშირებით ეთნონიმის აფხაზურობისა და ქართველურობის გარშემო მიმდინარეობს. აფშილების აფხაზურ ტომებად გამომცხადებელნი, ეთნონიმს აფხაზთა ამჟამინდელ თვითსახელ აფსუას უკავშირებენ, რომელსაც შედგენილ ტერმინად სახავენ და ასე

ანაწევრებენ: აფხ (ფუძე) და უჯ (სუფიქსი). აფხ-ზე იღ სუფიქსის დართვით, მარტივად შეიძლება მივიღოთ აფხილავიშილი. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ჩირიკბა იღ სუფიქსს და სუფიქსით ანაცვლებს და მას აფხაზურ სუფიქსად მოიაზრებს. მისი მსჯელობა, ერთი შეხედვით, ლოგიკური ჩანს. თუმცა, ეთნონიმის წარმოებისას, ლა სუფიქსის დამატება როგორც თანაზიარის, ერთიანის აღმნიშვნელისა აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი არ არის და ჩირიკბას მხოლოდ ერთ, საკუთრივ აფშილის, მაგალითზე აქვს დაფიქსირებული. -ლა სუფიქსი გვხვდება ასურულ წყაროებში მოხსენიებულ აბეშლას შემთხვევაში, მაგრამ აბეშლების მონათესაობა აფხაზურ-ადიდგურ სამყაროსთან ჯერ კიდევ საჭოჭმანო საკითხია და ნაკლები მომხსრე ჰყავს. ასევე, ქართულ წყაროებშიც მხოლოდ ერთ შემთხვევაა დაფიქსირებული სადაურობის -იღ სუფიქსით წარმოებისა. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარის წყაროში გვხვდება, სავარაუდო, სოფელ ტყემლობიდან ნაწარმოები ტყემლობ-ილი (მიქაელ ტყემლობილი) (მუსხელიშვილი 2000: 20). ამდენად, -იღ სუფიქსის საკითხი ლინგგვისტური თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით მაინც არ არის გადაწყვეტილი. უნდა ითქვას, რომ პოლემიკა, აზრს კარგავს, თუ აფშილებს ქართველურ ტომებად ჩავთვლით. გაცილებით მეტი არგუმენტი არსებობს, რომ ისინი დავუკავშიროთ ქართველურ სამყაროს და არა აფხაზებს (მუსხელიშვილი 2000: 21-22).

აფხაზების ამჟამინდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე დამკვიდრების საკითხებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აფხაზ-ადიდგელთა ეთნიკური ისტორიის ნიუანსები. ბევრი მეცნიერი მათ ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი მოსულად მიიჩნევს. ამ მეცნიერთა აზრით, აფხაზთა ეთნოგენეზი ჩრდილოეთ კავკასიის უკიდურეს ჩრდილოეთში და აზოვისპირეთში მიმდინარეობდა (თოფჩიშვილი 2015, რატიანი 1995).

ზემოხსენებული ეთნონიმების შესახებ საინტერესო ოკახაძის თვალსაზრისი. იგი ნ. მარისა და ს. ყაუხეჩიშვილის კვლევებზე დაყრდნობით ეთნონიმ აფხაზს ჩერქეზული ტომის, აბაძეხების სახელს უბავშირებს (კახაძე 1993: 551-563). მისი მსჯელობა დამაჯერებელია და, ამდენად, ლოგიკური იქნებოდა, რომ ქართველს, თუკი აფშილი მისთვის

აფხაზურ-აფხსური მოდგმისა იყო, აფხაზის აღსანიშნავად ესარგებლა აფშილ-აფხსუას ფორმით და არა მისგან საკმაოდ დაშორებული ტომის, აბაძებების სახელით. ე. ოსიძე აბასკ/აბაზგ ფორმის ამოსავლად ტერმინ აფშილის სვანურად ინტერპრეტაციას ვარაუდობს. თუმცა, ავტორი ფრთხილობს და მიაჩნია, რომ საკითხის ამგვარად გააზრება მეტარგუმენტაციას მოითხოვს (ოსიძე 1993: 565-569).

აფხაზთა აღმნიშვნელ ტერმინებზე მოსაზება აქვთ გამოთქმული ო. ვანცელაძეს (გვანცელაძე 1993: 571-577) და ო. გამყრელიძეს (გამყრელიძე 1993: 581-591). ო. გვანცელაძე ემსრობა 6. მარისა და სჯანაშიას დებულებას, რომ „ტერმინი აფხაზი და მისი ნაყარი ფუქუები მომდინარეობს „აფხაზ ტერმინისგან“..... ქართული „აფხაზი“ მომდინარეობს აფასხ ფუმისგან, სადაც ხ მრავლობითი რიცხვის ნიშანია“. ო. გამყრელიძე აფხაზს, აბაზს და აფშილს ერთმანეთთან აკავშირებს და გამოოქამს ვარაუდს, რომ აფშილები თანამედროვე აფხაზ-აფხაზებთან გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებული ეთნოსია, შესაძლო წინაპარია, ხოლო აბაზები მათგან თავდაპირებულად განსხვავებული ხალხია, რომელთა სახელიც დროთა განმავლობაში აფხაზ-აფშილზეც გავრცელდა. აბაზგებს ო. გამყრელიძე ქართველურ ტომად მიიჩნევს. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ აფხაზები პროტოადიდებელთა და ქართველთა შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ამ „შერევის შედეგად ჩრდილოეთით მეოტადიღელებმა გაიმარჯვეს, სამხრეთით ქართველებმა, ამის შედეგია აბაზგია და აფხილია, ანუ აფხაზეთი და აფშილეთი (თოფჩიშვილი 2015: 37).

თ. გამყრელიძის აზრით, ეთნონიმები აფხაზა და აბაზა შესაძლოა ერთი ძირისა იყოს. ამ ორი ფორმის შესაძლო მაწარმოებლად იგი აფასა-ს მიიჩნევს (გამყრელიძე 1993: 486-489). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილი შესაძლებლად თვლის, რომ აფხაზის ეთნიკონი და აქედან მიიღება ტერმინი აფხარი (მუსხელიშვილი 2000: 23). ამ ლოგიკით, აფხართა ენა აბაზთა ენაა და შესაძლოა შუასაუკუნეობრივი ტრადიციებით ის ჩრდილოკავკასიელ, დღევანდელ აფხაზთა მონათესავე ერთ-ერთი ადიდეური ტომის აღსანიშნავად იხმარებოდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ

დღეგანდელ აფხაზურშიც ლაშა-ალაშარა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მნიშვნელობით გამოიყენება. შესაძლოა ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, აფხარის ჩრდილოკავკასიელ აბაზებთან ან ადიღეური წარმოშობის ტომთან გაიგივებისა, სწორია და სიტყვა ლაშაც მათ მიერაა გადმოტანილი გვიანშუასაუკუნეების აფხაზურ ენაში. ისიც დასაშვებია, რომ ეს სიტყვა პარალელურად არსებობდა კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრებ ხალხებში.

აფხაზია, როგორც ტოპონიმი, ორ ადგილზე გვხვდება. ჩრდილოეთ კავკასიაში ყარაჩაი-ჩერქეზეთში არის სოფელი აფხაზია სადაც ცხოვრობენ აბაზები. აბუაში (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთის ერთ-ერთი მიკრორეგიონი) კი არის სოფელი, რომელსაც ჯალ-აფხაზია ჰქვია. ჯალ აფხაზის გვერდით არის სოფელი ჯალი. უცნაურია, რომ აფხაზია (ანუ თუ ვთარგმნით, აფხაზი) ჰქვია სოფელს. ლოგიკური იქნებოდა, რომ სოფელს ერქვას აფხაზი, აფხაზეთი და არა აფხაზა-აფხაზი. აბუაში ორი ჯალი არსებობს – სოფელი ჯალი და სოფელი ჯალ-აფხაზი. ტოპონიმი ჯალ მეგრული ენით იხსნება: ჯალ მეგრულად ნიშნავს საბუდარში ჩასადებ კვერცხს, რომელმაც ქათამი უნდა მიიზიდოს, კვერცხის დასადები ადგილი „აჩვენოს“. ეს კვერცხი ხშირად ლაყეა და შესაძლოა, სიტყვა ჯალი უნაყოფოს, ბერწის ანუ უკის, ეწერის, ყამირის შესატყვისიც იყოს. ეს სიტყვები კი ქართულ ტოპონიმიკაში მრავლად არის გამოყენებული (უკუში, ეწერი, ფოცხოვწერი და ა.შ.). შესაძლოა, ჯალი ტყიანს, ხეებით მდიდარ ადგილსაც ნიშნავდეს. ჯა- მეგრულად ხეს ნიშნავს) სავარაუდოდ მეგრულ სოფელ ჯალში დასახლებულმა აფხაზებმა თავიანთ უბანს ჯალ-აფხაზა (აფხაზების ჯალი) უწოდეს და ამგვარად წარმოიქმნა ეს სახელწოდებაც.

ამრიგად, თუ აფხაზა-აფხაზი ნიშნავს სააქაოს, სამზიანოს, უნდა ვივარაუდოთ, რომ კულტურულ-ენობრივი თვალსაზრისით გაერთიანებული გარკვეული ერთობა (ტომი, მცირერიცხოვანი ტომები), საკუთარ სახელად ირჩევს „შინას“ ანუ ვიწრო გაგებით ადამიანურს, ადამიანის, კაცთა მოდგმის შინაარსის მქონე ტერმინს. ცხადია, ეს მოსაზრება არ ეწინააღმდეგება აზრს, რომ ეთნონიმ აფხაზი ფუძე არის

ეს. აფსუა, როგორც ვთქვით ეს ძირიდანაა ნაწარმოები. ზემოთ მოხსენიებულ არგუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფშილი და აფსუა სხვადასხვა შინაარსის ტერმინებია, ისევე როგორც აფსარი. სავარაუდოდ, აფსარი აფხაზეთის ჩრდილოეთით მოსახლე აფხაზურ-ადიღური წარმომავლობის ხალხის სახელია, ხოლო აფშილი ქართველური ტომია. აფსუა გვიანშუასაუკუნეებში ჩამოსული ჩრდილოკავკასიური მოდგმის ხალხი უნდა იყოს, რომელიც ადგილობრივ ქართველურ და პირველი საუკუნიდან ამ ტერიტორიაზე თანდათან შემოსულ, დიდი ხნის წინ ადგილობრივებად ქცეულ მოსახლეობას შეერწყა და დღევანდელი აფხაზის (თვითსახელი აფსუა) ჩამოყალიბებაში შიიღო მონაწილეობა.

Giorgi Mamardashvili

Again about a term “Apsua”

Apsua is a self-name of contemporary Abkhazians. Majority of scientists associate the ethnonym Apsua with "Apsilia" that is used in Byzantine sources while Apshileti is used in Georgian sources. Ethnic identity of Apshils still remains a disputable issue. According to our opinion they should be of the Georgian and not of Abkhazian origin. There are many interpretations of the ethnonym Apsua. The most widely spread opinion is that its base is "ps" which should mean a soul. This is why Apsni (Abkhazia), that is derived from Apsua should mean a "country of soul". Such poetic-mystic interpretation is rather popular in Abkhazian scientific circles and wide masses of the population.

According to the scientific opinion far more acceptable is the opinion, according to which the base of Apsua is the very "ps", but from its original significance it means a man, mortals and "Apsni" (according to the present day meaning – Abkhazia) means this world, residence of human beings. This opinion is backed up by expressions and plots fixed in Abkhazian legends and fairy tales.

As a conclusion we can state that: Apsua-Apsni implies this world, "the home" of human beings. We can suppose that definite unity (tribe, small

communities) that was united according to cultural-lingual aspect selected its own name "Inside - home", that is, in a narrow meaning – human, a term bearing a notion of a man, human race. Of course this opinion doesn't contradict the opinion that in the ethnonym Apsua the base is "ps". As it was stated above Apsua is derived from the base "ps". We can state that Apshili, Apsua and Afsari are terms of different contents. Apparently Apsari is the name of people of Apkhaz-Adige family residing northwards from Abkhazia, while Apshili – is Georgian tribe. Apsua should be the people of north-Caucasian origin that came to Abkhazia in late middle ages, which was fused with Georgians and gradually with the population that came long ago to this territory, that became local population and took part in the formation of the present day Abkhazian (self-name Apsua).

დამოწმებული ლიტერატურა

ანთელავა 2018 – ანთელავა ნ., ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეტიკეტი, კრ. კავკასიური ეტიკეტი, თბ. 2018

ანჩაბაძე 2006 – ანჩაბაძე გ., ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბ. 2006

გამყრელიძე 1993 – გამყრელიძე თ., ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან (აფხაზ-აბაზგ და აბაზა-აფსუა ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), კრ. საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინოლოგია, თბ. 1993

გასვიანი 2008 – გასვიანი გ., აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, თბ. 2008

გეორგიძა 1961 – გეორგიძა I, თბ. 1961

გეორგიძა 1964 – გეორგიძა II, თბ. 1964

გვანცელაძე 2008 – გვანცელაძე თ., აფხაზური ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბ. 2008

გვანცელაძე 1993 – გვანცელაძე თ., კვლავ ეთნონიმ „აფხაზის“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, კრ. საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინოლოგია, თბ. 1993

ზუბბა 1988 – ზუბბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988

- თოფჩიშვილი 2015** – თოფჩიშვილი რ., აფხაზურ-ადიდეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ. 2015
- ინგოროვა 1954** – ინგოროვა პ. გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ. 1954
- კახაძე 1993** – კახაძე ო., აფხაზ-აფხაზა ფუძის თაობაზე, კრ. საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინოლოგია, თბ. 1993
- ლორთქიფანიძე 1990** – ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ. 1990
- მამარდაშვილი 2013** – მამარდაშვილი გ., აფხაზური ხალხური გადმოცემების თქმულებების და მითების გეოგრაფია, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XV, თბ. 2013
- მუსხელიშვილი 2000** – მუსხელიშვილი დ., აფშილთა ეთნოკური კუთვნილების საკითხისათვის, არტანუჯი, X, 2000
- ოსიძე 1993** – ოსიძე ე. აბასკ-აბას ეთნონიმის წარმომავლობისთვის, კრ. საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი ქართული და უცხოური ტერმინოლოგია, თბ. 1993
- რატიანი 1995** – რატიანი ზ., წყაროთა დადადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995
- Барцыц 2010** – Барцыц Р. М., Абхазский религиозный синкретизм в культовых комплексах и современной обрядовой практике, Сухуми, 2010, www.apsnyteka.org
- Воронов 1907** – Воронов Л., Абхазия – негрузия, Москва, 1907
- Дьячков-Тарасов 1905** – Дьячков-Тарасов А. Н., Бзыбская Абхазия, Известия Кавказского отдела Императорского Русского географического общества, XVIII, Тифлис, 1905
- Куправа 2008** – Куправа А. Э., Вопросы традиционной культуры абхазов, Сухуми, 2008 www.apsnyteka.org
- Инал-ипа 1976** – Инал-ипа Ш. Д., Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми - 1976
- Чирикба** – Чирикба, К этимологии этнонима аԥсуа "абхаз" (; 624 Кб), Избранные работы полингвистике и этнографии (Источник текста: <http://independent.academia.edu/ViacheslavChiri-kba/Papers>.) www.apsnyteka.org

დავით მერკვილაძე

სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოებში XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე და ერებლე II

XVIII საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები დაიწყო. ეს გამოიხატა ჯერ ყუბის ხანის, ფათალის თვალშისაცემი გაძლიერებით, ხოლო შემდეგ ამ მომძლავრებული ხანის წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური კოალიციების შექმნით, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა ქართლ-კახეთის მეფე ერებლე II.

1765 წელს ყუბის ხანმა ფათალიმ მეზობელი დაღესტნები ბეჭდადების დახმარებით იგდო ხელთ ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე და ყუბის სახანოს ჩრდილოეთიდან მომიჯნავე დერბენის სახანო.¹ დარბენის სახანო, რომელსაც შედარებით ვიწრო ზოლი ეკავა კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ, მიწა-წყლის სივრცითა და მოსახლეობის რაოდენობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო.² მის დასაუფლებლად გაწეული

¹ ფათალის მიერ დერბენის აღების თარიღებად ასევე დასახელებულია 1759 წელი (Абдулаев 1965:204) და 1760 წელი (Березин 1850:12-13).

² კასპიის ზღვის პირს, მდინარეების, სამურსა და დარბაზჩაის შორის მდებარე დერბენის სახანოს ჩრდილოეთიდან ხაიდაყი, დასავლეთიდან კი თაბასარანი და ყაზიყუშები ესაზღვრებოდა (Броневский 2004: 376). შემთხვევით არ შენიშნავს ს. ბურნაშვილი, რომ „დერბენის სამფლობელო თუმცა კი თავისი მდებარეობით დაღესტანს უნდა მიეწერებოდეს“, მაგრამ ვინაიდან იგი დიდი ხნის წინ სპარსელებმა დაიპყრეს, „ხოლო მისი ამჟამინდელი მმართველი ფათალი ხანი აზერბაიჯანში ფლობს ქალაქებს – ბაქოსა და სალიანს და მრავალ დასახლებას, ამიტომაც მიითვლება ის აზერბაიჯანის ხანთა შორის“ (Бурнашев 1793:34).

შემწეობისათვის ფათალი ხანმა დაღესტნელი მთავრები და-
ასაჩუქრა დერბენდის სახანოს კუთვნილი სოფლებითა თუ
ფულადი ანაზღაურებით. მათ შორის იყო ხაიდაყის უწმია
ამირ-ჰამზა, რომელსაც ფათალიმ სამი სოფელი უბობა და
უფლება მისცა დერბენდის ერთი ჭიშკრიდან მოკრებილი
საბაჟო გადასახადებით ესარგებლა (აბდულაევ 1965: 203). ორი
მეტობელი მფლობელის მეგობრობა ქორწინებითაც გან-
მტკიცდა – ამირ-ჰამზამ უუბის ხანს თავისი და მიათხოვა
(Гаджиев 1967: 375).

ხაიდაყის უწმიასა და დერბენდის ხანს შორის მტრობა
მოგვიანებით ჩამოვარდა, როცა ფათალიმ ამირ-ჰამზას ნაჩუ-
ქარი სოფლები წაართვა და დერბენდის საბაჟო გადასახადი-
დან შემოსავალიც აღუკვეთა. ამას გარდა, ფათალი ხანმა
თავის ცოლისმმას (ამირ-ჰამზას) უარი უთხრა დის (ხაჯიდა-
ბიკეს) ცოლად მიცემაზეც (რასაც ის უავე შეპირებული იყო)
და რომელიც შემდეგ ბაქოს ხანს, მელიქ-მუჰამადს (1768-1784
წწ.) მიათხოვა (Гаджиев 1967: 376; აბდულაევ 1958:74, შენ. 1).³

ამასთან ერთად, ფათალი ხანის მეტისმეტი გაძლიერება
დიდ საფიქრადს უქნდა მის მეზობელ სხვა აზერბაიჯანელ
ხანებსაც. 1767 წელს ფათალი-ხანმა შაქის ხან ჰუსეინის
(1758-1780 წწ.) დახმარებით დაიკავა შემახა და შაქის ხანთან
ერთად გაინაწილა შირვანის სახანო,⁴ რომელსაც ორივე
მხარის დანიშნული ნაიბები (ნაცვლები) მართავდნენ. შემახის
მმართველი მები კი დაატყვევეს (მათ შორის ერთს, ადასი-
ხანს თვალები დასთხარეს).⁵ მაგრამ შემდგომ ფათალი ხანმა
შეთანხმება დაარღვია: ჰუსეინ ხანის ნაცვალი შემახიდან

³ეს ქორწინება ფათალი ხანმა ოსტატურად გამოიყენა ბაქოს ხა-
ნის თავის ვასალად გადაქცევისათვის.

⁴სახანოს, რომლის დედაქალაქიც შემახა იყო, იმ ხანებში შირვა-
ნის სახანოდაც მოიხსენიებდნენ. გ. აბდულაევს ამ სახანოს მი-
მართ „შირვანის“ გამოყენება არასწორად მიაჩნია იმ მოტივთ,
რომ ეს ტერმინი ისტორიულად შირვანშაჰების სახელმწიფოს უკა-
ვშირდება (აბდულაევ 1965:213).

⁵ჰუსეინ ხანმა ადასი ხანს თვალები დათხარა და მტკვრის პირას
გადასახლდა, ხოლო მუჰამედ-საიდ ხანი ფათალი ხანმა დერბენ-
დის ციხეში გამოკვება.

გააძევა და მთელი შირვანი მიისაკუთრა. ამით კი შაქის ხანი სამუდამოდ გადაიმტერა (Бакиханов 1991: 160; Валуев 1942: 11-12). ეჭვს არ იწვევდა, რომ ფათალი ხანის შემდეგი სამისნე უკვე ოვითონ შაქის სახანო გახდებოდა, მით უმეტეს, რომ მან 1769 წელს ერთხელ უკვე აიძულა ჰუსეინ ხანი, მისოვის ერთგულების პირობა მიეცა (Абдулаев 1958: 55).

შემახის სახანოს (შირვანის) მიერთებით ფათალი ხანი ხელსაყრელ პლაცდარმს ქმნიდა შაქისა და ყარაბაღის სახანოების წინააღმდეგ (Абдулаев 1965: 215). ამ ვითარებამ ყუბა-დერბენდის ხანის წინააღმდეგ გააერთიანა ჰუსეინ ხან შაქელი, იბრაჰიმ ხან ყარაბაღელი და დამხობილი ადასი-ხანი, რომელსაც ტყვეობისათვის თავი დაეღწია და თავის ერთგულ მომხრეებთან ერთად მტკვრის პირას კოტევანად (სხვანაირად ელოვლედ) წოდებულ ადგილას იყო გამაგრე-ბული (Абдулаев 1958: 49; 49, შენ. 9).

რუსული საარქივო ცნობების მიხედვით, ამ კოალიციაში შესულა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ც (Абдулаев 1958: 73). აზნაური ანდრეი ფილატოვი ყიზლარის კომენდანტ შტედერს აცნობებდა, რომ ავარიის ხანს, შაქის ხანს, განჯის ხანსა და შემახის ყოფილ ხან ადასის ერეკლემ მიაშველა ბორჩალოელებად და ყაზახებად წოდებული თავისი ქვეშე-რდომი თათრებით. თუმცა რუსი მოხელისათვის უცნობი დარჩენილა, იყო თუ არა მათთან ერთად მეფის ვაჟიც.⁶ მაშასა-დამე, მოკაშირეთა დასახმარებლად ყუბის ხანის წინააღმ-დეგ ერეკლე II-ს გაუგზავნია ყაზახ-ბორჩალოელთაგან შემდგარი რაზმი (ჰამიდოვა 2014: 71; Абдулаев 1965: 521).

ერეკლე II-ს ადრიდანვე ცდილობდა ზღვარი დაედო ფათალი ხანის ამგვარი სახიფათო გამლიერებისათვის. 1768 წელს მეფე არ აჲყვა ფათალი ხანის ეშმაკურ შეთავაზებას, ყარაბაღის ხანთან ერთად გამოსულიყო ყუბის ხანის მოკაშ-ირედ შაქის სახანოს დაპყრობის მიზნით.⁷ იბრაჰიმ შუშელ-

⁶ დოკუმენტი 12. იბ. წიგნში: (Абдулаев 1958:167).

⁷ ფათალი ხანის ამ წინადაღების თაობაზე 1768 წლის 10 სექტემბრის წერილში იტყობინებოდა რუსი ვაჭარი ივ. მატვეევი (იბ. Абдулаев 1965:516).

საც თვალწინ ედგა მაგალითი შაქის ხანისა, რომლის დახმარებითაც ფათალი ხანმა ხელო იგდო შემახა, ხოლო შემდეგ თავისი ძალები თვით შაქის სახანოს წინააღმდეგ მიმართა. ამიტომ იყო, რომ 1769 წელს ერეკლე მეფე სამხედრო მხარდაჭერას უცხადებდა ჰუსეინ შაქელს ფათალი ხანის თავდასხმის შემთხვევაში. თავის სახელმწიფოს სამეზობლოს დახახასიათებისას, რომელიც გრაფ ნ. პანინისათვის გადასაცემად იყო გამიზნული, 1769 წლის 14 ივნისს ერეკლე II ადნიშნავდა, რომ ფათალი ხანმა შემახა-შირვანის დაუფლების შემდეგ შაქის ხანს შეუტია და დაამარცხა კიდევ. მაგრამ შაქის ხანმა დახმარება მიიღო (აქ მეფე არ აზუსტებს თუ ვისგან), ხოლო ჩვენგან გაწეული დახმარების შემდეგ კუბის ხანს მოუწია თავის განზრახვებზე უარის თქმა და იმულებული გახდა მასთან მშვიდობიან ურთიერთობაზე დათანხმებულიყო (Цагарели 1891: 435). რუსული საარქივო ცნობით კი, როცა ჰუსეინ ხანმა ერეკლესაგან დახმარება ითხოვა, მეფემ ფათალი ხანთან მოციქული გააგზავნა შაქის ხანთან შერიგების შეთავაზებით და თან მუქარაც შეუთვლია: თუკი ხანი სხვანაირად მოიქცეოდა, მეფე ჰუსეინ ხანს სამხედრო დახმარებას გაუწევდა (Абдулаев 1958: 72).

საგარაუდოდ, ამ ამბებს უკავშირდება სალიანიში რუსეთის კონსულ ბოგოლუბოვის 1770 წლის 28 მაისის რჩევა საგარეო საქმეთა კოლეგისადმი, რომ საჭირო იყო ერეკლე მეფის დარწმუნება, არ ჩარცელიყო აზერბაიჯანელი ხანების ურთიერთდაპირისპირებაში. ამის აუცილებლობას კონსული ორი მიზეზით ხსნიდა: 1. იმ დროს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდა ოსმალეთთან ომში და მის სამხედრო აქტიურობას ფორმალურად ირანის გავლენის სფეროდ მოაზრებულ მხარეებში შეიძლებოდა ომში ნეიტრალური ქერიძ ხანის რუსეთისათის არასახურველი გადიზიანება გამოეწვია; 2. ფათალი ხანი რუსეთის პოლიტიკურ მეგობრად და ეკონომიკურ პარტნიორად განიხილებოდა და მისი ხელისუფლებისაგან ჩამოცილება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა (Абдулаев 1965: 519-520). შესაძლებელია, ამ ვითარების გამო იყო, ერეკლემ ფათალი ხანის წინააღმდეგ სწორედ მუსლიმ ყაზახ-ბორჩალოელთა რაზმი რომ გააგზავნა, რათა მისი ჯარის მონაწილეობა ანტიუგურ კოალიციაში ამ

გზით ნაკლებად თვალშისაცემი ყოფილიყო (თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის დაზვერვისათვის მეფის ეს ფრთხილი ნაბიჯიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი).

ერეკლე მეფე კარგად ამჩნევდა, რომ ფათალი ხანი რუსეთისათვის საიმედო მოკავშირის სახელის დამკვიდრებას ცდილობდა, რაც ამ ხანის გაძლიერების წინააღმდეგ მეფის აქტიურობას რუსეთის მხრიდან ერთგვარი შეზღუდვა სდევდა თან. ამიტომ რუსეთის მთავრობის თვალში ფათალი ხანის საიმედობის დარღვევის სურვილით უნდა აიხსნას რუსეთოსმალეთის ომის დროს საიმპერატორო კარისადმი მიმართულ ერეკლეს წერილში იმაზე ხაზგასმა, რომ ყუბის ხანმა შემახა თსმალეთის სანქციით დაიპყრო იმ პირობით, რომ ხანი საზღვაო ციხეებს გაამაგრებდა. სავარაუდოდ, მეფის ამ სიტყვებში ის იგულისხმება, რომ ფათალის თავის მფლობელობაში მყოფი კასპიის ნაგებდგურები რუსული სამხედრო გემებისათვის უნდა დაეხურა.⁸

თავის სამეზობლოში სახიფათოდ აღზევებული ყუბის ხანის საპირწონედ კი ერეკლე II ფსონს დებდა ყარაბაღის ხანზე, რომელსაც იმავე წელს 4 ათასკაციახი დამსმარე ლაშქარი გაუგზავნა ფათალი ხანის თავდასხმის მოსაგერიებლად.⁹ ფათალი ხანმა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე თოქმის მთელი აზერბაიჯანული მიწების მეტ-ხაკლები შემომტკიცება შეძლო და თავისი გავლენა გაავრცელა მტკვრის სამხერეთით დასავლეთ კასპიისპირეთის სახანოებზეც (ჯავადისა და თალიშის ანუ ლენქორანის სახანოები). ფათალი ხანის ექსაპანიურ გვემებს სამხრეთ კავკასიის დანარჩენი აზერბაიჯანული სახანოების მიმართ წინ ეღობებოდა ყარაბაღის სახანო (აბდულაევ 1965: 514). ამიტომაც მისთვის აუცილებელი იყო შაქისა და შირვანის გარდა, ყარაბაღის დაუფლებაც (შდრ. ბუტკოვ 1869: 253). მაგრამ ფათალი ხანის ამ გეგმებს გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა ერეკლე მეფისა

⁸ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამებოდა ერეკლეს ეს განცხადება სიმართლეს. გამორიცხული არაა, ეს ერთგვარი დიპლომატიური ფანდიც ყოფილიყო.

⁹ამის თაობაზე მიუთითებდა თავადი მოურავოვი გრაფ ნ. პანინს, 1770 წ. 5 აპრილის პატაქში (Цагарели 1891: 216).

და იბრაჟიმ ხანის სამხედრო-პოლიტიკური აღიანსი. იბრაჟიმ-ხალილ ხანმა ქართველი მეფის თანადგომით მტკვრისა და არაქსის ქვემო წელის შუამდინარეთში მდებარე თავისი სამყლობელო ფათალი ხანისათვის ხელმიუწვდომელ გამაგრებულ სიგრცედ აქცია და თავისი გავლენა სხვა მეზობელ სახანოებზეც (განჯის, ყარადაღის) განავრცო. შესაბამისად, ფათალი ძალზე მტრობდა ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირე იბრაჟიმ ყარაბაღელს. ყუბის ხანი ასევე მეტად უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ერეკლე მეფე გულმოლგინედ ესწრაფვოდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ზოგიერთი სახანოს (განჯის, ერევნის, ნახტევნის) დაქვემდებარებას.

იმჯერად ფათალი ხანის წინააღმდეგ გაურთიანებული მოკავშირების მიზანი შემახაში თვალდამწვარი აღასი ხანის ძალაუფლების აღდგენა და შირვანიდან ფათალი ხანის განდევნა იყო (ამ დროს ფათალისაგან შევიწროვებული ჰუსეინ ხანი მისივე ბრძანებით დაბრმავებულ აღასი ხანთან უკვე მორიგებულიყო). უფრო სარწმუნო ჩანს, რომ შემახაში აღასი ხანის ხელისუფლების აღსადგენად არა ერთი არამედ ორი კოალიციური ლაშქრობა მოწყობილიყო (შდრ. ლევიათოვ 1948: 132).¹⁰ ერეკლე II-ის მონაწილეობა პირველ მათგანში უნდა მოვიაზროთ, რომელიც საგარაუდოდ 1773 წლის ბოლოსკენ უნდა გამართულიყო, ვინაიდან რუსი მოხელე ამ წლის 15 დეკემბერს იტყობინებოდა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა მოულოდნელი შეტევით დაიკავეს შემახა.¹¹ ხოლო ფათალი ხანმა წინააღმდეგობის გაწევა ეკრ შეძლო, ყუბისკენ დაიხია და თავის მოკავშირე ტარკის შამხალს შეუთვალა, სასწრაფოდ შეეგროვებინა მისთვის მთიელთაგან დაქირავებული ჯარი. მით უმეტეს, რომ ხაიდაგის უწმია და ავარიის ხანისადმი კეთილგანწყობილი სხვა დაღესტნებული მეთაურები

¹⁰ასეთი სურათი ჩანს XIX ს-ის დადესტნური ქრონიკის ავტორთანაც (Алкадари 1929:80-81).

¹¹გ. აბდულაევი ამ ლაშქრობის თარიღდად (წყაროს მითითების გარეშე) ასახელებს 1773 წლის ნოემბრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისს (Абдулаев 1965:520), რაც სრულად შეესატყვისება იმ დროს არსებულ ვოთარებას (შდრ. პამიდოვა 2014: 71).

თავისი ხალხით ყუბის ხანის წინააღმდეგ ამხედრებულ ავარიელებთან შეერთებას აპირებდნენ (Абдулаев 1958: 167. დოკ. 12). ფათალი ხანს ძალების მოკრების შემდეგ მოწინააღმდეგენი დაუმარცხებია და შემახაში კვლავ გაბატონება მოუხერხებია. ამ ბრძოლაში დაღუპული მუკამედ-მირზა, რომელიც მუკამედ-ნუცალ IV-ის უმცროსი მმა და ავარიის თანამმართველი ხანი იყო და მისი ვაჟი ბულახი (უმცროსი) (Гиничутлинский:),¹² რომლებიც თავიანთი მებრძოლებით ჰუსეინ ხანის დასახმარებლდ იყვნენ მოსულები (Левиатов 1948: 131).

ავარიის ხანი მუკამედ-ნუცალ IV (1735-1774 წწ.), იგივე ხუნდახის ბატონი ნურსალ-ბეგი¹³ და რომელსაც შურისძიების წყურვილიც ამოძრავებდა, თავის ჯარით უშუალოდ მონაწილეობს შემახისაკენ მომდევნო ლაშქრობაში, რომელიც 1774 წლის პირველ ნახევარში უნდა გამართულიყო.¹⁴ ამ ბრძოლაში ერეკლეს მონაწილეობა არ შეიმჩნევა. შესაძლოა, ეს გარემოება მეფესა და ხუნდახის ბატონს მორის ძელი მტრობით აიხსნას. ამ უკანასკნელმა ხომ 1754-1755 წლებში ორგზის ითავა დადესტნელთა გაერთიანებული ძალებით დიდი ლაშქრობის მოწყობა აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. ავარიის ხანის შირვანზე შესაძლო გავლენის დამყარება ერეკლეს თავისი სამეფოსათვის არანაკლებ სახიფათოდ უნდა მიეწნია.

¹²თუმცა მათ ხშირად მოიხსენიებენ როგორც ავარიის ხანის ვაჟებს (იხ.: Алкадари 1929:80; Гаджиев 1967:376; Левиатов 1948:131), ასევე – ავარიის ხანის მებად (Бакиханов 1991:160).

¹³„ნუცალი“ ავარიის ხანების ტიტული იყო, რომლის სახესხვაობას წარმოადგენს ქართული წეაროების „ნურსალი“. თუმცა იგი ხანდახან საკუთარი სახელის დანამატად იქცეოდა. ასეთი შემთხვევებისას მეზობელ ქვეყნებში „ნუცალი“ მოლიანად საკუთარ სახელადაც მოიაზრებოდა ხოლმე. პ. ბუტეოვიც ზემონახსენებ ნუცალს მერსელ-ხანის სახელით იხსენიებს (Бутков 1869: 17-18). რაც შეეხება ხუნდახს, იგი ავარიის სახანოს ცენტრი იყო და ამის გამო მოედი მხარე ამ სახელითაც იწოდებოდა.

¹⁴ეს ლაშქრობა წინ უსწრებდა გავდუშანის ბრძოლას, ხოლო ეს უკანასკნელი 1774 წლის ივლისზე აღრე ვერ გაიმართებოდა (ამის თაობაზე იხ. ქვემოთ).

თავდაპირველი წარუმატებლობის მიუხედავად, შემახას-თან გამართულ ბრძოლებში საბოლოოდ ფათალი ხანმა გა-იმარჯვა. ბოლო ბრძოლის შემდეგ მან ნება დართო მის ლა-შქარში მყოფ დაქირავებულ აქუშელ (დაღესტნელ დარგუ-ელთა ერთ-ერთი თემი) მებრძოლებს მოეკლათ მის ბანაკში მოსალაპარაკებლად მიწვეული ავარიის ხანი (Алкадари 1929: 81). ამ შემთხვევამ დაღესტნელ ბელადებს ფათალი ხანის წინააღმდეგ გაერთიანების დამატებითი საბაბი მისცა. ისინი ისედაც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მომძლავრებული ფათა-ლი ხანის სახელმწიფო მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნი-და მათ თარეშს აზერბაიჯანული სახანოებისაკენ (ანდულაევ 1958: 74, შენ. 1; შდრ. ანდულაევ 1965: 522). დაღესტნელ მთავ-რებს აზერბაიჯანული სახანოების კავკასიონის მთისწინეთის მიწებზე (ნუხა, ყუბა, შემახა) თვალი ისედაც ეჭირათ და ჭარ-ბელაქნის მხგავსად მათ ხელში ჩასაგდებად ხელსაყრელ შე-მთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ. საბოლოოდ ამირ-ჰამზას ირგვლივ დაირაზმა დაღესტნელი მთავრების უმეტესობა: ყაზი-უშმუხის ხანი მუჰამედი (1743-1789 წწ.), ავარიის ხანი ომარი (1774-1801 წწ. – მოკლული ნუცალის ძე და მექქიდრე), ყაზანიშის მმართველი მუჰამედ ტიშიზი (უკბილო), თაბასა-რანის ყადი რუსტამი და სხვები (Левиатов 1948: 133).

დამაჯერებელი არ მოჩანს დაღესტნელ მეთაურთა ამ კა-ვშირის მონაწილედ ერეკლე II-ის დასახელება შაქისა და ყარაბაღის ხანებთან ერთად (შდრ. გადჯიევ 1967: 377).¹⁵ ქარ-თლ-კახეთის მეფისათვის არანაკლებ მიუღებელი იყო დაღე-სტნელი მთავრების გაძლიერებაც, რომლებიც მეტისმეტად აწუხებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს თავიანთი გაუთავებე-ლი ლია თუ ფარული თავდასხმებით. მით უფრო, მათ შორის იყო მეფის დაუძინებელი მტრის, ფათალი ხანის მიერ მოკ-ლული ავარიელი ხანის მემკვიდრე ომარ ხანი (იგივე უმა V), რომელმაც მოგვიანებით ერეკლესადმი მტრობა და მისი სამეფოს მიმართ მიყენებული ზარალი კიდევ უფრო მაღალ

¹⁵ აქ არც ის ჩანს, რომელ წყაროზე დაყრდნობით კეთდება ადნიშ-ნული დასკვნა. ეს მოსაზრება ზემონახსენებ წინა ანტიყვებური კოლიციის მონაწილეთა სახელების მექანიკურ გადმოტანის შთა-ბეჭდილებას უფრო ტოვებს.

ხარისხში აიყვანა. ეტყობა, ერეკლემ ამ შემთხვევაში მართლაც ფრთხილი პოზიციის დაჭერა ამჯობინა. ყოველ შემთხვევაში დაღესტნელ მოკავშირეთა მიერ ფათალი ხანის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში (მაგ., ცნობილი ბრძოლა გავდუშანის ველზე სოფ. ხუდათთან¹⁶) ერეკლეს მონაწილეობა არ იკვეთება.

ამრიგად, ერეკლე II-ისათვის მიუღებელი იყო მნიშვნელოვანი გაძლიერება ყუბის ხან ფათალისა, რომელიც მას თავის მთავარ მეტოქედ მიაჩნდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში. ამის გამო შესაძლებელია, ქართლ-კახეთის მეფე მოვიაზროთ ფათალი ხანის წინააღმდეგ შექმნილ პირველ კოალიციაში, რომელშიც შედიოდნენ შაქის ხანი ჰუსეინი, ყარაბაღის ხანი იბრაჟიმი და შემახის დამხობილი ხანი აღასი. ამ დროს მომხდარ საბრძოლო შეტაკებაში ერეკლე მეფე გარკვეულ მონაწილეობასაც იღებს, ოუმცა ერთგარად შევარული სახით, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება მას მოუწოდებდა აზერბაიჯანელ ხანებს შორის დაპირისპირებაში ჩარევისაგან თავი შეეკავშინა; სამაგიეროდ, არ შეიმჩნევა ერეკლე II-ის მონაწილეობა ფათალი ხანის წინააღმდეგ შექმნილ მეორე კოალიციაში, რომელშიც წამყვან ძალებს დაღესტნელი მთავრები წარმოადგენდნენ. ასეთ ვითარებაში ქართველი მეფე სავარაუდოდ მიიჩნევდა, რომ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ქართლ-კახეთისადმი მტრულად განწყობილი დაღესტნელი ბელადების პოზიციების გაძლიერება, კიდევ უფრო სახიფათო შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სამეფოსათვის.

¹⁶ხუდათი XVII ს-ის ბოლოდან ყუბის ხანების რეზიდენციას წარმოადგენდა მას შემდეგ, რაც აქ ციხე-სიმაგრე ააგო ჰუსეინ-ხანმა (1780-1794 წწ.). 1748 წელს ფათალი ხანის მამამ, ჰუსეინ აღი ხანმა (1726-1758 წწ.) სახანოს დედაქალაქი ყუბაში გადაიტანა (Бакиханов 1991:154; 257, შენ. 12). ყუბის ხანის ძველი სადგომი ხუდათი XVIII საუკუნის 20-იან წლებში პეტრე I-ის ლაშქრობის მონაწილე გერბერის ცნობით, ომების შედეგად უკვე საფუძვლიანად დანგერულიყო (Гербнер 1958: 108).

დამოშებული წყაროები და ლიტერატურა

Абдулаев 1965 - Г. Б. Абдулаев, Азербайджан в XVIII веке и взаимоотношения его с Россией, Баку.

Абдулаев 1958 - Г. Б. Абдулаев, Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60-80-х гг. XVIII в., Баку.

Алкадари 1929 - Алкадари Гасан-Эфенди, Асари Дагестан (Исторические сведения о Дагестане), перевод и примечания Али Гас. Гасанова, Махачкала.

Бакиханов 1991 - Бакиханов Аббас-Кули-ага, Гюлистан-и Ирам, Редакция, комментарии, примечания и указатели акад. З. М. Буниятова, Баку.

Березин 1850 - И.Березин, Путешествие по Дагестану и Закавказью, ч. 2, Казань,.

Броневский 2004 - Новейшие известия о Кавказе, собранныя и пополненные Семеном Броневским, СПб, т. 1.

Валуев 1942 - П. Н. Валуев, Фатали-хан кубинский, Баку.

Гербер 1958 - Иоганн Густав Гербер, Записки о находящихся на западном берегу Каспийского моря, между Астраханью и рекою Кура народах и землях и об их состоянии в 1728 году, под ред. Косвена М., Хашаева Х., История, география и этнография Дагестана XVIII-XIX вв. Архивные материалы, Москва.

Цагарели 1891 - Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Томъ I, съ 1768 по 1774 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб.

Гаджиев 1967 - В. Г. Гаджиев (ред.), История Дагестана, т. I, Москва.

Левиатов 1948 - Левиатов В. Н., Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку.

Бутков 1869 - Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. П. Г. Буткова. ч. 1. СПб.

Бурнашев 1793 - Описаніе областей Адребижанскихъ въ Персіи и ихъ политического состоянія, Сдѣланное пребывающимъ при Его Высочествѣ Царѣ Карталинскомъ и Кахетинскомъ Ираклій Темуразовичѣ Полковникомъ и Кавалеромъ Бурнашевымъ въ Тифлісѣ въ 1786, Курск.

Гиничутлинский: Хайдарбек Гиничутлинский, Историко-биографические и исторические очерки, <http://www.fatiha.ru/knigi/istoria-umahan.html>

პამიდოვა 2014 - პამიდოვა შ., აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.

Davit Merkviladze
Political and Military Tension in the Khanates of Northern
Azerbaijan
at the Turn of the 1760s-1970's and Erekle II

In 1767, the Cuban Khan Fatali, with the help of the Sheki Khan Hussein, occupied Shemakha and the Shirvan (Shemakha) Khanate was divided between them. But later Fatali Khan violated the treaty and captured the whole Shirvan. As a respond to this aggression, Hussein Khan of Sheki, Ibrahim Khan of Karabakh and the overthrown Khan of Shirvan Agassiy united against him. According to Russian archival data, the king of Kartli and Kakheti, Erekle II, joined this coalition. Erekle (Heraclius) II sent a military detachment consisting of Kazakh-Borchaloian warriors to help the allies against the Cuban Khan.

In 1768, Erekle II rejected the offer of Fatali Khan, together with the Karabakh Khan to help him, to conquer the Sheki Khanate. In 1769, king Erekle declared military support to Hussein Khan in case Fatali Khan attacked the Sheki Khanate. This is indicated by Erekle II himself in his letter to Graf N. Panin of June 14, 1769. According to another Russian archival data, when Hussein Khan asked Erekle to help him, the king of Kartli and Kakheti offered Fatali Khan reconciliation with Sheki Khan, otherwise he threatened him with military intervention.

It is noteworthy that on May 28, 1770, the Russian consul in Salyani Bogolyubov advised the College of Foreign Affairs of Russia that king Erekle should be persuaded not to interfere in the confrontations of the Azerbaijani khanates.

The conquest of the neighboring khanates by Fatali Khan and its further strengthening was completely unacceptable to Erekle II. Therefore, the king of Kartli and Kakheti tried to give a negative tint to the strengthening of Fatali Khan in the eyes of the Russian government. During the Russian-Turkish war (1768-1774), Erekle II in his letter to the Russian Imperial Court emphasized that the Cuban Khan took possession of Shemakha under Ottoman sanction.

The expansionist plans of Fatali Khan against other Azerbaijani khanates of the South Caucasus were hindered by the military-political alliance of the Karabakh Khan Ibrahim with king Erekle. The Cuban khan was also very unhappy that king Erekle sought to subjugate the Azerbaijani khanates located south of the Kura River (Ganja, Erivan, Nakhchivan).

The goal of the allies, who united against Fatali Khan, was to restore the power of Agassiy Khan to Shamakhi and to expel Fatali Khan from Shirvan. It seems more convincing that for this purpose not one, but two coalition campaigns were organized. The participation of Erekle II should be expected during the first campaign, which was most likely to take place by the end of 1773.

In the next campaign against Fatali Khan, organized by the Khan of the Avars Muhammad Nutsal IV, and which was supposed to take place in the first half of 1774, the participation of Erekle II is not seen. This can be explained by the old feud between the Georgian king and the Avarian khan. The possible establishment of political influence by the khan of the Avars on Shirvan should have been perceived by Erekle II as no less dangerous event for him.

Finally Fatali Khan won the battles at Shemakhi. Khan of the Avars, who had been invited in the camp of Fatali for negotiations, was killed. After that, most of the Dagestanian leaders united at the head of the Ustmi of Kaytak Amir-Hamza against Fatali Khan.

The mention of Erekle II, along with the Sheki and Karabakh khans, as members of the aforementioned alliance together with the Dagestani leaders, does not seem convincing. Strengthening the position of the Dagestani princes (who caused much trouble to the eastern Georgian kingdom with their raids) in the north of Azerbaijan, seems no less unacceptable to the king of Kartli and Kakheti.

ინგა ლუტიძე

გეორგიევსკის ტრაქტატი და ენის საკითხი

1783 წლის 24 ივნისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი.

გეორგიევსკის ტრაქტატი, ხელშეკრულება რუსთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, საქართველოს ისტორიაში დიდი მნიშვნელობის მძიმე და მტკიცნეული დოკუმენტია, რომელიც მუდამ დარჩება მკვლევართა ყურადღებისა და განხსჯის საგნად.

გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლის ისტორია დაკავშირებულია პ. ბუტკოვის (1869), ალ. ცაგარელის (1898, 1901), ივ. ჯავახიშვილის (1919), დ. ენუქიძის (1949), ი. ცინცაძის (1960), ი. დოლიძის (1965), გ. პაიჭაძის (1980), ზ. ცქიტიშვილის (1982), ვ. მაჭარაძის (1988), ვ. გურულის (2013) სახელებთან.

გეორგიევსკის ტრაქტატის დედნები ორივე მხარეთა ენაზე დაიწერა და ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო, ამიტომ მათ ახლდა „თარგმანი“ მეორე ენაზე (ქართულ და-დანს – რუსული „თარგმანი“, ხოლო რუსულს – ქართული).

გეორგიევსკის ტრაქტატი საყურადღებოა არა მხოლოდ საქართველოს ბედის სანგრძლივად გადაწყვეტის, არამედ რუსულ-ქართული ურთიერთობის, ქართული დიპლომატიის ენისა და ენობრივი საკითხების თვალსაზრისითაც.

ტრაქტატის ქართული პროექტი, რომელიც 1783 წლის მაისში საქართველოში პოდოლკოვნიუმა ტამარამ ჩამოიტანა, ჩვენი ვარაუდით, პუტერბურგში შესრულებული რუსული პროექტის თარგმანი იყო. ჩვენივე ვარაუდით, მთარგმნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვის ქართულ კოლონიაში აღზრდილი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და 60-80-იან წლებში დოკუმენტების ცნობილი მთარგმნელი, აკადემიის სტამბაში 1783 წლის ბოლოსა და 1785 წლის და-

ხაწყისში დაბეჭდილი ქართული ტექსტის რედაქტორი თავა-
დი ანტონ მოურავიოვი (თარხან-მოურავი) (АБПРБФ. Трактаты,
оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47; მაჭარაძე, 1983:29).

ხელშეკრულების ქართულ ტექსტს რედაქცია რამდენ-
ჯერმე გაუკეთდა, თუმცა ტექსტი ძალიან მძიმე და ხელოვ-
ნურია, რადგან ტექსტის ერთ-ერთი რედაქტორი ანტონ კათა-
ლიკოსია, რომელმაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქარ-
თულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა.

ხელშეკრულების ქართულ ტექსტს თბილისში 1783
წლის მაის-ივნისში რედაქცია გაუკეთეს ერებლე II-მ, ანტონ
კათალიკოსმა და მისმა მოწაფემ, თელავის სემინარიის რექ-
ტორმა გაიოზ არქიმანდრიტმა. მათვე გაუკეთებიათ შენიშვ-
ნები რუსულ ტექსტზე (ЦГВИА, ფ. 52, იუ. 194, დ. 286, ყ. 1,
ლл. 117-118).

გეორგიევსკი 1783 წლის 19-23 ივლისს ხელშეკრულე-
ბის დედნის ქართულ ტექსტს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს
გაიოზ არქიმანდრიტმა და მოსკოვის კოლონიის აღმზრდე-
ლებმა, პორუჩიკებმა ჩოლოფაშვილმა და სევარსამიძემ (იქვე,
164-176), ხოლო საქართველოს მხრივ სარატიფიკაციო სიგე-
ლის საბოლოო რედაქცია (1783 წლის აგვისტო – 1784 წლის
იანვარი) გეუთვნის ერებლე II-ს, ანტონ კათალიკოსა და გა-
იოზ არქიმანდრიტს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი II, სა-
ქმე № 2073-ა, № 2073-ბ). ასევე ტექსტთან დაკავშირებული
ჩანს ს. ლეონიძე (გაზ. “კომუნისტი”, 1981 წლის 27 სექტე-
მბერი).

ამრიგად, ხელშეკრულების ქართულ ტექსტთან ერთდ-
როულად დაკავშირებული აღმოჩნდა სამი სკოლა: მოსკოვის
ქართული კოლონიის, თბილისისა და ანტონ კათალიკოსისა,
რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ხა-
მწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. თუმცა ისიც უნდა
ითქვას, რომ სამივე სკოლამ განიცადა რუსულის გავლენა,
როგორც ეს დაბეჭდილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს
(გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983:29).

როგორც დოკუმენტების შესწავლიდან ჩანს, გეორგიევ-
სკის ხელშეკრულება დიდი ხანი მზადდებოდა და შედგება

მთელი რიგი დოკუმენტებისგან, რომლებიც ტრაქტატის განუყოფელი ნაწილია:

- 1771 წ. დეკემბრის 30. – ერეპლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისათვის გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას;

- 1772 წლის იანვრის 6. – ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა რუსეთის იმპერატორს: თუ ქვეყანა მფარველობაში იქნება მიღებული, როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ მათ თურქეთთან და სპარსეთთან ბრძოლაში, რუსეთის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლების აღიარებაზე ხელს არ აიღებენ;

- საკუთრივ 1783 წ. ივლისის 24. – გეორგიესკის ტრაქტატის (ხელშეკრულების) დედანი;

- 1784 წ. – გეორგიესკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი (რატიფიცირებული ტექსტი) საქართველოს მხრივ.

გეორგიესკის ტრაქტატოან ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა ფიცის ნიმუში (სახე), რომელიც ერკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. ასევე აქვე უნდა აღინიშნოს 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად.

გეორგიესკის ტრაქტატს 1983 წელს ფართოდ აღუნიშნეს ორასი წლის იუბილე, გამოიცა დოკუმენტები, ფოტოპირები, გამოკვლევა, მაგრამ ენის თვალსაზრისით დოკუმენტი კვლავაც შეუსწავლელია. კ. დანელია ყურადღებას მხოლოდ ორთოგრაფიულ ფორმებსა და პუნქტუაციაზე ამახვილებს (დანელია 1983: 94-96).

ამჯერად გვსურს ყურადღება შევაჩეროთ 1771 წ. დეკემბრის 30. – ერეპლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტზე, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა.

ამ დოკუმენტში მეფე ერეკლე პპირდება ეპატერინე მეორეს საუკუნო მორჩილებას და ითხოვს ოთხი ათასი კაცისგან შემდგარ ჯარს, წართმეული ქვეყნების დაბრუნებას,

ოსმალთაგან წართმეული ადგილების დაბრუნებასა და სხვა-
დასხვა ხარჯის გადებას.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში საგანგებო ადგილი უჭი-
რავს ახალციხის ქვეყანას, რომელიც სამცხე-საათაბაგოს სა-
ხელითაა სახელდებული 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების
სიგელში, რომელიც ერეკლე მეორემ ითანე ბაგრატიონსა და
გარსევან ჭავჭავაძეს გადასცა რუსეთთან ხელშეკრულების
დასადებად.

მეფე ერეკლე ეპატერინე მეორეს კვედრება, რომ ამავე
გაზაფხულს დაუპყრობელი არ დატოვონ „ქვეყანა ახალცი-
ხისა“ და თუ რუსეთის ხელმწიფე და სულთანი შერიგდებიან,
იმ შემთხვევაშიც ის რუსეთის საზღვრებსა და ყურადღების
მიღმა არ დარჩეს სამი გარემოების გამო:

1. ახალციხის ქვეყანა საქართველო;
2. აქ მცხოვრებთა ენა ქართულია;
3. აქ ბევრი ქრისტიანია და ვინც მაჰმადიანია, რჯული
ახალი შეცვლილი აქვთ.

კულად კედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყა-
ლებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტერნ დაუპყრობე-
ლად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვე-
ნის დიდებულებისა სულთანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს
ქვეყანა ახალციხისა, კინადგან საქართველოს მიწა არის და
ქართული ენა აქესთ და მრავალნი ქრისტეგანენი არიან იმათ-
ში, და სხუანიცა ახალი გარდაქვეული არიან მაჰმადიანო-
ბა ზედ (გეორგიევსის ტრაქტატი 1983: 60).

ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია, რომ წართმე-
ული ქვეყნები ბევრია და როდესაც მათ საერთო მტერს წა-
ართმევენ, რაც ჯარის შესანახად ფული დაიხარჯება, იმას
ამ დაბრუნებული ქვეყნებიდან პელავ უპან დაუბრუნებენ.
ხელშეკრულების პროექტში მხოლოდ ორი ქვეყანაა დასა-
ხელებული: კახეთი და ახალციხე. ენის საკითხი მხოლოდ
ახალციხის ქვეყანასთანაა აღნიშნული. ახალციხის ქვეყანა-
ში კი სამცხე-საათაბაგო და მთლიანად საქართველოს სამხ-
რეთ-დასავლეთი ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რასაც
ადასტურებს 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელი, მი-
ცემული ერეკლე მეორის მიურ ითანე ბაგრატიონისა და

გარსევან ჭავჭავაძისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად, სადაც ერეპლე II მოხსენიებულია როგორც მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი: “მივართვთ უძღვაბლები თხოვად ჩუცნ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და კახეთისამან, მემკვდრემან მთავარმან სამცხე-საათაბაგოსამან...” (გეორგიესკის ტრაქტატი 1983: 65).

ამრიგად, დოკუმენტში ენის საკითხი დასმულია მხოლოდ ახალციხის ქვეყანასთან დაკავშირებით და ხაზგასმულია მისი განუყოფლობა საქართველოსგან ქართული ენის საფუძველზე.

1. რატომ დაისვა ენის საკითხი მხოლოდ ახალციხის ქვეყანასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ქართლიც და კახეთიც ამ პერიოდში უმძიმეს ვითარებაში იყო ირანის, ოსმალეთის პოლიტიკისა და ლეკოთ თარეშის გამო?

2. გვაქს თუ არა იგივე საკითხი 1783 წლის 24 ივნისის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელშეკრულების დედანში და 1784 წლის 24 იანვრის სარატიფიკაციო სიგელში საქართველოს მხრივ (რატიფიცირებულ ტექსტში)?

XVI საუკუნის ბოლოს სამცხე-საათაბაგო თურქებმა დაიიყრეს და 1625 წელს მან, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. “მიწათმფლობელობის ქართული წესი ოსმალერი წესით შეიცვალა. მიწის დორებით მფლობელად სამხედრო ვალდებული გამოცხადდა. სამხედრო ვალდებული კი მაპმადიანი უნდა ყოფილიყო. ამან დააჩქარა სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) ისლამიზაცია. ნელ-ნელა ჯერ ფეოდალები გამაპმადიანდნენ, შემდეგ – გლეხები. გლეხების გამაპმადიანებამ ინტენსიური ხასიათი XVIII საუკუნის შუა ხანებიდან მიიღო” (თოფჩიშვილი 2017: 312).

ვასუშტი ბატონიშვილი სამცხისა და სამცხელების აღწერისას მიუთითებს: “კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჯნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ჰელოვნების მოყუარენი, არმედ აწ, მაპმადიანობის გამო, არდარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტეს ჩ'ქავ, ქართულისა ტ'იდ-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა

თანა და სამწესონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარი და წარჩინებული ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთობის მეგობრობათა შინა იტყვან ქართულსავე. სამოსლით მოსილი არიან წარჩინებული და მოპმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიუთნიმე მესხნიცა, ვითარცა ორიალელი და გულისჯმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი, არამედ გლეხნი კუალადცა მაპმადიანდებიან ჭირისათვს დიდისა” (ბატონიშვილი გახუშტი 1973: 660).

გამაპმადიანებული ქართველების ნაწილმა ქართული ენა დაივიწყა და მათი ურთიერთობის ენად თურქული იქცა. მათ გვერდით ქრისტიანი ქართველებიც იძულებული იყვნენ სცოდნოდათ თურქული ენა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ენის თვალსაზრისით, ის-ევე როგორც პოლიტიკური, ყველაზე სავალდალო მდგომარეობა სამცხე-საათბაგოსა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იყო, რის გამოც საჭირო გახდა ხელშეკრულების პროექტში ამის საგანგებოდ ჩაწერა და მისი მოგვარება. არც ქართლში, სადაც ოსმალობა 1735 წლამდე გაგრძელდა და კახეთშიც, ირანის მუდმივი აგრესის ქვეშ, ენის თვალსაზრისით, ისეთი მძიმე ვითარება არ იყო, როგორც სამცხე-საათბაგოში.

“რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა, შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ერთად დაიძვრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის (აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის) ოსმალთა ბატონობისგან გასათავისუფლებლად (გურული 2011: 37). ამ კავშირით ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა, იმერეთის მეფე სოლომონ I იმერეთში ოსმალეთის გავლენას ან დაასრულებდა, ან შეასუსტებდა (გურული 2011: 38).

სწორედ ამ ფაქტორების გამო ერეპლე II დოკუმენტში ეკატერინე მეორეს იმის გადარჩენას ეკედრება, რაც მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სამ ღვთაებრივ საუნჯედ შერაცხა, რომლებსაც მთელმა ერმა უნდა უპატრონოს მომავლი-სათვის პასუხის გასაცემად: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: **მამული, ენა, სარწმუნოება.** თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამისაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საგუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილ ფორმულას მე-18 საუკუნეში ერეპლე II ასე აყალიბებს: **საქართველოს მიწა არის და ქართველი ენა აქვთ და მრავალი ქრისტიანები არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი მაკმადიანობა ზედ.**

გეორგიევსკის ტრაქტატში არ ასახულა ხელშეკრულების პროექტში გაწერილი ვედრება ერეპლე II-ისა ახალციხის, სამცხე-საათაბაგოსა და ზოგადად მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისა და ქართული ენის შესახებ. რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს ფიქრობდნენ დასადები ტრაქტატის თაობაზე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენის საკითხს იმ პერიოდში საგანგებოდ ჩაუდრმავდა ეკატერინე II და საიმპერატორო გარემოცვა. მათვის საკითხის პოლიტიკური ჭრილი იყო მთავარი, რის გამოც ხელშეკრულების პროექტის ეს ნაწილი ტრაქტატის დედანში ვერ აისახა.

ამ პოლიტიკური კავშირით ერეპლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა სამცხე-ჯავახეთი დაქბრუნებინა, მაგრამ „სამცხე-ჯავახეთის“ შენარჩუნებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძლებელი. სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში ერეპლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა ორი დიდი სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის დაინტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი“ (გურული 2013: 19).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1886 წლის საოჯახო სიები. ამ სიებით სამცხის ქართველ მაჰმადიანთა ოექვსმეტი სოფლის მოსახლეობის ენა კვლავ ქართული იყო, თუმცა ისინი ორენოვანნი არიან ამ სიებით და ქართულთან ერთად თურქულ ენაზეც ლაპარაკობდნენ. დანარჩენ ქართველ მაჰმადიანთა ენა უკვე თურქულია (Свод ...1893). ეს სრულიად ბუნებრივი შედეგია, თუ გავიხსენებთ, რა მოჟყვა რუსთა „დიდ“ შემოსვლას საქართველოში და რა ენობრივ პოლიტიკას ატარებდნენ ისინი საქართველოს ანექსის შემდეგ.

ყურადღებას იქცევს საქართველოს აღსანიშნავად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგლში, რომელიც ერეკლე II-მ ითანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეს გადასცა რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად. აქ საქართველოს აღმნიშვნელია ივერია, ქართლი და საქართველო „მბრძანებელისა და ჯელმწიფისა ივერთა ქუცყნისა, ქართლისა და საქართულოსა მუვეთა...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 65). აქ სამივე პოლიტონიმი თანაბარი მნიშვნელობისაა.

ერეკლე II ამავე დოკუმენტსა და ტრაქტატის დედანში მოიხსენიება როგორც მეფე ქართლისა და კახეთისა: „...ხევათა მემკვდრისა ჯელმწიფისა და მფლობელსა მიუართვო უძღაბლესი თხოვად ჩუმხ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და მეფემან ქახეთისამან სახელითა თვისითა...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 65). „...უგანათლებულებობა მისი, მეფე ქართლისა და ქახეთისა სახელითა თვისითა“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 68). თუმცა, ტრაქტატშივე ქართლის//ქართლელთა მნიშვნელობით დასტურდება ეთნონიმი ქართულთა: „...მეფეთა ზედა ქართულელთა და ქახეთისათა, უოვლად უმოწყალესობით იხება აღდგინება და დამტკიცებად მეტობრობითისა პირობისა...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ამდენად, დოკუმენტში, ერთი მხრივ, ქართლი გამოიყენება საქართველოს ფარდად და, მეორე მხრივ, ეთნონიმი ქართული აღნიშნავს ქართლელებს.

ყურადღებას იქცევს მიმღეობის წარმოება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის თანახმად, მპრეფიქსიანი მიმღეობა მოქმედებითი გვარის მიმღეობადაა მიჩნეული, რომელიც დროის გაგებისგან დაცლილია (შანიძე 1973). ტრაქტატში მპრეფიქსიანი მიმღეობა ენაცვლება საპრეფიქსიან მიმღეობას და ამ შენაცვლებით ვიღებთ საინტერესო წარმოებას – **მჟირსი:** “დამტკიცებისათვეს ვითარდებ პრაქტიკისა უგანათლებულებებისა განსჯითა ესოდებ მჟირსისა შეკრთხებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათვეს უზენაებისა ჯელმწიფებისა ყოვლად-უუბრწყინუალებისა ამის იმპერიისა მფლობელთას...” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67); “...პირველად, ერთა მის სამეფოსათა შერაცხს ყოვად მჟირსითა კავშირითა სრულებით თანაკმად იმპერიისა თანა თქსითა” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69). თუმცა ტექსტში გვხვდება მიმღეობა საჭიროც: “რათა ადვლად აქ უნდესმცა ყოველივე იგი საჭირო მიწერ-მოწერად...” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69).

– ელ სუფიქსის ორმაგი გამოყენება: “ყოველნი იგი იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირულესობითა და სარგებლითა” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69-70). 1783 წლის 24 ივნისის გეორგიევსკის ტრაქტატის (ხელშეკრულების) დედანში საიდუმლო მუხლებს მოხდევს დამატებითი მუხლი, რომელიც საქართველოში მეფეთა უძველესი დროიდან კურთხევასა და მათ ინვენსტიტურას, სამეცნ რეგალიებს ეხება. ეს ნაწილი საქართველოს მხრივ რატიფიცირებულ ტექსტში არ გვაქვს. ეს ნაწილი საინტერესოა ინიანი ვნებითის წარმოების თვალსაზრისით: “კინაითვან მეფენი ქართლისანი და კახეთისანი ძუღლით დროთვან იგპრგონსნებიან სამეცნო- გპრგნითა და იცხებულებიან სამეცნოსა ზედა წმიდითა მირონითა...” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 72).

ვნებითი გვარის ფორმებში კპრეფიქსის ზმნისწინის წინ ხმარება: “...შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვლი ზედმიწევნილება, თუ რომელსა კითარიმე ეშესაბამების სამართალი” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 70).

ქართული ყალიბით წარმოდგენილი რუსიზმები: მოკამანდურე „ასტრახნის დუბერნიის მჯდომარებელისა მოკამანდურე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეისტვიტელნი კამერლერი...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ირაკლი თეიმურაზოვიჩი არის სახელდებული: „შავხრითა მით სიძლაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულებისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ-იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ტრაქტატის დედანში სოციალური წოდების აღმნიშვნელი თავადი საკმარისი არ აღმოჩნდა და აუცილებლად მიუწევიათ კნიაზის დამატება: „...ხოლო უგანათლებულებობამან ქართლისა და კახეთის მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა ჰყენა კერძოვთ თვისით ბრწყინვალენი სამჯდომოსა თვისისა მემარცხელენე სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კონსტანტინენევიჩი ბაგრატიონი...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 68).

ამის პარადელურად 1784 წლის 24 იანვრის გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელში (რატიფიცირებული ტექსტი) საქართველოს მხრივ შექმნილია სქესის აღმნიშვნელი ხელოვნური ფორმები, რაც უცხოა ქართულისთვის:

„...მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა..., მთავრინა ისტანდისა... ხელმწიფა და დიდი მთავრინა ხოვლოროდის...“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 81).

“გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმხანად საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, ტრაქტატის რატიფიკაცია და გამოქვეყნება) (გურული 2013: 53).

ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს ისტორიაში საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით მიღებული პირველი საერთაშორისო

დოკუმენტია, სადაც ქართული ენის მნიშვნელოვან როლზეა ყერადღება გამახვილებული.

დამოწმებული ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზემო და ჩვეულებანი საქართველოსანი. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973.

ბუტკოვი 1869 – Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа*. Часть. I-III. СПБ., 1869.

გაზეთი “კომუნისტი”, 1981 წლის 27 სექტემბერი.

გეორგიევსკის 1983 – გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბილისი, ხელოვნება, 1983.

გურული 2011 – გურული ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, უნივერსალი, 2011.

გურული 2013 – გურული ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.). თბილისი, უნივერსალი, 2013.

დანელია 1983 – რედაქტორისგან წიგნში გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბილისი, ხელოვნება, 1983.

თოფქიშვილი 2017 – თოფქიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-კონკრეტული მხარეები. თბილისი, საჩინო, 2017.

მაჭარაძე 1988 – მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I. თბ., ხელოვნება, 1988.

პაიჭაძე 1980 – პაიჭაძე გ., გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. თბილისი, მეცნიერება, 1980.

საერთაშორისო 1949 – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები, 1949 – შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა და სტამბა, 1949.

ქსძ 1965 – ქართული სამართლის ძეგლები 1965 – ტომი II. ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და საძიებელი დაურთონი. დოკუმენტი, თბილისი, მეცნიერება, 1965.

შანიძე 1973 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის ხაფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973.

ცინცაძე 1960 – ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., საბჭოთა საქართველო, 1960.

ცქიტიშვილი 1982 – ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის თბილისი, მეცნიერება, 1982.

ჯავახიშვილი 1919 – ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს მთრის მე-XVIII საუკუნეში. თვილისი, სახელმწიფო სტამბა, 1919.

Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Подредакцией А. А. Цагарели. Том II, выпуск I. СПБ., 1898.

АБПР ბֆ. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47. **ЦГВИА**, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. 1, лл. 117-118.

Свод 1893 – Свод статистических данных о населении Закавказского Края извлеченных из посемейных списков, Тифлис, 1893.

Inga Ghutidze The Treaty of Georgievsk and the Issue of the Language

On July 24, 1783 the Treaty of Georgievsk was signed between the Kartl-Kakheti Kingdom (Georgia) and the Russian Empire in the Russian fortress of the North Caucasus - Georgievsk.

The Treaty of Georgievsk consists of a number of documents, among them of the *Draft of the Agreement* (December 30, 1771), in which Kartl-Kakheti Kingdom asked to enter into Russia's patronage.

In this document King Erekle II promises Ekaterine II eternal subordination and pleads with her not to leave "Akhalsikhe Country" outside of Russia's borders and attention due to three circumstances:

1. *Akhalsikhe Country* is Georgia;
2. The language of the inhabitants is Georgian;

3. There are many Christians here and those, who are Muslims, have changed confession recently.

The paper aims to provide description and analysis of the meaning of *Akhalsikhe Country*, the issue of language relation only to the *Akhalsikhe Country*, what was going on in South-West Georgia from 16th century and whether the same question can be confirmed in the origin of the Treaty of Georgievsk on 24, July 1783 as well as in the text, ratified by Georgia on January 24, 1784.

By the end of the 16th century south-west Georgia was conquered by Turks. Some of the Georgians, converted to Islam, have forgotten the Georgian language and Turkish has become the language of the relationships. Christian Georgians were also forced to learn Turkish.

In the history of Georgia and Caucasus in general the Treaty of Georgievsk is the first international document, where the importance of the Georgian language and its integrity from territory are emphasized.

Key-words:*Georgia, Akhaltsikhe country, The Treaty of Georgievsk, language, territory, inhabitants, the first international document*

ნათია ჯალაბაძე

მცოცავი ანექსია შიდა ქართლში და მასთან დაკავშირებული პრობლემები

სტატია დაიწერა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის –“რუსეთის
მცოცავი ოკუპაციის ზონაში მოქვეყნი სოფლების
ეფფექტის” (FR-18-10229) ფარგლებში.

2004-2017 წლებში რუსეთში გამოიცა დიდ რუსული ენ-
ციკლოპედიის 35 (+1) ტომი. 2016 წლიდან არსებობს ენცი-
კლოპედიის ინტერნეტ-ვერსიაც (<https://bigenc.ru/>). ახალ გამო-
ცემაში სრულიად თავდაყირა დაყენებული თვითგამოცხა-
დებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ისტორია და სა-
ქართველოსთან მისი და ამ ტერიტორიის მიმართების სა-
კითხი. ნათქვამია, რომ მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება
რუსეთის ფედერაცია, ხოლო დასავლეთიდან, სამხრეთიდან
და აღმოსავლეთიდან – საქართველო; თუმცა, საქართვე-
ლოსთან მისი გეოგრაფიული „საზღვრები“ დაკონკრეტებუ-
ლი არ არის. ეს კი ის დღეგანდელი საოკუპაციო საზღვრე-
ბია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის მერე ე. წ. ცო-
ცავი ანექსიის გამოისობით პერმანენტულ ცვლილებას გა-
ნიცდის.

წინამდებარე სტატიაში საუბარი იქნება თვითგამოცხა-
დებული სამხრეთ ოსეთის ე. წ. საზღვართან დაკავშირებულ
იმ პრობლემებზე, რაც მოსახლეობას 2008 წლის მე-რე
დღემდე მიმდინარე მცოცავი ანექსიის შედეგად შეექმნა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, აგვისტოშივე, სა-
მხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მის მიერ
ოქუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა 103 სოფელი, რომე-
ლთაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დიდი

ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებსა და ახალგორის რაიონში¹⁷ აგვისტოს ომამდე აკონტროლებდა (ელბაქიძე 2017). 2010 წლის აპრილში ცხინვალში მიიღეს კანონი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ”, ხოლო სექტემბრის ბოლოს ოსური მხარე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრების დახმარებით „სახელმწიფო საზღვრის” დადგენას და მონიშვნას შეუდგა, დაიწყო ადმინისტრაციული საზღვრის „სახელმწიფო საზღვრად” გარდაქმნის პროცესი. შედეგად, საოკუპაციო ხაზმა კიდევ 32 სოფელი მოიცვა და მთლიანობაში ქართულმა მხარემ კონტროლი დაკარგა 135 დასახლებულ პუნქტზე.

ოფიციალური მონაცემებით, თსი სეპარატისტები, რუსეთის მხარდაჭერით, ე.წ. სადემარკაციო საქმიანობას ახდენენ სსრკ-ს გენერალური შტაბის მიერ 1988 წელს გამოცემული ტოპოგრაფიული რუკით, რომელიც ასახავს ადმინისტრაციულ საზღვარს 1984 წლის მდგომარეობით (IDFI 2015). ადგილობრივი მკვიდრი გადმოგვცემს: „როგორც იყო ძველი ოსეთის ავტონომია, კომენტისტური, ისე გაავლეს საზღვრები. მაშინ ვის აინტერესებდა საზღვარი! ... ახლა ჯიბიჯებით დადიან. რუსები ... ეგერი აკეთებენ, რა თქმა უნდა! ოსები ეხმარებიან, როგორც მუშა ხელი, ერთად დადიან; რუსები ოსებს მაინცდამაინც არ პკითხავენ არაფერს” (საველე მასალა, გორი 2019).

დადასტურებული მონაცემებით, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საერთო ფართობი ცხინვალის რეგიონში 3.8 ათას კმ²-ს, ხოლო ამ მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია, სოფ. ორჭოსანთან მთავარ მაგისტრალამდე დარჩენილია დაახლოებით 350 მეტრი და ე.წ. საზღვრის მიღმაა მოხვედრი-ლი ბაქოსუფსას მიღსადენის ნაწილი (ელბაქიძე 2017).

რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა, თავდაპირველად, ცხინვალის რეგიონის მიმდებარე გორის რაიონის ხუთი სოფლის – ქვემო და ზემო ნიქოზის, დიცის, ქორდის და არბოს ტერიტორიაზე საოკუპაციის ხაზი წინ გადმოსწიეს და

¹⁷ ე.წ. წინაგარის ზონის ოსური სოფლების გარდა

„საზღვრის“ მოსანიშნად ბეტონის ძელები განათავსეს (დღეს ეს მონაკვეთი მთლიანად რკინის დობით არის გამოჯნული). 2011 წლიდან ამ ე.წ. ბორდერიზაციის¹⁸ პროცესმა ინტენსიური სახე მიიღო. როგორც აღნიშნულია ერთ-ერთ პოლიტიკურ დოკუმენტში, ბორდერიზაცია ახალი ფენომენია, რომელიც გულისხმობს რუსული ოქუპაციის პირობებში თკაპირებული ტერიტორიების გაფართოებას (კაგაჩია 2017: 4). მართლაც, აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, საოკუპაციო საზღვარი არაერთხელ შეიცვალა და დღეის მდგრმარეობით, „თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ფიზიკური ბორდერიზაცია მოიცავს 60 კმ-ზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ უსაფრთხოების ღობებს, 20 კმ სიგრძეზე განთავსებულ სათვალთვალო ტექნიკას, 200-ზე მეტ ნიშანს წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი“, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზას და ოთხ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს“ (დამკვირვებელი 2018: 2).

საოკუპაციო ზოლი რიგი სოფლების ტერიტორიაზე მოხვდა, რამაც ისინი გაყო და მოსახლეობის ნაწილისთვის მიუწვდომელი გახადა მათი კერძო საკუთრება, ზოგან საცხოვრებელი სახლი, ზოგან ბაღ-ვენახი, სახნავ-სათესი სავარგულები, ტყე, საძოვარი, სასაფლაო, ეკლესიები და სალოცავები. მაგალითისათვის, 2017 წელს, საოკუპაციო საზღვართან მდებარე მხოლოდ ერთ სოფელ ჯარიაშენში „ბორდერიზაციის“ შედეგად 138-იდან 60-მა ოჯახმა, სულ მცირე, ერთი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაკარგა (Amnesty International 2019: 38). 2018 წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, ღობეებით გაიყო 34 სოფელი და ისინი თავიანთ სახნავ-სათეს მიწებს, საძოვრებს, სარწყავი წელის სათავეებს, ეკლესიებსა თუ სოფლის სასაფლაოებს მოსწყვიტა. სადემარკაციო ხაზის გამოისობით, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყეებზე, სხვადასხვა კრიტერიუმით, სულ 800-1000-მა ოჯახმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა წვდომა; ხოლო, საქართველოს

¹⁸ მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟი


ხელისუფლების ინფორმაციით, რასაც „ამნისტი ინთერნეიტენალი“¹⁹ აქვეყნებს, საოკუპაციო საზღვრის მიღმა ადმონიცდა 20 მოსახლის სახცოვრებელი სახლი (Amnesty International 2019: 38; 20).

ბორდერიზაციის დადასტურებული სტატისტიკა ასეთია: 2011 წ. გორის რაიონში დიდი და პატარა ხურვალეთი, ქვემო ნიქოზი; 2012 წ. – მეჯვრისხევი, ზარდიანთკარი; 2013 წ. – მერეთი, დიცი, ქსუისი, გუგუტიანთკარი, ციცაგიანთკარი, აძვი, ქვეში, ბერშუეთი, ჯარიაშენი, ქვემო ხვითი, ზემო ნიქოზი; ქარელის რაიონი – დვანი, თამარაშენი, ატოცი, ქოლევი, ავლევი, ცერონისი, კოდა, ლოდეთი, საკო რინოლო, თვაურები; კასპის რაიონში – დირბი; 2014 წ. – ქერე (გორის რაიონი), ატოცი (ქარელის რაიონი); 2015 წ. წითელუბანი, კვლავ ხურვალეთი და ჯარიაშენი (გორის რაიონი); 2016 წელს ავლევში გაგრძელდა ბორდერიზაციის პროცესი; 2015-2016 წლებში გაგრძელდა გამყოფი ზოლის ლობებით და ბანერებით მონიშვნა; 2017 წ. – ყარაფილა (კასპის რაიონი), კვლავ გაღმოიწია საზღვარმა წითელუბანში, ხურვალეთში, ბერშუეთში, კოლევში, ცერონისა და ავლევში; 2018 წ. ბორდერიზაცია გაგრძელდა ატოცში და ნიქოზთან 2019-2020 წწ. – გუგუტიანთკარი, ჩორჩანა (ხაშურის რაიონი), ტახტის დირბი (ქარელის რაიონი).

ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე²⁰ მითითებულია ის სოფლები, რომლებიც დაზარალდნენ ბორდერიზაციის შედეგად. რუკაზე ასახულია მდგომარეობა 2018 წლამდე, აქ არ არის მითითებული სოფ. ჩორჩანა, რომელთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 2019 წლის აგვისტოდან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. (<https://www.radiotavisupleba.ge/a/30157107.html>) და ტახტის დირბი.

¹⁹ საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო მოძრაობა მშვიდობისა და ადამიანთა უფლებების დაცვისთვის.

²⁰ რუკა ამოღებულია საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ნაშრომიდან ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შეკავშირის სტრატეგია, ქ. აბაზია, ლ. კახიშვილი, ჯ. ლარსენი, მ. გრიგალაშვილი, თბ., 1917.



2019 წლის შემოდგომამდე რუსეთის ხელისუფლებისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მიერ ნებადართული იყო სადემარკაციო ხაზის გადაკვეთა კონკრეტული საბუთებით (ე.წ. პროპუსკი) 4 სასაზღვრო გამშვებ ჰუნებრიში: მოსაბრუნვში (ე.წ. რაზდახანი), ერგნეოში, ქარზმანში და სინაგურში; თუმცა, პერიოდულად, სხვადასხვა საბაბით, საოკუპაციო ძალები ამ ჰუნებრებს კეტავდნენ. ანსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 2019 წლის აგვისტოდან, სოფ. ჩორჩანასთან დაკავშირებული მოვლენების შემდგომ. 2020 წლის მარტში COVID 19-ის პანდემიად გამოცხადების შემდეგ ეს ჰუნებრები საერთოდ ჩაიკეტა. მანამდე კი, მოსაბრუნიობისის გადასასვლელით საგებლობდნენ მხოლოდ ახალგორელები; პერევი-ქარზმანის და პერევი-სინაგურის გადასასვლელებით კი სარგებლობდა იმერეთის მხარეს მდებარე რამდენიმე სოფლის მოსახლეობა. ერგნეოთის გამშვები ჰუნებრით ძირითადად გადმოჰყავდათ ავადმყოფები თბილისში სამედიცინო დახმარების საჭიროებისთვის. ცხინვალის

რეგიონის სხვა რაიონების მოსახლეობასა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ამ გადასასვლელებით სარგებლობის და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთის უფლება საერთოდ არ აქვთ. რუსი ოფიცირები და დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ იმ ეთნიკურად ქართველებაც, რომლებიც 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე ცხინვალის რეგიონის სხვა რაიონებში ცხოვრობ- დანენ (Amnesty International 2019)

როგორც საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) პერიოდულ გამოცემაშია აღნიშნული, „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი ნაწილი ცენტრალური საქართველოს ყველაზე ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს კვეთს. ადამიანთა, ფერმების, პირუტყვის და მიწის ნაკვეთების ამ სიჭარებში ადმინისტრაციული საზღვარი ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს. იგი ხელს უშლის გადაადგილების თავისუფლებას; ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან დამუშავებას და მეგობრებსა და ოჯახებს აცალკევებს“ (დამკვირ- ვებელი 2017: 6).

სოფლის მეურნეობა, იყო და დღესაც არის შიდა ქართლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის სფერო და მისი შემოსავლის მთავარი წყარო. ბორდერიზაციამ კი გლეხები ხეხილის ბაღების და სახნავ-სათესი მინდვრების გარეშე დატოვა; ის ოჯახები, ვისაც საქონელი ჰყავდა, სამოვრების დაკარგვის შემდეგ იძულებული გახდა პირუტყვი მთლიანად ან მისი ნაწილი გაეყიდა. გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და შიშის გამო, მოსახლეობამ, უმთავრესად ახალგაზრდებმა, თანდათან სოფლის დატოვება დაიწყო. სოფლებში ძირითადად ხანში შესულები არიან. მოსახლეობა, ფაქტობრივად, სოციალური და სახელმწიფო დახმარების იმედადაა დარჩენილი.

ამნისტი ინფერნეიშენალის ინფორმაციით, იყო შემთხვევები, როცა მიწებზე წვდომის საკითხი არაფორმალური

შეთანხმებებით გვარდებოდა. მაგალითად, 2011 წელს, ცხონალის, რუსეთისა და ობილისის წარმომადგებლები შეთანხმდნენ, რომ სოფელ ქვეშის მკვიდრო აღმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა დარჩენილ მიწებზე წვდომა შეუნარჩუნდებოდათ. თუმცა, ეს გარიგება სამხრეთ ოსეთის-/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2017 წელს შეაჩერა. საქართველოს ხელისუფლებამ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დე ფაქტო მთავრობის და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ ადამიანთა სია შესთავაზა, ვისი სახავ-სათეხის მიწები და საძოვრებიც აღმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებამ შეთავაზებაზე უარი მიიღო (Amnesty International 2019: 38-39).

საკორინთლოები ინფორმანტის ცნობით: „ჩვენი ხოვლის გარკვეული მიწები მისაკუთრებული აქთ. მიწა სადაც გაიყო, ეს ხავარგულები სადაც არის, იქამდე კიდევ მომცდაათი მეტრი კერძო მივდივართ, ხაკმაოდ დიდი ტერიტორია გამოდის, რომელიც დასამშემავებელიც აქს ბეჭრს და კერც უახლოვდება“ (საველე მასალა, საკორინთლო 2019).

გლეხებისათვის სამეურნეო საქმიანობის (რასაც 2008 წლამდე საქმაოდ ინტენსიური სახე ჰქონდა) შეზღუდვამ აგრძარული პროდუქტებით ვაჭრობის შეზღუდვაც გამოიწვია. შემოსავლის ეს წყარო მათ ზემოხსენებული გამშვები პუნქტების ჩაკეტვამაც მოუსპო, რომელთა ფუნქციონირება 2008 წლის მერე მათ საკუთარი პროდუქციით ვაჭრობაში უწყობდა ხელს; გამშვები პუნქტების ჩაკეტვით მოსახლეობამ დაკარგა, როგორც ადგილობრივ ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობა, ისე საქონლის გასაღების პერსპექტივაც, რომ არაფერი ითქვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ენთუზიაზმზე.

ამდენად, გარდა იმისა, რომ სოფლის მოსახლეობას გამყოფი ხაზის იქით საკუთარ მიწაზე გადასვლა ეკრძალება, ის ვეღარ სარგებლობს იმ გამშვები პუნქტებითაც, რაც ხელს უწყობდა მათ კავშირებს და ეკონომიკურ საქმიანობას.


საყურადღებოა, რომ საკვლევ პერიოდში გახშირდა ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით მოსახლეობის დაკავების შემთხვევები. ვითარება პარადოქსულია: საქართველო არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, შესაბამისად, არც მის ე.წ. საზღვრებს, ამიტომ ამ ტერიტორიაზე „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ კონცეფცია აბსურდულია. რუსეთი აღიარებს სამხრეთ ოსეთს, როგორც სახელმწიფოს, გამოყოფს ამ ტერიტორიას საქართველოსგან, ოფიციალურად ადგენს საზღვრებს და ამ „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეებს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით აკავებს. მსგავსი დაკავებები თვითნებურია და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების დარღვევას წარმოადგენს (Amnesty International 2019: 31)

ქართული მიწების ანგელის საწყის ეტაპზე ე.წ. გამყოფ საზღვარზე მავოულხლართები და ამკრძალავი ნიშნები ხშირად ყველგან არ იყო დამონტაჟებული (და დღესაც ზოგან არ არის, განსაკუთრებით, ტყის მასივებში); ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ხვდებოდა, სად გადიოდა ეს მიჯნა და თავისი საყოფაცხოვრებო ინტერესებისათვის (ფიჩხის შეგროვება, კენკრის, ჯონჯოლის, წაბლის და სხვ. მოგროვება) და სამეურნეო სავარგულების დამუშავების მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობდა; გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობისთვის წარმოუდგენელიც კი იყო ტრადიციულად მათ ყოფაში გამჯდარი ჩვეული რიტმის შეცვლა. მათ ცნობიერებაში, ისინი საქმიანობდნენ იქ, სადაც ყოველთვის, და ამასთან, საკუთარ მიწაზე. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეები „დამხაშავებს“ იქერდნენ და ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყაველგან არის მოწყობილი ე.წ. უსაფრთხოების ღობეები, ადამიანთა დაკავება, რასაც, შეიძლება გატაცებაც ვუწოდოთ, კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს. ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა გამყოფი ხაზის გადალახვას სამეურნეო სავარგულების დამუშავების, ვაჭრობის, ნაოქსავების ნახვის, სამედიცინო და

სოციალური დახმარების მიღების, ახლობლების საფლავების მონახულების ან რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრების მიზნით ცდილობს.

სოფ. საკორინთლოელი რესონდენტის ინფორმაციით:

„ძირითადად საზღვარზე ღობები იმ ადგილებშია გავლებული სადაც შეიძლება ადამიანი გადავიდეს; ტყებში და მხევაც ადგილებში არ არის. ამიტომ, ხშირად ყოფილა შემოხვევა, გზა აპნევიათ და შესულან ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იქ კი დაუჭერიათ. ჯარიმა მკონი რეასი ლარია. ეს ღობე მოიდან აღიარებათ 2 წლის შემდეგ-გააკეთებენ, დაახლოებით 2010 წელს, ეს პერიოდი – 2008-2010 წლის შეაღები, როდესაც ღობე არ იყო, თავისუფლად გადავდიოდით და გადმოვდიოდით. ვისაც ნათესავები „საზღვარს“ მიღმა სოფლებში დარჩა, დღესაც მაღლულად კონტაქტობენ – გადაიარებიან-გადმოიარებიან ხოლმე. ადრე შეზღუდვა არ იყო. რაც ეს ღობეა, უპვე მკაცრად შეგვეზღუდა გადაადგილება. ადგილობრივებს არ მოგვწონს ეს ღობე, ზოგი კი, თვლის რომ კარგია, რადგან იციან სად გადის „საზღვარი“ და მშვიდად არიან. რომ ისე აღარ იტაცებენ ხალხს, როგორც ადრე მაგრამ, რომ კიციოთ რომ „საზღვარია“ და საშიშია, მაინც ვერიდებით და არ მიუდივარო ახლოს... რუსმა შეიძლება ის ღობე გახსნას, შენს ტერიტორიაზე შემოვიდეს და გადაგიყვანოს, ანუ იგივე მოგიტაცოს, რასაც შვრებიან კი-დეც; კამერებიც აქვთ ყველგან. მანდ საზღვარზე სულ რუსები არიან, ოსები არა, ადგილობრივებთან, ხოფელთან მათ არანაირი კომუნიკაცია და კავშირი არ აქვთ“. (საგელე მასალა, საკორინთლო 2019)



ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით, ცხინვალის იზოლატორში გადაყვანილ „დამნაშავეებს“, თუ ვითარება არ გართულდება, ფულადი ჯარიმის გადახდის ფასად (რაც დღეს 800 ლარს უტოლდება) ათავისუფლებენ (საველ მასალა, ხაშურის რაიონი 2019). ე.წ. საზღვრის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში „კანონის დამრღვევთ“, ცხინვალის ციხეში სასჯელის მოხდა ემუქრება. ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის ოქტომბრამდე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაკავებულთა უმეტესობას გათავისუფლებისთვის ჯარიმის – 2000 რუბლის გადახდა უწევდა (დაახლოებით 30 დოლარი). მაგრამ 2018 წლის ოქტომბრიდან დეფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. ჯარიმის თანხა 2 000 რუბლიდან 5 000 რუბლამდე (200 ლარამდე) გაზიარდა, განმეორებით დაკავების შემთხვევაში ე.წ. ჯარიმის თანხა ორმაგდება. მესამედ დაკავებისას კი პირს უკვე რამდენიმეთვიანი პატიმრობა ემუქრება (აფციაური 2018) დღეს ჯარიმის რაოდენობა 800 ლარამდეა გაზრდილი.

ცხადია, ასეთი ჯარიმების ხარჯზე ცხინვალის ბიუჯეტი ივსება, თუმცა, სპეციალისტების აზრით, ეს დიდი

მოგება არაა, და ეს პოლიტიკა, სავარაუდოდ, დამკავებელთა საპრემიო ფონდის და მოქალაქეების დაკავების სტიმულის გაზრდისკენაა მიმართული. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტში საქართველოს მოქალაქეების მიერ გადახდილი ე.წ. ჯარიმის თანხა 2008-2018 წლებში მინიმუმ 82 840 ლარს შეადგენს (აფციაური 2018).

2018 წლის მონაცემებით, სადემარკაციო ხაზის გადაკეთის მიზეზით ადამიანთა უკანონოდ დაკავების გამო ყოველწლიურად ასობით საქართველოს მოქალაქე ზარალდება (Amnesty international 2019). სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, 2009-2019 წლებში, ე.წ. სახლვრის უკანონოდ გადაკეთის ბრალდებით, ცხინვალის რეგიონში სულ 1330 მოქალაქე დააკავეს (ჩიბჩიური 2020). დაკავებები გაგრძელდა 2020 წელსაც და არ შეწყვეტილა ის COVID 19-ის პანდემიად გამოცხადების შემდგომ პერიოდშიც; კერძოდ, ოქერევალში რუსმა სამხედროებმა სოფელ კირბალის ტყიდან გაიტაცეს 16 წლის მოზარდი, მარტში სოფელ ბერშუეთიდან შეა ხნის ქალბატონი, აძვიდან მაკაცი, აპრილში კი ცოლ-ქმარი ხურვალეთიდან.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნო ჩემთვის აქამდე უცნობი ერთი ფაქტის შესახებ, რაც სოფ. ყარაფილას მკიდრმა, ცხინვალის იზოლაციონში „საზღვრის უკანონოდ დარღვევის“ მიზეზით ნამყოფმა ეროვნებით ოსმა ქალბატონმა გააჟდერა. მან ჩემთან ინტერვიუში რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „გამსო“. როგორ შემდეგ გაირკავა, „გამსო“-ს ეძახიან ცხინვალელი ოსები იმ ოსებს, ვინც 1990-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს საქართველო არ დატოვა და აღგილზე დარჩა. ეს პერიოდი გამსახურდიას მმართველობის ხანაა, „გამსო“ კი გამსახურდიას ოსებს, ანუ მოდალაბე ტერიტორიაზე გულისხმობს. როგორც ქალბატონი ყვება, ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლაციონში ყოფნისას, იქაურ ოსებს დაუწყიათ მისოვის წამოძახება, „ოქვე გამსოებო, თქვენაო!“. უარყოფითი დატვირთვის მატარებელი „გამსო“, სალანდავ სიტყვად არის ქცეული (საველე მასალა, ყარაფილა 2019). ვფიქრობ, საინტერესო იქნება 1990-

იანი წლების ეთნოპოლიტიკური ვითარების პირმშოს – „გამსოს“ ცნების ფორმირების ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა.

როგორც დასტურდება, რუსი მესაზღვრები ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის საბაბით მოქალაქეებს გველაზე ხშირად გაზაფხულზე და შემოღვმაზე აკავებენ, რადგან ეს დრო სამეურნეო სამუშაოების პერიოდია და სოფლის მოსახლეობას ნაკვეთებში უწევს საქმიანობა, უსაფრთხოების ღობები კი ხშირად პირდაპირ მათ მიწაზე გადის. ინფორმაცია ცნობით, ზოგჯერ რუსეთის მესაზღვრები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან და მინდვრებსა და ტყეში მომუშავე გლეხებს ან საქონლის მწყემსებს იტაცებენ. ირკვევა, რომ დაკავების დროს, რუსი მესაზღვრები „დამნაშავებს“ ჯერ სასაზღვრო ზოლთან (ბანერთან, ღობესთან) ფოტოს უდებენ, იმის საბუთად, რომ მათ საზღვარი დაარღვიეს. ადამიანთა დაკავების მიზნით დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სამხედრო ძალების წარმომადგენელთა თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა დაადასტურა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამაც (<https://www.state.gov/reports/2016-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>). რუსული კანონმდებლობით ეს ქმედება დაკავებადაა შეფასებული, მაშინ როცა საერთაშორისო სამართლის და ქართული კანონმდებლობის მიხედვით ეს აქტი მოტაცებად ფორმულირდება.

ადამიანთა გატაცების საშიშროება მატულობს ასევე რელიგიური დღეობების პერიოდშიც, როდესაც სოფლის მცხოვრებნი საოცუპაციო ზოლის მიღმა დარჩენილ მამაპაპისეულ სალოცავში ამა თუ იმ დღესასწაულის აღსანიშნავად ცდილობენ გადასვლას. მაგალითად, 2019 წლის 17 აგვისტოს სოფლების – აძვის, მეჯვრისხევის და ახალუბნის სულ 8 მოსახლე გაიტაცეს, აქედან 7 ფერიცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით ეკლესიაში მიდიოდა (ბერაია 2017).

ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამა, სადაც აღნიშნულია საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეთა დაკავების სტატისტიკა 2009-2019 წლებში.

ჩემი რესპონდენტების ინფორმაციით, ცხინვალში გადაკვანის შემდეგ ხშირად დაპატიმრებულის ნათესავები იქაუროს ნათესავებს ან მეგობრებს მიმართავენ დახმარებისთვის და შედეგსაც აღწევენ ხოლმე. ვვარაუდობთ, რომ საზღვრის უკანონო გადაკვეთის მიზეზით დაკავებულთა რაოდგობა სინამდვილეში დაფიქსირებულზე უფრო მეტი უნდა იყოს, რადგანაც გახმაურებული შემთხვევების გარდა, არის ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილი, გაუხმაურებელი ფაქტები. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტები, სიფრთხილის გამო, თავს იკავებენ ზედმეტი ინფორმაციის გაცემისაგან.

საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულთაგან ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ცხინვალში მათ ცუდად არ ეყრობოდნენ (უნდა ითქვას, რომ ამ შეხედულებისაა ჩემ რესპონდენტთა უმეტესობა); თუმცა, ნაწილი ხაზს უსვამს პატიმრობის პერიოდში ადამიანთა მიმართ სახტიკი მოპყრობის ფაქტებს. იგივე ვითარებას ადასტურებს მედია და სპეციალური ლიტერატურის მონაცემები, სადაც საუბარია დაკავების დროს ადამიანთა ცემაზე და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე; აღნიშნულია, რომ რუსეთის FSB-ს ბაზების სარდაფებში, სადაც დაკავებულები პირველად გადაჰყავთ, საქმაოდ მძიმე პირობებია. ამ ვითარებას აღიარებს საქართველოს ხელისუფლებაც; მათი ცნობით, დაკავებულების მიმართ ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების მიერ არასათანადო მოპყრობა ხშირია. არის შემთხვევები, როცა სახტიკად ნაცემი პატიმრები სამედიცინო ჩარევას საჭიროებენ (<https://www.osce.org/odihr/271471?download=true>). საქართველოს სახალხო დამცველი დაკავებულთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადასტურებს ცხინვალის რეგიონში მდებარე საპატიმრო დაწესებულებებში არსებულ მძიმე ვითარებას, რაც მდგომარეობს პატიმართა სიტყვიერ შეურაცხოფაში და

მათთვის სასმელი წყლისა და საჭმლის შეზღუდვაში (Amnesty international 2019: 34).

როგორც ირკვევა, ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურს კლასიფიცირებული აქვს „უპანონო კვეთის“ შემთხვევათა მიზეზები, რაც ასე გამოიყურება: 1. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზეზით; 2. ათესავების მონახულების მიზეზით; 3. ოკუპირებული რეგიონიდან თბილისში სამკურნალოდ წასვლის მცდელობა; 4. სხვა (მაგ, ტურისტები).

ფაქტობრივად, შიდა ქართლში ბორდერიზაციით დაზარალებულ სოფლებში საერთო სურათი ასეთია: გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა თავისუფლად ვერ გადაადგილდება, მათი გარკვეული ნაწილისათვის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე საქმიანობა, საძოვრები, სახმელი და სარწყავი წყალი ხელმისაწვდომი არაა, ისინი ვერ მიდიან სასაფლაოებზე და სალოცავებში, ოსების/რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილები ვერ იდებენ პირველად სამედიცინო დახმარებას და მშობლიურ ენაზე განათლებას, ვერ ხახულობენ ნათესავებს და ახლობლებს. გარდა იმისა, რომ რიგ შემთხვევებში ერთი სოციუმი (ზოგჯერ ერთი ოჯახიც) ორად გაიხლოჩა, ადამიანები მოსწყდნენ მიწას, როგორც მეურნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყაროს; ხშირად შეზღუდული აქვთ ზამთრისობის შეშის დამზადების და სასოფლო სამეურნეო პროდუქციით გაჭრობის შესაძლებლობა. შექმნილმა ვითარებამ მიგრაციის სტიმული მისცა ბორდერიზაციით დაზარალებულ სოფლის მოსახლეობას (ძირითადად ახალგაზრდობას) რაც, სავარაუდოდ, უახლოეს დროში საზღვრისპირა დასახლებების დეპოპულაციას გამოიწვევს.

სამხრეთ ოსეთთან მიმდებარე ქართული სოფლების, ერთი მხრივ, მთლიანი და, მეორე მხრივ, ნაწილობრივი ანექსიის შედეგად მოიშალა ტრადიციული სამეურნეო ინფრასტრუქტურა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური და სოციალური კავშირები, დაირღვა და პერმანენტულად ირდევება გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პირადი ხელშეუხებლობის, პიროვ-

ნების თავისუფლებისა და თავისუფალი გადაადგილების უფლებები.

დამოწმებული ლიტერატურა

აფციაური 2018 – აფციაური გ. დე-ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტი გამყოფი ხაზის გადაკვეთის გამო დაკისრებულ ჯარიმის ოდენობას ზრდის, ნოემბერი 2, 2018. <https://www.radiotavisupleba.ge>

აფციაური 2018ა – აფციაური გ, ცხინვალის იზოლატორი-დან გაძირებული გათავისუფლება,, ოქტომბერი 25, 2018. <https://www.radiotavisupleba.ge>

ბერაია 2017 – ბერაია ქ. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახური სექტემბერში ე.წ. საზღვრის „უბანონო კეთის“ მონაცემებს აქცენტებს. 2017, 10-21. <http://old.1tv.ge/ge/news/view/184757.html>

დამკვირვებელი 2017 – დამკვირვებელი, საქართველოში ეპროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, №4 • აპრილი 2017

დამკვირვებელი 2018 – დამკვირვებელი, საქართველოში ეპროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, №7 • ოქტომბერი 2018

ელბაქიძე 2017 – ელბაქიძე ე. რუსული მცოცავი ოქუპაცია ციფრებში, 08/2017 <https://factcheck.ge/ka/story/30489-rusulimtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi>.

კაკაჩია 2017 – კაკაჩია კ., კახიშვილი ლ., ლარსენი ჭ., გრიგალაშვილი მ. ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შექავების სტრატეგია, თბილისი 2017

საქართველოს 2015 – საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოქუპაციის შემდეგ, IDFI, 2015 <https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation>

ჩიბჩიური 2020 – ჩიბჩიური ნ. საქართველოში საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 500 კმ-ზე მეტია, მათ შორის, ხელოვნური ბარიერები 100 კმ-ს აღემატება, 3.02.2020 <https://factcheck.ge>

Amnesty International, 2019 - Amnesty International, За колючей проволокой 2019 https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/

Restriction of Freedom of Movement <https://www.osce.org/odihr/271471?download=true>

Большая российская энциклопедия <https://bigenc.ru/>
<https://www.radiotavisupleba.ge/a/30157107.html>

Natia Jalabadze

Creeping Annexation in Shida Kartli and the Related Problems

The article discusses the problems that arose after the Russian-Georgian August war of 2008, when the self-proclaimed South Ossetia began the “borderization” of Georgian lands in Shida Kartli. The installation of a new border infrastructure along the occupied territories has been launched since 2011 and the occupation border has changed repeatedly; physical ‘borderisation’ includes more than 60 km of security fences, 20 km of surveillance equipment, over 200 ‘Republic of South Ossetia border’ signs, 19 Russian border guard bases and four controlled crossing points.

In the villages affected by the process in Shida Kartli, Georgians and Ossetians living on both sides of the occupation line cannot move freely, some of them do not have access to agricultural lands, pastures, drinking and irrigation water, they cannot go to cemeteries and in shrines; those who remain in the territory controlled by Ossetians/Russians cannot receive education in their native language and first medical aid, they also cannot visit relatives and friends. In some cases, the members of a community (sometimes one family) divided into two parts, lost not only their lands as a vital source for the farmer, but they often cannot procure firewood for the winter and are deprived of agricultural trade. The current situation has given an impetus to migration to the rural population

(mainly young people) affected by borderization, which may soon lead to the depopulation of border settlements.

However, still, risking their lives and freedoms, people attend religious holidays outside the dividing line, visit the graves of their ancestors, etc. This situation causes detention of people by the Russian border guards for illegally crossing the “border”. The number of detained and abducted people is alarming. From 2008 to the end of 2019, 1,330 people were detained from villages on the adjacent demarcation line.

These processes violate the territorial integrity of Georgia, challenge the internationally recognized principles and sovereignty of the country and violate the human rights of the affected population.

ლავრენტი ჯანიაშვილი

ქართული სოფლის სამეურნეო და სოციოკულტურული ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი (სოფელი საკრაულა)

„ყველა დროს, ყველა ხელისუფლებას აქვს ეთი და ცუდი. ერთი მოხუცი კაცი ამბობდა, ბაბუაჩემი ნიკოლოზმა დეიჭირა, მამა კომუნისტებმა დეიჭირეს და მეო, საკაშვილი არ დამამადლის, დამიჭირავხო გამოდის, რომ მისთვის არც ერთი დრო არ ყოფილა ხეირიანი”. – საკრაულებლი გლეხი

მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფას და უფრო მკაფიოდ გამოვეთა აგრარული სექტორის სტრატეგიული როლი. ეპიდემიის ფონზე ქართული სოფელი სხვა მხრივაც მოექცა უურადღების ცენტრში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ქალაქის მოსახლეობამ მასობრივად მიაშურა რეგიონებს. სოფლად ბუნების წიაღში თავისუფლად ყოფნის ალტერნატივამ გარკვეულად ჩანაცვლა ქალაქური საცხოვრებელი გარემოს კომფორტისადმი მიჰაჯვეულობა. გამოითქვა მოსაზრებები, რომ სოფლებში საცხოვრებლად გადასვლის ტენდენცია შეიძლება შეუქცევადი გახდეს. ლ. ჩალათაშვილის აზრით, ქალაქად მცხოვრები შეძლებული ადამიანები „ინვესტორები“ გახდებიან, რომლებიც სოფლის მეურნეობასა თუ დისტანციურებად ინდუსტრიის მოახდენენ საკუთარი დანაზოგებისა და შესაძლებლობების დაბანდებას; მათ კი ბუნებრივად გაყვება, რეგიონებიდან ქალაქში ახლადჩასული, იქ გარკვეულად ფეხმოკიდებული დაბალანაზღაურებადი მოსახლეობის ნაწილი. თანამედროვე ტექნოლოგიები სულ უფრო შეამცირებს საწარმოების ფიზიკურ მოცულობებს, გეოგრაფიული თავისებურები (მეგაპოლისები) დაიშლება და განაწილდება ტერიტორიებზე, რომელიც ან სპეციალურად საწარმოებისთვის იქნება გამოყოფილი, ან გავა ქალაქიდან ისეთ მანძილებზე, რომ ლოჯისტიკა მარტივი

იყოს. ლოჯისტიკა იქნება ერთ-ერთი მთავარი ტექნოლოგიური ინდუსტრია, რომელიც მასშტაბურ ტრანსფორმაციას განიცდის და შესაბამისად, კიდევ უფრო გაამარტივებს დეურბანიზაციის პროცესს (ჩაღათაშვილი 2020). ხსენებული ვარაუდით, ბოლო ორასი წლის განმავლობაში მიმდინარე შიდა მიგრაციის ვაქტორი 180 გრადუსით შეიცვლება (ქალაქიდან სოფლის მიმართულებით), რაც სახელმწიფო სოციო-ეკონომიკური სივრცის მნიშვნელოვან ტრანსფორმირებას გამოიწვევს.

ზემოხსენებულთან მიმართებაში საინტერესოა ქართული სოფლის დემოგრაფიული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ყოფის მნიშვნელოვანი ეტაპების ქრონოლოგიურ ჭრილში კვლევა. კერძოდ, როგორ ტრანსფორმირდებოდა სტრუქტურის ეს ელემენტი ისტორიის საკვანძო ეტაპებზე. სამეურნეო-კულტურული თუ სოციალური ცვლილებები პირდაპირ კორელაციაშია პოლიტიკურ ტენდენციებთან და განსაკუთრებით ინგენიური გახდა XIX საუკუნიდან, პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობას, ერთი მხრივ, და ქვეყანაში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას – მეორე მხრივ. დემოგრაფები სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირებენ მიგრაციული პროცესების პერიოდიზაციას (სულაბერიძე 2018: 8-9).

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგ ჩატარებული ორი საყოველთაო აღწერის მონაცემები მკაფიოდ აზვენებს გარკვეულ ტენდენციებს. 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა 3 713 804 ადამიანია, რაც წინა, 2002 წლის აღწერის შედეგთან (4 371 535 კაცი) შედარებით 15 პროცენტით (657 731) ნაკლებია. 2014 წლის მონაცემებით საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა 2 122 623 ადამიანი, ხოლო სოფლად – 1 591 181. ამ მონაცემებით სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის კლება 23,7%-ია, ხოლო ქალაქის მოსახლეობის – 7,1%. წინა აღწერის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა დასახლებული პუნქტების სტრუქტურაც: ქალაქის

მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2%-ს გაუტოლდა. (აღწერა 2014)

2014 წელის აღწერით საქართველოში 3.633 სოფელია აღიცეული, იმ დროისათვის 223 სოფელი დაცარიელებული იყო, 157 სოფელში – ერთიდან ხუთამდე ადამიანი, 98-ში კი ხუთიდან ათ ადამიანამდე იყო დარჩენილი. ცხადია, იმ სოფლებში, სადაც 2014 წელს 10 კაცამდე მოსახლე დააფიქსირება, დღეს შეიძლება აღარავინ ცხოვრობდეს. შესაბამისად, ისეთი სოფლების რაოდენობა, რომლებიც მთლიანად გაუკაცრიელებულია, შესაძლოა, 400-საც კი აჭარბებდეს (მიგრაციები 2014). ამრიგად, თვალსაჩინოა სოფლების დეპოპულიზაციის პროცესი, რასაც თან ახლავს ცვლილებები ტრადიციული ყოფის და სამეურნეო კულტურის სფეროში, რაც უფრო მტკიცნეულად შეეხო ეკონომიკური ცენტრებიდან მოშორებულ და ერთიან საკომუნიკაციო სისტემაში ნაკლებად ინტეგრირებულ დასახლებულ პუნქტებს, განსაკუთრებით მაღალმთიან ზონაში.

წინამდებარე სტატია ეხება ბალდათის რაიონის სოფელ საკრაულას (ისტ. კიგანველეთი). იგი დაწერილია ძირითადად საველე-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელშიც გარკვეულად აისახება ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული პროცესები, რადგან საზოგადოდ მომხდარი მოვლენები მეტნაკლებად ეხებოდა ამ სოფელსაც. სისტემის ცალკეული ელემენტების შესწავლა კი განზოგადებების აგებისა და მთლიან სისტემაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა.

საკრაულას სათემო ცენტრი იმერეთის მხარის ბალდათის მუნიციპალიტეტში ბალდათიდან 21 კილომეტრში, მდ. საკარაულას ხეობაში (მდინარის მარჯვენა ნაპირზე) ზღვის დონიდან 480 მეტრზე მდებარეობს. ადგილობრივი საკრებულოს მონაცემებით, 2014 წლის იანვარში სოფელში 138 კომლია დაფიქსირებული, 385 მაცხოვრებლით, მოსახლეობის 25% ხანდაზმულია (70 წელზე მეტის), ხოლო 15 წლამდე ასაკის მოზარდები მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს შეადგენს.

მე-19 საუკუნიდან, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მოსახლეობის რაოდენობა ერთმნიშვნელოვნად მზარდი იყო. 1866 წლის კამერალური აღწერით საკრაულაში (მაშინ კიკნაველეთი) 66 კომლი ცხოვრობდა (სულ 551 სული, კომლი საშუალოდ 8,8 ადამიანისაგან შედგებოდა). 1926 წ. კიკნაველეთის თემში ხუთი სოფელი შედიოდა და 3564 ადამიანი ცხოვრობდა; 1930 წელს სოფელს უკვე საკრაულა ერქვა, საკრაულის სასოფლო საბჭოში შედიოდა 3 სოფელი (საკრაულა, წიფა, ნებიერეთი), სულ – 424 კომლი (1961 ადამიანი). აქედან საკრაულაში – 356 კომლი (1628 ადამიანი), წიფაში – 47 კომლი (223 ადამიანი), ნებიერეთში 21 კომლი (110 ადამიანი); 1940 წელს საკრაულაში – 388, ხოლო 1950 წ. 371 კომლია აღრიცხული (ორჯონიკიძე 2012: 17-108).

1840 წლისათვის კიკნაველეთში 17 გვარი სახლობდა (კიკნაველიძე, კელენჯერიძე, ბახტაძე (ამჟამად ბახტიძე), თაბუკაშვილი, კვერებაძე, ჭყონია, ჯაფარიძე, ჯოხაძე, ქურდაძე, კობახიძე, მანჯავიძე, არჩვაძე, ქლიბაძე, თურქაძე, ცენტერაძე). დღეისათვის კი იქ 42 გვარი ფიქსირდება, თუმცა ზოგიერთი გვარი (საყვარელიძე, აბაშიძე, ჯაფარიძე, დიასამიძე, მაჭავარიანი, ყიფიანი, ლიპარიშვილი, დუგლაძე, გიორგაძე და ა.შ.) თითო კომლითაა წარმოდგენილი, თანაც, 2005 წლისათვის 15 ოჯახი – მხოლოდ ერთი სულისაგან, 2 ოჯახი – 2 სულისაგან, ხოლო 6 ოჯახი – 3 სულისაგან შედგებოდა (ორჯონიკიძე 2012: 17-108).

ხალხურ მეხსიერებას ხოფ. კიკნაველეთის დაარსების ასეთი ისტორია შემოუნახავს: „ხოვდის სახელი ხარგაულიდან გადმოსული სამი ძმიდან, კიკნაძიდან მოდის. ისინი ველზე დამკვიდრებულან და აღილს კიკნაველეთი დაერქვა, შემდეგ კი გვარიც კიკნაველიძედ გადაუკეთებიათ. სამი კაცი რას იზამდა, ხოველს როვორ ააშენებდა?! მაგრამ ერთ ძმას დიმიდან მოტაცებული ჩხეიძის ქალი შეურთავს ცოლად, აქ საღაცა პატარა ველი უნახავს, დადაცუმნებულა. მას მოყვრებიდან ხალხი წამოუკვანია საცხოვრებლად. მერე ეს ჩხეიძის ხალხი თვითონ დატრიალებულა, სულ ნაკახით შემოუსაზღვრავს აღგიღები და დასახლებულა. მაშინ ისეთი დრო იყო, ხალხი ამგვარ აღგიღებს

აფარებდა თავს. ის კი არა, სოფელ ხანიდან თვით სოლომონ პირველი, რომელიც ბაბუას, ლევან აბაშიძეს, ქმაღაძელდა, საღორიათის გზით გადმოუყვანიათ და ერთი თვე კიქნაველეთში გაუტარებია. მე მახსოვს ერთი ძველებური სახლი, უზარმაზარი კოჭებით, ბავშვი ვიყავი, როცა მოხუცებულმა ქალმა თქვა, ეს სახლი იმდორონდებოდა, სოლომონ პირველმა თავად ასწია და დადო კოჭიო. მერე ლევან აბაშიძე, რომელიც შვილიშვილს დახდევდა, ჩამოსულა თაორებით და აქცერობა აუწიოკებია.

კიქნაველეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი კიგნაველიძე იყო. მათ ქვის ეკლესია XIX საუკუნეში ააგეს, ისე ხის ეკლესიაც პქონდა სოფელს. მღვაველი მემკვიდრეობით სულ კიქნაველიძე იყო. 1832 წლის შეთქმულების მოთავე, ფილადელფოს კიქნაძე აქაური კიკნაველიძე იყო. მან ძველი გვარი, კიქნაძე, დაიბრუნა და გელათში მოდგაწეობდა. ულათის მღვაველომსახურები რომ ამოწვიტეს, ის გადარჩა და ქართლში წავიდა, მერე კი კახეთში – შუამთის მონასტერში. როგორც ვთქვი, ეს გვარი კიქნაძეებიდან წამოვიდა. თანდათანობით სოფელში განხდნენ სხვა გვარებიც. იკნაველიძეები აზნაურები იყვნენ და უბრალო გვარისას არ დაისიდებდნენ, გლეხს ქალს არ გაატანდნენ. ამიტომ არის აქანა ორჯონიშვილები, საყვარელიძეები, მაჭავარიანები, აბაშიძეები და სხვა თავად-აზნაურული გვარები. ადრე კიკნაველიძის გვარი კიკნაძეებთან გოუტებელად ინახებოდა (გატენდ გვარს ეძახდნენ როდესაც ქორწინება გვარს შეინიო ნებადართული იყო). აქაური აბაშიძეებიდან ერთი სუფთა აბაშიძე იყო (დედ-მამა აბაშიძეები ყველა), ამგვარი ჩხეიძეებშიც არის, თუმცა გვარის გატეხვა რავარია. ახლა კიკნაძეებთან კიკნაველიძეებს უკვე აღარ აქვთ შეზღუდვა. თუმცა პირველი შემთხვევა რომ მოხდა, ორივე მხარე იღანძლებოდა“ (სანდაზმული მამაკაცი, გვარად კიკნაველიძე, სოფ. შაგრაულა).

საარქივო მონაცემებით დასტურდება, რომ კიკნაველების მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში უმეტესობას მართლაც აზნაურები წარმოადგენდნენ. 1864 წ. – 95 კომლი ცხოვრობდა (აქედან აზნაური 63, სასულიერო გლეხი 2, საბატონო გლეხი – 30. სულ 767 ადამიანი, კომლში

საშუალოდ – 8 სული); 1907 წ. – 229 კომლი (სასულიერო პირი 2, აზნაური 144, გლეხი 83. სულ 1455 ადამიანი, საშუალოდ კომლში 6,4 სული) (ორჯონიქიძე 2012: 39).

XX საუკუნის 50-იან წლებამდე თვალსაჩინოა კიკნაველეთის მოსახლეობის მზარდი დინამიკა. ცენტრალური აღგილებიდან მოშორებული მდებარეობა მტრის შემოსევებისაგან იცავდა, ნაყოფიერი საგარეულები, ხელმისაწვდომი ტყე, საძოვრები და ბარაქიანი ნიადაგი ამ სოფელს მიმზიდველს ხდიდა. იგი კარგ საცხოვრებლად ითვლებოდა. მიტომ შობადობის მაღალი მაჩვენებლის გარდა, სოფლის მოსახლეობა შემოსახლებულთა ხარჯზეც იზრდებოდა. ხალხი სხვადასხვა მიზეზით მოდიოდა აქ: ზოგი სოციალურ ფენებს შორის შედარებით ლოალურ ურთიერთობას ეხარებოდა; ზოგს უსაფრთხო გარემო იზიდავდა, რადგან საკვანძო დასახლებებს მოშორებული სოფელი მტრისაგან თავდასხმას იშვიათად განიცდიდა; ზოგი უამიანობისას აფარებდა თავს და ა.შ. მაგალითად, ჯაფარიძეების წინაპარი შავი ჭირის ეპიდემიის დროს რაჭიდან გადმოსახლებულა. „ჯაფარიძეები რაჭიდან ვართ, ონიდან. გადმოცემით ორი ძმა ჩამოსულა ხარაგაულში სტუმრად. შავი ჭირის პერიოდი უნდა ყოფილიყო, ათასშვიდასიანი წლები. ხარაგაულში, რომელიც სოფელში უქვიფიათ, მერე იმ ხარაგაულებს უთქვია, მეო, კიკნაველეთში წაგიფვანო. ხოდა წამოსულან აქეთ, აგერ კუპრაძეების უბანია, იქ ყოლია იმას ვიღაც ნათესავი კიკნაველიძე. აქანაც კარგი პური უჭამიათ, უქეიფიათ, როგაბრუნებულან აქედან, ბუდიანეთში შემოხვდათ თურმე გამოხიზნული ხალხი, დატვირთული ურმებით. უთქვამო, ხოველში შავი ჭირია მოდებული და გაბრუნდით. დაბრუნებულან უკან მასპინძლიან, შემხვედრიან, ჩვენი ხალხიანა და აქ ერთ აღვიდას გორაკია, სახადს ეძახიან, იქ ასელან. ჭირი ერთ ძმას შეხვედრია და, ჩვენი დამაწყვევარი, ქა წასულა იმ სოფლად. დარჩენილა ერთი ძმა, გოგია. გოგია ვედარც იმ ოჯახში დაბრუნებულა, არაფერი სივლახე მივიტანო და აღაც რაჭაში წასულა, იქ არაფერი უბედურება წევილო. მასპინძლებს, ვისთანაც ამ სოფელში სტუმრობდა, მოურაგვაგს პატარა ფაცხასავით, გამოუტანია უკლაფერი, საბანი, ლები და დაუხახლებია ამ პატარა

ფაცხაში. დელე ჩამოდის იქანა და ახეთი რწმენა იყო, რომ თითქოს შავი ჭირი დელეზე ვერ გადავიდოდა, ვერ გააბიჯებდა. გამოუტანდა ის ცხონებული მასპინძელი გაცრილ ვქვილს დელეგადმა და დატოვებდა. გავიდოდა ეს საცოდავი, აიღებდა, გამოაცხობდა ჭადს და შექამდა. არ იქნება, კი იქნება და როცხა-როცხა ეს კაცი შემობრუნდა, მიიხედა, მეიხედა, გოუჩნდა ალბათ, პატრონი ვინცხა აღგილობრივი და ქე ჩამოსახლებულია აქანა. გოგია რაჭელს ემახდნენ. ურჩევიათ მერე, გვარს რატო კარგავო. იძელებული გოუხდიათ, წახულა რაჭაში და დოუბრუნებია გვარი. გოუჩნდა ორი შვილი. ერთი წახულა იქით, რაჭაში, ბესარიონი დოურქმევია მიხოვის, მეორე აქანა დარჩა, თავის გარდაცვლილი მის სახლი დოურქმევია, გრიგოლი. ამ ერთი კაცის ნაშერი ვიყავით თერთმეტი მოსახლე სოფელში. ამ პატარა უბანში ვცხოვრობდით 8 კომლი.. მჭიდროდ ვიყავით დასახლებული“ (ხანდაზმული მამაკაცი, გვარად ჯაფარიძე).

რაჭიდან გადმოსულა, იმერეთის სოფელ მწყერისციხეში, გორდეზიანების წინაპარიც: „რა მოგახსენო, ვინ გამოჭცეული იყო, ვინ რა. როგორც იცი, მაშინ ახეთი წესი იყო, თუ ბატონს მოკლავდა ვინძე და სხვა ბატონთან გადაახწრებდა, შეიფარებდა, იქ შეეძლო დარჩენა. გორდეზიანები რაჭიდან კუთფილვართ წარმოშობით, ყაჩაღად კუთფილდა გავარდნილი დავით გორდეზიანი, დადგენებ თურმე სახიკვდილედ და გადურჩენია თავი“ (მოხუცი ქალი სოფ. შაკრაულა).

წინათ, მთიან სოფელებში ქალის გათხოვებასაც არ ერიდებოდნენ „...გოგოები სიამოვნებით თხოვდებოდნენ, მაღალ სოფლებში, რას დევდებოდნენ. ახლა კი აგერ ბაღდადიდან ერიგება ერთს ქალი და არ მოყვება, იქ ვერ გავთხოვდებით. თუ არ თხოვდება, ბოგში კი არ არის, თან განათხოვარია. მე ბოგში ვიყავი მეთვრამეტე წელიწადში, რო გავთხოვდი. იქანა, ჩეკნან დუგლაძეები არიან, ხათელმირონები ვიყავით და მაგ ზავნიდა ხოლმე დედა მოსახმარებლად, იმან გამამირჩია, ბოგში ვიყავი და წამომიყვანა...“ (მოხუცი ქალბატონი).

საკრაულა ტიპური იმერული სოფელია, რომელიც მცენარეთა სიმრავლის გამო ზემოდან ტყის ნაწილად ეწვენება ადამიანს. სწორედ ასეთად ახასიათებდა ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთს: „ოუალთა ქვეშე შუენიერება ეგოდება არა მჩენარობს ტყის გამო, ოუნიერ აღგილ-აღგილთა, რამეთუ უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრული-ადს იმერეთს ტყედ და არასადა შენობასა“ (ბატონიშვილი 1973: 743).



სოფელი საკრაულა

სოფლის უბნები შარებით (საურმო გზებით) უკავშირდებოდნენ მთავარ გზას. ეს უბნები გვარების (ბუნების) მიხედვით, ბუდე-ბუდე იყვნენ დაჯგუფებული. როგორც ჯ. რუხაძე აღნიშნავს იმერეთში (ხანში) მამა-პაპათა დაღგენილი წესით ცხოვრობდნენ, ყველა გვარს სამოსახლო ადგილის გარდა სახნავ-სათესი, სათიბი და ზოგჯერ საკუთარი

წისქვილიც პქონდა. ზოგჯერ ამ მონოგენურ უბნებში ჭური-სთავები და მარნებიც კი საერთო შეიძლებოდა ყოფილიყო (რუხაძე 1989: 32).

მდ. საკრაულას ხეობის გასწვრივ მდებარე კიკნა-ველეთი საქმაოდ დიდი სოფელი იყო. შედარებით მაღლა, სოფ. ჩალხევითის საზღვრიდან იწყებოდა ზედა უბანი, „ჩალ-ხევთან კიკნაველეთს სამდგრიდელე ყოფს. სამდგრიდე-ლედან უძახიან ზედა უბანს ან მაღალაურს. იქნაბ მოყო-ლებული ამ ჩვენ აღვილს უწოდებდნენ დაბლა უბანს. ისე შიგადაშიგ გვარების მიხდვითაც გამოყოფებ უბნებს, იქმო პაატაშვილების უბანი იყო, აქ ცხოვრობდა სამი ოჯახი საყვარელიდა და საყვარელიძეების – უბანი... სოფელში და-ლზე ბევრი გვარი იყო – აბაშიძე, კიკნაველიძე, კელეჯე-რიძე, ბახტიძე, არეშიძე და სხვა, უმრავლესობა – კიკნავე-ლიძე, ...იყო ახეთი აღვილი სკვინჩოულს ეძახდნენ, 6 მოსახლე ცხოვრობდა. აქეთ მხარეს არის ნაბუჯირი, იმ ნაბუჯირში, ნაგვალესვარსაც ეძახიან, ჩემ ბავშვობაში იყო შემორჩენილი ერთი მოსახლე, ამბობენ რომ აქ რაღაც ძევლი ნამოსახლარიაო, ჩაფისა და კეცის ნატეხებს პოუ-ლობდნენ. ეს ატანა რომ კოქი მე, ისიც დასახლებული ყოფილია. საყანე და სავენახე აღვილებს ვეძახდით შემდეგ სახელებს: წვერი, გრძელყანა, მაყვარიანი, ნამამულები, შებიქედი, დიდყანა, ატანა და ა.შ.“ (ხანდაზმული მამაკაცი, სოფ. საკრაულა)

საცხოვრებელი სახლების უმეტესობა ხისაგან იყო აგა-ბული. საკრაულას და სანისწყლის ხეობების მოსახლეობას, ხშირად სახლის მშენებელი ოსტატები რაჭიდან ჩამოჰყავდა. ზოგჯერ გვხვდება გ.წ. პალატიანი სახლები, სადაც პირველ სართულზე ქვით ნაშენი საცხოვრებელი „პალატი“ იყო, რომელზეც ჩვეულებრივ ფიცრული, ხის მეორე სართული იყო დაშენებული. საკრაულაში არის ე.წ. ძელური სახლე-ბიც, რომელიც კარგად გამოკუთხული წაბლის მორქებისა-გან იყო აგებული. ზოგჯერ საჭიროებიდან გამომდინარე, მარანზეც დაშენებდნენ ხოლმე ფიცრულ საცხოვრებელს.

„ჩემი მამათილი მეტყოდა ხოლმე, მარანი შეგვხვდა ოჯახის გაყოფის შედეგ და მასზე დავადგით სახლიო. დადიოდენ თურმე ტყეში, საზედაო ხერხით ამზადებდნენ

ფიცრებს და გააკეთო მაღლაო. მერე ბოვშებმა გადა-
აკეთებს ეს სახლი“ (ხანდაზმული ქალბატონი სოფ. საკრა-
ულიდან).



ძელური სახლის ფრაგმენტი სოფ. საკრაულა

ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთს ვაზით და ხილით მდი-
დარ მხარედ მიიჩნევს, სადაც ხელოვნურად გაშენებული
ხილის ბაღები არ პქონდათ. კარგად მოდიოდა მარცვლე-
ული კულტურები (ბატონიშვილი 1973: 743-744). ამ რეგიონს მეურნეობის სიმბიოზურობა ახასიათებდა, სადაც მე-
ვენახეობა-მეხილეობა შეთანაწყობილი იყო მარცვლეულის მეურნეობასთან (ძირითადად სიმინდი), სახორცე-სარძეო მე-
საქონლეობასთან, მეღორეობასთან და მეაბრეშუმეობასთან (ჯალაბაძე 1978: 8).

როგორც ითქვა, კიბნაველეოთი თავისი ნაყოფიერებითაც იზიდავდა ხალხს. „ადგილი მართლა ნოჭიერი და ნაყო-
ფიერი ადგილია აქ ტყე იყო, ახლა ქე გატყვევდა ისევე. ეს

რასაც ხედავ გაღმა ყანები იყო ძირითადად. კენახები დაბლა მდინარის პირას გვქონდა. 600-მდე ჰექტარი მიწა ითხებოდა, ძირითადად სიმინდი, მაგრამ ხორბალიც მოჰყავდათ. ხორბალს უფრო ახლო რილოებზე თეხდნენ. ერთ წელიწადს რო სიმინდი დეითებოდა, მეორე წელს ხორბალი ითხებოდა, თეხლბრუნვასავით ოყო“ (მოხუცი მამაკაცი, სოფ. საკრაულა)

XIX საუკუნის ბოლოს საგმაოდ კარგი შედეგი გამოიღო საქართველოში ჩამოყალიბებულმა კოოპერატივებმა, ეწ. ამხანაგობებმა. ამ ტიპის გაერთიანებათა საქმიანობა და ეფექტურობა კარგად შეამნია თ. სახოკიამ. 1890 წ. თბილისში დარსებულ წიგნების გამოცემის პირველ ამხანაგობას ბანი მისცა ყველაზე წინ ოზურგეთში. ოზურგეთში იმ სახებში დაარსდა „მეეტლეთა ამხანაგობა“, რომელმაც მგზავრებს მეტისმეტად გაუადვილა და გაუიაფა მისვლამოსვლა. ამხანაგობას იმუამად 250 წევრი ჰყავდა, შეძნილი ჰქონდა ოზურგეთში 2000 კვ. მ. მიწა, ააგო შენობები, გაიკეთა ეტლების ქარხანა, დაიქირავა ოსტატები, რომლებიც ადგილზე აკეთებდნენ ეტლებს, მარხილებს და სხვა... ეს მაგალითი სხვა სფეროებსაც გადაედო, კერძოდ, მეაბრეშუმეობას, რომელიც მანამდე ჩარჩების ხელში იყო. 1896 წ. დაარსდა ეწ. „შუამავალი“, ანუ სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიც ყველას შეეძლო ჩაწერა. პირველსავე წელს, „შუამავალმა“ აბრეშუმის ფასი 4-5 მანეთიდან 10 მანეთამდე აწია და უცხოელებიც იძულებული გახდნენ, ამ ფასად ეყიდათ პარკი... გლეხმაც მოიგო იმ წელიწადს და „შუამავალს“ 13000 მანეთი წმინდა მოვება დარჩა... ლანჩხუთში გაიხსნა აბრეშუმის ძაფის ამოსართავი სახელოსნო. მანქანები გამოიწერეს და ადგილობრივი ქალები დაასაქმეს. გაიხსნა სხვა ამხანაგობებიც მაგ. „შემნახველ-გამსესხებელი“, დაარსდა წიგნთსაცავი, საიდანაც ყველას შეეძლო უსასეყიდლოდ გასცნობოდა ლიტერატურას. გაიხსნა ცენტრალური წიგნის მადაზია, იმავე საამხანაგო წესით, სადაც თითოეული წევრი თითო თუმანს იხდიდა... წინ წაიწია განათლებისა და ხელოვნების საქმემ და ა.შ. (სახოკია 1950: 30-34)

ზემოხსენებულ ტენდენციას, როგორც ჩანს, კიგნაველების მოსახლეობამაც აუბა მხარი. სოფელში ააგეს აგურის ქარხანა. თიხასაც აქვე მოიპოვებდნენ და აგურს, მოგვიანებით კი კრამიტსაც ამზადებდნენ. ხარით ზელდნენ მიწას, ქურები ჰქონდათ, რომელშიც თიხის ნაწარმს გამოწვავდნენ ხოლმე. მოგვიანებით ბოლშევიკებმა სოფლებს ჩამოართვეს სამრეწველო ობიექტების ფლობის უფლება და ეს ქარხანა განადგურდა.

ჩვენი მთხოობლის გადმოცემით, სოფლის განვითარებისა და აქაურების საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობას უკავშირდება კიკნაველეთში მცხოვრები ყარამან კიკნაველიძის და მისი ძმების საქმიანობა. „მათ დიდი განათლება არ ჰქონიათ, სასულიერო სემინარია დაამთავრეს. ცხრა დედმამიშვილიდან ოთხი ძმა იყო, ოთხი საუკუთხო ვაჟაცი, კარგი მებრძოლები. პირველი სკოლა მათ სახლში იყო. მანამდე აյ სამრეწვლო სკოლა ჰქონიათ, კლებიასთან. მერე ესენი უცხოეთში, ირანში, წავიდნენ. ყარამანი ირანიდან რომ ჩამოვიდა, მაშინ უნივერსიტეტის მშენებლობა მიმდინარეობდა და პირველი 100 თუმანი მან შეწირა. კირიობ პატრიარქების მოკვლას უპირებდნენ და ყარამანს გადაურჩენია, კარგი ვაჟაცი იყო. ეს ძმები მოგვიანებით, ბოლშევიკების დროს, ამოწყვიტეს, ხოლო სოფლის ეკლესია კოლმურნეობის კანტორად გადააქციეს“: (მოხუცი მამაკაცი, სოფ, საკრაულა).

კომუნისტური წყობის დამყარებამ და კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამ ძირფესვიანად შეცვალა საკრაულას მოსახლეობის ყოფა, ადამიანის ტოტალური კონტროლი, ასაკისა და სქესის განურჩევლად მძიმე ფიზიკური შრომა, საოჯახო მეურნეობების დაკნინება თავისებურად აისახა სოფლის ცხოვრებაზეც. 1928 წელს ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დააყენა შუამდგომლობა სოფლის სახელწოდების ცვლილების შესახებ, რადგანაც ბოლშევიკურ გარემოში შეუფერებლად მიაჩნდათ აზნაურული სახელის საფუძველზე შექმნილი ტოპონიმის არსებობა: „ასეთი სახელწოდების დატოვება საბჭოთა ხელისუფლების დროს შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად პრეზიდიუმის A/წ 8 აგვისტოს

დადგენილებისა შეამდგომლობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, სახელწოდება „კიკნაველეთის თემი“ შეცვლილ იქნას „საკრაულას თემის“ სახელწოდებით, რომელის სახელობის მდინარეც ჩამოდის ამ თემში“ (არქივი, 1928).

წარჩინებული გვარის ადამიანებს ანადგურებდნენ სამართლებლივი თუ არასამართლებლივი მეთოდებით. ზემოსენებული ოთხი მმა კიკნაველიძე სწორედ ამგვარ ანგარიშსწორებას ემსხვერპლა: „აქანა ოთხი მმა ყოფილა კიკნაველიძე, სუკველას ჯობდნენ თურმე. აქ ჩვენს სახლთან ეიარეს, ორსული ქალი მიყავდათ ქუთაისში, ერთ ადგილას, რომელსაც წალდოუბებს უძახიან. იჯინენ თურმე შეყიდულები, ფული მიუცია კინცხას და მოაქლევია ესენი. ეს ორსული ქალიც მოკლეს თურმე და ეს მმებიც მოკლენ, ორი ყოფილი ცოლიანები და ორი უცოლო. ჩემი მამამთილი აბბობდა, შეკაზმულმა ცხენებმა ჩამოიარეს ხალხის გარეშე“ (მოხუცი ქალბატონი, სოფ. საკრაულა).

საკრაულას უახლესი ისტორია ადგილობრივთა შესიერებაში

ქვემოთ ვეცდები საველე მასალის მიხედვით წარმოგადგინო საბჭოთა პერიოდსა და დამოუკიდებლობის წლებში სოფელ საკრაულაში არსებული სიტუაცია. აბაზაცებით გამოყოფილია სხვადასხვა ადამიანის მიერ მოთხოვნილი ამბები:

საბჭოთა პერიოდი – კოლმეურნეობა და მსოფლიო ომი

კოლექტივი რომ შემოვიდა, წავიდა ძალიან უბედურება, ქალი, კაცი უველა მუშაობდა. აღრე ქალის მძიებე საქმეზე მუშაობა მიუღებულად მიაჩნდათ. გვამუშავებდნენ ქალსა თუ კაცს. ვინ ჩიოდა შენ ოჯახში რა საქმე გქონდა, არ გვაყენებდნენ სახლში, ოჯახს ხელი და პატრონობა უნდოდა, მაგას არავინ ჩიოდა. დამე მოვდიოდით ხოლმე სახლში, 12 უდევლი ხარი ყავდა ბრიგადას და ორ გზობა უნდა მოვვეტება სიმინდი (ე. 24 ურემი).

წესი პქონდათ, თავმჯდომარედ უნდა დევნიშნათ უდარიბები, ნამოჯამაგირევი ან ნაყმევი. სწორედ ასეთი ნახებ, ვინმე ჭუმბურიძე, წარმოშობით ზესტაფონიდან. იგი მოხამ-

სახურედ იდგა მაჭავარიანებთან, აგურის ქარხანაში. ეს ჭუმბურიძე 50-იან წლებამდე დარჩა თავმჯდომარედ, გაუნათლებელი, მაგრამ უნარიანი კაცი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, გაუნათლებელი კაცი ამდენ ხანს იყო თავმჯდომარედ და მოწინავე კოლექტივად ითვლებოდა. სწორედ ამ თავმჯდომარის ინიციატივით შეუცვალეს კიკნაველეთს სახელი და საქაულა უწოდეს, რაღაც მას, როგორც ყოფილ მსახურს, აზნაურებზე ბოლმა ჰქონდა.

ერის შეურაცხმყოფელს ხევსურმა გილათ კვირიკამ სათანადო პასუხიც გასცა: „გავარდ გილათ კვირიკაის თოფიცა-დფარაგის მამჭრელ ღილდველი გულს ნატყვიარ უსულოდ დაეც ქვიშაში“. აქე კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება – „ხევსურეთში ცოლი და ქმარი ერთ ლოგინში არ იძინებდნენ, როცა ერთად დაიძინებდნენ, ისე საიდუმლოდ, რომ ოჯახში არავის გაეგო“ (გვ. 186).

კავკასიელებთან ხევსურების ბრძოლასა და დაპირისპირებას დროდადრო ზაგი მოსდგენდა. ასე შერიგებულან ერთმანეთთან ღილდველი აპველები და არხოტელები. მაგრამ ეს დაზავება გარკვეული რიტუალის გარეშე არ ხდებოდა. „ერთ ჭარ დაკლეს შარიგების დროს. პირობა დადვეს, რო ჰველ სისხლივ რაიც იყვავ, ყველამ დავსთმათაო-დ ახალს ნუდარას ჩავაგდებოთავ“ (გვ. 220).

ლეკებთანაც არ ჰქონდათ ხევსურებს დაწყნარებული ურთიერთობა. მაგალითად, ისინი სოფელ კისტანს დასცემიან თავს. მაგრამ ხევსური ინფორმაცორი არა მალავს იმ ფაქტს, რომ „კისტნელს ვისამ ლეკეთში კაცებ დაუკოცავისა-დ ლეკებს იმით შეკირებივ კისტნის ჯავრი“. „ლეკებმ დიდხანს იცოდნეს ჭირის დახსონებაი, შვილ თუ არა, შვილიშვილ მაინც მაიგონებდა-დ იძებნიდ მამა-პაპათ ჭირს“ (გვ. 224). ისტნელებს ბრძოლაში მეზობელი სოფლის მკვიდრნიც ეხმარებოდნენ. მსხვერპლი ორივე მხრივ დიდი იყო. მაგრამ ალექსი ოჩიაურის მონათხოვის მოხმობა უფრო სხვა რამემ გადაგვაწვევინა. ხევსურებმა თავიანთი მკვდრები მიწას მიაბარეს, ნალაშქრალი სოფლის დამწვარ-დანგრეული სახლები ურთიერთდახმარებით აღადგინეს. მკვდარი ლეკები კი ერთ აღგილას მიიტანეს და „ფათვლიან ტყის ტოტებ დააყარეს“. ლეკები თავიანთი მკვდრების წასაღებად მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ გამოჩენილან. ლაშქრობის შედეგად დახოცილების გამოსასყიდად ლეკებს აუცილებლად საჭარი უნდა გადაეხადათ, საჭარში კი შედიოდა სპილენძი ან იარაღი. **ახოცილების** წასაღებად, სხვებთან ერთად, ბელადის დედაც იყო მოსული. დედამ, ჩვეულებრივ, ვაუი დაიტირა. ყველაზე სინტერესო ფინალი: „ამ დედისა-დ არც საჭარ გამაურთომა-დ აისრ გაუტანებავ თავის შეილი, სხვების ლეკებისად კი უსა-ჭაროდ არ ვინ დაუნებებავ“ (გვ. 228). ვფიქრობთ, ხევსურთა

ქმედება ამ შემთხვევაში ორმა ფაქტორმა განაპირობა: ბელადის გმირულმა, შემართებულმა ბრძოლამ (ისინი ვაჟკაცობას არა მხოლოდ თავისას, არამედ სხვისასაც აფასებდნენ) და მოკლულის წასაღებად დედის მოსვლამ და მისი გლოვის განსაკუთრებულობამ.

სევსურები არა მხოლოდ უშუალო მეზობლებს ლაშქრავდნენ, არამედ უფრო შორსაც მიდიოდნენ. ასე ულაშქრავთ ბუდე-ხევსურების მკვიდრო თრუსოში. საინტერესო ფაქტია, რომ როდესაც ალექსი ოჩიაური ბუდე-ხევსურებიზე საუბრობს, იქვე მის ერთეულებსაც გვამცნობს: „ბუდე ხევსურების ხალხი ადგილების, ანუ მდებარეობის მიხედვით არის ოთხად გაყოფილი და თავთავისი სახელი ჰქვია. ერთი არის „გორშედმი“, მეორე „წყალსიქითი“, მესამე „გავმატის პეობა“ და მეოთხე არაგვის ხალხი“ (გვ. 236). ხშირად ხევსურები სხვა ქართველ მთიელებთან ერთად გადადიოდნენ მეზობლების დასალაშქრავად, სამაგიეროს გადასახდელად. მაგალითად, „მენშევიკების მთავრობა რომ იყვ“ მაშინ მათ, ოუშებსა და ფშავლებთან ერთად, მითხო დაულაშქრავთ. ვრცელ მონათხრობში ხალხური სამართლის ერთი საინტერესო ეპიზოდია გადმოცემული, რომელიც ხევსურებისა და ქისტების სისხლის აღებას ეხება: „ქისტებმ უფრო მამკლავის სოფლელისა, ან მოგვარის მაკლა ოცოდეს, თუ თაოდ მამკლას ეერ ჩაიგდებდეს გელში. გევსურებისად კი სრუ ერთი იყვ, ხოლოთ ქისტურ ტალავარ კი სცმიყვა-დ ვინც უნდა ყოფილიყვ“ (გვ. 243). რადგან სამოსზე ჩამოვარდა საუბარი, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქისტებში მშვიდობიანი მიზნით (მაგალითად, სავაჭროდ) წასული ხევსურები ხშირად იქაურ ტანსაცმელს იცვამდნენ: „დილდოს წასულს ლილდურ ტალავარ ჩაუცომ, რო გევსურულის ტალავარს დასცინოდეს იქ. ახალგაზრდებს ლილდურ ტალავარი ხქონდ ზოგებს ლილდოს სასიარულოდ, შატილივნებს. ბუდის გევსურებ კი ესეთს ტალავარს არ იცვემდეს“ (გვ. 244). თავის მხრივ, ქისტებიც დაიარებოდნენ სავაჭროდ ხევსურებიში, განსაკუთრებით კი შატილში: „ქისტებსავ სრუ დაუდისავ ცხვრებივ დასაყიდადავ შატილავ“ (გვ. 244).

ქართველი მთიელები და ქისტები ხშირად აგზავნიდნენ თავის დამმობილებულებთან ვაჟებს ენის შესასწავლად და

ა. შ. რაც მთავარია, გაურკვეველი სადავო საკითხების დროს ხდებოდა ჩენილი და ხალხური სამართლის მცოდნე კაცების, მცოდნე ხევსურების და ქისტების მიერ ამა თუ იმ საკითხის ერთობლივი გარჩევა. ხშირად ურთიერთდაპირისპირებული ყოფილან ქართველი მთიელებიც, მაგალითად, ხევსურები და ფშაველები. როდესაც ალექსი ოჩიაური შატილელი ჯალაბაურებისა და ფშავლების სასისხლო საქმეზე საუბრობს, აღნიშნავს: „ერთი ჯალაბაურთ ახალგაზრდა თავის მეგობარ ქალს გამაჟუვანავა-დ გადაურჩნავ. იმას სახელად წიქა ექვივნ. წიქამა-დ თათარამ კიდევ მეტი დაჭოცეს მშავლები იმაზე, რამთვენიც მშავლებმ ჯალაბაურთა მაკლეს. გატდ ამაზე მტრობაი ერთი-მეორესთან. ბოლოს ადგ კაც-შუაკაცი-დ ლაშარის ჯვარში მაგვდინეს შარიგებაი. კაც-შუაკაცში, მშავლებ-ტევსურების გარდა ქისტებიც კი ერივნებს, მცოდნე კაცები“ (გვ. 251). აქ კიდევ ერთი ნიუანსია საყურადღებო, და, ჩვენი აზრით, არცთუ უმნიშვნელო. აღმოჩნდა, რომ ფშავლები უფრო მეტი იყო მკვდარი, ვიდრე ჯალაბაურები. შესაბამისად ფშავლებმა „თავ-სისხლი“ იმდენი მოითხოვეს, რამდენიც მეტი ჰკვდარი ჰყავდათ. „მაგრამ შუაკაცებმ ისი მააკერტეს, რო ლაშარის ჯვარისად აპატივებიეს ეს თავსისხლი. რჯული ლაშარის ჯვარში იყენ. „კაც-შუაკაცმა“ ფშავლები დაარწმუნა იმაში, „რო ეს მკვდრებივ ლაშარის ჯვარმ იპატივაო-დ თქვენაც უნდა დასთმათავ. ... მშავლებმა ჯერ კი არ მაიწონებს, მაგრამ ველარ ქნეს ლაშარის ჯვარის ხათრით“ (გვ. 251). მაგრამ ყოველივე ამით არ დამთავრებულა. ლაშარის ჯვარში ლუდი ადუდეს, ხარი დაკლეს, შუაკაცებმა და ხევისბრებმა შერიგება იმითაც განამტკიცეს, რომ ჯალაბაურთა ორი ყმაწვილი ლაშარის ჯვრის ყმებად გამოაცხადეს. ორივე ეს ახალგაზრდა თავდაპირველად კი ცხოვრობდა შატილში, მაგრამ „ბოლოს ლაშარის ჯვარმ მაითხოვა-დ გადმაიყვან ის ყმაწვილები თავის მიწა-წყალზედა-დ დაასახლნ მისრიანთკარში. . . იმათ აღილს მისრიანთკარ ექვივნა-დ ბოლოს ესენიც მისრიაშვილად დაეწერნებს, ხოლო ამათ ძირითად გვარ კი ჯალაბაური ას“ (გვ. 251). ამ ბოლო წინადადებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამაა დადასტურებული, რაც ისტორიულად მთელი საქართველოსათვის იყო და-

მახასიათებელი. ჯალაბაურები დასახლდნენ ნასოფლარ მისრიანთკარში, სადაც ოდესადაც მისრიაშვილები ცხოვრობდნენ (სოფლის საელწოდება ამაზე პირდაპირ მიუთითებს). ჯალაბაურები ამოვარდნილი მისრიაშვილების გვარს იღებენ, იმიტომ, რომ მათ მამულზე სახლდებიან.

წიგნში ფრიად საინტერესოა თავი „მაგანძურის ლაშქარი არხოგში“. ბუნებრივია, ჩვეულებრივი გეითხველისათვის გაუგებარი იქნება ტერმინი „მაგანძური“, ამოტომაც ალექსი ოჩიაური განმარტავს, რომ „მაგანძური ხქიან გუდანის ჯვარის ყმათ, ეს გვარები ჭვეშურეთ ყველაზე ბევრ ხალხიან გვარები არიან. როგორც ამბობენ, ესენ სამის მისაგან არიან გაჩენილნი. „არაბა“-ისაგან, „ჯინჯარა“-ისაგანა-დ „გოგოჭა“-ისაგან. არაბული, გოგოჭური, ჭინჯარაული – ეს გვარები სამივ ერთად გუდანის ჯვარს ეყმობიანა-დ იმათ მამულებიც ამტკიცებს იმათ მენათესავეობას. ... ამ სამ გვარს ერთუცშიაც კი ხქონდ შურმაქნეობაი-დ საერთო საქმეში კი ერთუცს გვერდი ედგეს, მგარს შქერდეს ერთუცს“ (გვ. 268). სამაგანძუროს ხალხიც სალაშქროდ ხშირად გუდანის ჯვრის დროშით და მისი მითითებით მიდიოდნენ. დასალაშქრი თემიც მომხდეულს ბრძოლას ჯვრის სახელით უწევდა; ეს ამბავი საინტერესოდაა გადმოცემული ხალცურ ლექსში: „ქადაგობს გაიდაური, ბძანებს გუდანის ჯვარით: // ჩემს ქარზე შაიყარენით სამის ბატონის ყმანიო. // სამი ააბით დროშაი, სამსავ შააბით ზარიო. // ახიელის ძირ ჩავიდათ, ვატიროთ ქალი, ზალიო. // იქ უნდა დავზიდვათ ბეგარი, კვამლად თითოი ცხვარიო. // გაიგა არხოტის ჯვარმა, წელთ შამაირტყით ჭმალიო, // სხვაკნით ამიღავ ბეგარი, დამპალო, სად მიხვალიო?“. საგულისყუროა, რომ ამ გადმოცემაში არხოტელები და ხევსურები ერთმანეთისადმი არიან დაპირისპირებულნი. არხოტელი მთხოობელი კუპუა ცისკარაული სამაგანძუროდან მოსულებს ხევსურებს უწოდებს, თავისი თემის ხალხს კი მხოლოდ არხოტელებად მოიხსენიებს. მაგანძურთა სხვებზე დაპირისპირების კიდევ ერთი ფაქტიცაა აღნიშნული: „ერთი ასეთი ლაშქრობა ქმოსტზე მაუკდენავ მაგანძურსა-დ ბეგარ დაუდვავ წელში ერთ ცხვარი-დ სასმელი გუდანის ჯვარში მისაყვანადა-დ მისატანად. ის კი არავის აჯსონს, რაჯელ იბრძოლეს

ქმოსტელთა-დ მაგანბურმ. ეს ბეგარი ნელობამდინ კი მოუდიოდ მაგანბურსა-დ გუდანის „ჯვარს“ (გვ. 273). მოყვანილი მასალა პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ გუდანის ჯვარი არ ყოფილა ხევსურთა საერთო გამაერთიანებელი და ცენტრალური სალოცავი, როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში; საერთოდ, ხევსურეთს ცენტრალური სალოცავი არ ჰქონია.

ალექსი ოჩიაურის წიგნში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ნიუანსია. სხვა, ალბათ, ასეთ ნიუანსებს ყურადღებას არ მიაქცევდა. ეთნიკური თავისთავადობის დამახასიათებელია შემდეგი: „ქისტები შურის საძებრად ეშმაკ ხალხ იყვ. იმათ კევსურებსავით აჩქარება არ იცოდეს სისხლის ასაღებად, კევსურები იტყოდეს: „ხე წაქცევაზე იქს ჩქმს“, ვითამ ხე რო წაიქცევისავ, მაშინ გამაიღებსავ ჭმასავ. ე. ი. როსა მაგიკლენავ, მაშინ უნდა მაგკლათავ, თორე გულ რო შანელდებისავ, მემრ აღარა იქნებისაო-დ დარჩებისავ უძებრავ. ქისტებზე კი ისრ ას ნათქვამი: ერთმ ქისტმავ მამაივ ასი წლიდგე იძებნაო-დ კიდევ აგზქარებულორავ, თქოვე“ (გვ. 247). შაყურადღებობა, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი ურთიერთობის ფონზე მშვიდობიანი ურთიერთობებიც არ წყდებოდა.

ალექსი ოჩიაური და მისი ინფორმატორები აბსოლუტურად ობიექტურები არიან, როდესაც ლილღველთა და არხოტიონთა დაპირისპირებაზე საუბრობენ. ამის დამადასტურებელ მასალას უკომენტაროდ შემოგთავაზებთ: „ლილღველთა-დ არხოტიონთ წინავ ძალიან დიდი მტრობაი ხქონდ ერთად. ხან ერთ მჯარე ეცემოდ მეორეს, მიუდიოდ ცხვარ-საქონი, კლევდეს ერთიმეორეს, ხან მეორე მჯარეი. ხოლოთ, როცა შაუჯერდებოდეს ლილღველნი არხოტიონთ მაუსვენრობით, მაშინ ისინი შაიყრებოდეს, წამოვიდოდეს ლაშქრადა-დ სრუგაანადგურებდეს არხვატს, ლილღველნი იყვნესა-დ შეეძლიყვა არხოტის დალაშქრა, არხოტიონთ კი ლილღველთ დალაშქრა ვერ შეეძლიყვა-დ, მთებში კი ხაარავდეს ცხენებს, გარებს, ხანდიხან ცხვარ-ბინასაც დაუცემოდესა-დ მიუდიოდ. კაცებს ხო სრუგოდეს, სადაც ვის გაეწეოდეს. ლილღველის მაკვლაი სახელ იყვა-დ უბრალოდ სახელის გულისადაც გოცდეს, სადაც ვის შახვდებოდეს. ლილღველნი წინწინ არას

დაღლევდეს, ბოლოს ქვე არ შაარჩენდეს გალს“ (გვ. 252). დილდველების შესახებ ისიც აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი შემოსევის დროს ასაკით უფროსები ახალგაზრდებს ეუბნებოდნენ: „ხნიერს ხალხსაო-დ დიაც-ყმაწვილს არავის აწყინითავ; რო ქვეც გლანძღვედასთაოდ, ჭმა არავის გასცა-თავ, მთიელს ხალხსავ არ შაშვენისავ დიაც-ყმაწვილისაი-დ უფროსის ხალხის ჯავრებაივ“ (გვ. 258).

წიგნში მოყვანილი გადმოცემები კარგი მოთხოვბასავით იკითხება. ასეთად შეიძლება დავასახელოთ „ქისტის ლაშქ-რის დაცემა თუშებისა და ფშავლების ცხვარზე ბაგის მეთა-ურობით“. ალექსი ოჩიაურს აქ ფშაური პოეზიის ერთი შე-სანიშნავი ნიმუშიც აქვს მოყვანილი, რომელიც განსხვავდება ხევსურული პოეზიის ნიმუშებისაგან. საამისოდ შეიძლება ლექსის დასაწყისი მოვიყვანოთ: „პირველად ღმერთი ვახსე-ნოთ, ერში საყდარში მჯდარია. // მეორე თამარი ნეფე, ქრი-სტიანთ სახვეწარია. // მესამე ლაშარის ჯვარი, ფშავლების საკვეხარია“; შემდეგ: „უშველე თამარ ნეფეო, შენც ხო წა-გისხეს ცხვარია! // არც თუ შენ გხურავ გვირგვინი, არც ლაშარის ჯვარს ქმალია // ადარ თუ ხყავის ლურჯაი, რო-გორც რო ნიავებარია? ალექსი ოჩიაური გეოგრაფიის არმცო-დნე ადამიანებს მიუთითებს, რომ „ბორბალოდან ყველა ადგი-ლი ჩანდა: ალაზნის სათავე, ივრის სათავე, არაგვის სათავე და არღუნის სათავეები“ (გვ. 278). (რადგან გეოგრაფიაზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღინიშნოს, რომ ალექსი ოჩიაურს ზედმიწევნით ზუსტად აქვს მოცემული „დილდველ-არხო-ტიონთ“ საზღვარი: „მთებზე სადაო არა იყვ, ერთს გვერდზე დილდველთ ადგილ იყვ წვერამდინა-დ მეორეზე არხოტიონ-თაი. წერი ყოფდ თავის ადგილს. ხოლოთ დილდველი არ-ხოტის ჭალას მიიწევდეს არხოტისკე, მიაღწევდეს კორდან-საც“ – გვ. 372. „ადგილებზედა-დ სამძღვრებზე დიდ დაგი-დარაბა იყვა-დ ბოლოს შინაურ შარიგება მააგდინეს დილდ-ველ-არხოტიონთ. წინდიც მისცეს ერთუცსა-დ კარგა ხანს დამშვიდებულად იცხოვრებს“ – გვ. 376). აღნიშნული ზეპირი საისტორიო წყარო/მოთხოვბა გვიმოწმებს, რომ ქისტებმა ფშავიდან და ხევსურეთიდან დიდი რაოდენობით წალალეს ცხვარი. ზარალი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ქართველ მთი-

ელთა ურთიერთდახმარება და მხარში დგომა დაზარალებულებს ამ პრობლემასაც უწყვეტდა: „ასეთი ზარალის შემდეგ, ფშაველმა და ოუშმა მეცხვარეებმა ერთიმეორისათვის დახმარება იცოდნენ. რამდენითაც ვის შეეძლო იმდენ ცხვარს აჩუქებდნენ. იტყოდნენ, მაგას თავისი უხეირობით არ მოუკიდა, ეგ მტრის ძალა იყო და მერე სხვას მოგვერგებაო. ამიტომ აჩუქებდნენ და, თუ მეტი არა, იმავე წელს ასი ცხვარი მაინც მოუგროვდებოდა დაზარალებულ მეცხვარეს“ (გვ. 280).

ზემოთ რამდენიმეჯერ თამარ მეფე იყო ნახსენები. ამ მხრივ ალექსი ოჩიაურის წიგნს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს, იმიტომაც, რომ ღილაველების სხოვნასაც შემოუნახავს თამარ მეფის სახელი. უფრო მეტიც, გადმოცემაში ჯაბუშანურების შესახებ, რომლებიც ორ მამად იყოფოდნენ – ბაქანი და ალიანი, ვკითხულობთ, რომ არხოტელებს (ჯაბუშანურთ გარდა) „ყველას ერთად აქვ სასაფლაო ნაკურთხი თამარ მეფისგან“, მაგრამ არაქრისტიანი ჯაბუშანურებისათვის თამარ მეფეს ნება არ დაურთავს, „რო იმათ მკვდარ, ქრისტიანების მკვდრებსთან დაემარხ“. ნიშანდობლივია, რომ ჯაბუშანურთა გაქრისტიანების შემდეგ, „იმათ გვარის კაცი აუცილებლად ას არხოტის ჯვარის ხუცესი“ (გვ. 385).

შინაარსით, ფაქტებით დატვირთულია გადმოცემა-მონათხერობი კვირიკათ კუპას შესახებ, რომელიც ახილელი ყოფილა ცისკარაულთა გვარისა. კვირიკათ მამა კი დალეულა იმის გამო, რომ ისინი ამაყნი ყოფილან. მართალია, „მტრისად მისაყოლად, სანადიროდ სრუ სახელგანთქმულნი ყოფილან, მაგრამ სიამაყეს არც ღმერთ მაიწონებსა-დ არც პევსურეთულნ ხთისშვილნი, საბოლოოდ ამაყეს კა არავის მაუვა-დ ბევრი ას შამთხვევა, რო ამაყ გვარი საბოლოოდ გაძევდების. ბოლოს კი კვირიკათაც ესრ მაუვიდ. ეხლა ახილელი რის-ხებაში ერთიმეორეს ესრ ეტყვიან: „გააძეოს შენობა არხოტის ჯვარმ, როგორც კვირიკათობაი გაძევებული“ (გაძევება: გვარის გათავება, ამოწყვეტია“) (გვ. 289). კვირიკათ კუპას სხვა ცოდვაც პქონია – ყმაწვილი ღილაველიც ჰყავდა მოკლელი. რაღგან ცისკარაულთა კვირიკათ მამა ვახსენეთ, უნდა ითქვას, და ეს წიგნშიც არაერთხელაა აღნიშნული, რომ საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გვარის დანაყოფს „მამა“-ს უწოდებდნენ და ხშირად პირვნებებს

სწორედ მამობით მოიხსენიებდნენ: „პვირიკათ ქუპუა“, „თათიათ ოდინა“, „გაგათ აბაიზძე“, „გაჯალათ ოდინა“, „ხირჩლათ მარტია“, „ჭირჩათ მინდია“, „გილათ კვირიკაი“... ხშირად აქ პიროვნებებს მამისახელითაც ახსენებდნენ. ასეთ ანთროპონიმიულ მოდელში მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში იდგა: „ჩაბაკის ივანეური“, „ხახიკის ხახონი“...

ალექსი ოჩიაურის წიგნი არა მხოლოდ ხევსურთა ყოფას, მენტალობას ასახვს, არამედ მეზობელი ღლიღვებისასაც/ინგუშებისასაც. ვინ ითვლებოდა ინგუშებში სახელიანად? აი, რას წერს ავტორი: „ეს სახელიანობის სურვილი, თან სიმღერეები, სახელის მაღლოვანი, ქალებისაგან ქება-დ კარგ გსენება, უფრო მეტად უძრევვდ კაცის მაკვლისა-დ სახელის ქნის სურვილს ახალგაზდაებსა-დ საწადინოდა-დ სალად-სანებივროდ ნადირობდეს ერთმანეთზე. მარტო არხოტივნებ კი არ იყვნეს ესრ, არც სხო გევსურები, ესეთ სახელობა ღილავს უფრო მეტად იყვ. უსახელო, ე. ი. ვისაც სახელ არ ხქონდ ნაჯნარი, ესეთ ღილავებით სრუ უცოლო რჩებოდ. არ გახუგებოდ ქალი, თუ ქურდ მაინც არ იყვ. თუ კაცებ არ ხყვანდ დაგზოცილები, გარ-ცექნებ მაინც უნდა ეპარ, რო ამით თავ ესახელ ღილავებს ახალგაზდას, თორე არცრაად ვინ ჩააგდებდ, არც ქალი-დ არც კაცი“ (გვ. 305).

ზემოთ ითქვა, რომ ხევსურეთი ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდა; ადამიანობა და ადამიანთა ჯგუფების ურთიერთობებს აქ ხალხური სამართალი აწესრიგებდა. გადამეტებისათვის არა მხოლოდ ერთი ადამიანი, არამედ მთელი გვარი ან მამა-ნი ისჯებოდა. განსაკუთრებულად ისჯებოდნენ გაამაყებულნი, რომლებიც თემსოფელს უპირისპირდებოდნენ და თავის თავს დანარჩენ საზოგადოებაზე მაღლა აყენებდნენ. ალექსი ოჩიაურს ამის დამადასტურებელი ფაქტები, ეთნოგრაფიული მასალა/გადმოცემა აქვს მოყვანილი. მაგალითად, არხოტში ამღასა და ახიელს შორის ყოფილა ერთი სოფელი, რომელშიც თათხელიონნი ცხოვრობდნენ. თათხელიონთ ფაქტობრივად ბელადიც ჰყავდათ – „თათხელიონ სისკარა“. ამღელებმა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად თათხელიონთ ჯერ უფროსი კაცი მიუგზავნეს: „ამღიონთ ნაუბარი ხქონდ ერთუცში თათხელიონთ დალევაი-დ ჯერ წაულალეს კაცი: დაგვანებეთავ თავივ, ნუ

გვაწუხებთავ, თორე სრუ ვერ მაგითმენთავ. ეს კაცი სნიერ იყვ, რომენიც წალალესა-დ ამდიონთ ეგონ, თათხელიონნივ უფროსობის ხათრს შაუნახავენაო-დ არას ეტყვიანავ, არას აწყენანავ ამასავ. მაგრამ თათხელიონთ ამ ბერიკაცის ნაუბარ არც სრუ იყერეს, დაიჭირეს ეს ბერიკაცი, შარვალ წახეარესა-დ ჭარის გალო შაუდვეს ტანში (გალო: შხრის ან ფეხის ძვალი). ჭელები ზურგში დაუკონეს მაგრად, რომ გალო ვერ მაეშორა-დ აისითა მისულიყვ ამდას“ (გვ. 380). ამდელებს მეტი გზა აღარ დარჩათ, „დიაცემაც უთხრეს, რო ექხლა კი თუ ეგენ არ გასწყვიტენითავ, ჩვენ ვედარ ვიტყვით, რო ქუდიანები ქმრები გვყოვ“ (გვ. 380). მოზრდილი ციტატის მოყვანა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ალექსი ოჩიაურს ზედმიწევნით კარგად აქვს გადმოცემული მთელი ის წინა პერიოდი, რომელიც თათხელიონთა დალევას უძღვდა წინ. თათხელიონებმა ის მიიღეს, რასაც თემისაგან იმსახურებდნენ. პირველ რიგში უთურგათ ახალგაზრდამ ყველაზე მეტად გაამაყებული „თათხელიონ სისკარა“ მოკლა, შემდეგ კი „დაცნეს სხვებსაც ამდიონნი-დ დაკოცნეს ყმაწვილებიანად. **სისკარაის ცოლ** კი არ მაკლესა-დ ამდას რო თათრებ იყვნეს, ერთ-ერთ იმან წაიყვან, რაკი ლამაზ იყვა-დ ვერ გაიმეტეს მასაკლავად. გაწყვიტეს თათხელიონნი-დ თაოდავ დაღმარხნეს“ (გვ. 381). ყველაზე გამორჩეული „უფალთ ყანანი“ კი „უთურგათას მისცეს სისკარას მაკვლაზე“. ზემოთ ნათქვამიდან ერთი ნიუანსია ყურადღებამისაქცევი, ამდელებმა მთელი სოფელი გაწყვიტეს, მაგრამ სისკარას დიაცი მოსაკლავად ვერ გაიმეტეს, სილამაზის გამო!

არხოტში ორბელებსაც უცხოვრიათ. „ორბელნი თაოდაც ამაყნ ხალხნი ყოფილანა-დ მტერიც ბევრი ხყონივ. ბოლოს, მტერს რო შაუწუხებიან, ამდგარანა-დ წასულან იმერეთშია-დ იქ დასახლებულან“ (გვ. 383).

ალექსი ოჩიაურის წიგნის „მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში“ გვირგვინად შეიძლება მივიჩნიოთ თქმულება „ხოგაის მინდი“, რომელიც მისთვის 1940 წელს ლელა ბალიაურს (დაბადებული 1875 წელს) ჩაუწერინებია. ცნობილია, რომ ხალხში შექმნილი ეს თქმულება საფუძლად და-ედო ვაჟა-ფშაველას პოემა „გველის-მჭამელს“. ვაჟამ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ აიღო თქმულებიდან, ბევრი რამეც შეცვალა

(მაგალითად, თქმულებაში მოხსენიებულ ლექტების კაცის მჭა-
მლებს ქაჯები ჩაანაცვლა; გველის ორი-სამი წევთის ალოკ-
ვის ნაცვლად პოემაში გველის ხორცის ჭამაზეა საუბარი და
სხვა). თქმულების თანახმად, ხოგაის მინდი რეალური პირო-
ვნება იყო, არხოობელი ხევსური. ერთი რამ ფაქტია, რომ
თქმულების აქამდე დაბტეჭდილ ვარიანტებს შორის ესაა უნი-
კალური და გამორჩეული ვარიანტი, რომლის შექმნაც, უკვი-
არ მეპარება, ისტორიის სიღრმეში მოხდა. ამ თქმულებით
ჩანს ქართველი კაცის შემოქმედებითი შესაძლებლობები, ფი-
ლოსოფიური აზროვნება, იდეალებისადმი სწრაფვა. რაც მთა-
ვარია, პუმანიგარული მეცნიერების ყველა წარმომადგენელი
(ეთნოლოგი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმ-
ცოდნე, სამართალთმცოდნე...) მისთვის სასურველ ფაქტებს
აღმოაჩენს.

წიგნში მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტი გვხვდება, ხში-
რად ერთ წინადადებაშია ნათქვამი, მაგალითად, ის, რომ ხე-
ვსურები სათოფის ბეჭედ მგლის ტყავს იყენებდნენ (გვ. 284).
როგორც ხევსურებში, ისე ინგუშებში პურობისას ჯერ ხნი-
ერი ხალხი დანაყრდებოდა, შემდეგ კი ახალგაზრდები. ეს
უკანასკნელი ხნიერ ადამიანებს ემსახურებოდნენ და თან
ფეხზე იდგნენ. საგულისყუროა, „ჯვარჩი შაჯდომის“ ანუ
თვითდასჯის ფაქტის აღწერილობა; ქმრის მიერ მისი დამწუ-
ნებელი სახლიდან წასული ცოლის დაჭრა; ბარიდან ქვევრის
მოტანა „ჯორის საპალნით“ და არხოტის ჯვარისათვის შე-
წირვა; ზოგიერთ სოფელში ერთი სხვადასხვა წარმომავლო-
ბის ხალხის მიერ ერთი გვარის ტარება (მაგალითად, ამდე-
ლები, რომლებიც ჭოლიკაურად იწერებოდნენ); ფშაველი და
გუდამაყრელი მეცხვარეების მიერ ხევსურეთის მთებში საძო-
ვრების დაქირავება ზაფხულობით; დაჭრელის მიერ დაჭრი-
ლისათვის გადასახადის (საქონლით) გადახდის გამოთვლის
წესი (ჭრილობას ძაფით რომ დაზომავდნენ, ძაფს სიპზე
დადებდნენ და იმის სიგრძის ხაზს გაავლებდნენ. მარცვალს
აწყობდნენ, თითო მარცვალი ქერისა იქნებოდა და თითო ხო-
რბლისა (იფქლი). რამდენი მარცვალიც დაეტეოდა, დამნაშავე
იმდენ ძროხა დრამას უხდიდა დაზარალებულს“); ხევსურეთ-
ში ცოლი და ქმარი ერთ ლოგინში არ იძინებდა, ხოლო

როდესაც ერთად დაიძინებდნენ, ეს ოჯახში არავის არ უნდა გაეგო...

ეთნოლოგები დამეთანხმებიან, რომ ქართულ ეთნოლოგიაში, სვანეთან ერთად, ყველაზე მეტად ხევსურეთია შესწავლილი. საქართველოს მთიანეთის ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის უამრავი ტრადიცია აქვთ მეცნიერებს გამოვლენილი. მაგრამ ალექსი ოჩიაურის წიგნის წაკითხვის შემდეგ, გამოჩნდა, რომ ბევრი რამ, რაც ამ ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის იყო დამასასიათვებელი, არ ვიცოდით. წიგნის გამოცემით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ბევრი რამაა მოთხოვნილი მეზობელი ინგუშების ტრადიციებისა და ყოფაცხოვრების შესახებ. წიგნში იმდენი რამაა ამ მეზობელ ეთნოსზე დაფიქსირებული, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ დღვევანდელმა ინგუშებმა არც იციან. ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობილ ინგუშებს ხომ წერილობითი ისტორია არ გააჩნიათ და ამ ისტორიის შესავსებად ბევრ საყურადღებო ფაქტს იპოვიან ალექსი ოჩიაურის განსახილველ წიგნში, მე ვიტყვი დიდ ტილოში.

დასასრულს, წიგნის წაკითხვისას ერთგვარად მოჯადოებული რჩება მკითხველი იმ ფაქტით, თუ რაოდენ მდიდარი იყო ძველ ქართველთა ლექსიკა. ხევსურულ დიალექტს ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული ჰქონდა შენარჩუნებული, რაც ბარის მეტყველებას დაკარგული ან სახეცვლილი ჰქონდა სხვა ენების ზეგავლენით. ამიტომ წიგნის გაცნობის დროს ხევსურული დიალექტის არმცოდნე ადამიანი ლექსიკონს მიმართავს, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ლექსიკონში, სამწუხაროდ, სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობა განმარტებული არაა. ხევსურული დიალექტის სიმდიდრის საჩვენებლად ზოგიერთი ლექსიკური ერთეული გვინდა მოვიყვანოთ: გაცოლებრების უფლება – დაქორწინების უფლება; გათავსვერებული – გაამაყებული, გათავსედებული; გალო – მსარის ან ფეხის ძვალი; გაძეებული – ამოწყვეტილი, გათავებული გვარი; გუგუბა – გუგული; დასულდა – სუნი აუვიდა; დარილი (დაადარილებს) – ხელსაყრელი დროის გამოყენება და დალატით ვინძესთვის ზიანის მიყენება; გეშაგნი – მეოვალურენი, მზვერავები; ზეგადების ხანა – საღამო ხანი; თავი

ქიდა – სისხლი ემართა; თოფვა – თოფის სროლა; თვალმზაგალი ზღვენი – კარგი საკლავი; კაცრიელი – გვარში ბევრი მამაკაცის ყოლა, გვარძლიერი; ლიგანი – მთებზე და სანადიროებზე აგებული პატარა კოშკი გზის გასაგნებად; ლოჭიანი – ჰუჭყიანი; მეწვერე – მთის წვერზე გამწესებული ყარაული; მრავალნი – ვარსკვლავების ჯგუფი; მძინარშეშარი – ნამძინარევი, გამოუფხილებელი; მიწადმიტანის დღე – დასაფლავების დღე; ტფაზ-ხალამო – ქვეშაგები, დასაგებ-დასახური; ყარტი – ქვაგის ნამჯა; უმრეცხლო – ორსული; უზინი ღამე – ბნელი ღამე; ცლანგიანი – დაუნდობელი (მაგალითად: „ცლანგიანი ენა“); წინდი – ხევსურების წარმომადგენელი ღილღველებში და პირიქით, მშვიდობის დაცვის მიზნით; ჭაპანი – ზროხის ტყავისაგან დაწნული თოკი; ქარჩამაგალი ქვაბი – დიდი ქვაბი, რომელშიც მთელი ხარი იხარშებოდა; ჯორჯა – კისრის ძვალი და სხვა მრავალი.

დასასრულს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურეთისა და ფშავის შესახებ ალექსი ოჩიაურის კიდევ არა-ერთი ეთნოგრაფიული ხელნაწერი ნარკვევები არსებობს, რომელიც გამოცემას ელის, პირველ რიგში კი ესაა „ხევსურული ანდრეზები“. იმედია, ეს და სხვა ხელნაწერები მომავალში მზის სინათლეს იხილავს.

Р.С. შთაბეჭდილება ალექსი ოჩიაურის წიგნზე ცნობილი ენაომეცნიერის ალექსი ჭინჭარაულის სიტყვებით უნდა დავამთავროთ: „არიან მოლგაწენი, რომელთაც რაიმე განსაკუთრებული განათლება არ მიუღიათ, არც გამოქვეყნებული წიგნებით თუ სტატიებით აულაპარაკებიათ ქვეყანა, არც სარფა და სახელი უძებნიათ, რიგითს საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებდნენ, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ფართო საზოგადოებრიბისათვის სრულიად უცნობი.

მაგრამ მათ პეტონდათ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და ერის წინაშე პასუხისმგებლობის პეტილშობილური გრძნობა, – მუდამ შრომობდნენ, ეძებდნენ, იწერდნენ, იხატავდნენ და ამ ნადგვაწს შთამომავლობას უტოვებდნენ... აი, ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ალექსი ალექსას ძე ოჩიაური“ („ლიტერატურული საქართველო“, 8 სექტემბერი, 1972). დიახ, ალექსი ოჩიაურმა, მართლაც რომ აუწონავი სიმდიდრე დაუტოვა

არა მარტო თავის ხევსურეთსა და ფშავს, არამედ მთლიანად საქართველოს, ქართველ ერს.

თქმულის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ალექსი ოჩიაური, რომელიც, სხვა ხევსურებთან ერთად, 1937 წელს რეპრესირებული იყო, ციხეში ეთნოგრაფიულ და ფოლკორულ მასალებს იწერდა. ამ ჩანაწერებს შორისაა გადმოცემები ალექსანდრე ბატონიშვილის ხევსურეთში დამალვის შესახებ, რასაც როგორც ეს ჩანაწერები მოწმობს რუსეთის ხელისუფლების მიერ ხევსურეთის სოფლების დიდი ნაწილის გადაწვა მოჰყვა.

სალომე ბახია-ოქრუაშვილი რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის წვლილი სვანეთის ეთნოლოგიის შესწავლის საქმეში

გამოჩენილი ქართველი მეცნიერების რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის დგაწლი ქართული ეთნოლოგიის წინაშე დიდია. მათ შეისწავლეს სვანეთის როლი საქართველოს ისტორიულ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; ადნიშნავდნენ, რომ სვანებმა, ქართებთან და ზანებთან ერთად, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს დაედეს საფუძველი (ხარაძე, რობაქიძე 1964: 14).

ორივე მეცნიერი თანაბარი ინტერესითა და წარმატებით იკვლევდა, როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის საკვანძო საკითხებს. მართალია, ალ. რობაქიძისა და რ. ხარაზის სამეცნიერო მემკვიდრეობა საკმაოდ ფართოა და მათ მრავალრიცხვან გამოკვლევებს კავკასიაში ფუძებლდებლური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დღეს მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რეგიონის – სვანეთის შესახებ შექმნილ ნაშრომებზე შევჩრდებით.

რ. ხარაძე და ალ. რობაქიძე სვანეთში წლების მანილზე მდიდარ საველე ეთნოგრაფიულ მასალებს მოიპოვებდნენ. მათი მეცნიერული დასკვნები მრავალრიცხვან მონოგრაფიებსა თუ სტატიებში ახალ სიტყვად და სახელმძღვანელო დებულებად იქნა აღიარებული. განსაკუთრებით დიდია ორივე მეცნიერის დამსახურება სვანეთის სოციალური ინსტიტუტების კვლევაში.

რ. ხარაძის პირველი მონოგრაფიის „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“ (ხარაძე 1939) კონკრეტულ მიზანს, სვანეთში არსებული ოჯახის ფორმათა შესწავლა წარმოადგენდა. ამისთვის იგი ქვემო და ზემო სვანეთის საზოგადოებებში შეკრებილ საველე ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის 40-იანი წლებიდან ჯერ რუსულ კავკასიათმცოდნეობაში, ხოლო მოგვიანებით XX

საუკუნის დასაწყისში ქართველ მეცნიერთა შორისაც ფეოდალურ საზოგადოებაში გვაროვნული წყობილების „გადმონაშთებს“ ეძებდნენ. მართალია, ისტორიოგრაფიაში მკვეთრად არ იყო ახსნილი, თუ რაში მდგომარეობდა და გამოიხატებოდა გვაროვნული ოეორიის კავშირი საქართველოს მთიელების ტრადიციულ სისტემასთან, იყო პოპულარული სამეცნიერო საზოგადოებაში. რადგან რ. ხარაძის ეს ნაშრომი 1939 წელს გამოქვეყნდა და, თავისთავად ცხადია, იგი ამ თეორიის გავლენას განიცდიდა.

რ. ხარაძემ ნაშრომში კარგად დაგვანახა სვანური ოჯახის სტრუქტურა, მისი ფორმები, განვითარების ეტაპები, მაგრამ იგი მხოლოდ ოჯახის სტრუქტურის შესწავლით არ შემოფარგლულა. მან სვანურ ნათესაურ სისტემას და ამ ნათესაური გაერთიანებების გამომხატველ ტერმინებს მიაქცია ყურადღება. აღმოჩნდა, რომ მანამდე უცნობი სოციალური ფორმა, რომელიც შემდგომ ცნობილ ნათესაობის კლასიკურ სისტემას დაემატა, პირველად იქნა გამოვლენილი. ეს იყო კ.წ. „სამხეუბ/ლამხეუბი“ (სამმო), რომელიც სისხლით ნათესაობის ნიადაგზე შექმნილ გაერთიანებას წარმოადგენდა. ნათესაური გაერთიანება, რომელსაც მამაკაცის ხაზით მიმართული ახლობლები ქმნიდნენ, ერთი წინაპრის, ერთი ძირის განშტოებისაგან იყო წარმოშობილი, ე.ი. გვართა გენეალოგიებში განშტოებები უახლოეს (მეხუბარარ) და შორეულ (ქახიქა მეხუბარარ) მომენტებიდან იყოფილნენ. ამ ნათესაური გაერთიანების სახელწოდება წინაპრის, ანუ მამამთავრის სახელიდან მომდინარეობდა. მათ სათავეში ხელმძღვანელად ედგა სამხეუბის მახუში (სამხეუბის მეთაური), უხუცესი, ჭავალიანი პიროვნება. მასვე ევალებოდა სახალხო შეკრებებში მონაწილეობა, როგორც ოფიციალურ პირს (ხარაძე 1939: 22-25).

საველე ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებით რ. ხარაძემ აღმოაჩინა, რომ სამმოების დანაწილება სოციალურ-ეკონომიკურ პრინციპზე დაყრდნობით ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, გამოვლინდა ისეთი საკუთრების ნიშნები, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო. კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, გაირკვა, რომ დიდი ოჯახის შიგნით მეტ-

კვიდრები ქონებაზე თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. თუმცა, ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების შემდეგ გარკვეული ქონება გაუყოფელი რჩებოდა და იგი სამხებისა და ლამხუბის საკუთრებად იქცეოდა. ეს კი ცხადია, ამ ნათესაური გაერთიანების საერთო სამეურნეო ინტერესების გაჩენას იწვევდა, რომელიც შრომით ურთიერთდახმარებასაც განაპირობებდა (ხარაძე 1939: 34-35, 54-56).

რ. ხარაძემ სწორედ სვანურ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით პირველად გამოავლინა და შეისწავლა სამხებ-ლამხუბის მთელი რიგი საკითხები და მათ შორის, სისხლმების სხლეობის. საგულისხმოა, რომ მას თავის დორზე სისხლის აღების წესები და მასთან ერთად კომპოზიციის სისტემაც დაუდგენია. ე.ი. სისხლის საფასურის საკითხი – მოკლულისა და მკვლელის მიმართ სამხებ/ლამხუბის დამოკიდებულება და საფასურის განაწილება. ამ საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ აგნატური ნათესაობის უფლებებთან ერთად, სისხლის აღებისა და შეწევნის წესებში კოგნიტური ნათესაობის ხაზის წევრთა ზოგიერთი უფლება აღინიშნებოდა. „ძირიშ მეხუბარი“ ფიცში მონაწილეობდა და შესაწევარსაც ნათესაური კატეგორიის შესაბამისად იხდიდა (ხარაძე 1939: 26-41).

ამ საკითხების მაღალ დონეზე გაანალიზების მიუხედავად, რ. ხარაძე ნაშრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ რამდენადაც ქართული ეთნოგრაფიული მასალები ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო, მისი ანალიზი მხოლოდ ჰიპოთეზის წამოყენებით იფარგლებოდა. მაგრამ, მოგვიანებით, როდესაც მისი ახალი მონოგრაფიის – „საოჯახო თემი საქართველოში“ – ორტომეული (Харадзе 1960: 1961) და სხვა ნაშრომები გამოქვეყნდა, სადაც, როგორც საქართველოს ყველა კუთხის, მათ შორის კვლავ სვანეთის, ხოლო შესადარებლად, კავკასიური მასალაც იყო მოხმობილი, საოჯახო ერთიერთობების, ნათესაური სტრუქტურის ყოველმხრივ კვლევის ფონზე, საერთო ქართული და ზოგადკავკასიური მნიშვნელობის დებულებები და დასკვნები ჩამოაყალიბდა.

ორტომეულში, რ. ხარაძემ ქართული „საოჯახო თემის ძირითადი ნიშნები, მისი ადგილი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ფორმებშია გამოვლენილი. პირველად ასე ფუნდამენტურადაა შესწავლილი – ოჯახის შემადგენლობა, მისი ქონებრივი საკითხები, საკუთრების ფორმები (როგორც ქალის, ისე ოჯახის მამაკაცი წევრების), შრომის ორგანიზაციის ფორმები, განსახლების თავისებურებები, დამოკიდებულება თემსა და ოჯახს შორის. მნიშვნელოვნია გაუყოფელი, დიდი ოჯახის ეკონომიკური მდგრადისა და სასიათება. იგი არა მარტო გლეხის, არამედ ფერდალის ოჯახზეც ამახვილებს ყურადღებას. შემდეგ ეს ნაშრომი გზამკლევად იქცა ოჯახისა და საოჯახო ყოფის შემსწავლელთათვის.

რ. ხარაძემ თრტომეულშიც იმ დროისათვის გავრცელებული დებულება გამოიყენა და საოჯახო ყოფის საფუძვლად კვლავ პირველყოფილი-თემური და გვაროვნული წევრების დაშლის პროცესი მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სხვადასვა მხარეების შესწავლის შედეგად საოჯახო თემის სამი ტიპი გამოჰყო – „1. საოჯახო თემი – რომლის უპირატესი სამეურნეო დარგი მიწათმოქმედება იყო (ქართლი, ქახეთი, იმერეთი, ზემო და ქვემო რაჭა). 2. საოჯახო თემი – რომლის უპირატესი სამეურნეო დარგი მესაქონლეობა იყო (ქიზიყი, თუშეთი, ხევი, ფშავი). 3. საოჯახო თემი – სიმბიოზური მეურნეობით (მთა რაჭა, სვანეთი)“ (Хარაძე 1960: 65-75).

მიუხედავად გვაროვნული თეორიისა, რ. ხარაძემ საკმაოდ დიდი და საგულისხმო წვლილი შეიტანა თჯახისა და საოჯახო ყოფის ქართულ ზოგადეთნოგრაფიული მნიშვნელობის საკითხებზე.

რ. ხარაძე და ალ. რობაქიძე მიიჩნევდნენ, რომ სვანეთი დირშესანიშნავი ფორპოსტი იყო საქართველოსი, ჩრდილოეთის საზღვარი, რომელზედაც კავკასიის შემაერთებელი სამხრეთის პროვინციების კომუნიკაცია გადიოდა. მეცნიერთა ამ ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ „სვანეთში შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლები მინიატურული იქროს მჭედლობის ნიმუშებიდან დაწყებული, მონუმენტურ საცხოვრებელ, სამეურნეო და

თვითდაცვითი ნაგებობებით, ზეპირსიტყვიერებით, სიმღერითა და ცეკვებით, ფოლკლორით, საზოგადოებრივი ფორმების მოწყობით და ასევე ხალხური დღესასწაულებითა და რელიგიური წარმოდგენებით საერთო ქართული კულტურის და ყოფის ფორმების ლოკალურ ვარიანტებს წარმოადგენს (ხარაძე, რობაქიძე 1964: 116).

სწორედ ამ ერთობლივ მონოგრაფიაში – „სვანეთის სოფელი ძველად“, მათ დაგვანახეს ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის კლემენტების ფორმირების პროცესში, სვანეთისთვის დამახასიათებელი ეთნოლოგიური თავისებურებები, რომლებიც ღირებულ საბუთს წარმოადგენდნენ სხვადასხვა პირობებსა და პერიოდებში განსხვავებული საზოგადოებრივი საფეხურების ჩამოყალიბების წარმოსაჩენად.

ამ ნაშრომში, როგორც ბალსზემო, ისე ბალსქემო და ქვემო სვანეთის დასახლების ფორმები და საზოგადოებრივი ყოფაა შესწავლილი. ყურადღება დასახლების ძველი ტიპებისაკენ არის მიკურობილი, რომლებიც მონუმენტური ნაგებობების არსებობით ხასიათდებოდნენ. წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ეტაპების ასეთი დასახლებები წარმოშობის პროცესს დიდხანს ინარჩუნებდნენ, არქეოლოგიური მასალის ხარისხს იძენდნენ და ამასთან, ცოცხალი ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობასაც ინახავდნენ. დასახლების უძველესი ფორმები და სტრუქტურის საფუძვლები, მათ მიერ ყველაზე მკვეთებდ ბალსზემო სვანეთში იქნა გამოყოფილი.

რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის ვარაუდით, ზოგიერთი ჩვენამდე მოღწეული მაღალმთიანი დასახლება განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში, მნიშვნელოვანი ნაწილი კი, ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. ადრეული სოციალური ურთიერთობების ფორმების პირობებში, ეს დასახლებები დიდი დროის მანძილზე არსებობდა – მთური მეურნეობის, უცხოელი დამცყრობლების თავდაცვითი ბრძოლებისა და ადგილობრივი ფეოდალების უფლებების მოთხოვნის წინააღმდეგ. მათი აზრით, საქართველოს დაბლობში კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე დაწყებულიყო, მაგრამ

მაღალმთიან რაიონებში სოციალური ურთიერთობის ფორმები, დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემაღებელ ნაწილს შეადგენს.

ავტორები დასახლების ფორმების შესწავლის დროს, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, მცირემიწიანობის, ხევის შეჯგუფებულ დასახლებას ითვალისწინებდნენ, სადაც მოსახლეობის მიერ კარგად დამშავებული და მუდმივად დაცული კომუნიკაციის სისტემა არსებობდა. ხევის სამეურნეო ნაკვეთებთან დაკავშირებით დამასასიათებელი იყო ხევის ცენტრში მოსახლეობის საზოგადოებრივი თავშეყრის „დალბორის“, ასევე სასოფლო „სვიფების“ (ხარაძე 1953; ხარაძე, რობაქიძე 1964: 75-85), მაღალ მთაზე სალოცავების არსებობა და მათი მნიშვნელობა. ირკვევა, რომ სვანეთის მომორებულ რაიონებშიც კი, ამ დროისათვის დასახლების საგვარო პრინციპს თავისი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. ამ ძველსა და ტიპიური დასახლების ფორმაში საცხოვრებელი ნაგებობები, მონუმენტური და მრავალსართულიანი იყო. ერთიან კომპლექსში საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები ვერტიკალურ პლანში იყო განაწილებული. ციხე-სახლების კომპლექსები ავტორთა თვალსაზრისით, მრავალპროფილიან ეკონომიკურ მეურნეობას, მესაქონლეობას უბირატესი მნიშვნელობით ემსახურებოდნენ. თანდათან მოსახლეობა ამ კომპლექსებს ცალკე დამოუკიდებელ ნაგებობებს – კოშკებს უშენებდნენ, რომელთაც თავდაცვითი ფუნქცია ენიჭებოდათ, რითაც განსხვავება იქმნებოდა. ანგოთარების შემდეგ სტადიაზე კი, ამ კომპლექსებს გარს ძლიერი ქვის გალავანი ერტყმოდა. ავტორთა აზრით, გვიანფერდალურ საქართველოს ამ საცხოვრებელში დიდი ოჯახის ინტერესები ჩანდა. თუმცა, ციხე-სახლის განვითარება საზოგადოების დონის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ იძლეოდა რაიმე პრინციპულ განსხვავებას. მაგრამ, მათი ვარაუდით, კოშკი თავისი გაბარიტებით და თავდაცვითი სარისხით დიფერენციაციის არსებით ნიშნებს უკვე შეიცავდა. მართალია, სვანეთში ეს განსხვავება ჩვეულებრივ ფერდალურ იქრარქიის ჩარჩოებში არ თავსდებოდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საქმე მხოლოდ ქონებრივი განსხვავებით არ

იზღუდებოდა. რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის კვლევის შედეგად ციხე-სახლის გვერდით კოშკის და შემდეგ გარშემო გალავნის შექმნა ადრეფეოდალური ტიპის ფორმირების პერიოდის შენელოვანი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. ბალსხემო სვანეთში ამის გამოვლინებად დადგეშქელიანის სასახლე მიაჩნდათ, რომელიც, როგორც ჩანს, ადრეფეოდალურ ციხე-სიმაგრეზე მიუთითებდა, მაგრამ იგი გვიანფეოდალურ პერიოდს შეეფერებოდა.

ისტორიულად სვანეთის სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა. აქედან გამომდინარე, ქვემო სვანეთი გვიანფეოდალურ ხანაში სამეგრელოს მფლობელის მხარეს შეადგენდა. ბალსხემო სვანეთი დამოუკიდებელ სათავადოს წარმოადგენდა. ბალსხემო სვანეთი კი, ცენტრალური სახელმწიფო მმართველობისაგან დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. მათ მიერ სვანეთის სხვადასხვა რაიონებში სოციალური დიფერენციაციის სხვადასხვა ხარისხი იქნა დადგენილი და შესაბამისი სხვადასხვა ფორმები. დადგენილი სოციალური დიფერენციაციის ხარისხი მათ სოფელ ლახირის, ქვემო ეცერის, სოფელ ლატალის და ქვემო სვანეთის გამაგრებულ კომპლექსებსა და ფეოდალურ სასახლეებს დაუკავშირეს. მათი აზრით, ქვემო სვანეთის დასახლების ფორმა ტიპურ ფეოდალურ სოფელს შეეფერებოდა. ამასთან დაკავშირებით, განხილული აქვთ ქვემო სვანეთში დაფიქსირებული სოციალური დიფერენციაციის აღმნიშვნელ ტერმინთა სისტემა.

ამ ერთობლივ ნაშრომში რ. ხარაძემ პირველად წამოსწია და მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთ მხარეს დაუთმო, როგორიც იყო სოფლის ოფის სტრუქტურის საკითხი. ამ შემთხვევაში მის ამოცანას ტერიტორიული ოფის ჩამოყალიბების პროცესის კვლევა წარმოადგენდა. ველზე მუშაობის დროს, მისი ყურადღება ახლომდებარე სოფლების გაერთიანების ტრადიციამ მიიპყრო, რაც სოფლის ოფის განვითარების ძირითად ეტაპებში პოულობდა ახსნას. მან აღმოაჩინა, რომ როდესაც მსხვილმა ოფისმა გაერთიანებები ჩამოაყალიბებს, მათ მოგვიანებით მოელი ცალკეული ხეობები მოიცვეს (ხარაძე 1963: 387-402).

ისიც ადსანიშნავია, რომ ერთობლივ ნაშრომში აღ. რობაქიძემ მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზი მთიელთა სოციალური ურთიერთობის კვლევას დაუკავშირა. იგი მატერიალური ძეგლების შესწავლით საოჯახო ყოფის სოციალურ და საზოგადოებრივი ურთიერთობის აღრეულ ფორმებს იძიებდა (ხარაძე, რობაქიძე 1964: 63-76). ამ მეთოდის გამოყენება მთიელთა სოციალური პრობლემების შესწავლის დროს, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა და ბუნებრივია, იგი სწრაფად დაინერგა არა მარტო ქართულ ეთნოლოგიაში.

როგორც ცნობილია, აღ. რობაქიძემ თავისი მეცნიერული ცხოვრების მრავალი წელი სვანეთის კვლევას მიუძღვნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი პარალელურად ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის კულტურისა და ყოფის, ქართულ-კავკასიური ურთიერთობის საკითხებზე ფუნდამენტალურ ნაშრომებს ქმნიდა, ასევე აგრძელებდა ფიქრს „გვაროვნებული თეორიის“ გავრცელებულ კონცეფციაზე. მას სხვადასხვა ნაშრომში უკვე მრავალჯერ პქონდა გამოთქმული აზრი მთიელთა სოციალური სტრუქტურის შესახებ. მართალია, მან ეს საკითხი პირველად დასვა ნაშრომში „სვანეთის ხოფელი ძველად“ და პასუხიც იქვე გასცა. მაგრამ, კონცეფციაზე ფიქრი და მსჯელობა არ შეუწყვეტია. 1967 წ. ჟურნალ „სოვეტსკაია ეტნოგრაფიაში“ დისკუსია გაიმართა. იგი ძირითადად პატრონიმიული ორგანიზაციის გენეზისის სხვა სოციალურ ინტიტუტებთან მიმართებას ეძღვნებოდა. საბჭოთა მეცნიერები ცდილობდნენ საზოგადოების მრავალი ასპექტის ახლებურად განსაზღვრას გვართან, პატრონიმიასა და ოჯახთან მიმართებაში. მოძდევნო წელს, სწორედ ამავე ჟურნალში დაიბჭიდა აღ. რობაქიძის წერილი, რომელმაც პატრისიელ მთიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად პატრიარქალურ-გვაროვნებული ურთიერთობების გაბატონებული მოსაზრება სრულიად შეცვალა.

ამ პრობლემის ახლებურმა გადაჭრამ, მთიელთა საზოგადებრივი ცხოვრების და მით უმეტეს, პატრონიმიული ორგანიზაციის უშუალო კავშირი გვაროვნებულ საზოგადოებასთან საბოლოოდ გამორიცხა.

სწორედ ასეთი მიღვომა სოციალური პრობლემებისადმი გამოყენებულია ნაშრომში „სვანეთი“ (Робакидзе 1984). ნაშრომი, სვანური საცხოვრებლის ტიპოლოგიისადმი, მისი თავისებურებებისა და დასახლების ფორმებისადმი არის მიძღვნილი. მასში კულტურის და ყოფის ელემენტების კვლევის შექმნებით და დაგენილია ტრადიციული საცხოვრებლის ადგილი და გავრცელების არეალი საერთო ქართულ სამეცნიერო-კულტურაში. წარმოდგენილია საცხოვრებლისა და დასახლების ფორმის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ეთნოგრაფიული მასალის კარტოგრაფირების საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში სვანეთის მასალას მიმოიხილავს, იგი განმაზოგადებული ხასიათისაა. ყველა საკითხი ზოგადქართულ, ზოგადგაგასიურ ჭრილშია განხილული.

მეცნიერი ქვეყნის შიგნით არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებს – დასახლების, საცხოვრებლების, კულტურისა და ყოფის მსგავსი ელემენტების გავრცელების არეალის მიხედვით, სამ სივრცეს გამოჰყოფს:

დასავლეთ საქართველო, მთიანი მხარის საცხოვრებელი ტიპები და დასახლების ფორმები, რომელიც მისი ვარაუდით, მთიანი კავკასიის ერთ-ერთ ვარიანტსაც წარმოადგენს; მათი ანალოგები მას ოსეთში, ინგუშეთსა და დაღუსტანში აქვს დადგენილი. ამ ვარიანტში მას თავდაცვითი კოშკებიც შეჰყავს. მის მიერ დადგენილ კლასიფიკაციას სპეციფიკური დანიშნულება აკისრია. კავკასიური ეთნოგრაფიული მასალით, იგი საცხოვრებელი კომპლექსის მონაცემებს, კერძოდ, ფორმას, სამშენებლო მასალას და ფუნქციას ითვალისწინებს. კლასიფიკაციის მოცემულ სქემაში ცალკეული ტიპების სახით გამოყოფილი აქვს – დარბაზული საცხოვრებელი, ოდა ტიპის საცხოვრებელი და საცხოვრებელი კოშკი. სვანური საცხოვრებელი მრავალსართულიანი, მონუმენტური ქვის ნაგებობების ტიპშია შეყვანილი.

ამრიგად, ალ. რობაქიძემ სვანური საცხოვრებელი კომპლექსის შემდეგი ტიპები ჩამოაყალიბა – საცხოვრებელი კოშკი, საცხოვრებელი სახლი თავდაცვითი კოშკით, საცხოვრებელი სახლი თავდაცვითი კოშკითა და გალავნით. ამ

კომპლექსებს მან კიდევ ორი ფორმა – ერთი, საცხოვრებელზე გვიან მიშენებული კოშკი (თუმცა, თავდაცვით კოშკზე დაბალი) და მეორე – საცხოვრებელი კომპლექსი ამბრაზურით – „სვანირი“ და „სანცხვირი“ დაემატა.

სვანეთის სამეურნეო ყოფისადმია მიძღვნილი აღ. რობაქიძის ერთ-ერთი გვიანდელი მონოგრაფია (Робакидзе 1990). იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთიელთა სამეურნეო დარგების შესწავლაში საარქივო მასალების, სპეციალური ლიტერატურის და ახალი სავალე ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებას. მისი აზრით, სვანთა სოციალური სტრუქტურის თავისებურებებს, სამეურნეო ყოფის ძირითადმა ნიშნებმა შესამჩნევი კვალი დაამჩნია.

დასახლების ძირითადი ფორმის პარალელურად, მას სვანეთში მთის სამეურნეო ბაზები აქვს გამოვლენილი. მიწის საკარგულები – სახვნელი, სათიბი, საძოვარი – გერტიკალურ-ზონალურ დაგეგმარებაშია მოთავსებული. ავტორი მთის ინტენსიურ მემინდვრეობას, ალპურ მესაქონლეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მოლიანობაში შეისწავლის. მისი ვარაუდით, სვანთა სამიწათმოქმედო კულტურის შესწავლა ეთნოლოგიური მონაცემებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე ისტორიული და არქეოლოგიური მასალით. სვანეთის სამეურნეო ყოფის კვლევის შედეგად, მისი ცალკეული, ლოკალური და ტიპოლოგიური თავისებურებების საფუძველზე, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სინთეზური ხასიათი გამოვლინდა.

მეცნიერი სვანთა ყოფისადმი დიფერენციაციული მიღობმის აუცილებლობაზე მიუთითებს და ბალსზემო, ბალს-ქვემო და ქვემო სვანეთში მიწაზე საკუთრების ფორმებში განსხვავებებს აფიქსირებს. ეს მას ბუნებრივად მიაჩნია, რადგან გვიანფეოდალურ პერიოდში ბალსზემო სვანეთი უბატონო რეგიონად ითვლებოდა, ბალსქვემო დადეშქელიანის მფლობელობაში იყო, ხოლო, რაც შეეხება ქვემო სვანეთს, იგი სამეგრელოს სამთავროში შედიოდა. საკუთრების ფორმები საგლეხო რეფორმების მასალებში, რომელიც სვანეთის სამივე რეგიონში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში იყო გატარებული, შედარებით მკვეთრად აისახებოდა. ავტორს, შიდარეგიონალური თავისებურებების

გათვალისწინებით საოჯახო-სათემო საკუთრების ფორმები კარგად აქვს წარმოჩენილი.

ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სამეურნეო დარგებთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი – მთივ-ლების (რეგიონების მიხედვით) სამეურნეო ცხოვრების წესი, რომლის შესწავლას კომპლექსურად უდგება. მიწათმოქმე-დებასთან დაკავშირებული შრომის იარაღები, მეურნეობა-სთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ა.შ.

თავისთავად ცხადია, ეს ნაშრომიც ზოგადქართული და ზოგადყავყასიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, სადაც სვანეთის სამეურნეო ყოფას თავისი საკუთარი ადგილი აქვს მინიჭებული.

სვანთა საოგაოებრივი ყოფისადმი მიძღვნილი მონოგ-რაფია (Робакидзе 1993), ალ. რობაქიძეს უკვე გამზადებული ჰქონდა დასაბეჭდად, მაგრამ, სამწუხაროდ, მის გამოქვეყ-ნებას იგი ვერ მოესწორ.

ამ ნაკვეთის სათაურიდანაც – „სვანთა საზოგადოებრი-ვი ყოფის ნარკვევები“ კარგად ჩანს, რომ იგი ისტორიული სვანეთის განვითარების პროცესში სვანთა საზოგადოებ-რივი ყოფის თავისებურებებისადმია მიძღვნილი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ გამორჩეულ ნარკ-ვევებს ღრმად განსწავლული და ერუდირებული მეცნიერის ხელი ეტყობა. პირველ თავში, სვანთა უძველესი და შემდ-გომი ტერიტორიული განსახლების, ეთნიკური ისტორიის და ქართველი ხალხის საერთო ისტორიაში მათი ადგილია დადგენილი. უხვი წერილობითი და საკითხზე შექმნილი თითქმის ყველა ლიტერატურული წეაროს გამოყენებითა და მაღალი დონის ანალიზით, ეს ნაშრომი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ეთნოლოგმა ისტორიული მა-სალა.

ნაშრომში კარგად ჩანს ქართველი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში სვანთა მონაწილეობის ინტენ-სიური ხასიათი, მით უმეტეს, ქართული ფეოდალური მონა-რქის აყვავების პერიოდში. საუბარია სვანთა ეთნიკური მდგრადობის მნიშვნელოვან ხარისხზე, რომელიც უძველესი ნიშნების საერთო ქართველურ სოციალურ-კულტურულ

ტრადიციაში ეგზოგენური ელემეტების აუცილებელ ინკორპორაციას, „ტომობრივი ენის“ მდგრად შემონახულობას უზრუნველყოფდა. სვანები აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესშიც იღებდნენ. ამავე დროს, საქართველოს მთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სვანებში ქრისტიანებამ ფეხი უკეთ მოიკიდა, რაც ქრისტიანული ძეგლების სიმრავლით, რელიგიური ლიტერატურით, ხატწერისა და ფრესკული მხატვრობის არაჩვეულუბრივი ნიმუშებით დასტურდება.

მეორე თავში, თანამედროვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურაა განხილული. სვანთა საზოგადოებრივი ყოფის საკითხები ზოგიერთ ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული.

მესამე თავში საოჯახო და პატრონიმიული საკუთრების ფორმებია განხილული. საქართველოს სხვა რეგიონებისა და ჩრდილო კავკასიელი მთიელების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქჩე ზოგიერთი სოციალური ტერმინის არსია გახსნილი. დადგენილია სვანთა ძირითადი სოციალური სტრუქტურის ხასიათი, ოჯახის საკუთრების ფორმები და ა.შ.

მეოთხე თავში ფართოდ არის შესწავლილი სვანური სოციალური ტერმინოლოგია, მათ შორის – ერისთავთერისთავი, ერისთავი, თავადი, ფუსდი, აზნაური, ბატონი, გლეხი, ყმა, ფამლი, ქოსმერდე, ლიდინე, ჯელჩი, ხასა, ლახირი და ა.შ.

ნარკვევის ამ ნაწილში შესწავლილ პრობლემებთან დაკავშირებით „მთური ფეოდალიზმის“ (ტერმინი, რომელიც ზ. ანჩაბაძესთან ერთად შემოიტანა ისტორიულ და ეთნოლოგიურ მიმოქცევაში) საკითხია დასმული. საკითხის ღრმა ანალიზის შედეგად იგი მიდის დასკვნამდე, რომ როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო კავკასიის მთაში, ადრეფეოდალური და სათქმო ურთიერთობები თანაარსებობდა. იგი ამით ადრე გამოიქმულ უსაფუძვლო მოსაზრებას – თითქოს გვაროვნული წყობილების ხანგრძლივი რღვევის პროცესში, საქართველოს მთაში ადრეკლასობრივი საზოგადოების აღმოსავლური ტიპის მონათმცვლობელობა არსებობდა, საკუთარი მტკიცებულებებითა და დასკვნებით სრულიად

აბათილებს. ამასთან იგი წერს, რომ „ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია გ. მელიქიშვილის დებულება, რომელიც მთურ ფეოდალიზმს თვლის „ქლასობრივი ურთიერთობის განვითარების სტადიალურ უფრო დაბალ საფეხურად, ვიდრე დასავლეთ ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებას“ და ამასთან ერთად, „ტიპოლოგიურად განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურას ხედავს“. იგი თვლის, რომ უკეთესია გ. მელიქიშვილის მიერ შემოთავაზებული „პროტოფეოდალური“ ტერმინი გამოიყენოს სვანური საზოგადოებისთვისაც, რაც, ბუნებრივია, მთლიანად არ ემთხვევა „მთური ფეოდალიზმის მნიშვნელობას (Robakidze 1993: 135).

ამრიგად, ამ დაწლმოსილი მეცნიერის სამტომეულში განხილული პრობლემები უფრო ფართოდ, სრულიად ახლებურად, ზოგადქავკასიურ დაზოგადთეორიულ ჭრილშია დანახული და გაანალიზებული.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ალ. ობაქიძის მიერ სვანეთის ეთნოლოგიის შესწავლის საქმეში შეტანილი კიდევ ერთი დამსახურებული წვლილის შესახებ. ალ. ობაქიძე სვანური ეთნოგრაფიული მექანიდრეობის მიმართ ყოველთვის დიდ ყურადღებას იხენდა.

მან სხვადასხვა გაზეობსა და ჟურნალებში ბესარიონ ნიუარაძის („თავისუფალი სვანის“) მიერ გამოყენებული ეთნოგრაფიული წერილები შეკრიბა და გამოსცა. ამ წერილებში ასახული იყო ქართველი ხალხის (სვანთა) სოციალურებრომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეული მხარეები. სვანების სამეურნეო ყოფის თავისებურებანი, მმართველობის სისტემა, საადგილმამულო ურთიერთობის ფორმები, ძველთაგან მომდინარე წესჩვეულებანი, ადრეული რწმენა-წარმოდგენები, თაობათა მანძილზე დაცული თქმულება-გადმოცემები, რომლებიც სვანეთმა ამა თუ იმ სახით შემოინახა და ქართველი ჩვეულებითი სამართლის მასალები. ალ. ობაქიძემ ეს მასალები ორ ტომად ააწყოდა 1964 წ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ სახით გამოაქვეყნა. სვანეთის ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში ამ ორტომეულს დირსეული ადგილი უკავია.

ამრიგად, ღვაწლმოსილი მეცნიერების, რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის, ღირსეულ მეცნიერულ მემკვიდრეობას ქართულ და ზოგადკავკასიურ ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. უაღრესად განათლებულმა და მკვლევრის იშვიათი ალლოთი დაჯილდოებულმა ეთნოლოგებმა ქართული და კავკასიური ეთნოლოგია მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანეს, რითაც ქართველ გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადი მოღვაწთა გადლერეაში გამორჩეული ადგილი სამართლიანად დაიმკვიდრეს.

დამოწმებული ლიტერატურა

ხარაძე, რობაქიძე 1964 – რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

ხარაძე 1938 – რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, ტფილისი, 1938.

ხარაძე 1953 – რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, VI, თბ., 1953.

ხარაძე 1963 – რ. ხარაძე, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებები სვანეთში, მსე, XII-XIII, თბ., 1963.

Робакидзе 1984 – Робакидзе А. И. Сванети, I, Тб., 1984.

Робакидзе 1990 – Робакидзе А. И. Сванети, Основные Черты хозяйственного быта в Сванети , Тб., 1990.

Робакидзе 1993 – Робакидзе А. И. Очерки общественного быта сванов, Тб., 1993.

Харадзе 1960 – Харадзе Р. Л. Грузинская семейная община, I, Тб., 1960.

Харадзе, 1961; Харадзе Р. Л. Грузинская семейная община, II, Тб., 1961.

როლანდ თოფჩიშვილი

რეცენზია

ნოდარ ქახიძის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, ხელნაბეჭდი 296 გვ.

მე-20 საუკუნის ქართულ ეთნოლოგიაში ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფის, ქართული ეთნიკური კულტურის შესახებ არაერთი მაღალმეცნიერული გამოკვლევა შეიქმნა. დღეს ეთნოლოგიის სფეროში თავს იჩენს კვლევის ახალი ასკექტები და მიმართულებანი, მაგრამ ტრადიციული ოქმა-ტიკიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლი და გამოსამზეურებელია, რაც საშუალებას გვაძლევს ესა თუ ის საკითხი არა მარტო წმინდა ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური პრობლემების თვალთახედვით ვიკვლიოთ, არამედ ის ისტორიულ ჭრილშიც წარმოვაჩინოთ. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნოდარ კახიძის ნაშრომი სწორედ ასეთი პრობლემის ისტორიულ-ეთნოლოგიური გადაწყვეტის წარმატებულ ცდად მიგვაჩინა.

ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხი ქართულ ეთნოლოგიაში აქამდე შეუსწავლელი არ ყოფილა. პირიქით, ამ თემაზე მრავალი საყურადღებო ნაშრომია შექმნილი და მათ შორისაა ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ნოდარ კახიძის გამოკვლევებიც. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი და გამოსამზეურებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო, რაც თავს იდგა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა. ყველაზე საყურადღებო კი ისაა, რომ ავტორმა ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები გამოწვლილვით შეისწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონში, რომელთაგან ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დღეს საქართველოს სახელმწიფოს

საზღვრებს გარეთაა (შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი...). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტით შესწავლა არის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი, რასაც ნოდარ კახიძემ სათანადოდ გაართვათავი. გაგუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: ნაშრომში დასაბუთებულია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული ფაქტობრივად საერთო ეთნიკური კულტურის მატარებელი იყო, მიუხედავად მისი ერთი დიდი ნაწილის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნისა. ამასთანავე, სადისერტაციო ნაშრომში ისიც დასაბუთებულია, და ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ პროვინციებს, მიუხედავად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლისა, არ დაუკარგავს ქართული ეთნოგრაფიული რეალიები (ამ შემთხვევაში ხელოსნობის სფეროში) და მუძმივი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ მხარეებთან.

ზოგიერთი რამ ნაშრომის სტრუქტურის შესახებ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იგი შედგება შესავლის, უქსითავისა და დასკვნებისაგან. მასში არაა გამორჩენილი ქართული ხელოსნობის არცერთი დარგი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ისტორიულად გამორჩეული იყო ოდითგანგვე აქ არსებული მეტალურგიული წარმოებისა და მისგან გამომდინარე სამჭედლო საქმიანობით. აქ უმაღლეს განვითრებას მიაღწია ხალხურმა ხითხურობამ და ქვითხურობამ; აქ დამზადებული როგორც ცივი, ისე ცეცხლსასროლი იარაღი მოელს ახლო-მახლო რეგიონში დიდი მოწონებით სარგებლობდა; აქვე არსებობდა ორიგინალური კერამიკული და საფეიქრო წარმოება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სადისერტაციო ნაშრომის ავტორს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამზადებულ ხელოსნობის ბევრ ნაწარმს საქართველოს სხვა კუთხეებში ანალოგი არ მოეპოვება და რომ, ამავე დროს, ის საერთო ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ყველა პრობლემა, რომელიც ნოდარ კახიძემ შეისწავლა სათანადოდაა გამოკვლეული და გააზრებული. მას არ გამორჩენია არც ერთი საკითხი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოს, საერთოდ, საქართველოს ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით შესწავლასთან იყო დაკავშირებული. ამდენად, გამოკვლევა შეიცავს ბევრ ისეთ ასპექტს, რომელთა მეცნიერული მნიშვნელობა სცილდება საკვლევი რეგიონის ფარგლებს და ზოგად ქართულ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. ნაჩვენებია ის წვლილი, რაც საქართველოს აღნიშნულმა მხარემ შეიტანა საქართველოს ისტორიაში, ქართველი ხალხის საერთო კულტურული მემკვიდრეობის საგანმურში. სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ასპექტები და მისი მნიშვნელობა ქართული მრავალდარგოვანი ხელოსნობის ჩასახვა-განვითარებაში. არაერთი საკითხი ნოდარ კანიძის მიერ პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და ახლებურადად გადაწყვეტილი ხელოსნობის ცალკეული დარგების ჩასახვა-განვითარების საკითხები.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა, შეიძლება ითქვას, მრავალ ეთნოგრაფიულ რეალიას სულზე მიუსწრო, არაერთი წეს-ჩვეულება, ტრადიცია დააფიქსირა და შთამომავლობას შემოუნახა, რადგან დღეს უკვე მათი დაფიქსირების შესაძლებლობა თითქმის აღარაა. ამავე დროს, ის ეყრდნობა არა მარტო მის მიერ მოპოვებულ ორიგინალურ ეთნოგრაფიულ მონაცემებს, არამედ წინამორბედ მკვლევართა გამოკვლევებს. მას სავალე მუშაკთა მიერ დაფიქსირებული არც ერთი ნიუანსი არ რჩება მხედველობის არიდან. ნოდარ კანიძის სამეცნიერო გამოკვლევის ბაზა არის ფართო. საკუთარი და კოლეგების ეთნოგრაფიული მონაცემები მას გააზრებული აქვს იმ სამეცნიერო პროდუქციის ფონზე, რომელიც უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში შექმნილა. ამასთანავე, სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს ქართული შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლები, აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომელთა საფუძვლიანმა ანალიზმა მას საშუალება მისცა მთელი რიგი ქართული ხელოსნური დარგების ჩასახვა-განვითარების, თაობიდან თაობაზე გადაცემის სურათი ნათლად დაენახა. ამასთანავე, ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა აუცილებლად

მოითხოვდა ქართველ არქეოლოგთა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის გათვალისწინებასაც, რაც ავტორს შესანიშნავად აქვს გაპეტებული. ასე რომ, ნოდარ კახიძის მიერ შესრულებული სადოქტორო დისერტაციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს დასრულებულ ისტორიულ-ეთნოლოგიურ ნაშრომთან, რომელშიც დასმულია და გადაწყვეტილია არამარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არამედ საერთოდ ქართული ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები მისი ჩასახვა-განვითარების დღიდან დღვევანდლამდე. ამასთანავე, ნოდარ კახიძის განსახილველი მონოგრაფიული ნაშრომის გათვალისწინება უთუოდ დასჭირდებათ მეზობელი ქვეყნების (თურქეთი, სომხეთი) შესაბამისი დარგის მკვლევრებს.

დისერტაციაში არა არის გამორჩენილი ხელოსნობის არც ერთი დარგი. შეძლებისდაგვარად დისერტანტი ვრცლად საუბრობს თითოეულ დარგზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იყო განვითარებული. ნოდარ კახიძე თითოეული ხელოსნობის დარგს შეისწავლის მისი ჩასახვა-განვითარებიდან დღემდე და ხშირ შემთხვევაში მკითხველს ანახებს ამა თუ იმ დარგის უწევებ განვითარებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ჭოროხის ხეობა, სადაც ისტორიულად წარმოდგენილი იყო მეტალურგია და მისგან აღმოცენებული სამჭედლო ხელოსნობა.

რკინის წარმოების განვითარების გარეშე წარმოუდგენილი იქნებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარა, ლაზეთი) „ხის მუშაკობის“ მაღალ დონეზე აყვანა. ამ თვალსაზრისით ორიგინალური იყო ე. წ. „ლაზური ცული“, რომელიც მხოლოდ ამ რეგიონში დასტურდება. ასე რომ, სამართლიანია სადისერტაციო ნაშრომის ავტორის დასკვნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რკინისა და ხის ხელოსნობის ურთიერთგადაჯაჭვით არსებობის შესახებ.

ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ავტორი გამოყოფს სამჭედლო საქმიანობის მთავარ პუნქტებს.

მნიშვნელოვანია ნოდარ კახიძის დასკვნა, რომ ყოფაში შემორჩენილი სამეურნეო-საწარმოო იარაღები გარკვეულ კონსტრუქციულ მსგავსებას ავლენს აქვე არქეოლოგიურად მოძიებულ ბრინჯაოსა და რკინის შესაბამის იარაღებთან,

რაც მეტალურგიული და სამჭედლო ხელოსნობის უწყვეტ ტრადიციებზე მიუთითებს.

დამაჯერებელია სადისერტაციო ნაშრომის ავტორის და-სკვნა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო საბრძოლო იარაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო საქართვე-ლოში. აქ დამზადებული „მაჭახელად“ ცნობილი იარაღები ცნობილი იყო საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ მხარეებში და საქართველოს გარეთაც. ამ ტრადიციის გაღრმავების ნაც-კლად, სამწუხაროდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ის შეწყდა მუპაჯირ-ხელოსანთა ოურქეთში გადასახლების და იაფი ქარხნული ნაწარმის გავრცელების შედეგად.

ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ეთნოგრაფიულად იმ მხრი-ვაც გამოირჩეოდა საქართველოს სხვა ეთნოგრაფიული მხა-რეებისაგან, რომ ის „ხის მუშაკობით“ განთქმული მხარე იყო. დისერტანტი ამას სათანადო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემებით ადასტურებს. ორიგინალური ორნამებრით ხის სახლებს აქაურები მხოლოდ აქ როდი აშე-ნებდნენ. ისინი ამ საქმის რეალიზაციას საქართველოს სხვა მხარეებშიც ახდენდნენ, რაც გვიდასტურებს მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას (ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ გეგმ-შიძე), რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის მჭი-დრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები არსებობდა. ბუნებ-რივია, აჭარელმა და ლაზმა ხალბურმა ოსტატებმა მაღალ დონეზე აიყვანეს აქ შექმნილი ტრადიციები, რომ ბევრი რამ მხოლოდ მხოლოდ ამ რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი.

დისერტანტი სათანადო ყურადღებას აქცევს ხელოსნო-ბის ისეთ სფეროს, როგორიცაა ქვითხუროობა. ნაშრომიდან ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქვითხურო-ობაც ორიგინალურობით გამოირჩეოდა, რომლის ტრადიცი-ასაც საფუძველი საუკუნეების სიღრმეში აქვს. საქართველოს ეს რეგიონი გამოირჩეოდა ქვის თაღიანი ხიდების მშენებლო-ბით, საწნახელებისა და საცეხველების დამზადებით. აჭარა-ში და შავშეთში დამზადებული წისქვილის ქვები ახალცი-ხესა და ფოცხოვშიც გაპქონდათ გასაყიდად. ამ თავთან და-კავშირებით გვაქვს შენიშვნა. დისერტანტის მიერ დამოწ-მებული ნაშრომების სია სრულყოფილი არაა. ის არ იყენებს

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ელდარ ნადირაძის ნაშრომებს, რაც, მით უმეტეს, აუცილებელი იყო, რადგან ნოდარ კახიძე ხელოსნობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას და ქვითხურობის საკითხსაც განიხილავს საერთო ქართულ კონტექსტში.

სწორია ავტორის დასკვნა, რომ ისლამის გავრცელებამ ერთგვარად დაღი დასვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კერამიკულ ხელოსნობას, რამაც აქ დიდი და პატარა ქვევრების წარმოების შეწყვეტა გამოიწვია. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის ქვევრები იმას ადასტურებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არა მარტო კერამიკის ეს სფერო იყო სათანადოდ მაღალ დონეზე, არამედ მევენახერობა-მედვინეობაც. თუმცა, მაინც უნდა ითქვას, რომ კერამიკულ ჭურჭელს ადგილობრივი ქართველები ბოლო დრომდე გამოიყენებდნენ, მაგალითად, იმერხევში ბოლო დრომდე ჭურში ინახავდნენ თაფლს, ამწნილებდნენ მათვის სასურველ ხილსა თუ ბოსტნეულს.

გასაზიარებლად მიგვაჩნია დასკვნა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარების მაღალ დონეს ისიც განაპირობებდა, რომ აქ ნიადაგი მწირი იყო და არ იძლეოდა სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების) ინტენსიური განვითარების საშუალებას. მაგალითად, ბორჩხაში მეთუნეობის მაღალი დონე ერთგვარად განაპირობა აქაურმა მწირმა ნიადაგმა.

ნოდარ კახიძის სადისერტაციო ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველო გარე სამყაროსაგან ჩაკეტილი არასდროს ყოფილა. მაგალითად, მეთუნეობაში ჭურჭლის დამზადების სამხრეთ-დასავლური ქართული ტექნოლოგია მსგავსებას ამჟღავნებს ძველ აღმოსავლურ და შუაზიურ ტექნოლოგიებთან.

დისერტანტს მაჭახლის ხეობაში დადასტურებული აქვს ჩოხა-შალის ქსოვაში მამაკაცის მონაწილეობის ფაქტები, რაც აქ ისლამის გავრცელების შედეგად თურქთაგან ნასესხები ნოვაცია იყო. მიუხედავად ამისა, ნოდარ კახიძის გამოკვლევა გვაძლევს საფუძველს დაგასკვნათ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ხელოსნობის დარგში

კვლავ მყარად ინარჩუნებდა ტრადიციული ეთნიკური კულტურის ელემენტებს. არაქართველი ეთნიკური გავლენა ძირითადად ტერმინოლოგიაში შეიმჩნევა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის ტრადიციის ოჯახისა და გვარის წევრებზე გადაცემა, გასაიდუმლოება, უდავოდ უძველესი წესია, რომელსაც პარალელები სხვა ხალხებში არ ეძღვნება.

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვანი მონაკვეთია ქვეთავი, რომელიც ხელოსანთა ვინაობასა და ეთნიკურ შემადგენლობას ეხება. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ XIX საუკუნიდან საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის საქმე ძირითადად არაქართველების ხელში გადავიდა, რაც აქ ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის ინტენსიური შემოსახლებით იყო განპირობებული, ე. ი. ეს პროცესი პოლიტიკური მოტივებითაც იყო გამოწვეული. ქალაქად თუ ხელოსნობაში პრიორიტეტი არაქართულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა მოიპოვეს, სოფლად ტრადიციულად ისევ ადგილობრივი ქართველი ხელოსნები შრომობდნენ.

ავტორს შეხდველობიდან არ რჩება ის ტრადიციული გვარები, რომლებიც განთქმული იყვნენ სხვადასხვა ხელოსნური საქმიანობით.

საქართველოში, კონკრეტულად მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხელოსნობის დარგების ტრადიციულობის, მრავალფეროვნების და დაწინაურებულობის დასადასტურებლად დისერტანტს ყურადღების სფეროდან არ გამორჩა ონომასტიკური მასალაც (გვარსახელები, ტოპომიმები).

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გვიანი შუა საუკუნეებიდან თურქეთის გამგებლობაში აღმოჩნდა, ამ პოლიტიკურმა მომენტმა ვერ დაარღვია ამ რაიონების ერთმანეთს შორის და მის გარეთ არსებული ტრადიციული გაცვლა-გამოცვლითი და სავაჭრო ურთიერთობანი. ეს ნათლად ჩანს დისერტაციის იმ ადგილებიდან, სადაც ხელოსნური ნაწარმის გასაღების პრობლემებზეა საუბარი.

ბატონ ნოდარ კახიძის სადოქტორო დისერტაცია მთლიანად პოზიტიური ნაშრომია, იგი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ეთნიკური კულტურის ისეთი სფეროს შესახებ,

როგორიცაა ხელოსნობა. რაც მთავარია, ყველა საკითხს ის განიხილავს ისტორიულ ჭრილში და საქართველოს დანარჩენ მსარეებთან მჰიდრო კავშირში.

გვაქვს ორიოდე შენიშვნაც. 141-ე გვერდზე კითხულობთ: „ჩაქურა მასრებიანი ზედა ტანითა და განიერი, ნაოჭიანი შარვლით, რომელიც შემონახული იყო აჭარის, შავშეთ-იმერებევის, ლაზეთის (აგრეთვე გურიის) ეთნიკურ გარემოში“. ვფიქრობთ, რომ აქ სიტყვა „ეთნიკური“ სრულიად ზედმეტად არის ნახმარი. ამ შემთხვევაში მკითხველს შეიძლება შთაბეჭდილება დარჩეს, რომ საუბარია სხვადასხვა ეთნიკურ გარემოზე (აჭარის, შავშეთ-იმერებევის, გურიის...). სინამდვილეში ყველა ეს მხარე ერთიანი, ერთი ქართული ეთნიკური კულტურის მატარებელი იყო. აქ უბრალოდ ლაფსუს კალამთან გვაქვს საქმე და სიტყვის „ეთნოგრაფიული“ ნაცვლად „ეთნიკური“ იქნა გამოყენებული.

დისერტაციაში მოყვანილია ფრიდრიხ ენგელსის ციტატა და ამას ავტორიც ეთანხმება, რომ შრომა იარაღების დამზადებით იწყება. ვფიქრობთ არაა სწორი. საქონლის გადარეკვას იარაღების დამზადებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აგრეთვე, მაშინ უნდა დავასაბუთოთ, რომ შემგროვებლობა შრომითი პროცესი არაა.

გასაზიარებელია, რომ სამხერეთ-დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის დარგები ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ, ცხადია, რომ ყველაფერს ჩვენი წინაპრები ვერ შექმნიდნენ. ისინი შემოქმედებითად ითვისებდნენ სხვათა კულტურულ მიღწევებს, რაც ერთგვარი პლუსიც იყო. მაგრამ სასურველი იყო ამ ოვალსაზრისით სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენები ყოფილიყო, შემოქმედებითი კონტაქტები ქართულ კულტურულ სამყაროს რომელ კულტურულ და ცივილიზებულ სამყაროსთან ჰქონდა.

დისერტანტი იზიარებს მოსაზრებას, რომ XI-XII საუკუნეებში შორს „მოსარეწლად“ თავისუფალი ხელოსნები დადიოთქნენ. ეს შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ამ მასალით იმის აღნიშვნა, რომ „XI-XII საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მწარმოებელი საზოგადოების განგლეხების პროცესი, რომ იურიდიულად მწარმოებელთა ძირითად მასას

ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანის სტატუსი პქონდა შენარჩუნებული და პირადი თავისუფლების მქონე უშუალოდ მწარმოებელი იყო“, არ მიგვაჩნია გამართლებულად.

ამ შემთხვევაში აუცილებელია დიფერენცირებული მიღება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისადმი, რადგან ისინი სხვადასხვა გეოგრაფიულ და ბუნებრივ პირობებში მდებარეობდნენ. ერთი რეგიონიდან მეორეში სამუშაოდ სიარულის ფაქტორით შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ქვეყნის სოციალური განვითარების შესახებ არ გამოგვადგება. ბუნებრივია, მთის რეგიონები სოციალურად ისევე განვითარებული არ იყო როგორც ბარისა და აქ თავისუფალი მწარმოებელიც უფრო მეტი იყო. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთა ყოველთვის გადამეტსახლებული იყო და აქ მცხოვრებს არ შეეძლო მიწის მოსავლით ერჩინათ თავი, ბუნებრივია, ეს ასეთ რეგიონებში იწვევდა თავის რჩენის საშუალების ძიებას და მათ შორის ხელოსნობის სხვადასხვა დარგში დასპეციალებას და შორს „მოსარეწლად“ წასვლასაც. მათ ამ ფორმით არ შეეძლოთ ფეოდალისათვის სამსახური გაეწიათ? მით უმეტეს თუ უფრო მეტად ასეთ „მოსარეწლად“ სიარული სეზონური იყო. თუმცა შემდეგ 195-ე გვერდზე გარე სამუშაოზე სიარულს ნოდარ კახიძე წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებით ხსნის.

234-ე გვერდზე ვათხელობთ, რომ ახალციხის ძირითად მოსახლეობას მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები შეადგენდნენ და სომქეთა გადმოსახლების შემდეგ დემოგრაფიული სიტუაცია შეიცვალა. მართალია, სომქეთა გადმოსახლების შემდეგ დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთში უადგენად შეიცვალა, მაგრამ არაა სწორი ის, რომ მხარის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მართლმადიდებლები და კათოლიკე ქართველები შეადგენდნენ. XIX საუკუნის სტატისტიკური მონაცემებით ამ უკანასკნელთ ბევრად სჭარბობდნენ მაჰმადიანი ქართველები.

242-ე გვერდზე სადისევრტაციო ნაშრომის ავტორი ჩამოთვლის იმ ქართულ გვარსახელებს, რომლებიც უშუალოდ ხელოსნობასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ გვარებს შორის ნალბანდიანის გვარიც არის მოხსენიებული. ნალბანდიანი ქართული გვარი არაა.

სადისერტაციო ნაშრომში ვკითხულობთ, რომ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში ხელოსნობის თოთქმის ყველა სფერო აისახა, რაც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებისათვის ასე ფართოდ დამახასიათებელი არ არის“. ვფიქრობთ, ავტორი ამ შემთხვევაში ერთობ კატეგორიულია. ხელოსნობასთან დაკავშირებული ტოპონიმები თუ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებისათვის ისე ფართოდ დამახასიათებელი არაა, როგორც სამხრეთ-დასავლეთისათვის, მაშინ აუცილებელი იყო სათანადო დიტერატურის მითითება.

რეცენზიის ბოლოს ჩვენ მიერ ჩამოთვლილი რამდენიმე შენიშვნა თუ სურვილი ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს ნორდარ კახიძის მონოგრაფიულ გამოკვლევას. კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, რომ განსახილველი ნაშრომი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ეთნიკური კულტურის იმ სფეროს შესახებ, რომელსაც ხელოსნობა პქვია. ნოდარ კახიძემ დასვა პრობლემა და გადაჭრა კიდევ. დისერტაციის შინაარსი სრულადაა ასახული ავტორეფერატში. იმედია, რომ მაღალი სამეცნიერო საბჭოს წევრები ერთხმად დაუჭერენ მხარს ნოდარ კახიძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. ის უდავოდ იმსახურებს ძიებულ სამეცნიერო ხარისხს.

2001 წლის ოქტომბერი

ბეჭან ხორავა თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა

**რეცენზია ლატავრა ბუკიას მიერ ისტორიის
დოქტორის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე
„თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-
1956წწ.)“.**

თედო სახოკიას (1868-1956 წწ.) გამორჩეული ადგილი უკავია XIX-XX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა პლეადაში. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო: მწერალი, მთარგმნელი, ეთნოლოგი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, პედაგოგი, ამასთანავე – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობის ცალკეული საკითხები შესწავლილია გიორგი ჩიტაიას, ჯულიეტა რუხაძის, ვახტანგ შამილაძის, ვალერიან იოონიშვილის, სალომე ბახია-ოქრუაშვილის, თამარ ოქროშიძის, თინა შიოშვილის, პოლიტიკური მოღვაწეობის ცალკეული საკითხები – ვახტანგ გურულისა და აპოლონ სილაგაძის, რევაზ გრძელიძის, დიმიტრი შველიძის, რამაზ სურმანიძის მიერ. მიუხედავად ამისა, თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანობაში შესწავლილი არ იყო. არადა, თედო სახოკიას პიროვნება ნამდვილად იმსახურებს საგანგებო შესწავლას. დოგორც მწერალი ვახტანგ ჭელიძე აღნიშნავდა, ის იყო მოციქული XIX საუკუნისა. რატომ მოციქული? იმიტომ რომ, მას ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ვაჟა ფშაველასთან, სხვა მოღვაწეებთან და XX საუკუნეში მან მოიტანა მათი სული, XIX საუკუნის სული, ის არის ხიდის გამდები XIX საუკუნესთან. შემთხვევითი არ არის, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მწერალმა როსტომ ჩხეიძემ შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო ბიოგრაფიული რომანი სახელწოდებით „მოციქული“ (ქუთაისი, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ თედო სახოკიას ცხოვრება და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ცალკეული საკითხები

შესწავლიდი იყო, ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხანია იდგა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთლიანობაში შესწავლის აუცილებლობის წინაშე. ამდენად, მისასალმებელია დისერტანტ ლატავრა ბუკიას მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატური არჩევანი.

დისერტანტ ლატავრა ბუკიას მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი „თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956 წწ.)“ 234 ნაბეჭდ გვერდს მოიკავს. იგი შედგება შესავლის, ნაშრომის ზოგადი დახასიათების, 16 თავის, დასკვნის, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისა და ერთი დანართისაგან – თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის (1868-1956 წწ.) ქრონოლოგია.

შესავალში დისერტანტის მიერ ხაზგასმულია თემის აქტუალობა და კვლევის მიზანშეწონილობა. აქვე დისერტანტი მიმოიხილავს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან წყაროებს – საარქივო მასალებს, რომელიც მან საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში მოიპოვა, სათანადო ადგილი ეთმობა XIX-XX სს. ქართული და რუსული პრესის მასალებს, მემუარულ ლიტერატურას, მათ შორის, თედო სახოკიას მრავალფეროვან მოგონებებს. დისერტანტი კარგად იცნობს ასევე თემასთან დაკავშირებით შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას.

ნაშრომი აგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით და მასში თანმიმდევრულადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა: თედო სახოკიას ბავშვობა და ახალგაზრდობა. განათლება; თედო სახოკია 1890-1900 წლებში; პედაგოგიური მოღვაწეობა; პოლიტიკური მოღვაწეობა, პირველი ემიგრაცია (1900-1905 წწ.); საქართველოში იარაღის შემოგანის საქმე (1905 წ.); თედო სახოკია სოხუმში (1905-1908 წწ.); თედო სახოკიას ოჯახი; მეორე პოლიტიკური ემიგრაცია (1908-1916 წწ.); ერის სულიერების სამსახურში; საბჭოთა ხელისუფლების წლებში; თედო სახოკია – საზოგადოებრივ სამსახურში; თედო სახოკიას პუბლიცისტიკა, სამეცნიერო

და მთარგმნელობითი მოღვაწეობა; თედო სახოკიას წერილები; თედო სახოკიას სიცოცხლის ბოლო წლები.

თედო სახოკიას აღზრდა-განათლების ფონზე, დისერტაციებს კარგად აქვს ნაჩვენები XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამეგრელოში აღზრდა-განათლების სისტემა – საოჯახო აღზრდა, საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სამეგრელოს სასულიერო სახწავლებელი. კარგად არის წარმოღვენილი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი სასწავლო პროცესში; ამასთანავე ისიც, თუ როგორ აშორებდა თბილისის სასულიერო სემინარია, იქ გამეფებული რეჟიმით, სემინარიის მსმენელებს, დმურთხა და რწმენას. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკირი, რომ ბევრი ქართველი რევოლუციონერი თბილისის სემინარიაში სწავლობდა, მათ შორის მიხა ცხაკაია, რომელთანაც თედო სახოკია სემინარიაში სწავლის წლებში მეგობრობდა. სემინარიის წლებში თედო სახოკია დაწაფებული იყო ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, რომლებიც მაშინდელ ახალგაზრდებს სამშობლოს სიკუარულს უდივივებდა. ამიტომაც იყო, რომ თედო სახოკია ერთხანს, მიუხედავად მემარცხენებოციალისტური იდეებით გატაცებისა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ქართული ეროვნული იდეის მიმდევარი.

როგორც ჩანს, თედო სახოკიას ყოველთვის თუ არა, ხშირად უმართლებდა, როცა მის გვერდით ისეთი ადამიანები აღმოჩნდებოდნენ, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ მის ცხოვრებაში. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო პედაგოგი და პუბლიცისტი ანთომოზ ჯუდელი, რომლის რჩევითაც გადაწყდა, თედო სახოკია სასწავლებლად საზღვარგარეთ წასულიყო; შვეიცარიაში ჩასულს იქ დახვდა ქართველი მწერალი და მთარგმნელი ივანე მაჭავარიანი, რომლის დახმარებითაც დაეუფლა ფრანგულ ენას და უენევის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა.

აღსანიშნავია, რომ დისერტაციები აღადგინა თედო სახოკიას ბიოგრაფიის ფურცლები საარქივო მასალების, პირადი წერილებისა და საგაზირო პუბლიკაციების მეშვეობით. ასე მაგალითად, დაადგინა, რომ 1909-1910 წლებში იგი სწავლობდა ბრიუსელში ელექტროტექნიკურ სასწავლებელში, ასევე,

მისი ყოფნა ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში და მისი ცხოვრების დეტალები.

დისერტანტს კარგად აქვს ნაჩვენები, როგორ ჩამოყალიბდა თედო სახოკია როგორც საზოგადო მოღვაწე. 1888 წლის დასაწყისში თედო სახოკია საქართველოში დაბრუნდა. იმავე წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი პუბლიკაცია, ეს იყო ჟიულ ლემეტრის ნაწარმოების „მეფის ასული და მისი მიჯნურნი“, თარგმანი. 1889 წელს თედო სახოკიამ მუშაობა დაიწყო გორის მაზრის სოფელ ტირმინისში მასწავლებლად, ამ დროიდან მისი კორესპონდენციები ხშირად ქვეყნდებოდა „ივერიაში“. საგსებით სწორია დისერტანტის დასკვნა, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა თედო სახოკიას საშუალებას აძლევდა უკეთ გაცნობოდა ხალხს, მის ჭირ-ვარამს, ახლოს ყოფილიყო იმ ადამიანებთან, რომლებმაც ქართველი ერის, ქართული სულის გადაბერებისაგან გადარჩენა შეძლეს. იმავდროულად, პედაგოგიურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო მისი შემოქმედების გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას. თედო სახოკია სიამოვნებით აღნიშნავდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის მასწავლებლად მუშაობა, შიდა ქართლში დაიწყო მან ქართული ფოლკლორული მასალების შეგროვება, ქართული ხატოვანი თქმების შეკრება. ძალიან საინტერესო იყო მისთვის ნიკო ლომოურთან ურთიერთობა, რასაც ის სიამოვნებით იხსენებდა.

დისერტანტი თანმიმდევრულად გადმოსცემს თედო სახოკიას ჩამდას პოლიტიკურ საქმიანობაში, მის ჩამოყალიბებას ცარიზმის რუსიფიკაციორული პოლიტიკის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლად: თედო სახოკიას წვლილი „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ჩამოყალიბებაში (1892 წ.). და პირველი პატიმრობა (1894 წ.). 1898 წელს თედო სახოკია სოხუმში დამკვიდრდა. ამ დროს, სრულიად ახალგაზრდა, ისეთი დონის მოღვაწედ არის ჩამოყალიბებული, რომ ფაქტობრივი ხელმძღვანელი ხდება ჯგუფისა, რომელსაც ცარიზმის მოხელეები „თედო სახოკიას ქართულ პარტიას“ უწოდებდნენ (1898-1900 წწ.). 1900 წლის 3 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნაციორი მთავარმართებელს მოახსენებდა, „სახოკიამ სოხუმის ოლქში ქართული პარტია

ჩამოაყალიბაო“ და იქვე აღნიშნავდა ამ პარტიის მიზნებს: ღვთისმსახურება არა სლაგურ არამედ მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა სრულდებოდეს; საეკლესიო-სამრევლო სკოლებსა და კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებში, რომლებიც აფხაზეთისა და სამურზაყანოს ფარგლებშია, ყველა საგნის სწავლება მოეწყოს ქართულ და არა რუსულ ენაზე. თედო სახოკიას „ქართულ პარტიაში“ შედიოდნენ აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ანთომოზ ჯულელი, სპირიდონ ნორაკიძე, ივანე ბურჭულაძე, გრიგოლ კანდელაკი, ივანე გეგია, ივანე ჩხერიკელი და სხვები, ძალიან ფართო იყო თანამგრძნობთა და მხარდამჭერთა წრე.

დისერტანტს საგსებით სწორად აქვს დახასიათებული რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში და ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანი – აფხაზეთის ჩამოშორება საქართველოსაგან. ამ დროს აფხაზეთის ეკლესიებიდან და სკოლებიდან სრულიად განდევნილი იყო ქართული ენა. სოხუმის საკათედრო ტაძარში თვით აღდგომის დღესაც კი სახარება ქართულ ენაზე არ იკითხებოდა. სხვათა შორის, ამ ფაქტს დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა 1899 წელს ათონის მთასა და იერუსალიმში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული არქიმანდრიტი პეტრე კონჭოშვილი, რომელმაც სოხუმში გამოიარა. თედო სახოკიამ 1898 წელს საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანე გოროდეცკის (1898-1901წ). თხოვნით მიმართა იმის თაობაზე, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარში კვირაში ერთხელ ქართულ ენაზე ჩატარებულიყო ღვთისმსახურება ქართველი მრევლისთვის; ქართულ და რუსულ პრესში, მათ შორის, გაზეთში „Петербургские ведомости“ გამოაქვეყნა წერილები აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის საჭიროებებზე, ამ მხარეში, ეკლესიასა და სკოლაში ქართული ენის უგულვებელყოფაზე. სავსებით სწორია დისერტანტის დასკვნა, რომ ქართველი ინტელიგენციის ეს ჯგუფი აფხაზეთში ქართული ენისა და ქართული კულტურის დაცვას ისახავდა მიზნად.

ნაშრომში კარგად არის გამოკვეთილი თედო სახოკიას ღვაწლი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბებაში, ჟენევის კონფერენციის მომზადებაში, გაზ.

„საქართველოს“ გამოცემაში (1903-1905 წწ.), რომლის თანა-
რედაქტორიც ის იყო, 1905 წელს საქართველოში იარაღის
შემოტანაში და სხვ.

ფრიად მნიშვნელოვანია დისერტაციის მიერ ნადე კმპე-
ლიას როლის გამოყოფა თედო სახოკიას ცხოვრებაში. ისე-
რტანტი სავსებით სწორად ამახვილებს ყურადღებას თედო
სახოკიას ოჯახზე, სწორად აღნიშნავს ოჯახის, მეუღლის
როლს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. დისერტაციი აქვე
სავსებით მართებულად ამახვილებს ყურადღებას დეკანოზ
ანტონ კეკელიას პიროვნებაზე, მის მრწამსზე. ნიშანდობლი-
ვია, რომ ანტონ კეკელიას სახელს უკავშირდება ოცამდე
სკოლის გახსნა, ის წინ აღუდგა ცარიზმის პოლიტიკას, რო-
მელიც მიზნად ისახავდა სახარების მეგრულად თარგმანას,
თავდადებით იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-
ლიის აღდგენისათვის. ასეთი პიროვნების ოჯახში აღიზარდა
თედო სახოკიას მეუღლე ნადე კეკელია, რომელიც მეუღლის
დავალებით იწერდა და უგზავნიდა მას ფოლკლორულ და
ეთნოგრაფიულ მასალებს; ახალგაზრდა ქალი უდრტვინვე-
ლად იტანდა მძიმე ცხოვრებისეულ პირობებს, რაც გამოწვე-
ული იყო მეუღლის პატიმრობით, გადასახლებით, თუ იმუ-
ლებითი ემიგრაციით, სათანადოდ ზრდიდა ორ შვილს და
ერთგულად ედგა მხარში მეუღლეს, ამ დროს კი თვითონ
ავად იყო, მაგრამ წერილებში არსად ჩანს საყვედური მეუღ-
ლისადმი. ამ პიროვნებას კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს
წმ. ალექსი ბერის (შუშანიას) ძალიან საინტერესო წერილი
ნადე კეკელიასადმი, რომლის ნაწყვეტი დისერტაცის მოაქვს
ნაშრომში.

ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა თედო სახოკიას
პუბლიცისტურ საქმიანობას, მის თანამშრომლობას საქართ-
ველოში გამომავალ უერნალ-გაზეთებთან: „დროება“, „ივე-
რია“, „სახალხო გაზეთი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზ“,
„ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, აგრეთვე უცხოურ გამოცემე-
ბთან. მიუხედავად ცხოვრების რთული პირობებისა, თედო
სახოკია ყოველთვის თანამშრომლობდა ქართულ და უც-
ხოურ უერნალ-გაზეთებთან, სადაც აქვექნებდა კორესპონდე-
ნციებს საჭირობოროტო საკითხებზე, არ წყვეტდა სამეცნიერო
საქმიანობას, აქვექნებდა სამეცნიერო ნაშრომებს, მათ შორის

არამარტო ქართულ, არამედ ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ მან იტალიურ და ფრანგულ ენებზე თარგმნა და გამოაქვეყნა ქართული ანდაზები. ისერტანტი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ წერილებში თედო სახოკია ქართველ საზოგადოებას აცნობდა ევროპის ქვეყნების ცხოვრებას, ამ ქვეყნების მკიდრთა მიღწევებს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროში. ასე ეცნობოდა ქართველი მკითხველი დასაჭლურ ლირებულებებს, ეპროპელთა ყოფა-ცხოვრებას.

ქართველი ეთნოლოგები, ფოლკლორისტები, ლიტერატურამცოდნები მაღალ შეფასებას აძლევენ თედო სახოკიას დაწლს ქართულ ეთნოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, ლექსიკოლოგიაში, სიტუაციურ მწერლობაში, რასაც დოსერტანტიც იზიარებს.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ თედო სახოკიამ ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა უცხოელი მწერლების საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის ჯოვანი ბოკაჩის „დეკამერონი“, ვოლტერის, ვიქტორ ჰიუგოს, გი დე მოპასანის, ალფონს დოდეს, ემილ ზოლას ნაწარმოებები, ჯუზებე გარიბიალდის „კლელია“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“, ასევე საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანები წყარო, კორნელი ბოროზდინის „სამეცნიელო და სვანეთი“. მანვე თარგმნა ბულგარელი მწერლის ივან ვაზოვის „დამონებულინი“ და პოლონელი მწერლის ექი მილკოვსკის „განთიადი“, საიდანაც ცხადი ხდება თედო სახოკიას მრწამსი, რასაც ის აშკარად აღნიშნავს: „ვცდილობდი ქართულად მეთარგმნა ისეთი წიგნები, რომლებიც ქართველ მკითხველს დაანახებდა თავისს პოლიტიკურად დამონებულ მდგომარეობას, მთელ სიმძიმესა და გაუსაძლისობას ამ მდგომარეობისას და დაუბადებდა კირთებისაგან თავის დაღწევის, ძებნისა და კისრიდან მონობის უდლის გადაგდების აზრს“. დისერტანტი დაწვრილებით მიმოიხილავს თედო სახოკიას მთარგმნელობით მოღვაწეობას და სათანადო შეფასებას აძლევს მას.

ძალიან საგულისხმოა დისერტანტის მიერ ყურადღების გამახვილება თედო სახოკიას უაღრესად საინტერესო მოგონებებზე „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ და „ჩემი საუკუნის

ადამიანები“. თედო სახოკია მოგონებებში რეალისტურად წარმოაჩენს XIX საუკუნის მეორე ნახევრის განათლების სისტემას, იგონებს იმ ადამიანებს, ვისთანაც ურთიერთობა პქონდა, იძლევა მათი მოღვაწეობის შეფასებას, წარმოაჩენს მათ დამსახურებას ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წინაშე, მათ შორის აღსანიშნავია დიმიტრი ყიფიანის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგუბაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა ფშაველას, ნიკო ჯანაშიას, ანთომოზ ჯუღელის, არტურ ლაისტის, მარჯორი და ოლივერ უორდორპების და სხვათა ნათელი სახეების წარმოჩენა. ნიშანდობლივია, რომ პირველად თედო სახოკიამ წარმოაჩინა გიორგი დეკანოზიშვილის პირვენება, მისი ღვაწლი. დისერტაცის არ გამორჩა თედო სახოკიას არც სხვა მოგონებები – „ციმბირში“, „ძველი სოხუმი“, „მთიელთა სკოლა“, მისი პუბლიცისტიკა; დახასიათებული და შესწავლილი აქვს თედო სახოკიას მდიდარი გპისტოლარული მემკვიდრეობა.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობისას ჩვენს თვალწინ იკვეთება სახე ეროვნული მოღვაწისა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის უმცროსი თანამებრძოლის; არჩილ ჯორჯაძესა და გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად საქართველოს თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, რომელიც აქტიურად იბრძოდა ცარიზმის რესიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამდენად, დისერტაციმა დიდი შრომა გასწია, დაამუშავა უზარმაზარი საარქივო მასალა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პრესის მასალები, მემუარები, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა და მონოგრაფიულად შეისწავლა თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა. სადისერტაციო ნაშრომში სრულადაა შესწავლილი თედო სახოკიას ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა, მასში ახლებურადაა გადაჭრილი მთელი რიგი საკითხები. ამის საშუალება დისერტაცის მისცა საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნებითი ბაზის გაფართოებამ, წინამორბედ მკვლევრებზე დაყრდნობით საკითხების ახლებურმა კვლევამ და ინტერპრეტაციამ, ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებამ, კრიტიკული და არგუმენტირებული ანალიზის უნარმა. აქვე

გვინდა ორიოდე შენიშვნა გამოვთქვათ ნაშრომის გარშემო, რაც, ვფიქრობთ, დისერტანტს სათანადოდ წაადგება.

1. დისერტანტი გატაცებულია ვრცელი ციტატების მოტანით. არადა, მკვლევარი უნდა ეცადოს წყაროს შინაარსის გადმოცემას.

2. ნაშრომში გვხვდება კორექტურული და სტილისტური ხასიათის ხარჯები, რომლებიც მის საკვალიფიკაციო ღირსებას არ აკნინებენ, მაგრამ რამდენადმე ზიანს აუენებენ „ტექსტის ესთეტიკას“. ამ რიგისაა მაგალითად, განმეორებები, რომლებიც ნაშრომში რამდენჯერმე გვხვდება. მაგალითად, მე-100 გვერდზე დიდი ციტატაა 1905 წელს იარაღის შემოტანაზე, შემდეგ გვერდებზე უკვე დისერტანტი მოგვითხრობს ამ ფაქტის შესახებ; სხვადსხვა თავებში, 107-ე და 114-ე გვერდებზეა მოთხრობილი თედო სახოკიას მიერ სოხუმის ციხეში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გაგებაზე; 1908 წელს თედო სახოკიას დაპატიმრების ეპიზოდი გადმოცემულია 109-ე და 115-ე გვერდებზე სხვადსხვა თავებში; 186-ე გვერდზე მოთხრობილია თედო სახოკიას მთარგმნელობით და ლექსიკოლოგიურ საქმიანობაზე, რაც სხვა თავში, 196-ე გვერდზე განმეორებულია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, თუ ნაშრომი აიგებოდა არა თემატურ-ქრონოლოგიური, არამედ ქრონოლოგიური პრინციპით, რითაც დისერტანტი თავიდან აიცილებდა განმეორებებს და თავების რაოდენობაც შემცირდებოდა, რაც უფრო კომპაქტურს გახდიდა ნაშრომს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გამოთქმული შენიშვნები ნაშრომის საკვალიფიკაციო ღირსებას ნამდვილად არ აკნინებს. დისერტანტ ლატავრა ბუკიას ნაშრომი დაწერილია გამართული ქართულით, კარგად იკითხება და აკმაყოფილებს სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ლატავრა ბუკია სავსებით იმსახურებს ისტორიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაზეც ვშეამდგომლობთ საქართველოს საპატიო-არქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ისტორიის სექციის წინაშე.

2018 წელი.

გეონიერის ხაიუბილეთი



ნოდარ კახიძე – 90

ცნობილ ეთნოლოგსა და ისტორიკოსს ნოდარ კახიძეს 2019 წლის 25 დეკემბერს 90 წელი შეუსრულდა. მეცნიერი მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში დაიბადა. სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1954 წელს დაამთავრა. სამეცნიერო საქმიანობის დაწყებამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში – ასწავლიდა ისტორიას; იყო სასწავლო ნაწილის გამგეც. პარალელურად სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1965 წელს. მისი მეცნიერებლმდვანელი გახლდათ ცნობილი ეთნოლოგი მიხეილ გეგშიძე. 1966 წლიდან ნოდარ კახიძემ თავისი ცხოვრება დაუკავშირა ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის

კვლევით ინსტიტუტს. ინსტიტუტში გაიარა ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან განყოფილების გამგებდე. 1979-2019 წლებში სემდღვანელობდა ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილებას, რომელიც 2010 წლიდან გარდაიქმნა ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებად. პარალელურად 1970-1980 წლებში პედაგოგიურ მოდვაწეობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1989-2009 წლებში სალექციო კურსებს კითხულობდა შუა საუკუნეების ისტორიაში, ზოგად ეთნოლოგიაში, საქართველოს ეთნოლოგიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებზე და სხვა. 1998-1985 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარი რეგიონების შემსწავლელი კომისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლული მდივანი. 2010 წლიდან არის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. 2011-2015 წლებში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს; 2004 წელს აირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად. კარგა ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას.

ნოდარ კახიძის სამეცნიერო ინტერესები უაღრესად ფართოა. მუშაობს აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე – მატერიალულური კულტურა; სამეცნიერო ყოფა; სოციალური ურთიერთობები; სულიერი კულტურა; მხარეთმცოდნეობითი და ონომასტიკური პრობლემები. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 1967 წელს. საკვალიფიკაციო ნაშრომი ეხებოდა მაჭახლის ხეობას. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი 2001 წელს მიენიჭა ნაშრომისათვის „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის გვიან დაცვა ნოდარ კახიძის იმ ხასიათის შედეგი იყო, რომელსაც საკუთარი თავის მიმართ დიდ მოთხოვნილება, მორიდებულობა და პრინციპულობა ეწოდება. სადოქტორო დისერტაციამ როგორც მეცნიერ ეთნოლოგთა, ისე ისტორიკოსთა უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ნოდარ კახიძეს დღემდე გამოქვეყნებული აქვს 170 ნაშრომზე მეტი, რომელთა შორის 4 მონოგრაფიაა. ეს მონოგრაფიებია: „მაჭახლის ხეობა, 1974“; „ხელოსნობა აჭარაში, 1990“; ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, 2004“; „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, 2013“; ამჟამად გამოცემას ელის მონოგრაფია „მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკა“. მისი რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის II ტომი (რომელშიც იუბილარ მეცნიერს 11 ნარკვევი აკუთვნის). ოდარ კახიძის რედაქტორობითა გამოცემული კრებულის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემების“ 6 ტომი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების X-XIV ტომები, ურნალ „მაჭახელის“ 8 ტომი; მონაწილეობდა ეთნოლოგიის განყოფილების კრებულის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ 19 კრებულის მომზადებასა და გამოცემაში. ბუნებრივია ყველა ამ კრებულში მას მადალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომები აქვს დაბეჭდილი. ნოდარ კახიძე მონაწილეობდა არაერთ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელთა უმეტესობის ხელმძღვანელიც ის გახლდათ. ეს ექსპედიციები კი ეწყობოდა არა მხოლოდ აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი...). ნოდარ კახიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა ორი საკანდიდატო დისერტაცია, მრავალი საკურსო და სადიპლომო ნაშრომი.

იუბილარი მეცნიერი სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვადასხვა ფორუმების აქტიური მონაწილე გახლდა. ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1983), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (2000), აჭარის ავტონომიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (2009) საპატიო სიგალებით. ნაშრომისათვის „ხელოსნობა აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“, რომელიც 1990 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დასტამბა, 1995 წელს მიენიჭა ოქდო სახოკიას პრემია.

მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდო - ლიტ-
სების ორდენი (2015).

იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი
იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის
განყოფილება

სარჩევი

როლანდ თოფჩიშვილი. თინათინ თხიაური — ქართველ
მთიელთა სულიერი კულტურის მკვლევარი (დაბადებიდან 100
წლისთავის გამო)-----5

მეცნიერის არქივიდან

თინათინ თხიაური. მითისა და რიტუალის ურთიერთმიმართე-
ბის შესახებ-----28

Г. С. Читая. Изменение и обогащение культуры в результате
перемещения населения с гор на равнину в прошлом-----38

ნუგზარ ანთელაგა. სექსუალური კულტურა კავკასიურ ტრა-
დიციაში 1. ჩერქეზული მაგიურ-რელიგიური ეროტიზმის რი-
ტუალურ-მითოლოგიური კონტექსტი-----40

სალომე ბახია-ოქრუაშვილი. ქართველთა და ოსთა მატერი-
ალური კულტურა (ურთიერთშედარებითი ასპექტი)-----53

გალერი გაშაკიძე. ტერმინ „გავგასიის“ წარმომავლობა და
ეტიმოლოგია-----77

ირმა კვაშილაგა. სამურზაყანოს ისტორია ტოპონიმიაში---91

გიორგი მამარდაშვილი. კვლავ ტერმინ „აფსუას“ შესახებ-149

დავით მერკვილაძე. სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა
ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოებში XVIII საუკუნის 60-
70-იანი წლების მიჯნაზე და ერეკლე II-----170

ინგა ლუტიძე. გეორგიევსკის ტრაქტატი და ენის საკითხები--182

ნათია ჯალაბაძე. მცოცავი ანექსია შიდა ქართლში და
მასთან დაკავშირებული პრობლემები-----195

ლავრენტი ჯანიაშვილი. ქართული სოფლის სამეურნეო და
სოციოკულტურული ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი
(სოფელი საკრაულა)-----212

Георгий Автандилашвили. Этническая группа лайджей в Грузии-237

Роланд Топчишвили. Когда и почему этноним «чачан» приобрел
негативное содержание-----266

გამოხმაურება/რეცენზია

როლანდ თოფჩიშვილი. ალექსი ოჩიაურის დიდი ამბების
გადმომცემი ხევსურული ზეპირი ისტორიები-----271

სალომე ბახიძ-ოქრუაშვილი. რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის
წელილი სვანეთის ეთნოლოგიის შესწავლის საქმეში-----290

როლანდ თოფჩიშვილი. რეცენზია ნოდარ კახიძის მიერ
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ხელოსნობა
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“-----304

ბექან ხორავა. თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა
(რეცენზია ლატავრა ბუგიას მიერ ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
ნაშრომზე „თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-
1956წწ.)“.-----314

მეცნიერის სიუბილეოდ

ნოდარ კახიძე – 90-----323

